ბოეთიუსი

ფილოსოფიის ნუგეში

თარგმნა გვანცა ფოფხაძემ

* * *

ბოეთიუსი (Anicius Manlius Torquatus Severinus Boethius), რომელსაც ისტორიამ დააკისრა ახალი ეპოქის ანტიკურ მემკვიდრეობასთან ზიარების მისია, ახალგაზრდულ ასაკში გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, მან ადრევე მიაღწია პოლიტიკურ სარბიელზე წარმატებას. 522 წელს ოსტგოთების მეფე თეოდორიქიოსის ოფიციოზის მაგისტრად (ყველა საკარო და სახელმწიფო სამსახურის უფროსი) დანიშნეს, სულ მალე ღალატში დაადანაშაულეს და საპყრობილეში ჩასვეს, სადაც ღირსეულად შეხვდა აღსასრულს. იგი იყო უგანათლებულესი ადამიანი. მის კალამს ეკუთვნის მათემატიკური, გეომეტრიული, არითმეტიკული, ასტრონომიული და მუსიკალური ხასიათის წიგნები, თხზულებები ლოგიკაში, განმარტებები, თეოლოგიური ტრაქტატები და, რა თქმა უნდა, „ფილოსოფიის ნუგეში“, რომელიც დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს განათლებულ საზოგადოებაში.

დიდი რომაელი მოაზროვნის ანიკიუს მანლიუს სევერინუს ბოეთიუსის მოღვაწეობა ეპოქათა ცვლის ხანას ემთხვევა. ამ პერიოდს ისტორიოგრაფოსები ხშირად «ბნელ წლებად» მოიხსენიებენ, რადგანაც დასავლეთ რომის იმპერიის ნგრევას პოლიტიკურ და ეკონომიურ ცვლილებებთან ერთად თან სდევდა სულიერ ფასეულობათა ცვლაც. «ბნელი წლების» მსგავს ეპოქებში თითქმის არ არსებობს პირობები ინტელექტუალური ცხოვრებისათვის. მაგრამ თუკი გავიაზრებთ კულტურას, როგორც ისტორიული ცხოვრების ფორმას, როგორც შუამავალს უწყვეტი ცხოვრების რიტმში, დავრწმუნდებით, რომ ნგრევის მდგომარეობაშიც კი იგი ქმნის ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი ყოფიერების მოწესრიგების განსაკუთრებულ სისტემას, რომელიც მას არა მხოლოდ ადაპტირების, არამედ თვითგადარჩენის პირობებს უქმნის. ასე მოხდა «ბნელი წლების» ეპოქაში, როდესაც ისტორიის ავანსცენაზე ხალხთა არსებობა-არარსებობის ტრაგედია თამაშდებოდა. სწორედ ამ დროს კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში აღმოჩნდნენ მოაზროვნეები, რომელთაც ისტორიამ დააკისრა ახალ ეპოქათა ანტიკურ მემკვიდრეობასთან ზიარების მისია. მათ შორის იყო ბოეთიუსი, რომელმაც თავისი მოღვაწეობით საფუძველი ჩაუყარა უდიდეს ინტელექტუალურ პროგრამას და რომელმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა ევროპული კულტურა. ბოეთიუსმა მიზნად დაისახა ანტიკურობის ორი დიდებული მოაზროვნის, პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებათა შეთანასწორება: «არისტოტელეს ლოგიკური ხელოვნების მთელ სინატიფეს, მისი მორალური ფილოსოფიის მთელს სიდიადეს, მისი ფიზიკის მთელ სითამამეს მე ვთარგმნი მივანიჭებრა ამ თხზულებებს სათანადო სიმწყობრეს ჩემივე განმარტებებით, წერდა იგი. – უფრო მეტიც, მე ვთარგმნი და განვმარტავ პლატონის ყველა დიალოგს. დავასრულებ რა ამ სამუშაოს, შევეცდები ურთიერთშევუთანასწორო არისტოტელესა და პლატონის ფილოსოფია და ვაჩვენო, რომ მეტი წილი ადამიანები ცდებიან,

როდესაც ფიქრობენ, რომ ეს ფილოსოფოსები არ ეთანხმებიან ერთმანეთს; პირიქით კი ხდება: უმეტეს შემთხვევაში, ამასთან უფრო მნიშვნელოვანში ისინი თანამოაზრეებიც კი არიან. ამ საქმეს, თუ მომეცემა სათანადო წლები და თავისუფალი დრო, მე აღვასრულებ დიდი რუდუნებითა და თავდაუზოგავი შრომით».

უნდა აღინიშნოს, რომ ბოეთიუსამდე პლატონისა და არისტოტელეს თხზულებათა შეთანასწორება ნეოპლატონიკოსებმა უკვე სცადეს დაწყებული ამონიოს საკასადან (დაახლ. 175-242), რომელიც იყო ნეოპლატონიზმის მამამთავარი და მოძღვარი დიდი პლოტინისა; V საუკუნეში ნეოპლატონიკოსთა ეს რუდუნება ბრწყინვალედ დაასრულა ბერძენმა ფილოსოფოსმა პროკლოსმა (412-485 წწ.), ათენის ცნობილი სკოლის მეთაურმა, რომელმაც დაწერა განმარტებები პლატონის დიალოგებისათვის და «შესავალი» არისტოტელეს ფილოსოფიისათვის (რა თქმა უნდა, სხვა თხზულებებთან ერთად). აქვე უნდა ითქვას, რომ პლატონისა და არისტოტელეს თხზულებათა განმარტებები შედგენილი აქვს ოლიმპიოდოროსსაც, ბოეთიუსის უმცროს თანამედროვესბოეთიუსს არ დასცალდა თავისი მიზნის განხორციელება. მან მოასწრო ეთარგმნა და ნაწილობრივ განემარტა არისტოტელეს «ორგანონის» ლოგიკური ხასიათის თხზულებები; აგრეთვე არისტოტელეს «კატეგორიების» შესავალი, რომელიც ეკუთვნოდა ნეოპლატონიკოს პორფირიოსს. რაც შეეხება პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებათა შორის წინააღმდეგობის მოხსნას, ეს სამუშაო მან მემკვიდრეობად დაუტოვა შუა საუკუნეებს, თუმცა მისი განხორციელება მხოლოდ აღორძინების ეპოქაში გახდა შესაძლებელი.

ტრაგიკულად წარიმართა ბოეთიუსის ცხოვრება: ანიკიუსთა წარჩინებული გვარის შთამომავალი ბოეთიუსი დაიბადა რომში დაახლოებით 480 წელს. იგი ადრე დაობლდა და მასზე ზრუნვა იკისრა რომაელმა კონსულმა და შემდგომში პრეფექტმა სიმაქუსმა, რომლის ქალიშვილიც მან მოგვიანებით ცოლად შეირთო. ბოეთიუსმა განათლება მიიღო რომში (ან ოსტგოთთა სახელმწიფოს დედაქალაქ რავენაში) და ადრეულ ასაკშივე მიაღწია კარიერულ წარმატებას – 522 წელს ოსტგოთთა მეფე თეოდორიქოსმა იგი დანიშნა ოფიციოზის მაგისტრად (ლათ. magister officiorum – ყველა საკარო და სახელმწიფო სამსახურის უფროსი). ამასთანავე მისი ორი ვაჟიშვილი საპატიო კონსულებად დანიშნეს. ამ დროს ბოეთიუსი უკვე ძალზე ცნობილი ორატორი და მწერალია. 523/4 წელს მას ბრალი დასდეს ღალატში, თითქოს იგი: 1. ცდილობდა რომისთვის წართმეული თავისუფლება დაებრუნებინა; 2. ცდილობდა დაეცვა სენატორები იმ დოკუმენტების დამალვის საშუალებით, რომლებშიც ისინი «მისი უდიდებულესობის» – მეფე თეოდორიქოსის შეურაცხყოფაში იყვნენ მხილებულნი; 3. დაკავებული იყო შავი მაგიით და სიწმინდეებს შეურაცხყოფდა. ამ სამი ბრალდებიდან ბოეთიუსმა პირველი ორი სამართლიანად ცნო, მესამე კი კატეგორიულად უარყო. საბოლოოდ მას ჯერ პატიმრობა, შემდეგ კი სიკვდილი მიუსაჯეს. სწორედ საპყრობილეში დაიწერა მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები «ფილოსოფიის ნუგეში». განაჩენი 525/6 წელს ქალაქ პავიაში აღსრულდა (მე-19 საუკუნემდე პავიაში შენარჩუნებული იყო ბოეთიუსის, როგორც წმინდა მოწამის კულტი). ბოეთიუსი ღირსეულად შეხვდა აღსასრულს. იგი იყო უგანათლებულესი ადამიანი. მის კალამს ეკუთვნის მათემატიკური, გეომეტრიული, არითმეტიკული, ასტრონომიული და მუსიკალური ხასიათის წიგნები, თხზულებები ლოგიკაში, განმარტებები, თეოლოგიური ტრაქტატები და, რა თქმა უნდა, «ფილოსოფიის ნუგეში», რომელიც დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს განათლებულ საზოგადოებაში.

ბოეთიუსის მოღვაწეობისათვის ნიშანდობლივია ორი, ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავი ტენდენციის არსებობა. ერთი მხრივ, იგი ცდილობს ანტიკური განათლების პოპულარიზაციას (ამის

ნიმუშია მისი «განმანათლებლური ტრაქტატები», აგრეთვე არისტოტელეს და ციცერონის თხზულებათა თარგმანები და განმარტებები), მეორე მხრივ კი, შეინარჩუნოს ელიტალურობა: თეოლოგიურ ტრაქტატებში ის ითვალისწინებს, რომ მისი მკითხველი რჩეული აუდიტორიაა. «სამების» შესავალში ბოეთიუსი ასე მიმართავს თავის ადრესატს, ავრელიუს მემიუს სიმაქუსს: «რა ხდება ჩემს სულში მაშინ, როდესაც კალამს ჩემს ფიქრებს ვანდობ, შეგიძლია წარმოიდგინო, თუკი გაითვალისწინებ სათქმელის სირთულესა და აუდიტორიის განათლებულობას: მე ხომ მხოლოდ შენ მოგმართავ, რამეთუ არც ხმაურიანი დიდება მსურს და არც დაუმსახურებელი აღიარება. თუკი მოველი წარმატებას, ის ჩემს ძიებათა განსჯას ეხება მხოლოდ. ხოლო შენს გარდა განა ძალუძს ვინმეს ჩემი გაგება? სადაც არ უნდა მივაპყრო მზერა, ყველგან ვაწყდები ან ხავსმოდებულ უქნარობას, ან შურიან არაკეთილმოსურნეობას; ამიტომ მხოლოდ შეურაცხყოფდა ღვთაებრივ ტრაქტატებს ის, ვინც ამ ადამიანთა მსგავს ურჩხულებს შესთავაზებდა მათ უმალ სალანძღავად, ვიდრე განსახილველად».

არისტოტელეს ლოგიკაზე დაყრდნობით ბოეთიუსი ცდილობდა გონებისა და რწმენის შეთავსებას. იგი მიანიშნებდა, რომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებამდე არის სამი გზა – გზა რწმენის ჭეშმარიტების, გზა გონების ჭეშმარიტების და გზა სიცოცხლის ჭეშმარიტების. ამ უკანასკნელზე მსჯელობას მიუძღვნა მან თავისი თხზულება «ფილოსოფიის ნუგეში», რომელიც თუმცა მოკლებულია ქრისტიანულ რემინისცენციებს, მაგრამ მაინც ღირსეულად იკავებს თავის ადგილს შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანეს თხზულებათა შორის.

«ფილოსოფიის ნუგეში» (Consolatio Philosophiae) შუა საუკუნეებიდან მოყოლებული განათლებული საზოგადოების საყვარელი საკითხავი წიგნი იყო. მას სხვაგვარად «ფორტუნას წიგნსაც» უწოდებდნენ, ხოლო მის ავტორს ზოგი ქრისტიან წმინდანად და მოწამედ მიიჩნევდა, ზოგი კი ბოლო რომაელ ფილოსოფოსად . აღსანიშნავია ის, რომ თავის ქმნილებაში ბოეთიუსი არსად მოიხსენიებს ქრისტეს, წმინდა წერილის რემინისცენციებს კი სტრიქონთა მიღმა ეძიებენ მკვლევარნი. ამისდა მიუხედავად, ბოეთიუსის მსჯელობანი ბედსა თუ ბედისწერაზე სავსებით განსხვავებულია იმისგან, რაც შეიძლება ამოვიკითხოთ წარმართულ ლიტერატურაში. ეს მცირე მოცულობის ქმნილება, რომელიც შუა საუკუნეების დასავლური აზროვნების სახედ იქცა, თავისი პოეტურობითა და ჰუმანისტური იდეებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ევროპული კულტურისთვისაც. თავისი შემოქმედებით ბოეთიუსი პასუხობდა იმ კითხვებს, რომლებიც მის დროს – ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გარდამავალ ეპოქაში დომინირებდა. პასუხებში კი ლოგიკური დამაჯერებლობითა და მხატვრულ სახეთა ალეგორიული სისადავით აისახა სინთეზი გარდასახული დროების ტრადიციასა და მომავლის ინტუიციურ შეგრძნებას შორის. სწორედ ამ სისადავისა და უბრალოების წყალობით ბოეთიუსის შემოქმედება გასაგები იყო განათლებული საზოგადოების ყველა ფენისთვის.

«ფილოსოფიის ნუგეში» ბოეთიუსის უკანასკნელი ქმნილებაა. ეს მცირე მოცულობის ტრაქტატი ხუთ წიგნად არის დაყოფილი და შეთხზულია რომაული ლიტერატურისათვის ნიშანდობლივი ე.წ. «სატურის» (satura) ფორმით. ლიტერატურული ჟანრის ამ სახეობამ, რომელიც მომავალში «სატირის» სახელწოდებით დამკვიდრდება, ბოეთიუსის ეპოქაში გამხნევების, დამშვიდების შინაარსი შეიძინა.

ეს იყო ფილოსოფიური ფიქრები, სადაც რიტორიკული პროზის მომხიბლაობას ენაცვლებოდა პოეზია. ასეთი უნდა ყოფილიყო სატურა და ბოეთიუსიც წიგნიდან წიგნში ვირტუოზულად ამრავალფეროვნებდა ლიტერატურულ დიალოგებსა თუ სხვადასხვა სალექსო საზომით გამართულ პოეტურ ქმნილებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურულ ტრაქტატთა «გამხნევებითი» სახეობა ბოეთიუსამდე დიდი ხნით ადრე შეიქმნა და უკავშირდება «პროტრეპტიკონად» სახელდებულ ჟანრს, რომელიც თავდაპირველად შეგონებით ხასიათს, ფილოსოფიით დაინტერესების მოწოდებას შეიცავდა. პირველი პროტრეპტიკონი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, შეუთხზავს არისტოტელეს.

ბოეთიუსის «ფილოსოფიის ნუგეში» დაიწერა საპყრობილეში, სასჯელის მოლოდინში. მსჯავრდებულთან მშვენიერი ქალბატონის სახით გამოცხადებული ფილოსოფია, რა თქმა უნდა, ალეგორიაა. სასოწარკვეთილი მსჯავრდებული პირველ წიგნში საკუთარი უბედურების თაობაზე უამბობს გამოცხადებულ ქალბატონს. მეორე წიგნში თავად ფილოსოფია საუბრობს ფორტუნას შესახებ, ადამიანური ბედისა და ბედნიერების წარმავლობაზე. მესამე წიგნში წარმოდგენილია პლატონის დოქტრინა სიკეთის თაობაზე: ქალბატონი ფილოსოფია ქადაგებს, რომ იმ ბედნიერებაზე მაღლა, რომელშიც მოიაზრება დიდებაც, კეთილდღეობაც, სიჯანსაღეცა და სიმდიდრეც დგას უფრო დიდი ბედნიერება – ნეტარება, რომელიც მიიღწევა სიქველითა და გონიერებით, ხოლო მისი მწვერვალი, მიზანი და სათავე, აგრეთვე მთელი სამყაროს არსი არის ერთიანი და უბრალო უმაღლესი სიკეთე, რომელსაც ეწოდება ღმერთი. პლატონის გავლენით არის შექმნილი მეოთხე წიგნიც, სადაც საუბარია იმის თაობაზე, თუ როგორ არ შეიძლება არსებობდეს ბოროტება იმ სამყაროში, რომელიც ღმერთის მიერ არის შექმნილი, რომელსაც ამოძრავებს უმაღლესი სიკეთე. მეხუთე წიგნი ეძღვნება ბედისწერის, ნების თავისუფლებისა და წინასწარჭვრეტის პრობლემებს.

ბოეთიუსის სხვა ტრაქტატებისგან განსხვავებით «ფილოსოფიის ნუგეში» კომენტატორთა ყურადღების მიღმა რჩებოდა მუდამ, რადგანაც ანტიკურობაცა და შუა საუკუნეებიც მას მიიჩნევდნენ იმ მხატვრულ ქმნილებად, რომელიც უპირველეს ყოვლისა ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევდა მკითხველში თავისი მაღალმხატვრულობითა თუ არგუმენტაციის სიღრმით.

ამ ტრაქტატის თარგმნა შუა საუკუნეებიდანვე დაიწყეს. მას თარგმნიან დღესაც, სწავლობენ, ასწავლიან და უბრალოდ – კითხულობენ. ეს, რა თქმა უნდა, გამოწვეულია იმ პრობლემებისადმი ინტერესით, რაც მუდამ აღელვებდა და დღესაც აღელვებს ინტელექტუალურ მკითხველს. პერსონიფიცირებული ფილოსოფია, რომელიც ესაუბრება ავტორს, ესაუბრება მკითხველსაც. საუბარი კი ეხება თეოდოკეას, ღვთაებრივ მადლს, ბედისწერას, პროვიდენციას (წინასწარ ჭვრეტას), ადამიანური ნების თავისუფლებასა და სხვა ისეთ საკითხებს, რაც ერთნაირად საინტერესოა ყველა ეპოქის ადამიანისათვის.

ბოეთიუსი, აღიარებს რა ღმერთს ყოველივე იმის მიზეზად, რაც ხდება სამყაროში, იძულებულია აღიაროს ისიც, რომ, რაც ხდება, ის სიკეთეა. ბოროტება ისეთივე ილუზიაა, როგორიც შემთხვევითობა, რამეთუ

ღმერთი ყოველივეს სიკეთისაკენ მიმართავს. აქ უნდა გავიხსენოთ ის, რომ ბოეთიუსი თავის საკუთარ ისტორიას აღწერს და სულაც არ ცდილობს პრობლემათა დასაბუთებას. როდესაც ის ეხება ბოროტებისა და შემთხვევითობის, წინასწარჭვრეტისა თუ აუცილებლობის თემას, მის

წინაშე წამოიჭრება ახალი პრობლემა: შეიძლება თუ არა საუბარი ადამიანური ნების თავისუფლებაზე მაშინ, როდესაც ღვთაებრივი წინასწარჭვრეტისთვის ადამიანის ყოველგვარი მოქმედება წინასწარ არის ცნობილი? ამ დილემის ახსნას ბოეთიუსი ნეოპლატონიკოსთა თეორიის მოშველიებით ცდილობს.

იგი ბედისწერისა და ფორტუნას გაგების ანტიკურობისაგან განსხვავებულ ვარიანტს სთავაზობს თავის მკითხველს. კერძოდ, აშკარად განაცხადებს, რომ არსებობს ადამიანური ნების თავისუფლება, რომელიც «ყოველგვარი აუცილებლობისგანაა თავისუფალი. თუმცა არსებობს ღმერთიც, როგორც ყოვლისმცოდნე და ყოველივეს ზემოდან მჭვრეტი. მისი ხედვის მარადი აწმყო ჩვენი ქმედებების მომავალ თვისებებს თანხვდება და იგი კეთილ ადამიანებს ჯილდოს, ხოლო ბოროტებს – სასჯელს არგუნებს. არც ღვთის იმედია ამაო, არც ლოცვები, რომლებიც, სწორად მიმართულნი, უშედეგონი არასდროს არიან ... ვინაიდან ყოვლისმხედველი მსაჯულის თვალწინ ვარსებობთ» [Cons. V, პრ. 6 (48)].

ნანა ტონია

გვანცა ფოფხაძე

* * *

ბოეთიუსი (Anicius Manlius Torquatus Severinus Boethius), რომელსაც ისტორიამ დააკისრა ახალი ეპოქის ანტიკურ მემკვიდრეობასთან ზიარების მისია, ახალგაზრდულ ასაკში გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, მან ადრევე მიაღწია პოლიტიკურ სარბიელზე წარმატებას. 522 წელს ოსტგოთების მეფე თეოდორიქიოსის ოფიციოზის მაგისტრად (ყველა საკარო და სახელმწიფო სამსახურის უფროსი) დანიშნეს, სულ მალე ღალატში დაადანაშაულეს და საპყრობილეში ჩასვეს, სადაც ღირსეულად შეხვდა აღსასრულს. იგი იყო უგანათლებულესი ადამიანი. მის კალამს ეკუთვნის მათემატიკური, გეომეტრიული, არითმეტიკული, ასტრონომიული და მუსიკალური ხასიათის წიგნები, თხზულებები ლოგიკაში, განმარტებები, თეოლოგიური ტრაქტატები და, რა თქმა უნდა, „ფილოსოფიის ნუგეში“, რომელიც დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს განათლებულ საზოგადოებაში.

დიდი რომაელი მოაზროვნის ანიკიუს მანლიუს სევერინუს ბოეთიუსის მოღვაწეობა ეპოქათა ცვლის ხანას ემთხვევა. ამ პერიოდს ისტორიოგრაფოსები ხშირად «ბნელ წლებად» მოიხსენიებენ, რადგანაც დასავლეთ რომის იმპერიის ნგრევას პოლიტიკურ და ეკონომიურ ცვლილებებთან ერთად თან სდევდა სულიერ ფასეულობათა ცვლაც. «ბნელი წლების» მსგავს ეპოქებში თითქმის არ არსებობს პირობები ინტელექტუალური ცხოვრებისათვის. მაგრამ თუკი გავიაზრებთ კულტურას, როგორც ისტორიული ცხოვრების ფორმას, როგორც შუამავალს უწყვეტი ცხოვრების რიტმში, დავრწმუნდებით, რომ ნგრევის მდგომარეობაშიც კი იგი ქმნის ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი ყოფიერების მოწესრიგების განსაკუთრებულ სისტემას, რომელიც მას არა მხოლოდ ადაპტირების, არამედ თვითგადარჩენის პირობებს უქმნის. ასე მოხდა «ბნელი წლების» ეპოქაში, როდესაც ისტორიის ავანსცენაზე ხალხთა არსებობა-არარსებობის ტრაგედია თამაშდებოდა. სწორედ ამ დროს კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში აღმოჩნდნენ მოაზროვნეები, რომელთაც ისტორიამ დააკისრა ახალ ეპოქათა ანტიკურ მემკვიდრეობასთან ზიარების მისია. მათ შორის იყო ბოეთიუსი, რომელმაც თავისი მოღვაწეობით საფუძველი ჩაუყარა უდიდეს

ინტელექტუალურ პროგრამას და რომელმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა ევროპული კულტურა. ბოეთიუსმა მიზნად დაისახა ანტიკურობის ორი დიდებული მოაზროვნის, პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებათა შეთანასწორება: «არისტოტელეს ლოგიკური ხელოვნების მთელ სინატიფეს, მისი მორალური ფილოსოფიის მთელს სიდიადეს, მისი ფიზიკის მთელ სითამამეს მე ვთარგმნი მივანიჭებრა ამ თხზულებებს სათანადო სიმწყობრეს ჩემივე განმარტებებით, წერდა იგი. – უფრო მეტიც, მე ვთარგმნი და განვმარტავ პლატონის ყველა დიალოგს. დავასრულებ რა ამ სამუშაოს, შევეცდები ურთიერთშევუთანასწორო არისტოტელესა და პლატონის ფილოსოფია და ვაჩვენო, რომ მეტი წილი ადამიანები ცდებიან, როდესაც ფიქრობენ, რომ ეს ფილოსოფოსები არ ეთანხმებიან ერთმანეთს; პირიქით კი ხდება: უმეტეს შემთხვევაში, ამასთან უფრო მნიშვნელოვანში ისინი თანამოაზრეებიც კი არიან. ამ საქმეს, თუ მომეცემა სათანადო წლები და თავისუფალი დრო, მე აღვასრულებ დიდი რუდუნებითა და თავდაუზოგავი შრომით».

უნდა აღინიშნოს, რომ ბოეთიუსამდე პლატონისა და არისტოტელეს თხზულებათა შეთანასწორება ნეოპლატონიკოსებმა უკვე სცადეს დაწყებული ამონიოს საკასადან (დაახლ. 175-242), რომელიც იყო ნეოპლატონიზმის მამამთავარი და მოძღვარი დიდი პლოტინისა; V საუკუნეში ნეოპლატონიკოსთა ეს რუდუნება ბრწყინვალედ დაასრულა ბერძენმა ფილოსოფოსმა პროკლოსმა (412-485 წწ.), ათენის ცნობილი სკოლის მეთაურმა, რომელმაც დაწერა განმარტებები პლატონის დიალოგებისათვის და «შესავალი» არისტოტელეს ფილოსოფიისათვის (რა თქმა უნდა, სხვა თხზულებებთან ერთად). აქვე უნდა ითქვას, რომ პლატონისა და არისტოტელეს თხზულებათა განმარტებები შედგენილი აქვს ოლიმპიოდოროსსაც, ბოეთიუსის უმცროს თანამედროვესბოეთიუსს არ დასცალდა თავისი მიზნის განხორციელება. მან მოასწრო ეთარგმნა და ნაწილობრივ განემარტა არისტოტელეს «ორგანონის» ლოგიკური ხასიათის თხზულებები; აგრეთვე არისტოტელეს «კატეგორიების» შესავალი, რომელიც ეკუთვნოდა ნეოპლატონიკოს პორფირიოსს. რაც შეეხება პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებათა შორის წინააღმდეგობის მოხსნას, ეს სამუშაო მან მემკვიდრეობად დაუტოვა შუა საუკუნეებს, თუმცა მისი განხორციელება მხოლოდ აღორძინების ეპოქაში გახდა შესაძლებელი.

ტრაგიკულად წარიმართა ბოეთიუსის ცხოვრება: ანიკიუსთა წარჩინებული გვარის შთამომავალი ბოეთიუსი დაიბადა რომში დაახლოებით 480 წელს. იგი ადრე დაობლდა და მასზე ზრუნვა იკისრა რომაელმა კონსულმა და შემდგომში პრეფექტმა სიმაქუსმა, რომლის ქალიშვილიც მან მოგვიანებით ცოლად შეირთო. ბოეთიუსმა განათლება მიიღო რომში (ან ოსტგოთთა სახელმწიფოს დედაქალაქ რავენაში) და ადრეულ ასაკშივე მიაღწია კარიერულ წარმატებას – 522 წელს ოსტგოთთა მეფე თეოდორიქოსმა იგი დანიშნა ოფიციოზის მაგისტრად (ლათ. magister officiorum – ყველა საკარო და სახელმწიფო სამსახურის უფროსი). ამასთანავე მისი ორი ვაჟიშვილი საპატიო კონსულებად დანიშნეს. ამ დროს ბოეთიუსი უკვე ძალზე ცნობილი ორატორი და მწერალია. 523/4 წელს მას ბრალი დასდეს ღალატში, თითქოს იგი: 1. ცდილობდა რომისთვის წართმეული თავისუფლება დაებრუნებინა; 2. ცდილობდა დაეცვა სენატორები იმ დოკუმენტების დამალვის საშუალებით, რომლებშიც ისინი «მისი უდიდებულესობის» – მეფე თეოდორიქოსის შეურაცხყოფაში იყვნენ მხილებულნი; 3. დაკავებული იყო შავი მაგიით და სიწმინდეებს შეურაცხყოფდა. ამ სამი ბრალდებიდან ბოეთიუსმა პირველი ორი სამართლიანად ცნო, მესამე კი კატეგორიულად უარყო. საბოლოოდ მას ჯერ პატიმრობა, შემდეგ კი სიკვდილი მიუსაჯეს. სწორედ საპყრობილეში დაიწერა მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები «ფილოსოფიის ნუგეში». განაჩენი 525/6 წელს ქალაქ პავიაში

აღსრულდა (მე-19 საუკუნემდე პავიაში შენარჩუნებული იყო ბოეთიუსის, როგორც წმინდა მოწამის კულტი). ბოეთიუსი ღირსეულად შეხვდა აღსასრულს. იგი იყო უგანათლებულესი ადამიანი. მის კალამს ეკუთვნის მათემატიკური, გეომეტრიული, არითმეტიკული, ასტრონომიული და მუსიკალური ხასიათის წიგნები, თხზულებები ლოგიკაში, განმარტებები, თეოლოგიური ტრაქტატები და, რა თქმა უნდა, «ფილოსოფიის ნუგეში», რომელიც დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს განათლებულ საზოგადოებაში.

ბოეთიუსის მოღვაწეობისათვის ნიშანდობლივია ორი, ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავი ტენდენციის არსებობა. ერთი მხრივ, იგი ცდილობს ანტიკური განათლების პოპულარიზაციას (ამის ნიმუშია მისი «განმანათლებლური ტრაქტატები», აგრეთვე არისტოტელეს და ციცერონის თხზულებათა თარგმანები და განმარტებები), მეორე მხრივ კი, შეინარჩუნოს ელიტალურობა: თეოლოგიურ ტრაქტატებში ის ითვალისწინებს, რომ მისი მკითხველი რჩეული აუდიტორიაა. «სამების» შესავალში ბოეთიუსი ასე მიმართავს თავის ადრესატს, ავრელიუს მემიუს სიმაქუსს: «რა ხდება ჩემს სულში მაშინ, როდესაც კალამს ჩემს ფიქრებს ვანდობ, შეგიძლია წარმოიდგინო, თუკი გაითვალისწინებ სათქმელის სირთულესა და აუდიტორიის განათლებულობას: მე ხომ მხოლოდ შენ მოგმართავ, რამეთუ არც ხმაურიანი დიდება მსურს და არც დაუმსახურებელი აღიარება. თუკი მოველი წარმატებას, ის ჩემს ძიებათა განსჯას ეხება მხოლოდ. ხოლო შენს გარდა განა ძალუძს ვინმეს ჩემი გაგება? სადაც არ უნდა მივაპყრო მზერა, ყველგან ვაწყდები ან ხავსმოდებულ უქნარობას, ან შურიან არაკეთილმოსურნეობას; ამიტომ მხოლოდ შეურაცხყოფდა ღვთაებრივ ტრაქტატებს ის, ვინც ამ ადამიანთა მსგავს ურჩხულებს შესთავაზებდა მათ უმალ სალანძღავად, ვიდრე განსახილველად».

არისტოტელეს ლოგიკაზე დაყრდნობით ბოეთიუსი ცდილობდა გონებისა და რწმენის შეთავსებას. იგი მიანიშნებდა, რომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებამდე არის სამი გზა – გზა რწმენის ჭეშმარიტების, გზა გონების ჭეშმარიტების და გზა სიცოცხლის ჭეშმარიტების. ამ უკანასკნელზე მსჯელობას მიუძღვნა მან თავისი თხზულება «ფილოსოფიის ნუგეში», რომელიც თუმცა მოკლებულია ქრისტიანულ რემინისცენციებს, მაგრამ მაინც ღირსეულად იკავებს თავის ადგილს შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანეს თხზულებათა შორის.

«ფილოსოფიის ნუგეში» (Consolatio Philosophiae) შუა საუკუნეებიდან მოყოლებული განათლებული საზოგადოების საყვარელი საკითხავი წიგნი იყო. მას სხვაგვარად «ფორტუნას წიგნსაც» უწოდებდნენ, ხოლო მის ავტორს ზოგი ქრისტიან წმინდანად და მოწამედ მიიჩნევდა, ზოგი კი ბოლო რომაელ ფილოსოფოსად . აღსანიშნავია ის, რომ თავის ქმნილებაში ბოეთიუსი არსად მოიხსენიებს ქრისტეს, წმინდა წერილის რემინისცენციებს კი სტრიქონთა მიღმა ეძიებენ მკვლევარნი. ამისდა მიუხედავად, ბოეთიუსის მსჯელობანი ბედსა თუ ბედისწერაზე სავსებით განსხვავებულია იმისგან, რაც შეიძლება ამოვიკითხოთ წარმართულ ლიტერატურაში. ეს მცირე მოცულობის ქმნილება, რომელიც შუა საუკუნეების დასავლური აზროვნების სახედ იქცა, თავისი პოეტურობითა და ჰუმანისტური იდეებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ევროპული კულტურისთვისაც. თავისი შემოქმედებით ბოეთიუსი პასუხობდა იმ კითხვებს, რომლებიც მის დროს – ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გარდამავალ ეპოქაში დომინირებდა. პასუხებში კი ლოგიკური დამაჯერებლობითა და მხატვრულ სახეთა ალეგორიული სისადავით აისახა სინთეზი გარდასახული დროების ტრადიციასა და მომავლის ინტუიციურ შეგრძნებას შორის. სწორედ ამ სისადავისა და უბრალოების

წყალობით ბოეთიუსის შემოქმედება გასაგები იყო განათლებული საზოგადოების ყველა ფენისთვის.

«ფილოსოფიის ნუგეში» ბოეთიუსის უკანასკნელი ქმნილებაა. ეს მცირე მოცულობის ტრაქტატი ხუთ წიგნად არის დაყოფილი და შეთხზულია რომაული ლიტერატურისათვის ნიშანდობლივი ე.წ. «სატურის» (satura) ფორმით. ლიტერატურული ჟანრის ამ სახეობამ, რომელიც მომავალში «სატირის» სახელწოდებით დამკვიდრდება, ბოეთიუსის ეპოქაში გამხნევების, დამშვიდების შინაარსი შეიძინა.

ეს იყო ფილოსოფიური ფიქრები, სადაც რიტორიკული პროზის მომხიბლაობას ენაცვლებოდა პოეზია. ასეთი უნდა ყოფილიყო სატურა და ბოეთიუსიც წიგნიდან წიგნში ვირტუოზულად ამრავალფეროვნებდა ლიტერატურულ დიალოგებსა თუ სხვადასხვა სალექსო საზომით გამართულ პოეტურ ქმნილებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურულ ტრაქტატთა «გამხნევებითი» სახეობა ბოეთიუსამდე დიდი ხნით ადრე შეიქმნა და უკავშირდება «პროტრეპტიკონად» სახელდებულ ჟანრს, რომელიც თავდაპირველად შეგონებით ხასიათს, ფილოსოფიით დაინტერესების მოწოდებას შეიცავდა. პირველი პროტრეპტიკონი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, შეუთხზავს არისტოტელეს.

ბოეთიუსის «ფილოსოფიის ნუგეში» დაიწერა საპყრობილეში, სასჯელის მოლოდინში. მსჯავრდებულთან მშვენიერი ქალბატონის სახით გამოცხადებული ფილოსოფია, რა თქმა უნდა, ალეგორიაა. სასოწარკვეთილი მსჯავრდებული პირველ წიგნში საკუთარი უბედურების თაობაზე უამბობს გამოცხადებულ ქალბატონს. მეორე წიგნში თავად ფილოსოფია საუბრობს ფორტუნას შესახებ, ადამიანური ბედისა და ბედნიერების წარმავლობაზე. მესამე წიგნში წარმოდგენილია პლატონის დოქტრინა სიკეთის თაობაზე: ქალბატონი ფილოსოფია ქადაგებს, რომ იმ ბედნიერებაზე მაღლა, რომელშიც მოიაზრება დიდებაც, კეთილდღეობაც, სიჯანსაღეცა და სიმდიდრეც დგას უფრო დიდი ბედნიერება – ნეტარება, რომელიც მიიღწევა სიქველითა და გონიერებით, ხოლო მისი მწვერვალი, მიზანი და სათავე, აგრეთვე მთელი სამყაროს არსი არის ერთიანი და უბრალო უმაღლესი სიკეთე, რომელსაც ეწოდება ღმერთი. პლატონის გავლენით არის შექმნილი მეოთხე წიგნიც, სადაც საუბარია იმის თაობაზე, თუ როგორ არ შეიძლება არსებობდეს ბოროტება იმ სამყაროში, რომელიც ღმერთის მიერ არის შექმნილი, რომელსაც ამოძრავებს უმაღლესი სიკეთე. მეხუთე წიგნი ეძღვნება ბედისწერის, ნების თავისუფლებისა და წინასწარჭვრეტის პრობლემებს.

ბოეთიუსის სხვა ტრაქტატებისგან განსხვავებით «ფილოსოფიის ნუგეში» კომენტატორთა ყურადღების მიღმა რჩებოდა მუდამ, რადგანაც ანტიკურობაცა და შუა საუკუნეებიც მას მიიჩნევდნენ იმ მხატვრულ ქმნილებად, რომელიც უპირველეს ყოვლისა ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევდა მკითხველში თავისი მაღალმხატვრულობითა თუ არგუმენტაციის სიღრმით.

ამ ტრაქტატის თარგმნა შუა საუკუნეებიდანვე დაიწყეს. მას თარგმნიან დღესაც, სწავლობენ, ასწავლიან და უბრალოდ – კითხულობენ. ეს, რა თქმა უნდა, გამოწვეულია იმ პრობლემებისადმი ინტერესით, რაც მუდამ აღელვებდა და დღესაც აღელვებს ინტელექტუალურ მკითხველს. პერსონიფიცირებული ფილოსოფია, რომელიც ესაუბრება ავტორს, ესაუბრება მკითხველსაც. საუბარი კი ეხება თეოდოკეას, ღვთაებრივ მადლს,

ბედისწერას, პროვიდენციას (წინასწარ ჭვრეტას), ადამიანური ნების თავისუფლებასა და სხვა ისეთ საკითხებს, რაც ერთნაირად საინტერესოა ყველა ეპოქის ადამიანისათვის.

ბოეთიუსი, აღიარებს რა ღმერთს ყოველივე იმის მიზეზად, რაც ხდება სამყაროში, იძულებულია აღიაროს ისიც, რომ, რაც ხდება, ის სიკეთეა. ბოროტება ისეთივე ილუზიაა, როგორიც შემთხვევითობა, რამეთუ ღმერთი ყოველივეს სიკეთისაკენ მიმართავს. აქ უნდა გავიხსენოთ ის, რომ ბოეთიუსი თავის საკუთარ ისტორიას აღწერს და სულაც არ ცდილობს პრობლემათა დასაბუთებას. როდესაც ის ეხება ბოროტებისა და შემთხვევითობის, წინასწარჭვრეტისა თუ აუცილებლობის თემას, მის წინაშე წამოიჭრება ახალი პრობლემა: შეიძლება თუ არა საუბარი ადამიანური ნების თავისუფლებაზე მაშინ, როდესაც ღვთაებრივი წინასწარჭვრეტისთვის ადამიანის ყოველგვარი მოქმედება წინასწარ არის ცნობილი? ამ დილემის ახსნას ბოეთიუსი ნეოპლატონიკოსთა თეორიის მოშველიებით ცდილობს.

იგი ბედისწერისა და ფორტუნას გაგების ანტიკურობისაგან განსხვავებულ ვარიანტს სთავაზობს თავის მკითხველს. კერძოდ, აშკარად განაცხადებს, რომ არსებობს ადამიანური ნების თავისუფლება, რომელიც «ყოველგვარი აუცილებლობისგანაა თავისუფალი. თუმცა არსებობს ღმერთიც, როგორც ყოვლისმცოდნე და ყოველივეს ზემოდან მჭვრეტი. მისი ხედვის მარადი აწმყო ჩვენი ქმედებების მომავალ თვისებებს თანხვდება და იგი კეთილ ადამიანებს ჯილდოს, ხოლო ბოროტებს – სასჯელს არგუნებს. არც ღვთის იმედია ამაო, არც ლოცვები, რომლებიც, სწორად მიმართულნი, უშედეგონი არასდროს არიან ... ვინაიდან ყოვლისმხედველი მსაჯულის თვალწინ ვარსებობთ» [Cons. V, პრ. 6 (48)].

ნანა ტონია
გვანცა ფოფხაძე

ფილოსოფიის ნუგეში

I

I.1 (v). ვინაც ოდესღაც ლექსებს ვწერდი აღმაფრენის ჟამს,
იძულებული ახლა სევდის საგალობელს ვქმნი.
და აჰა, კვლავაც მკარნახობენ მუზები სათქმელს
და სახეს ცრემლით მინამავენ ელეგიები.
ვერარა შიშმა აიძულა, დამშორებოდნენ,
არ მიმატოვეს მარტოსული ჩემს სავალ გზაზე.
ახალგაზრდობას დიდებით რომ აცისკროვნებდნენ,
ახლა მოხუცის მწუხარე ბედს სალბუნს ადებენ.
ჭირთა სიმრავლემ დააჩქარა სიბერის მოსვლა,
ტანჯვამ ინება სამუდამოდ მასთან დარჩენა.

თავზე უდროოდ დაივანა სპეტაკმა ფერმა
და ძაბუნ სხეულს დაეკიდა დამჭკნარი კანი,
საამო არის აღსასრული არა ლხენის ჟამს,
არამედ მაშინ, როცა ვუხმობთ დამწუხრებული.
თუმც სმენას იხშობს, არად აგდებს სიკვდილი თხოვნას,
ცივად უაროობს დაუხუჭოს ბედკრულთ თვალები!..
როცა ფორტუნა ფუჭი ძღვენით მანებივრებდა,
მაშინ ჩემს თავზე ავბედითი ჩამოდგა ჟამი,
მაცდურმა ბედმა, ვით ღრუბელმა, იცვალა სახე.
ცხოვრება მიდის უღიმღამოდ, სვენებ-სვენებით.
ძმებო, ბედნიერს რად მეძახდით, რატომ მაქებდით?
ვინაც დაეცა, არასოდეს მყარად არ მდგარა.

I.1. იმ დროს, როცა საკუთარ თავთან დარჩენილი, მდუმარე, ფიქრებში ჩაძირული კალამს ვანდობდი ცრემლიან სამდურავს, ვიხილე ქალი, თავს რომ მადგა, სახეზე კდემით, მზერააგიზგიზებული, არამიწიერი სხივების მფრქვეველი თვალებით, საიდანაც ცინცხალი ფერი და ულევი ენერგია იღვრებოდა. იგი იმდენად იყო დახუნძლული ჟამთა სიმრავლით, ვერ იფიქრებდი, ჩვენს ეპოქას თუ ეკუთვნოდა. ისეთი უცნაური ზომისა იყო, რომ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ადამიანის აღნაგობა ჰქონდა, მეორე მხრივ კი, თავს ცას აწვდენდა. და თუ უფრო მაღლა ასწევდა თავს, შეიჭრებოდა ცის თავანში და მაცქერალთა თვალთახედვიდან უჩინარდებოდა. მისი სამოსი ოსტატურად იყო ნაქსოვი ფაფუკი ძაფით, დაურღვეველ ქსოვილად ქცეული, რომელიც, როგორც მოგვიანებით გავიგე, თვითონვე დაუქსელავს. სამოსის იერი, როგორც კვამლით დაბურული ნიღბები[1], დავიწყებას მიცემული სიძველის ნისლით დაფარულიყო. კაბის ბოლოზე ამოექარგა ბერძნული ასო π, ხოლო ზედა ნაწილზე θ[2]განირჩეოდა. მათ შორის თითქოს ილანდებოდა კიბის საფეხურები, რომლებიც, ქვედა ასოს ზედასთან აკავშირებდა. ეს სამოსი

გამძვინვარებულ მავანთა ხელებს დაუფლეთიათ და ნაკუწ-ნაკუწ მიუსაკუთრებიათ. მას კი მარჯვენა ხელით წიგნები ეპყრა, ხოლო, მარცხენათი – კვერთხი.

როცა იხილა ჩემს სამყოფელში პოეზიის მუზები, რომლებიც ჩემს ცრემლებს სიტყვებად გარდაქმნიდნენ, ცოტა არ იყოს აღშფოთდა, თვალები რისხვით აენთო და თქვა: «ვინ დართო ამ ავხორც ტაკიმასხარებს ავადმყოფთან მისვლის ნება? ისინი ხომ განკურნების ნაცვლად მის სნეულებას ტკბილი საწამლავით ასაზრდოებენ! სწორედ ისინი არიან, გონების ნაყოფიერ ნიადაგს გრძნობათა უნაყოფო ეკლებით რომ სპობენ და ადამიანს სნეულებას აჩვევენ, მისგან გათავისუფლების ნაცვლად. თუკი მათი ალერსი ვინმე უბირს გაიტაცებდა, როგორც ჩვევიათ, ნაკლებად ვიდარდებდი, რადგან ჩემი ძალისხმევა მასში, ცხადია, არ დაზარალდებოდა, მაგრამ ეს ადამიანი ხომ ელეელთა[3]და აკადემიელთა[4]სწავლებებზეა აღზრდილი? მოშორდით აქედან, მაცდურად დამღუპველო სირინოზებო! დაუთმეთ იგი ჩემეულ მუზებს, რათა იზრუნონ მასზე და განკურნონ.» ამ საყვედურების შემდეგ, სირცხვილისაგან გაწითლებულმა, დამარცხებასთან შეგუებულმა თავდახრილ მუზათა დასმა დამწუხრებულმა დატოვა ჩემი სამყოფელი. მე ცრემლებით თვალმონისლულმა ვერ შევძელი მეცნო ის ქალი, რომელიც ესოდენ დიდ ძალაუფლებას ფლობდა. გაოცებული, თვალებდახრილი მდუმარედ ველოდი, რა მოხდებოდა შემდგომ. მაშინ ის უფრო ახლოს მოვიდა და ჩემი საწოლის კიდეზე

ჩამოჯდა. შემომხედა დარდიანსა და მწუხარებით თავჩაქინდრულს და ლექსებით გამკიცხა იმისთვის, რომ ჩემი სული შფოთვას მოეცვა:

I. 2. (v) ეჰ, როგორ ჩლუნგდება მოკვდავი არსების
უფსკრულის წიაღში ჩანთქმული გონება,
მას ტოვებს სინათლე, წყვდიადში ითრევენ
ამქვეყნიური და შავ-ბნელი ძალები
ამაო ზრუნვათა, ასე რომ მძლავრობენ.
ვისაც თავისუფლად ჩვეოდა ზეცაზე
მნათობთა წრებრუნვას რომ გადევნებოდა,
ვინაც მოვარდისფრო მზის სხივებს უჭვრეტდა,
მთვარის ცივ ნათებას მზერას მიაპყრობდა,
ის აკვირდებოდა ცდომილთა ხეტიალს
და მათი ორბიტა უწყოდა მრავალი,
ის, ძლევამოსილი, რიცხვებს შეიცნობდა
და იმ მიზეზებსაც, რომლებიც წარმოშობს
ქარიშხლებს, მშვიდ ზღვას რომ ზათქით აღელვებენ,
რა ძალა წარმართავს სამყაროს სიმტკიცეს,
ოდეს ჰესპეროსი[5]ეშვება ტალღებში,
აღმოსავლეთიდან კვლავ რატომ ამოდის,
გაზაფხულს დროის რა კანონებს უწესებს,

მიწა რომ მოჩითოს ვარდისფერ კოკრებით,
ვინ გვაძლევს სიუხვით აღსავსე წელიწადს
რომ მძიმე მტევნებით მორთოს შემოდგომა?
ჩვეული ვინც იყო იდუმალის ჩხრეკას,
ვინც ჩასწვდა ბუნების მიზეზებს, მრავალგვარს,
ახლა ძირს განრთხმულა გონისგან დაცლილი,
კისრად შემორკალულ ჯაჭვების სიმძიმით
დადის მოდრეკილი, მძიმედ თავდახრილი,
რათა იძულებით უცქიროს ბნელ მიწას.

I.2. «მაგრამ,- განაგრძო მან, – «ახლა მკურნალობის დრო უფროა, ვიდრე წუწუნის.» მაშინ მზერა მთლიანად მე მომაპყრო და თქვა: «შენ ის არა ხარ, ვისაც გაწოვე ძუძუ და გამოგკვებე სულიერად მოწიფული და მხნე რომ გამხდარიყავი? ხომ გადმოგეცი ისეთი იარაღი, რომლის დახმარებითაც შეძლებდი ურყევი სიმტკიცის შენარჩუნებას, ნაადრევად რომ არ მოგეშორებინა თავიდან. ნუთუ ვერა მცნობ, რატომ ხარ ჩუმად? იქნებ სირცხვილმა დაგადუმა ან – გაოცებამ? სირცხვილს ვარჩევდი, მაგრამ შენ, როგორც ვხედავ, გაოცებას შეუპყრიხარ.» და როდესაც იხილა, რომ არა მარტო ვდუმდი, არამედ მეტყველების უნარი სრულიად წამერთვა, მკერდზე ალერსიანად შემახო ხელი და თქვა: «საშიში არაფერია, სტანჯავს ლეთარგია – შემცდარი გონებისთვის ჩვეული სენი. მცირე ხნით დაივიწყა, ვინ არის, მაგრამ უთუოდ გაიხსენებს, თუკი მეც მიცნობს მანამ. ხოლო ეს რომ შეძლოს, მოდით, ცოტათი გადავუწმინდოთ ყოფითი საზრუნავის ბურუსით დაბინდული მზერა.» ეს თქვა და ტანსაცმლის კალთის ნაკეცით ჩემი ცრემლიანი თვალები ამოაშრო.

I. 3. (v) როდესაც ღამე გაიფანტა, ბინდი განქარდა,
სიცოცხლის სხივი დაუბრუნდა თვალებს ჩვეული.
ასეა, როცა დაუბერავს სწრაფი კორუსი[6],
საავდრო ღრუბლებს ცის ტატნობზე როდესაც შეყრის.
მზე რომ იმალვის, დროც არაა ვარსკვლავთ კიაფის,
ხოლო მაღლიდან მიწისაკენ მოიწევს ბინდი.
მაგრამ თუ დათმობს ბორეასი[7]თრაკიის მღვიმეს,
გამოიქროლებს და ნათელ დღეს ბორკილებს აჰყრის,
მაშინ ფებუსიც[8]უცაბედად გამოანათებს
და გაოცებულთ თვალებს მოგვჭრის სხივთა კონებით.

I.3. სწორედ ამგვარად გაიფანტა სევდის ღრუბლები, შვებით ამოვისუნთქე და ჩემი მკურნალის სახის ამოსაცნობად გონება მოვიკრიბე. როდესაც თვალი შევმართე და მზერა მივაპყარი, ვიცანი ჩემი გამდელი – ფილოსოფია, რომლის საფარველქვეშ ვიყავი სიყრმიდან. შევეკითხე: «ყოველ სათნოებათა მოძღვარო, რატომ დაეშვი ზეციდან დევნილი ადამიანის ამ ეულ სამყოფელში? ჩემსავით შენც ხომ არა ხარ ცრუ ბრალდებებით დასჯილი?» მან მიპასუხა: «ჩემო აღზრდილო, განა მიგატოვებდი და არ ვიკისრებდი შენთან ერთად ამ ტვირთს, ჩემი სახელის მოძულეთაგან რომ გერგო. ფილოსოფია ხომ არასოდეს მისცემდა თავს უფლებას, უდანაშაულო ადამიანი გზაზე უწინამძღვროდ მიეტოვებინა. განა შევუშინდებოდი ბრალდებებს, რომლებიც ვითომც ახალი საშიშროებაა ჩემთვის. ნუთუ გეგონა, რომ სიბრძნე პირველადაა ჩავარდნილი საფრთხეში უზნეობის გამო? განა ძველ დროში, პლატონამდეც, ხშირად არ გაგვიმართავს დიდი ბრძოლები სისულელესა და უგუნურებასთან? მართალია, პლატონი გადარჩა, ხოლო მისმა მასწავლებელმა სოკრატემ კი უსამართლო სიკვდილზე ჩემი თანადგომით გაიმარჯვა. შემდგომში, როცა ეპიკურელთა და სტოიკოსთა[9]ბრბომ და სხვებმაც, მათმა მსგავსებმა, სცადეს მისი მემკვიდრეობის ხელში ჩაგდება, ჩემი აღშფოთებისა და წინააღმდეგობის მიუხედავად მეც წამათრიეს, თითქოს მათი ნადავლი ვყოფილიყავი. სამოსი, რომელიც საკუთარი ხელით მოვიქსოვე, დახიეს, ნაკუწ-ნაკუწ დაიტაცეს და წავიდნენ იმ რწმენით, რომ სრულად დამისაკუთრეს. და რადგან ჩემი სიცოცხლის კვალი მათთანაც შეინიშნებოდა, უმეცრების გამო ისინიც ჩემს ახლობლებად მიიჩნიეს. მრავალი მათგანი შეცდომით ბრბოს უმეცრებამ დააზარალა. თუ არაფერი გსმენია ანაქსაგორასის[10]დევნის შესახებ, არც სოკრატეს მიერ შესმულ შხამზე, არც ძენონის[11] წამებაზე, რადგან ყველა მათგანი უცხოტომელი იყო, გაგონილი გექნება კანიუსის[12], სენეკასა[13] და სორანუსის[14] შესახებ, რომელთა ამბავი ცნობილია და არც ისე დიდი ხნისაა, ისინი დაღუპა არ სხვა რამემ, არამედ იმან, რომ ჩემი წესებით იყვნენ აღზრდილნი და სხვა უზნეო ადამიანებისგან გამოირჩეოდნენ. ასე, რომ არაფერია გასაკვირი, თუ ცხოვრების ზღვაში ქარიშხლები ყველა მხრიდან გვიტევენ ჩვენ, რომელთა უპირველესი მიზანი უღირსთა გაწბილებაა. მათი ლაშქარი, თუმცა კი მრავალრიცხოვანია, მაგრამ ზიზღს იმსახურებს, რადგან უწინამძღვროა, მხოლოდ ალალბედზე მოქმედებს დაბნეული და გონდაკარგული. თუკი იგი, ჩვენ წინააღმდეგ მებრძოლი, უფრო მეტად შეგვავიწროვებს, მაშინ ჩვენი წინამძღოლი მთელ ძალებს ციტადელში მოუყრის თავს, სანამ მტერი გართულია ამაო ფასეულობათა დატაცებით. ჩვენ ღიმილით დავცქერით, როგორ იხვეჭენ მთელ იმ უფასურ ნივთებს და მძვინვარე აურზაურისაგან თავისუფალნი, დაცულნი ვართ იმ ზღუდით, რომელთა მიახლოებას უგუნურება ვერც კი გაბედავს.

I. 4. (v) ვინც მშვიდად განლია თავისი ცხოვრება
და ფეხქვეშ გაიგდო ხვედრი მზვაობარი,
თვალი გაუსწორა ბედს, უბედობასაც
და შეინარჩუნა სახე შეუვალი, –
ასეთ ადამიანს ვერ შეძრავს ზღვის ღელვაც,
თუნდაც ღრმა ფსკერიდან დაიძრან ზვირთები,
ვერც ვეზუვიუსი, რომელიც ბრძმედიდან

ღადარს აბოლებულს აგზავნის მრავალგზის,
მას ვერ შეაშფოთებს ვერც ელვის კლაკნილი,
ტანმაღალ კოშკებზე დაცემას ჩვეული . . .
რად გაკრთობთ ტირანთა რისხვა, ისინი ხომ
სულით დავრდომილნი უძლურნი ხდებიან.
განაგდე იმედი, სიმხდალეც განაგდე
და უძლურ ტირანებს განაიარაღებ.
ვინც წადილს აჰყვება ან შიში აიტანს,
ვერც მტკიცე იქნება, ვერც – თავისუფალი,
იგი ფარს მოისვრის და გზააბნეული
ბორკილს შესაპყრობად თავად მოიმზადებს.

I. 4. შეიგრძნობ, როგორ იკიდებს ფეხს შენს სულში ეს ყოველივე, თუ “Ονος λύρας[15]? რა გატირებს? რატომ ღვრი ცრემლებს? ‘Εξαύδα; μή κεύθε νόῳ[16]. მაშ, ჯერ ჭრილობა გახსენი, თუ მოელი, რომ მკურნალი დაგეხმარება. მაშინ მე მხნეობა მოვიკრიბე და ვუთხარი: «განა საჭიროა ფორტუნას დაუნდობელი სიმკაცრის შეხსენება, განა თავისთავად იგი საკმარისად არ ავლენს თავს? ნუთუ არ გაღელვებს ამ ადგილის იერსახე? ნუთუ ესაა ის ბიბლიოთეკა, ჩემს სავანეში შენს ყველაზე საიმედო სამყოფლად რომ აირჩიე, რომელშიც ჩემთან ერთად ადამიანურ და ღვთაებრივ საგანთა შემეცნებაზე მსჯელობდი? ასე ვიყავი შემოსილი, ასე გამოვიყურებოდი მაშინ, როცა შენთან ერთად ბუნების საიდუმლოებებს ვიკვლევდი? როდესაც შენ რადიუსით[17] ვარსკვლავეთის გზას მიხაზავდი? როცა ჩემს ზნე-ჩვეულებებს და მთელს ცხოვრების წესს ზეციური წესრიგის მაგალითით წარმართავდი? განა ასეთი ჯილდო უნდა მივიღოთ შენმა მიმდევრებმა, განა პლატონის პირით არ განაცხადე ის აზრი, რომ სახელმწიფო მაშინ იქნება ბედნიერი, როცა სიბრძნისათვის მოწადინებული ადმიანები წაუძღვებიან, ან მაშინ, თუ ისინი, ვინც მას მართავენ სიბრძნის დაუფლებას თავიანთ საქმიანობად გაიხდიან? იმავე ბრძენკაცის პირით დაგვმოძღვრე, რომ აუცილებელია სახელმწიფოს მართვა ბრძენმა ადამიანებმა იკისრონ, რათა იგი უწესო ბოროტმოქმედებმა არ ჩაიგდონ ხელში და ამგვარად კეთილი მოქალაქეები არ დაზარალდენ. მას შემდეგ, რაც ეს ნააზრევი განმარტოებით მყოფმა მოცალეობის ჟამს შენგან შევითვისე, სურვილი გამიჩნდა, რომ იგი სახელმწიფო მმართველობის პრაქტიკაში განმეხორციელებინა. შენ და თავად ღმერთი, რომელმაც ბრძენკაცთა გონებაში ადგილი მიგიჩინა, იმის მოწმენი ხართ, რომ სახელმწიფო მოხელეობისკენ ვერაფერმა მიბიძგა გარდა იმ მისწრაფებისა, რომ სარგებლობა მომეტანა ყველა სათნო ადამიანის კეთილდღეობისათვის. სწორედ აქედან დაიწყო შეურიგებელი ბრძოლები უმსგავსო ადამიანებთან და კანონის დასაცავად, რადგან თავისუფალი აზრი გამაჩნდა, ხშირად დიდი ძალაუფლების მქონე პირთა წყენინებასაც არ ვერიდებოდი.

რამდენჯერ აღვუდექი წინ კონიგასტუსს, როცა იგი ვინმე უმწეო ადამიანის ქონებას ისაკუთრებდა, ტრიგვილას, მეფის სახლთუხუცესს, რამდენჯერ ავაღებინე ხელი წინასწარ განზრახული ან უკვე

წამოწყებული უსამართლობისგან, რამდენჯერ ვაგდებდი საფრთხეში საკუთარ ავტორიტეტს, როცა უბედურთ ვექომაგებოდი, რომლებსაც ბარბაროსთა სიხარბის გამო დაუსრულებელი ცილისწამებები სტანჯავდათ. ვერავინ გადამიბირა სამართლიანობიდან უსამართლობისაკენ. როცა პროვინციელთა ქონება ან კერძო პირთა ნადავლი ხდებოდა, ან სახელმწიფო გადასახადებს მიჰქონდა, დაზარალებულებზე არანაკლებ მტკიოდა გული. აუტანელი შიმშილობის დროს, როცა მძიმე და დამთრგუნველი გადასახადები დაწესდა და ისე ჩანდა, რომ კამპანიის პროვინცია სიღარიბის გამო დაღუპვის პირას იყო მისული, ყველას საკეთილდღეოდ პრეტორიის პრეფექტის წინააღმდეგ დავა წამოვიწყე, რათა მეფეს ამის შესახებ გაეგო და არ დაწესებულიყო გადასახადები. პავლინუს კონსულარის ქონება, რომლის დატაცების სურვილი და იმედი ჰქონდათ სასახლის ტურებს, დაღებული ხახებიდან გამოვაცალე. თავს დავიტეხე ბრალმდებელ კიპრიანუსის რისხვა, როცა შევეცადე, რომ კონსულარი ალბინიუსი არ შეეპყროთ და წინასწარ მოფიქრებული ბრალდებების გამო არ დაესაჯათ. განა საკმარისად ცხადი არაა, რაოდენ დიდი ბრძოლები გადავიტანე? ხომ უფრო დაცული უნდა ვყოფილიყავი მათ გვერდით, ვისაც დავეხმარე, რადგან სამართლიანობისადმი ჩემი სიყვარულის გამო არაფერი გამიკეთებია ისეთი, მაღალი წრის საზოგადოებაში რომ უფრო უსაფრთხოდ მეგრძნო თავი. რომელმა დამბეზღებლებმა დამამარცხეს? ერთია ბასილიუსი – ერთ დროს გაძევებული მეფის სამსახურიდან, რომელიც ვალებმა აიძულა ჩემ წინააღმდეგ ბრალდება წამოეყენებინა. შემდეგ – ოპილიონი და გაუდენტიუსი, რომლებსაც მრავალი დანაშაულისა და უსამართლობის ჩადენის გამო მეფის ცენზურამ განდევნა მიუსაჯა. მათ კი დამორჩილება არ ისურვეს და წმინდა ნაგებობას თავი შეაფარეს, ხოლო როცა მეფისთვის ამის შესახებ გახდა ცნობილი, ბრძანა, რომ შუბლზე დაღდასმულებს განდევნიდა, თუ ქალაქ რავენას დადგენილ ვადაში არ დატოვებდნენ. რა შეიძლება დაემატოს ამ სისასტიკეს? იმავე დღეს იმავე ადმიანებმა ჩემ წინააღმდეგ ბრალდება წამოაყენეს. მაშ, რატომ? ნუთუ ეს ჩემი საქციელის გამო დავიმსახურე? ნუთუ წინასწარ მოფიქრებული განაჩენი ჩემს ბრალმდებლებს წესიერ ადამიანებად აქცევდა? ან ფორტუნას რატომ არ შერცხვა წესიერი ადამიანის დასჯის თუ არა, ბრალმდებელთა სიმდაბლის გამო მაინც?

გაინტერესებს ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებების საფუძველი? თურმე სენატის ხელშეუხებლობა მნდომებია. გინდა გაიგო, რა საშუალებით? ბრალი დამდეს, თითქოს ხელი შევუშალე დამბეზღებელს, წარედგინა სენატის ღალატის ამსახველი მტკიცებულება. რას ფიქრობ, ჩემო მოძღვარო? უარვყო ბრალდება, რათა შენ არ შეგარცხვინო? მაგრამ მე მართლაც მსურდა სენატის ხელშეუხებლობა და არც არასოდეს ვიტყვი უარს ამ სურვილზე. მაგრამ ხომ შევწყვიტე დამბეზღებლისთვის ხელის შეშლა. განა შეიძლება დანაშაული ვუწოდო იმ წყობის ხელშეუხებლობის სურვილს? თუმცა ჩემ მიმართ გამოტანილი მათივე დადგენილებით ეს დანაშაულად იქნა მიჩნეული. მაგრამ უგუნურებას, მუდამ თავს რომ იტყუებს, არ შეუძლია საგანთა არსი შეცვალოს, და სოკრატეს გადაწყვეტილებისამებრ[18] არც ის მიმაჩნია მართებულად, სიმართლე დამალო ან სიცრუეს დაეთანხმო. მაგრამ რამდენად სწორი იყო ეს, შენი და ბრძენი ადამიანების განსასჯელად დამიტოვებია. ამ საქმის ჭეშმარიტი არსი და თანმიმდევრობა შთამომავლობისთვის უცნობი რომ არ ყოფილიყო, მისი აღწერა სტილუსს[19]მივანდე. განა საჭიროა რაიმეს თქმა ნაყალბევად შედგენილ წერილებზე,

რომელთა საფუძველზეც ბრალი დამდეს, თითქოს რომაული თავისუფლების აღდგენის იმედი მამოძრავებდა? მათი სიცრუე გამოაშკარავდებოდა, რომ

შემძლებოდა გამომეყენებინა თავად დამბეზღებელთა აღიარება, რომელსაც ყოველგვარ საქმეში უდიდესი ძალა შესწევს. განა რა დარჩა თავისუფლებისგან, რისი იმედიც შეიძლებოდა მქონოდა? ნეტავ მართლა დარჩენილიყო რაიმე! პასუხს გავცემდი კანიუსის სიტყვით, რომელიც მან წარმოთქვა, როცა გერმანიკუსის ძემ, გაიუს კეისარმა[20], დაადანაშაულა, რომ მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების შესახებ იცოდა: – მე რომ მცოდნოდა, შენ არ გეცოდინებოდაო. ამ მდგომარეობაში ჩემი განსჯა მწუხარებამ იმდენად კი არ შეასუსტა, იმაზე რომ დავიჩივლო, თუ როგორ ჩადიან ბოროტი ადამიანები კეთილთა წინააღმდეგ დანაშაულს, არამედ ის მაოცებს, ამის წარმატებულად დაგვირგვინების იმედი რომ აქვთ. უარესი ზრახვები, შესაძლოა, ჩვენი სისუსტის ნიშანია, მაგრამ იმის განხორციელების შესაძლებლობა, რასაც ბოროტმოქმედნი უდანაშაულოთა წინააღმდეგ გეგმავენ, მაშინ, როცა ღმერთი ყოველივეს ხედავს, არაბუნებრივად მეჩვენება. შესაბამისად, არც თუ უმართებულოდ კითხულობს ერთ-ერთი შენი მიმდევართაგანი: «თუ ღმერთი არსებობს, საიდანღაა ბოროტება? ან სიკეთე საიდანაა, თუ იგი არ არსებობს?»[21] დაე, ჰქონოდათ ნება ბიწიერ ადამიანებს, რომლებსაც ყველა კეთილი ადამიანის და მთლიანად სენატის სისხლი სწყურიათ, ენებათ დაველუპე მეც, ვინც, როგორც ხედავდნენ, სენატს და კეთილ ადამიანებს ვიცავდი. მაგრამ განა სენატის წევრთაგანაც იმავეს ვიმსახურებდი? ვფიქრობ გემახსოვრება, რადგანაც მუდამ ჩემ გვერდით ხარ და მიმითითებ, რა ვთქვა და რა მოვიმოქმედო, როგორც ვთქვი, გემახსოვრება, რა მოხდა ვერონაში[22], როცა მეფემ სცადა დიდებულების დამცირების ბრალდება ალბინუსიდან სენატზე გადაეტანა, სენატის უდანაშაულობა საკუთარი უსაფრთხოების რისკის ფასად დავიცავი. იცი ისიც, რომ სიმართლეს ვამბობ და ისიც, რომ საკუთარი თავის ქებით არასოდეს დავკავებულვარ. რადგან თავმომწონეობით როგორღაც მცირდება თვითშეგნების დამოუკიდებლობა ყოველთვის, როცა მავანი თავისი ნამოქმედარის წარმოჩენის გზით ჯილდოდ დიდებას იღებს. მაგრამ, თავადაც ხედავ, რა შედეგიც მოჰყვა ჩემს უდანაშაულობას. ნაცვლად ჯილდოსი ჭეშმარიტი სიქველისათვის, მივიღე სასჯელი არარსებული დანაშაულისათვის. რომც დავედანაშაულებინე წმინდა ტაძრების დაწვის წადილში, ან მღვდელმსახურებზე უწმინდური მახვილის აღმართვაში, ან საუკეთესო მოქალქაეთა დახოცვაში, ასეთ შემთხვევაშიც კი განაჩენი მსჯავრდებულის თანდასწრებით იქნებოდა გამოტანილი.[23] მე კი ხუთასი მილით დაშორებულს და დაუცველს, სენატის სასარგებლოდ მიმართული ძალისხმევის გამო, სიკვდილი და ქონების კონფისკაცია მომისაჯეს. ვინც ბრალდება წამოაყენა, მათაც კი შეამჩნიეს ბრალდებულის პატიოსნება, მაგრამ ავკაცობა გაურიეს და გაამუქეს, იცრუეს, თითქოს თანამდებობების მიღების გულისთვის სიწმინდეების შებღალვით სინდისი დავიმძიმე. მაგრამ შენ, როცა ჩემს სულში დაისადგურე, იქიდან ყოველგვარი წარმავალი საგნებისადმი ლტოლვა გამოდევნე და ამიტომაც შენ თვალწინ მკრეხელობას ვერ ჩავიდენდი. შენ ხომ ყოველდღე ყურში ჩამჩურჩულებდი და ჩამაგონებდი პითაგორას სიტყვებს: ‘ἑπου θεῳ[24]არც უმდაბლეს სულებთან თავშესაფრის ძიება იქნებოდა შესაფერისი საქციელი ჩემთვის, ვისაც საუკეთესო თვისებები მომამადლე, ღვთის მსგავსი რომ გავმხდარიყავი. გარდა ამისა, ჩემი სახლის სიწმინდე, უპატიოსნეს მეგობართა კრებული, ჩემი სიმამრი (რომელმაც თავისი ღვაწლის გამო არანაკლები პატივისცემა დაიმსახურა, ვიდრე თავად შენ) მიცავენ ყოველგვარი ეჭვისა და ბოროტმოქმედებისაგან. მაგრამ, ვაი სირცხვილო! ჩემი ბრალმდებლები რაღაც დანაშაულის მტკიცებულებას შენში ხედავენ და მხოლოდ

იმიტომ ვეჩვენები დამნაშავედ, რომ შენი წესებით, შენი ზნეობით ვარ აღზრდილი. განა ეს არაა საკმარისი იმის დასადასტურებლად, რომ

შენმა ავტორიტეტმა სარგებელი ვერ მომიტანა, მაგრამ ჩემს თავზე დატეხილმა სიძულვილმა შენც მეტად დაგაზარალა. და ჩემი უბედურება კიდევ იმან დაამძიმა, რომ უმრავლესობა ფიქრობს, თითქოს ყოველივე წარიმართება არა გონის, არამედ ფორტუნას დამსახურებით. და მხოლოდ იმას ანიჭებს მნიშვნელობას, რასაც ბედნიერება მოაქვს. აქედან გამომდინარე, კეთილი აზრები, პირველ რიგში, უბედურ ადამიანებს ტოვებს. იმის გაფიქრებაც მზარავს, როგორი ჭორებია ახლა ხალხში გავრცელებული ან ერთმანეთში რამდენად შეუთავსებელნი არიან ისინი. მხოლოდ იმას ვიტყვი არაკეთილმოსურნე ფორტუნას უკანასკნელი კირთებაა ის, რომ როგორც კი ვინმე უბედურს რამე გამოგონილ დანაშაულს დააბრალებენ, ყველა დაიჯერებს, თითქოს მან ასეთი ხვედრი მართლაც დაიმსახურა. და მეც სიკეთის სანაცვლოდ სასჯელი მივიღე: დავკარგე ყოველგვარი ქონება, თანამდებობა, დავრჩი ჭორებით შებილწული. წარმომიდგება ლხინითა და განცხრომით აფორიაქებული ბოროტმოქმედთა საზიზღარი ბუნაგები და ვხედავ, როგორ აყენებენ ახალ ცრუ ბრალდებებს ვიღაც გაიძვერები, ხოლო ძირს განრთხმული პატიოსანი ადამიანები ჩემი ჩაგვრის მიზეზით შიშს შეუპყრია, დამნაშავეები კი თავგასულები დაუსჯელობის გამო ნადავლის ხელში ჩასაგდებად ყოველგვარ სიავეს უშიშრად ჩადიან. ხოლო უდანაშაულონი არა თუ უსაფრთხოდ, არამედ სრულიად დაუცველნი არიან. ამგვარად მსურს შევძახო:

I. 5. (v) შენ, ვარსკვლავებით მოჭედილი ცარგვლის გამჩენო,
დაბრძანებულო მარადიულ სამეფო ტახტზე,
რომელიც აღძრავ ცის კაბადონს სწრაფი წრებრუნვით,
ურღვევ კანონთა მორჩილებად განაწყობ მნათობთ.
თუკი ერთ დროსაც სავე მთვარე შუქმოვანებით
საკუთარი ძმის – მზის სინათლეს აპყრობდა სახეს,
აფერმკრთალებდა მისი შუქი წვრილ-წვრილ ვარსკვლავებს,
ახლა თავადაც გაცრეცილი ნამგალა მთვარე
მზის სიახლოვეს სხივკონებსაც ნელ-ნელა კარგავს.
როცა ამოდის ჰესპეროსი, ცივი ნათებით
მწუხრის დადგომას გვამცნობს იგი, მოუძღვის ღამეს
და შემდეგ ბორკილს ლუკიფერი[25]თავს რომ დააღწევს,
მიეგებება მზის ამოსვლას ფერნამკრთალები.
როდესაც ხეებს ზამთრის სუსხი ფოთლებს გააცლის,
დღის ხანგრძლივობას შეამცირებ, როგორც წესია,
მაგრამ როდესაც კვლავ დადგება მწველი ზაფხული –
ღამის საათებს დააჩქარებ, გახდი სწრაფმავალს,
შენი ნებაა, რომ წარმართავს ჟამთა ცვლილებას
და ზეფიროსი[26]დააბრუნებს კვლავაც სიმწვანეს,
რომელიც ქრება, ბორეასი როცა უბერავს.
სირიუსი[27]კი გააღვივებს იმ მწიფე მარცვალს,

ოდესღაც თავზე არქტურუსი[28]რომ დასცქეროდა
და ეს წესრიგი ოდითგანვე რჩება უცვლელი,
ყოველიერი აღასრულებს, რაც ევალება,

არსებულ საგანთ განუწესე მკაცრი სამანი,
მხოლოდ კაცთ მოდგმა არ შეზღუდე, ვით მბრძანებელმა,
თავისუფლება მოქმედების მას მიეც მხოლოდ.
და თუ ასეა, რად აბრუნებს ფორტუნა მაშინ
არასასურველ ცვლილებას და წარმავალობას,
სჯის უცოდველებს ბოროტთათვის კუთვნილი ხვედრი.
მაღალი ტახტი აღუმართავთ წამხდარ ზნეთათვის
და ქედმოდრეკილ პატიოსან ადამიანებს
მომძლავრებული მწვალებლები ავიწროებენ.
სადღაც გამქრალა სათნოების ნათელი თითქოს,
ის შავ-ბნელ ბურუსს დაუფარავს და სამართალი
უთქმელად იტანს უმსგავსოთა უსამართლობას.
ზნედაცემულებს არ აწუხებთ ფიცის გატეხა,
არც სიავკაცე, შენიღბული ცრუ ბრწყინვალებით.
ეშურებიან, რომ მიმართონ თავიანთ ძალას,
რათა დიადი მეფეები დაიმორჩილონ,
უთვალავ ხალხს რომ შიშის ზარს სცემს მათი სახელი.
ვინაც კავშირით არსებული საგნები შეკარ,
უბედურ მიწას გადმოხედე მოწყალე თვალით,
შენ რომ შექმენი დიდებული სამყარო, მასში
უმნიშვნელონი კაცთა მოდგმა არა ვართ, თუმცა,
ფორტუნას ზვირთმა აგვიტაცა, ღელვა დააცხრე,
უკიდეგანო ცას რომ მართავ, იმავ წესრიგით
გააძლიერე დედამიწა და განამტკიცე.

I. 5. როდესაც ხანგრძლივი მწუხარებისგან ასე დავიჩივლე, მან, ჩემი ჩივილით ოდნავადაც რომ არ შეძრულა, მშვიდი სახით წარმოთქვა: «ოდეს გიხილე სევდიანი და ცრემლმორეული, მაშინვე მივხვდი, ტანჯული და დევნილი რომ იყავი. მაგრამ არ მეცოდინებოდა რამდენად შორს განგდევნეს, შენს სიტყვებს რომ არ გაემჟღავნებინა. თუმცა შენ, ვინც ასე დაშორდი სამშობლოს, ვინმესგან დევნილი კი არ იყავი, არამედ გზააბნეული. მაგრამ თუ ამჯობინებ დევნილად იწოდებოდე, უმალ თავად გამოდიხარ საკუთარი თავის მდევნელი, რადგან სხვას არავის შეეძლო ასე მოგქცეოდა. იქნებ გაიხსენო შენი ნამდვილი სამშობლო, რომელიც ისეთი კი არ არის, ოდესღაც რომ ჰქონდათ მრავალთა ძალაუფლებით მართულ ათენელებს, არამედ ისეთია, რომელსაც ჰყავს მხოლოდ ერთი მბრძანებელი, ქვეშევრდომთა სიმრავლე

რომ ახარებს და არა მათი გაძევება. მისი სადავის მიყოლა და მისი სამართლის მორჩილება სწორედ უზენაესი თავისუფლებაა. განა არ იცი შენი სახელმწიფოს ის უძველესი კანონი, რომელიც გვაუწყებს, რომ მათი განდევნა, ვინც მის ფარგლებში დაფუძნებას ისურვებს, უკანონოა. ვისაც კი იცავს მისი კედლები და ზღუდე, გაძევების აღარ შეეშინდება. მაგრამ ნებისმიერი, ვინც აქ ცხოვრებას აღარ ისურვებს, ამავდროულად ვეღარც დაიმსახურებს აქ ცხოვრებას. ამგვარად, ამ ადგილის იერსახე ისე არ მაწუხებს, როგორც შენი. არც სპილოს ძვლითა და მინით მოპირკეთებული ბიბლიოთეკის კედლებს დავეძებ იმაზე მეტად, ვიდრე შენი გონების სამკვიდრებელს, რომელშიც მოვათავსე არა წიგნები, არამედ ის, რაც ამ წიგნებს ფასს სძენს – ჩემი საკუთარი წიგნებიდან მათში მოთავსებული აზრები. მართალია, სწორად აღნიშნე შენი დამსახურება საყოველთაო კეთილდღეობის წინაშე, მაგრამ შენ მიერ

აღსრულებულ მრავალ საქმეზე მცირედ ისაუბრე. სწორადაც მოიქეცი, როცა გადაწყვიტე მოკლედ შეხებოდი დამბეზღებელთა სიცრუესა და ბოროტმოქმედებას, რადგან ეს ისედაც იცის ხალხმა, რომლისთვისაც ყველაფერი აშკარაა. შენ ხმა გააფთრებით აიმაღლე სენატის უსამართლო ქმედების წინააღმდეგ. გულთან მიიტანე ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები და ცრემლი ღვარე ჩემი ღირსების შელახვის გამო. შენი რისხვა საბოლოოდ თავს დაატყდა ფორტუნას მაშინ, როცა დაიჩივლე, რომ იგი დამსახურების მიხედვით, სამართლიანად ჯილდოს არ გასცემს. განრისხებული მუზის უკანასკნელ სტროფებში ჩააქსოვე ნატვრა, ზეცას რომ მშვიდობა განაგებს, მიწასაც განაგებდესო. მაგრამ ვინაიდან შენში მრავალგვარმა ვნებათაღელვამ დაისადგურა, გულს გიფლეთს ტანჯვა, რისხვა და ნაღველი, ამიტომ შენი ამჟამინდელი სულიერი მდგომარეობისთვის ძლიერი წამლები არ გამოდგება. ამგვარად, ჯერ უფრო მსუბუქ საშუალებებს მივმართოთ, რათა შენს სულში შემოპარული ვნებათაღელვებით გამაგრებული სიმსივნე სათუთი მიკარებით მოალბოს, ვიდრე უფრო ძლიერი წამლის მისაღებად ძალას მოიკრებდე.

I. 6 (v). კირჩხიბის ხომლს ოდეს აღაგზნებს[29]
ფებუსის მცხუნვარე სხივები,
მაშინ ვინც გაიღებს სათესად
მარცვალს უნაყოფო ხნულისთვის,
იმედს გაუცრუებს კერესი[30],
მხოლოდ რკო შერჩება საკვებად.[31]
იებს დასაკრეფად ნუ ეძებ
ნურასდროს დაბურულ ტყეებში,
როცა შიშის ზარს სცემს ველ-მინდვრებს,
მძვინვარე აკვილოს თარეში.
ნურც გაზაფხულის ჟამს ეცდები,
ხარბად დაიტაცო ყურძენი.
ჩვენ მწიფე მტევნებით რომ დავტკბეთ,
თავის ძღვენს მოგვართმევს ბახუსი[32],
როცა შემოდგომა დადგება.

ღმერთი ხომ ყველა დროს უწესებს
შესაფერ საქმეს, არ დაუშვებს,
ჟამთა დადგენილი ცვალება
რაიმე შეცდომამ არიოს.
ვინც კი ამ გზიდან გადაუხვევს,
ჭეშმარიტ წესრიგს ვინც დაარღვევს,
ის კეთილ დასასრულს ნუ ელის.

I.6. «მაშ, ხომ მომცემ ნებას, რამდენიმე შეკითხვით შენს სულიერ მდგომარეობას შევეხო, რათა გავიგო, რა საშუალებით შეიძლება შენი განკურნება.» «მკითხე, რაც გსურს,» – მივუგე – «რაზეც გინდა რომ გიპასუხო.» მაშინ მან მკითხა: «როგორ ფიქრობ, ამ სამყაროს წარმართავს გაუთვალისწინებელი, უნებლიე შემთხვევითობა, თუ მის განმგებლობაში გონი მონაწილეობს?» ვუპასუხე: «ვერასგზით დავიჯერებ, რომ მას, რაც ასე მკაცრად ორგანიზებულია, შეიძლება ბრმა შემთხვევა ამოძრავებდეს. პირიქით, ვიცი, რომ ღმერთი, სამყაროს შემოქმედი, წარმართავს თავის ნაღვაწს და არც ოდესმე დადგება ჟამი, რომელიც მე

ამ აზრის ჭეშმარიტებაში დამაეჭვებს.» «სწორედ ასეა,» – მითხრა მან – «ცოტა ხნის წინ ეს ლექსადაც გამოთქვი, ის კი დაიჩივლე, რომ მხოლოდ ადამიანი იმყოფება ამ ღვთაებრივი საზრუნავის მიღმა, თუმცა სხვა არსებულს რომ გონი წარმართავს, ამაში მტკიცედ ხარ დარწმუნებული. საოცარია, ფრიად მაკვირვებს, თუ რის გამო შეიძლება ავადმყოფობდე, როცა ასეთი საღი აზრები თავს გახვევია. თუმცა, მოდი, უფრო ღრმად ჩავუკვირდეთ, რადგან ვხვდები, რომ შენში რაღაც უკმარობაა. მაგრამ, მიპასუხე, რამდენადაც ეჭვი არ გეპარება, რომ სამყაროს ღმერთი განაგებს, როგორ ფიქრობ, რა საშუალებებით განკარგავს მას იგი?» მივუგე: «ბოლომდე ვერ ჩავწვდი შენი შეკითხვის არსს, მით უფრო არ ძალმიძს, რომ გიპასუხო.» «ხომ არ შევცდი,» – წარმოთქვა მან, – «როცა გავიფიქრე, რომ შენში იყო რაღაცის უკმარობა, საიდანაც, როგორც მტკიცე სიმაგრეში გაჩენილი ნაპრალიდან, შენს სულში ვნებათაღელვის სენი შემოჭრილა. ასე, რომ, მიპასუხე, თუ გახსოვს, რა არის არსებულ საგანთა მიჯნა და საითკენაა მიმართული ბუნების მთელი ძალისხმევა?» ვუპასუხე: «მსმენია ამის შესახებ, მაგრამ სევდამ გონება დამიბინდა.» «და ის თუ იცი, საიდან იღებს ყოველივე სათავეს?» «ვიცი,»– მივუგე, – «და გეუბნები, რომ ესაა ღმერთი.» «და როგორ შეიძლება ისე მოხდეს, რომ იცოდე საგანთა საწყისი და არ იცოდე მათი ბოლო. მაგრამ სწორედ ესაა ვნებათა ღელვის თვისება, მისი ძალაც ისეთია, რომ, ერთი მხრივ, ხელეწიფება ადამიანის მდგომარეობა შეარყიოს, მეორე მხრივ კი, არ ძალუძს ძირფესვიანად ამოძირკვოს და საკუთარ თავს მოსწყვიტოს იგი. მსურს ამაზედაც მიპასუხო: – გახსოვს, ადამიანი რომ ხარ?» «როგორ შეიძლება ეს არ მახსოვდეს» - ვუპასუხე. «მაშ, შეგიძლია განსაზღვრო, რა არის ადამიანი?» «ანუ გსურს მკითხო, ვიცი თუ არა, რომ ადამიანი არის გონიერი, მოკვდავი ცხოველი? დიახ, ვიცი და ვაღიარებ, რომ ასეთი ვარ.» მან კი მკითხა: «ხომ არ შეიძლება კიდევ სხვა რამეს წარმოადგენდე?» «მეტად აღარაფერს.» «უკვე ვიცი რა არის შენი სნეულების სხვა, ანუ ყველაზე მთავარი მიზეზი,» – თქვა მან, – «დაგვიწყებია თავად ვინ ხარ. ამგვარად, მივაგენი როგორც შენი ავადმყოფობის მიზეზს, ისე შენი ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებას. რადგან დავიწყებამ აგირია გზა და შენი განდევნისა თუ საკუთარი ქონების წართმევის გამო დაიტანჯე, რადგან

უღირსებსა და ბოროტმოქმედებს ძლიერ და ბედნიერ ადამიანებად მიიჩნევ, რადგან დაგავიწყდა, რა საშუალებებით იმართება სამყარო და გგონია, რომ ბედის ცვალებადობა განმგებლის გარეშე თვითდინებით წარიმართება, სერიოზული მიზეზი გქონია არა მარტო სნეულებამდე, არამედ დაღუპვამდე მისასვლელადაც. მაგრამ, მადლობა მას, ვინც ჯანმრთელობას გვანიჭებს, რადგან შენი ბუნება მთლიანად არ დაზარალებულა. ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს შენი სიჯანსაღის უმთავრესი ნაკვესი – ეს არის სწორედ ის მოსაზრება სამყაროს განმგებლობის შესახებ, რომლის მიხედვითაც მიიჩნევ, რომ იგი ექვემდებარება არა უნებლიე შემთხვევას, არამედ ღვთაებრივ გონს. მაშ, ნურაფრის შეგეშინდება, მალე ამ მცირე ნაპერწკლიდან შენთვის სიცოცხლის კოცონი აგიზგიზდება. მაგრამ, ვინაიდან ჯერ არ დამდგარა უფრო ძლიერი წამლების გამოყენების დრო, ადამიანის გონებას კი, ცნობილია, რომ ჩვევია სიმართლის მიტოვება და შემოსვა მცდარი აზრებით, რომელთაგან წარმომდგარი ვნებათაღელვის ბურუსი ჭეშმარიტების ხედვას აბრკოლებს, ამიტომ შევეცდები მსუბუქი სამკურნალო საშუალებებით მიმოვფანტო, რათა, ფუჭ ვნებათა ბურუსის გაფანტვის შემდეგ, შეიძლო ჭეშმარიტი სინათლის ბრწყინვალება დაინახო.

I. 7. (v) შავბნელი ღრუბლებით
დაფარულ ვარსკვლავებს
არ ძალუძთ სხივები

მიწას დააფრქვიონ.
როდესაც ავსტერი[33],
ზღვაზე მონავარდე,
ტალღას ააგორებს,
წინათ რომ ყოფილა
სუფთა, გამჭვირვალე,
ბროლივით კრიალა,
ახლა ამღვრეული,
ტალახს შერეული
ხედვას დააბრკოლებს.
ღვარი მონადენი
მაღალი მთებიდან
ხშირად შეჩერდება,
როდესაც ქვა-ღორღი,
კლდიდან მოწყვეტილი,
გზას გადაუღობავს.
ამგვარად თუკი გსურს,
იხილო სიმართლე
ბრწყინვალე ნათელში,
წრფელი გზით იარე,

არ გადაუხვიო.
შორს შენგან განცხრომა,
შორს შენგან სიმხდალე,
იმედიც განაგდე,
ტანჯვაც განირიდე!
გონებას ბინდავენ,
ჯაჭვებით ბორკავენ
იქ, სადაც მძლავრობენ.

I

I.1 (v). ვინაც ოდესღაც ლექსებს ვწერდი აღმაფრენის ჟამს,
იძულებული ახლა სევდის საგალობელს ვქმნი.
და აჰა, კვლავაც მკარნახობენ მუზები სათქმელს
და სახეს ცრემლით მინამავენ ელეგიები.
ვერარა შიშმა აიძულა, დამშორებოდნენ,
არ მიმატოვეს მარტოსული ჩემს სავალ გზაზე.
ახალგაზრდობას დიდებით რომ აცისკროვნებდნენ,
ახლა მოხუცის მწუხარე ბედს სალბუნს ადებენ.
ჭირთა სიმრავლემ დააჩქარა სიბერის მოსვლა,
ტანჯვამ ინება სამუდამოდ მასთან დარჩენა.
თავზე უდროოდ დაივანა სპეტაკმა ფერმა
და ძაბუნ სხეულს დაეკიდა დამჭკნარი კანი,

საამო არის აღსასრული არა ლხენის ჟამს,
არამედ მაშინ, როცა ვუხმობთ დამწუხრებული.
თუმც სმენას იხშობს, არად აგდებს სიკვდილი თხოვნას,
ცივად უარობს დაუხუჭოს ბედკრულთ თვალები!..
როცა ფორტუნა ფუჭი ძღვენით მანებივრებდა,
მაშინ ჩემს თავზე ავბედითი ჩამოდგა ჟამი,
მაცდურმა ბედმა, ვით ღრუბელმა, იცვალა სახე.
ცხოვრება მიდის უღიმღამოდ, სვენებ-სვენებით.
ძმებო, ბედნიერს რად მეძახდით, რატომ მაქებდით?
ვინაც დაეცა, არასოდეს მყარად არ მდგარა.

I.1. იმ დროს, როცა საკუთარ თავთან დარჩენილი, მდუმარე, ფიქრებში ჩაძირული კალამს ვანდობდი ცრემლიან სამდურავს, ვიხილე ქალი, თავს რომ მადგა, სახეზე კდემით, მზერააგიზგიზებული, არამიწიერი სხივების მფრქვეველი თვალებით, საიდანაც ცინცხალი ფერი და ულევი ენერგია იღვრებოდა. იგი იმდენად იყო დახუნძლული ჟამთა სიმრავლით, ვერ იფიქრებდი, ჩვენს ეპოქას თუ ეკუთვნოდა. ისეთი უცნაური ზომისა იყო, რომ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ადამიანის აღნაგობა ჰქონდა, მეორე მხრივ კი, თავს ცას აწვდენდა. და თუ უფრო მაღლა ასწევდა თავს, შეიჭრებოდა ცის თავანში და მაცქერალთა თვალთახედვიდან უჩინარდებოდა. მისი სამოსი ოსტატურად იყო ნაქსოვი ფაფუკი ძაფით, დაურღვეველ ქსოვილად ქცეული, რომელიც, როგორც მოგვიანებით გავიგე, თვითონვე დაუქსელავს. სამოსის იერი, როგორც კვამლით დაბურული ნიღბები[1] , დავიწყებას მიცემული სიძველის ნისლით დაფარულიყო. კაბის ბოლოზე ამოექარგა ბერძნული ასო π, ხოლო ზედა ნაწილზე θ[2] განირჩეოდა. მათ შორის თითქოს ილანდებოდა კიბის საფეხურები, რომლებიც, ქვედა ასოს ზედასთან აკავშირებდა. ეს სამოსი გამძვინვარებულ მავანთა ხელებს დაუფლეთიათ და ნაკუწ-ნაკუწ მიუსაკუთრებიათ. მას კი მარჯვენა ხელით წიგნები ეპყრა, ხოლო, მარცხენათი – კვერთხი.

როცა იხილა ჩემს სამყოფელში პოეზიის მუზები, რომლებიც ჩემს ცრემლებს სიტყვებად გარდაქმნიდნენ, ცოტა არ იყოს აღშფოთდა, თვალები რისხვით აენთო და თქვა: «ვინ დართო ამ ავხორც ტაკიმასხარებს ავადმყოფთან მისვლის ნება? ისინი ხომ განკურნების ნაცვლად მის სნეულებას ტკბილი საწამლავით ასაზრდოებენ! სწორედ ისინი არიან, გონების ნაყოფიერ ნიადაგს გრძნობათა უნაყოფო ეკლებით რომ სპობენ და ადამიანს სნეულებას აჩვევენ, მისგან გათავისუფლების ნაცვლად. თუკი მათი ალერსი ვინმე უბირს გაიტაცებდა, როგორც ჩვევიათ, ნაკლებად ვიდარდებდი, რადგან ჩემი ძალისხმევა მასში, ცხადია, არ დაზარალდებოდა, მაგრამ ეს ადამიანი ხომ ელეელთა[3] და აკადემიელთა[4] სწავლებებზეა აღზრდილი? მოშორდით აქედან, მაცდურად დამღუპველო სირინოზებო! დაუთმეთ იგი ჩემეულ მუზებს, რათა იზრუნონ მასზე და განკურნონ.» ამ საყვედურების შემდეგ, სირცხვილისაგან გაწითლებულმა, დამარცხებასთან შეგუებულმა თავდახრილ მუზათა დასმა დამწუხრებულმა დატოვა ჩემი სამყოფელი. მე ცრემლებით თვალმონისლულმა ვერ შევძელი მეცნო ის ქალი, რომელიც ესოდენ დიდ ძალაუფლებას ფლობდა. გაოცებული, თვალებდახრილი მდუმარედ ველოდი, რა მოხდებოდა შემდგომ. მაშინ ის უფრო ახლოს მოვიდა და ჩემი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. შემომხედა დარდიანსა და მწუხარებით თავჩაქინდრულს და ლექსებით გამკიცხა იმისთვის, რომ ჩემი სული შფოთვას მოეცვა:

I. 2. (v) ეჰ, როგორ ჩლუნგდება მოკვდავი არსების
უფსკრულის წიაღში ჩანთქმული გონება,
მას ტოვებს სინათლე, წყვდიადში ითრევენ
ამქვეყნიური და შავ-ბნელი ძალები
ამაო ზრუნვათა, ასე რომ მძლავრობენ.
ვისაც თავისუფლად ჩვეოდა ზეცაზე
მნათობთა წრებრუნვას რომ გადევნებოდა,
ვინაც მოვარდისფრო მზის სხივებს უჭვრეტდა,
მთვარის ცივ ნათებას მზერას მიაპყრობდა,
ის აკვირდებოდა ცდომილთა ხეტიალს
და მათი ორბიტა უწყოდა მრავალი,
ის, ძლევამოსილი, რიცხვებს შეიცნობდა
და იმ მიზეზებსაც, რომლებიც წარმოშობს
ქარიშხლებს, მშვიდ ზღვას რომ ზათქით აღელვებენ,
რა ძალა წარმართავს სამყაროს სიმტკიცეს,
ოდეს ჰესპეროსი[15] ეშვება ტალღებში,
აღმოსავლეთიდან კვლავ რატომ ამოდის,
გაზაფხულს დროის რა კანონებს უწესებს,
მიწა რომ მოჩითოს ვარდისფერ კოკრებით,
ვინ გვაძლევს სიუხვით აღსავსე წელიწადს
რომ მძიმე მტევნებით მორთოს შემოდგომა?
ჩვეული ვინც იყო იდუმალის ჩხრეკას,
ვინც ჩასწვდა ბუნების მიზეზებს, მრავალგვარს,
ახლა ძირს განრთხმულა გონისგან დაცლილი,
კისრად შემორკალულ ჯაჭვების სიმძიმით
დადის მოდრეკილი, მძიმედ თავდახრილი,
რათა იძულებით უცქიროს ბნელ მიწას.

I.2. «მაგრამ,- განაგრძო მან, – «ახლა მკურნალობის დრო უფროა, ვიდრე წუწუნის.» მაშინ მზერა მთლიანად მე მომაპყრო და თქვა: «შენ ის არა ხარ, ვისაც გაწოვე ძუძუ და გამოგკვებე სულიერად მოწიფული და მხნე რომ გამხდარიყავი? ხომ გადმოგეცი ისეთი იარაღი, რომლის დახმარებითაც შეძლებდი ურყევი სიმტკიცის შენარჩუნებას, ნაადრევად რომ არ მოგეშორებინა თავიდან. ნუთუ ვერა მცნობ, რატომ ხარ ჩუმად? იქნებ სირცხვილმა დაგადუმა ან – გაოცებამ? სირცხვილს ვარჩევდი, მაგრამ შენ, როგორც ვხედავ, გაოცებას შეუპყრიხარ.» და როდესაც იხილა, რომ არა მარტო ვდუმდი, არამედ მეტყველების უნარი სრულიად წამერთვა, მკერდზე ალერსიანად შემახო ხელი და თქვა: «საშიში არაფერია, სტანჯავს ლეთარგია – შემცდარი გონებისთვის ჩვეული სენი. მცირე ხნით დაივიწყა, ვინ არის, მაგრამ უთუოდ გაიხსენებს, თუკი მეც მიცნობს მანამ. ხოლო ეს რომ შეძლოს, მოდით, ცოტათი გადავუწმინდოთ ყოფითი საზრუნავის ბურუსით დაბინდული მზერა.» ეს თქვა და ტანსაცმლის კალთის ნაკეცით ჩემი ცრემლიანი თვალები ამოაშრო.

I. 3. (v) როდესაც ღამე გაიფანტა, ბინდი განქარდა,
სიცოცხლის სხივი დაუბრუნდა თვალებს ჩვეული.
ასეა, როცა დაუბერავს სწრაფი კორუსი[16],
საავდრო ღრუბლებს ცის ტატნობზე როდესაც შეყრის.

მზე რომ იმალვის, დროც არაა ვარსკვლავთ კიაფის,
ხოლო მაღლიდან მიწისაკენ მოიწევს ბინდი.
მაგრამ თუ დათმობს ბორეასი[7] თრაკიის მღვიმეს,
გამოიქროლებს და ნათელ დღეს ბორკილებს აჰყრის,
მაშინ ფებუსიც[8] უცაბედად გამოანათებს
და გაოცებულთ თვალებს მოგვჭრის სხივთა კონებით.

I.3. სწორედ ამგვარად გაიფანტა სევდის ღრუბლები, შვებით ამოვისუნთქე და ჩემი მკურნალის სახის ამოსაცნობად გონება მოვიკრიბე. როდესაც თვალი შევმართე და მზერა მივაპყარი, ვიცანი ჩემი გამდელი – ფილოსოფია, რომლის საფარველქვეშ ვიყავი სიყრმიდან. შევეკითხე: «ყოველ სათნოებათა მოძღვარო, რატომ დაეშვი ზეციდან დევნილი ადამიანის ამ ეულ სამყოფელში? ჩემსავით შენც ხომ არა ხარ ცრუ ბრალდებებით დასჯილი?» მან მიპასუხა: «ჩემო აღზრდილო, განა მიგატოვებდი და არ ვიკისრებდი შენთან ერთად ამ ტვირთს, ჩემი სახელის მოძულეთაგან რომ გერგო. ფილოსოფია ხომ არასოდეს მისცემდა თავს უფლებას, უდანაშაულო ადამიანი გზაზე უწინამძღვროდ მიეტოვებინა. განა შევუშინდებოდი ბრალდებებს, რომლებიც ვითომც ახალი საშიშროებაა ჩემთვის. ნუთუ გეგონა, რომ სიბრძნე პირველადაა ჩავარდნილი საფრთხეში უზნეობის გამო? განა ძველ დროში, პლატონამდეც, ხშირად არ გაგვიმართავს დიდი ბრძოლები სისულელესა და უგუნურებასთან? მართალია, პლატონი გადარჩა, ხოლო მისმა მასწავლებელმა სოკრატემ კი უსამართლო სიკვდილზე ჩემი თანადგომით გაიმარჯვა. შემდგომში, როცა ეპიკურელთა და სტოიკოსთა[9] ბრბომ და სხვებმაც, მათმა მსგავსებმა, სცადეს მისი მემკვიდრეობის ხელში ჩაგდება, ჩემი აღშფოთებისა და წინააღმდეგობის მიუხედავად მეც წამათრიეს, თითქოს მათი ნადავლი ვყოფილიყავი. სამოსი, რომელიც საკუთარი ხელით მოვიქსოვე, დახიეს, ნაკუწ-ნაკუწ დაიტაცეს და წავიდნენ იმ რწმენით, რომ სრულად დამისაკუთრეს. და რადგან ჩემი სიცოცხლის კვალი მათთანაც შეინიშნებოდა, უმეცრების გამო ისინიც ჩემს ახლობლებად მიიჩნიეს. მრავალი მათგანი შეცდომით ბრბოს უმეცრებამ დააზარალა. თუ არაფერი გსმენია ანაქსაგორასის[10] დევნის შესახებ, არც სოკრატეს მიერ შესმულ შხამზე, არც ძენონის[11] წამებაზე, რადგან ყველა მათგანი უცხოტომელი იყო, გაგონილი გექნება კანიუსის[12], სენეკასა[13] და სორანუსის[14] შესახებ, რომელთა ამბავი ცნობილია და არც ისე დიდი ხნისაა, ისინი დაღუპა არ სხვა რამემ, არამედ იმან, რომ ჩემი წესებით იყვნენ აღზრდილნი და სხვა უზნეო ადამიანებისგან გამოირჩეოდნენ. ასე, რომ არაფერია გასაკვირი, თუ ცხოვრების ზღვაში ქარიშხლები ყველა მხრიდან გვიტევენ ჩვენ, რომელთა უპირველესი მიზანი უღირსთა გაწბილებაა. მათი ლაშქარი, თუმცა კი მრავალრიცხოვანია, მაგრამ ზიზღს იმსახურებს, რადგან უწინამძღვროა, მხოლოდ ალალბედზე მოქმედებს დაბნეული და გონდაკარგული. თუკი იგი, ჩვენ წინააღმდეგ მებრძოლი, უფრო მეტად შეგვავიწროვებს, მაშინ ჩვენი წინამძღოლი მთელ ძალებს ციტადელში მოუყრის თავს, სანამ მტერი გართულია ამაო ფასეულობათა დატაცებით. ჩვენ ღიმილით დავცქერით, როგორ იხვეჭენ მთელ იმ უფასურ ნივთებს და მძვინვარე აურზაურისაგან თავისუფალნი, დაცულნი ვართ იმ ზღუდით, რომელთა მიახლოებას უგუნურება ვერც კი გაბედავს.

I. 4. (v) ვინც მშვიდად განლია თავისი ცხოვრება
და ფეხქვეშ გაიგდო ხვედრი მზვაობარი,
თვალი გაუსწორა ბედს, უბედობასაც
და შეინარჩუნა სახე შეუვალი, –
ასეთ ადამიანს ვერ შეძრავს ზღვის ღელვაც,

თუნდაც ღრმა ფსკერიდან დაიძრან ზვირთები,
ვერც ვეზუვიუსი, რომელიც ბრძმედიდან
ღადარს აბოლებულს აგზავნის მრავალგზის,
მას ვერ შეაშფოთებს ვერც ელვის კლაკნილი,
ტანმაღალ კოშკებზე დაცემას ჩვეული . . .
რად გაკრთობთ ტირანთა რისხვა, ისინი ხომ
სულით დავრდომილნი უძლურნი ხდებიან.
განაგდე იმედი, სიმხდალეც განაგდე
და უძლურ ტირანებს განაიარაღებ.
ვინც წადილს აჰყვება ან შიში აიტანს,
ვერც მტკიცე იქნება, ვერც – თავისუფალი,
იგი ფარს მოისვრის და გზააბნეული
ბორკილს შესაპყრობად თავად მოიმზადებს.

I. 4. შეიგრძნობ, როგორ იკიდებს ფეხს შენს სულში ეს ყოველივე, თუ Ὄνος λύρας[15]? რა გატირებს? რატომ ღვრი ცრემლებს? Ἐξαύδα; μή κεύθε νόῳ[16]. მაშ, ჯერ ჭრილობა გახსენი, თუ მოელი, რომ მკურნალი დაგეხმარება. მაშინ მე მხნეობა მოვიკრიბე და ვუთხარი: «განა საჭიროა ფორტუნას დაუნდობელი სიმკაცრის შეხსენება, განა თავისთავად იგი საკმარისად არ ავლენს თავს? ნუთუ არ გაღელვებს ამ ადგილის იერსახე? ნუთუ ესაა ის ბიბლიოთეკა, ჩემს სავანეში შენს ყველაზე საიმედო სამყოფლად რომ აირჩიე, რომელშიც ჩემთან ერთად ადამიანურ და ღვთაებრივ საგანთა შემეცნებაზე მსჯელობდი? ასე ვიყავი შემოსილი, ასე გამოვიყურებოდი მაშინ, როცა შენთან ერთად ბუნების საიდუმლოებებს ვიკვლევდი? როდესაც შენ რადიუსით[17] ვარსკვლავეთის გზას მიხაზავდი? როცა ჩემს ზნე-ჩვეულებებს და მთელს ცხოვრების წესს ზეციური წესრიგის მაგალითით წარმართავდი? განა ასეთი ჯილდო უნდა მივიღოთ შენმა მიმდევრებმა, განა პლატონის პირით არ განაცხადე ის აზრი, რომ სახელმწიფო მაშინ იქნება ბედნიერი, როცა სიბრძნისათვის მოწადინებული ადმიანები წაუძღვებიან, ან მაშინ, თუ ისინი, ვინც მას მართავენ სიბრძნის დაუფლებას თავიანთ საქმიანობად გაიხდიან? იმავე ბრძენკაცის პირით დაგვმოძღვრე, რომ აუცილებელია სახელმწიფოს მართვა ბრძენმა ადამიანებმა იკისრონ, რათა იგი უწესო ბოროტმოქმედებმა არ ჩაიგდონ ხელში და ამგვარად კეთილი მოქალაქეები არ დაზარალდენ. მას შემდეგ, რაც ეს ნააზრევი განმარტოებით მყოფმა მოცალეობის ჟამს შენგან შევითვისე, სურვილი გამიჩნდა, რომ იგი სახელმწიფო მმართველობის პრაქტიკაში განმეხორციელებინა. შენ და თავად ღმერთი, რომელმაც ბრძენკაცთა გონებაში ადგილი მიგიჩინა, იმის მოწმენი ხართ, რომ სახელმწიფო მოხელეობისკენ ვერაფერმა მიბიძგა გარდა იმ მისწრაფებისა, რომ სარგებლობა მომეტანა ყველა სათნო ადამიანის კეთილდღეობისათვის. სწორედ აქედან დაიწყო შეურიგებელი ბრძოლები უმსგავსო ადამიანებთან და კანონის დასაცავად, რადგან თავისუფალი აზრი გამაჩნდა, ხშირად დიდი ძალაუფლების მქონე პირთა წყენინებასაც არ ვერიდებოდი.

რამდენჯერ აღვუდექი წინ კონიგასტუსს, როცა იგი ვინმე უმწეო ადამიანის ქონებას ისაკუთრებდა, ტრიგვილას, მეფის სახლთუხუცესს, რამდენჯერ ავაღებინე ხელი წინასწარ განზრახული ან უკვე წამოწყებული უსამართლობისგან, რამდენჯერ ვაგდებდი საფრთხეში საკუთარ ავტორიტეტს, როცა უბედურთ ვექომაგებოდი, რომლებსაც ბარბაროსთა სიხარბის გამო დაუსრულებელი ცილისწამებები სტანჯავდათ. ვერავინ გადამიბირა სამართლიანობიდან უსამართლობისაკენ. როცა პროვინციელთა ქონება ან კერძო პირთა

ნადავლი ხდებოდა, ან სახელმწიფო გადასახადებს მიჰქონდა, დაზარალებულებზე არანაკლებ მტკიოდა გული. აუტანელი შიმშილობის დროს, როცა მძიმე და დამთრგუნველი გადასახადები დაწესდა და ისე ჩანდა, რომ კამპანიის პროვინცია სიღარიბის გამო დაღუპვის პირას იყო მისული, ყველას საკეთილდღეოდ პრეტორიის პრეფექტის წინააღმდეგ დავა წამოვიწყე, რათა მეფეს ამის შესახებ გაეგო და არ დაწესებულიყო გადასახადები. პავლინუს კონსულარის ქონება, რომლის დატაცების სურვილი და იმედი ჰქონდათ სასახლის ტურებს, დაღებული ხახებიდან გამოვაცალე. თავს დავიტეხე ბრალმდებელ კიპრიანუსის რისხვა, როცა შევეცადე, რომ კონსულარი ალბინიუსი არ შეეპყროთ და წინასწარ მოფიქრებული ბრალდებების გამო არ დაესაჯათ. განა საკმარისად ცხადი არაა, რაოდენ დიდი ბრძოლები გადავიტანე? ხომ უფრო დაცული უნდა ვყოფილიყავი მათ გვერდით, ვისაც დავეხმარე, რადგან სამართლიანობისადმი ჩემი სიყვარულის გამო არაფერი გამიკეთებია ისეთი, მაღალი წრის საზოგადოებაში რომ უფრო უსაფრთხოდ მეგრძნო თავი. რომელმა დამბეზღებლებმა დამამარცხეს? ერთია ბასილიუსი – ერთ დროს გაძევებული მეფის სამსახურიდან, რომელიც ვალებმა აიძულა ჩემ წინააღმდეგ ბრალდება წამოეყენებინა. შემდეგ – ოპილიონი და გაუდენტიუსი, რომლებსაც მრავალი დანაშაულისა და უსამართლობის ჩადენის გამო მეფის ცენზურამ განდევნა მიუსაჯა. მათ კი დამორჩილება არ ისურვეს და წმინდა ნაგებობას თავი შეაფარეს, ხოლო როცა მეფისთვის ამის შესახებ გახდა ცნობილი, ბრძანა, რომ შუბლზე დაღდასმულებს განდევნიდა, თუ ქალაქ რავენას დადგენილ ვადაში არ დატოვებდნენ. რა შეიძლება დაემატოს ამ სისასტიკეს? იმავე დღეს იმავე ადმიანებმა ჩემ წინააღმდეგ ბრალდება წამოაყენეს. მაშ, რატომ? ნუთუ ეს ჩემი საქციელის გამო დავიმსახურე? ნუთუ წინასწარ მოფიქრებული განაჩენი ჩემს ბრალმდებლებს წესიერ ადამიანებად აქცევდა? ან ფორტუნას რატომ არ შერცხვა წესიერი ადამიანის დასჯის თუ არა, ბრალმდებელთა სიმდაბლის გამო მაინც?

გაინტერესებს ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებების საფუძველი? თურმე სენატის ხელშეუხებლობა მნდომებია. გინდა გაიგო, რა საშუალებით? ბრალი დამდეს, თითქოს ხელი შევუშალე დამბეზღებელს, წარედგინა სენატის ღალატის ამსახველი მტკიცებულება. რას ფიქრობ, ჩემო მოძღვარო? უარვყო ბრალდება, რათა შენ არ შეგარცხვინო? მაგრამ მე მართლაც მსურდა სენატის ხელშეუხებლობა და არც არასოდეს ვიტყვი უარს ამ სურვილზე. მაგრამ ხომ შევწყვიტე დამბეზღებლისთვის ხელის შეშლა. განა შეიძლება დანაშაული ვუწოდო იმ წყობის ხელშეუხებლობის სურვილს? თუმცა ჩემ მიმართ გამოტანილი მათივე დადგენილებით ეს დანაშაულად იქნა მიჩნეული. მაგრამ უგუნურებას, მუდამ თავს რომ იტყუებს, არ შეუძლია საგანთა არსი შეცვალოს, და სოკრატეს გადაწყვეტილებისამებრ[18] არც ის მიმაჩნია მართებულად, სიმართლე დამალო ან სიცრუეს დაეთანხმო. მაგრამ რამდენად სწორი იყო ეს, შენი და ბრძენი ადამიანების განსასჯელად დამიტოვებია. ამ საქმის ჭეშმარიტი არსი და თანმიმდევრობა შთამომავლობისთვის უცნობი რომ არ ყოფილიყო, მისი აღწერა სტილუსს[19] მივანდე. განა საჭიროა რაიმეს თქმა ნაყალბევად შედგენილ წერილებზე, რომელთა საფუძველზეც ბრალი დამდეს, თითქოს რომაული თავისუფლების აღდგენის იმედი მამოძრავებდა? მათი სიცრუე გამოაშკარავდებოდა, რომ შემძლებოდა გამომეყენებინა თავად დამბეზღებელთა აღიარება, რომელსაც ყოველგვარ საქმეში უდიდესი ძალა შესწევს. განა რა დარჩა თავისუფლებისგან, რისი იმედიც შეიძლებოდა მქონოდა? ნეტავ მართლა დარჩენილიყო რაიმე! პასუხს გავცემდი კანიუსის სიტყვით, რომელიც მან წარმოთქვა, როცა გერმანიკუსის ძემ, გაიუს კეისარმა[20], დაადანაშაულა, რომ მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების შესახებ იცოდა: – მე რომ მცოდნოდა, შენ არ გეცოდინებოდაო. ამ მდგომარეობაში ჩემი განსჯა მწუხარებამ იმდენად კი არ შეასუსტა, იმაზე რომ დავიჩივლო,

თუ როგორ ჩადიან ბოროტი ადამიანები კეთილთა წინააღმდეგ დანაშაულს, არამედ ის მაოცებს, ამის წარმატებულად დაგვირგვინების იმედი რომ აქვთ. უარესი ზრახვები, შესაძლოა, ჩვენი სისუსტის ნიშანია, მაგრამ იმის განხორციელების შესაძლებლობა, რასაც ბოროტმოქმედნი უდანაშაულოთა წინააღმდეგ გეგმავენ, მაშინ, როცა ღმერთი ყოველივეს ხედავს, არაბუნებრივად მეჩვენება. შესაბამისად, არც თუ უმართებულოდ კითხულობს ერთ-ერთი შენი მიმდევართაგანი: «თუ ღმერთი არსებობს, საიდანღაა ბოროტება? ან სიკეთე საიდანაა, თუ იგი არ არსებობს?»[21] დაე, ჰქონოდათ ნება ბიწიერ ადამიანებს, რომლებსაც ყველა კეთილი ადამიანის და მთლიანად სენატის სისხლი სწყურიათ, ენებათ დაეღუპე მეც, ვინც, როგორც ხედავდნენ, სენატს და კეთილ ადამიანებს ვიცავდი. მაგრამ განა სენატის წევრთაგანაც იმავეს ვიმსახურებდი? ვფიქრობ გემახსოვრება, რადგანაც მუდამ ჩემ გვერდით ხარ და მიმითითებ, რა ვთქვა და რა მოვიმოქმედო, როგორც ვთქვი, გემახსოვრება, რა მოხდა ვერონაში[22], როცა მეფემ სცადა დიდებულების დამცირების ბრალდება ალბინუსიდან სენატზე გადაეტანა, სენატის უდანაშაულობა საკუთარი უსაფრთხოების რისკის ფასად დავიცავი. იცი ისიც, რომ სიმართლეს ვამბობ და ისიც, რომ საკუთარი თავის ქებით არასოდეს დავკავებულვარ. რადგან თავმომწონეობით როგორღაც მცირდება თვითშეგნების დამოუკიდებლობა ყოველთვის, როცა მავანი თავისი ნამოქმედარის წარმოჩენის გზით ჯილდოდ დიდებას იღებს. მაგრამ, თავადაც ხედავ, რა შედეგიც მოჰყვა ჩემს უდანაშაულობას. ნაცვლად ჯილდოსი ჭეშმარიტი სიქველისათვის, მივიღე სასჯელი არარსებული დანაშაულისათვის. რომც დავედანაშაულებინე წმინდა ტაძრების დაწვის წადილში, ან მღვდელმსახურებზე უწმინდური მახვილის აღმართვაში, ან საუკეთესო მოქალქაეთა დახოცვაში, ასეთ შემთხვევაშიც კი განაჩენი მსჯავრდებულის თანდასწრებით იქნებოდა გამოტანილი.[23] მე კი ხუთასი მილით დაშორებულს და დაუცველს, სენატის სასარგებლოდ მიმართული ძალისხმევის გამო, სიკვდილი და ქონების კონფისკაცია მომისაჯეს. ვინც ბრალდება წამოაყენა, მათაც კი შეამჩნიეს ბრალდებულის პატიოსნება, მაგრამ ავკაცობა გაურიეს და გაამუქეს, იცრუეს, თითქოს თანამდებობების მიღების გულისთვის სიწმინდეების შებღალვით სინდისი დავიმძიმე. მაგრამ შენ, როცა ჩემს სულში დაისადგურე, იქიდან ყოველგვარი წარმავალი საგნებისადმი ლტოლვა გამოდევნე და ამიტომაც შენ თვალწინ მკრეხელობას ვერ ჩავიდენდი. შენ ხომ ყოველდღე ყურში ჩამჩურჩულებდი და ჩამაგონებდი პითაგორას სიტყვებს: ‘ἑπου θεω[24] არც უმდაბლეს სულებთან თავშესაფრის ძიება იქნებოდა შესაფერისი საქციელი ჩემთვის, ვისაც საუკეთესო თვისებები მომამადლე, ღვთის მსგავსი რომ გავმხდარიყავი. გარდა ამისა, ჩემი სახლის სიწმინდე, უპატიოსნეს მეგობართა კრებული, ჩემი სიმამრი (რომელმაც თავისი ღვაწლის გამო არანაკლები პატივისცემა დაიმსახურა, ვიდრე თავად შენ) მიცავენ ყოველგვარი ეჭვისა და ბოროტმოქმედებისაგან. მაგრამ, ვაი სირცხვილო! ჩემი ბრალმდებლები რაღაც დანაშაულის მტკიცებულებას შენში ხედავენ და მხოლოდ იმიტომ ვეჩვენები დამნაშავედ, რომ შენი წესებით, შენი ზნეობით ვარ აღზრდილი. განა ეს არაა საკმარისი იმის დასადასტურებლად, რომ შენმა ავტორიტეტმა სარგებელი ვერ მომიტანა, მაგრამ ჩემს თავზე დატეხილმა სიძულვილმა შენც მეტად დაგაზარალა. და ჩემი უბედურება კიდევ იმან დაამძიმა, რომ უმრავლესობა ფიქრობს, თითქოს ყოველივე წარიმართება არა გონის, არამედ ფორტუნას დამსახურებით. და მხოლოდ იმას ანიჭებს მნიშვნელობას, რასაც ბედნიერება მოაქვს. აქედან გამომდინარე, კეთილი აზრები, პირველ რიგში, უბედურ ადამიანებს ტოვებს. იმის გაფიქრებაც მზარავს, როგორი ჭორებია ახლა ხალხში გავრცელებული ან ერთმანეთში რამდენად შეუთავსებელნი არიან ისინი. მხოლოდ იმას ვიტყვი არაკეთილმოსურნე ფორტუნას უკანასკნელი კირთებაა ის, რომ როგორც კი ვინმე უბედურს რამე გამოგონილ დანაშაულს დააბრალებენ, ყველა დაიჯერებს, თითქოს მან ასეთი

ხვედრი მართლაც დაიმსახურა. და მეც სიკეთის სანაცვლოდ სასჯელი მივიღე: დავკარგე ყოველგვარი ქონება, თანამდებობა, დავრჩი ჭორებით შებილწული. წარმომიდგება ლხინითა და განცხრომით აფორიაქებული ბოროტმოქმედთა საზიზღარი ბუნაგები და ვხედავ, როგორ აყენებენ ახალ ცრუ ბრალდებებს ვიღაც გაიძვერები, ხოლო ძირს განრთხმული პატიოსანი ადამიანები ჩემი ჩაგვრის მიზეზით შიშს შეუპყრია, დამნაშავეები კი თავგასულები დაუსჯელობის გამო ნადავლის ხელში ჩასაგდებად ყოველგვარ სიავეს უშიშრად ჩადიან. ხოლო უდანაშაულონი არა თუ უსაფრთხოდ, არამედ სრულიად დაუცველნი არიან. ამგვარად მსურს შევძახო:

I. 5. (v) შენ, ვარსკვლავებით მოჭედილი ცარგვლის გამჩენო,
დაბრძანებულო მარადიულ სამეფო ტახტზე,
რომელიც აღძრავ ცის კაბადონს სწრაფი წრებრუნვით,
ურღვევ კანონთა მორჩილებად განაწყობ მნათობთ.
თუკი ერთ დროსაც სავე მთვარე შუქმოვანებით
საკუთარი ძმის – მზის სინათლეს აპყრობდა სახეს,
აფერმკრთალებდა მისი შუქი წვრილ-წვრილ ვარსკვლავებს,
ახლა თავადაც გაცრეცილი ნამგალა მთვარე
მზის სიახლოვეს სხივკონებსაც ნელ-ნელა კარგავს.
როცა ამოდის ჰესპეროსი, ცივი ნათებით
მწუხრის დადგომას გვამცნობს იგი, მოუძღვის ღამეს
და შემდეგ ბორკილს ლუკიფერი[25] თავს რომ დააღწევს,
მიეგებება მზის ამოსვლას ფერნამკრთალები.
როდესაც ხეებს ზამთრის სუსხი ფოთლებს გააცლის,
დღის ხანგრძლივობას შეამცირებ, როგორც წესია,
მაგრამ როდესაც კვლავ დადგება მწველი ზაფხული –
ღამის საათებს დააჩქარებ, გახდი სწრაფმავალს,
შენი ნებაა, რომ წარმართავს ჟამთა ცვლილებას
და ზეფიროსი[26] დააბრუნებს კვლავაც სიმწვანეს,
რომელიც ქრება, ბორეასი როცა უბერავს.
სირიუსი[27] კი გააღვივებს იმ მწიფე მარცვალს,
ოდესღაც თავზე არქტურუსი[28] რომ დასცქეროდა
და ეს წესრიგი ოდითგანვე რჩება უცვლელი,
ყოველიერი აღასრულებს, რაც ევალება,
არსებულ საგანთ განუწესე მკაცრი სამანი,
მხოლოდ კაცთ მოდგმა არ შეზღუდე, ვით მბრძანებელმა,
თავისუფლება მოქმედების მას მიეც მხოლოდ.
და თუ ასეა, რად აბრუნებს ფორტუნა მაშინ
არასასურველ ცვლილებას და წარმავალობას,
სჯის უცოდველებს ბოროტთათვის კუთვნილი ხვედრი.
მაღალი ტახტი აღუმართავთ წამხდარ ზნეთათვის
და ქედმოდრეკილ პატიოსან ადამიანებს
მომძლავრებული მწვალებლები ავიწროებენ.
სადღაც გამქრალა სათნოების ნათელი თითქოს,
ის შავ-ბნელ ბურუსს დაუფარავს და სამართალი
უთქმელად იტანს უმსგავსოთა უსამართლობას.

ზნედაცემულებს არ აწუხებთ ფიცის გატეხა,
არც სიავკაცე, შენიღბული ცრუ ბრწყინვალებით.
ეშურებიან, რომ მიმართონ თავიანთ ძალას,
რათა დიადი მეფეები დაიმორჩილონ,
უთვალავ ხალხს რომ შიშის ზარს სცემს მათი სახელი.
ვინაც კავშირით არსებული საგნები შეკარ,
უბედურ მიწას გადმოხედე მოწყალე თვალით,
შენ რომ შექმენი დიდებული სამყარო, მასში
უმნიშვნელონი კაცთა მოდგმა არა ვართ, თუმცა,
ფორტუნას ზვირთმა აგვიტაცა, ღელვა დააცხრე,
უკიდეგანო ცას რომ მართავ, იმავ წესრიგით
გააძლიერე დედამიწა და განამტკიცე.

I. 5. როდესაც ხანგრძლივი მწუხარებისგან ასე დავიჩივლე, მან, ჩემი ჩივილით ოდნავადაც რომ არ შეძრულა, მშვიდი სახით წარმოთქვა: «ოდეს გიხილე სევდიანი და ცრემლმორეული, მაშინვე მივხვდი, ტანჯული და დევნილი რომ იყავი. მაგრამ არ მეცოდინებოდა რამდენად შორს განგდევნეს, შენს სიტყვებს რომ არ გაემჟღავნებინა. თუმცა შენ, ვინც ასე დაშორდი სამშობლოს, ვინმესგან დევნილი კი არ იყავი, არამედ გზააბნეული. მაგრამ თუ ამჯობინებ დევნილად იწოდებოდე, უმალ თავად გამოდიხარ საკუთარი თავის მდევნელი, რადგან სხვას არავის შეეძლო ასე მოგქცეოდა. იქნებ გაიხსენო შენი ნამდვილი სამშობლო, რომელიც ისეთი კი არ არის, ოდესღაც რომ ჰქონდათ მრავალთა ძალაუფლებით მართულ ათენელებს, არამედ ისეთია, რომელსაც ჰყავს მხოლოდ ერთი მბრძანებელი, ქვეშევრდომთა სიმრავლე რომ ახარებს და არა მათი გაძევება. მისი სადავის მიყოლა და მისი სამართლის მორჩილება სწორედ უზენაესი თავისუფლებაა. განა არ იცი შენი სახელმწიფოს ის უძველესი კანონი, რომელიც გვაუწყებს, რომ მათი განდევნა, ვინც მის ფარგლებში დაფუძნებას ისურვებს, უკანონოა. ვისაც კი იცავს მისი კედლები და ზღუდე, გაძევების აღარ შეეშინდება. მაგრამ ნებისმიერი, ვინც აქ ცხოვრებას აღარ ისურვებს, ამავდროულად ვეღარც დაიმსახურებს აქ ცხოვრებას. ამგვარად, ამ ადგილის იერსახე ისე არ მაწუხებს, როგორც შენი. არც სპილოს ძვლითა და მინით მოპირკეთებული ბიბლიოთეკის კედლებს დავეძებ იმაზე მეტად, ვიდრე შენი გონების სამკვიდრებელს, რომელშიც მოვათავსე არა წიგნები, არამედ ის, რაც ამ წიგნებს ფასს სძენს – ჩემი საკუთარი წიგნებიდან მათში მოთავსებული აზრები. მართალია, სწორად აღნიშნე შენი დამსახურება საყოველთაო კეთილდღეობის წინაშე, მაგრამ შენ მიერ აღსრულებულ მრავალ საქმეზე მცირედ ისაუბრე. სწორადაც მოიქეცი, როცა გადაწყვიტე მოკლედ შეხებოდი დამბეზღებელთა სიცრუესა და ბოროტმოქმედებას, რადგან ეს ისედაც იცის ხალხმა, რომლისთვისაც ყველაფერი აშკარაა. შენ ხმა გააფთრებით აიმაღლე სენატის უსამართლო ქმედების წინააღმდეგ. გულთან მიიტანე ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები და ცრემლი ღვარე ჩემი ღირსების შელახვის გამო. შენი რისხვა საბოლოოდ თავს დაატყდა ფორტუნას მაშინ, როცა დაიჩივლე, რომ იგი დამსახურების მიხედვით, სამართლიანად ჯილდოს არ გასცემს. განრისხებული მუზის უკანასკნელ სტროფებში ჩააქსოვე ნატვრა, ზეცას რომ მშვიდობა განაგებს, მიწასაც განაგებდესო. მაგრამ ვინაიდან შენში მრავალგვარმა ვნებათაღელვამ დაისადგურა, გულს გიფლეთს ტანჯვა, რისხვა და ნაღველი, ამიტომ შენი ამჟამინდელი სულიერი მდგომარეობისთვის ძლიერი წამლები არ გამოდგება. ამგვარად, ჯერ უფრო მსუბუქ საშუალებებს მივმართოთ, რათა შენს სულში შემოპარული ვნებათაღელვებით გამაგრებული სიმსივნე სათუთი მიკარებით მოალბოს, ვიდრე უფრო ძლიერი წამლის მისაღებად ძალას მოიკრებდე.

I. 6 (v). კირჩხიბის ხომლს ოდეს აღაგზნებს[29]
ფებუსის მცხუნვარე სხივები,
მაშინ ვინც გაიღებს სათესად
მარცვალს უნაყოფო ხნულისთვის,
იმედს გაუცრუებს კერესი[30],
მხოლოდ რკო შერჩება საკვებად.[31]
იებს დასაკრეფად ნუ ეძებ
ნურასდროს დაბურულ ტყეებში,
როცა შიშის ზარს სცემს ველ-მინდვრებს,
მძვინვარე აკვილოს თარეში.
ნურც გაზაფხულის ჟამს ეცდები,
ხარბად დაიტაცო ყურძენი.
ჩვენ მწიფე მტევნებით რომ დავტკბეთ,
თავის ძღვენს მოგვართმევს ბახუსი[32],
როცა შემოდგომა დადგება.
ღმერთი ხომ ყველა დროს უწესებს
შესაფერ საქმეს, არ დაუშვებს,
ჟამთა დადგენილი ცვალება
რაიმე შეცდომამ არიოს.
ვინც კი ამ გზიდან გადაუხვევს,
ჭეშმარიტ წესრიგს ვინც დაარღვევს,
ის კეთილ დასასრულს ნუ ელის.

I.6. «მაშ, ხომ მომცემ ნებას, რამდენიმე შეკითხვით შენს სულიერ მდგომარეობას შევეხო, რათა გავიგო, რა საშუალებით შეიძლება შენი განკურნება.» «მკითხე, რაც გსურს,» – მივუგე – «რაზეც გინდა რომ გიპასუხო.» მაშინ მან მკითხა: «როგორ ფიქრობ, ამ სამყაროს წარმართავს გაუთვალისწინებელი, უნებლიე შემთხვევითობა, თუ მის განმგებლობაში გონი მონაწილეობს?» ვუპასუხე: «ვერასგზით დავიჯერებ, რომ მას, რაც ასე მკაცრად ორგანიზებულია, შეიძლება ბრმა შემთხვევა ამოძრავებდეს. პირიქით, ვიცი, რომ ღმერთი, სამყაროს შემოქმედი, წარმართავს თავის ნაღვაწს და არც ოდესმე დადგება ჟამი, რომელიც მე ამ აზრის ჭეშმარიტებაში დამაეჭვებს.» «სწორედ ასეა,» – მითხრა მან – «ცოტა ხნის წინ ეს ლექსადაც გამოთქვი, ის კი დაიჩივლე, რომ მხოლოდ ადამიანი იმყოფება ამ ღვთაებრივი საზრუნავის მიღმა, თუმცა სხვა არსებულს რომ გონი წარმართავს, ამაში მტკიცედ ხარ დარწმუნებული. საოცარია, ფრიად მაკვირვებს, თუ რის გამო შეიძლება ავადმყოფობდე, როცა ასეთი საღი აზრები თავს გახვევია. თუმცა, მოდი, უფრო ღრმად ჩავუკვირდეთ, რადგან ვხვდები, რომ შენში რაღაც უკმარობაა. მაგრამ, მიპასუხე, რამდენადაც ეჭვი არ გეპარება, რომ სამყაროს ღმერთი განაგებს, როგორ ფიქრობ, რა საშუალებებით განკარგავს მას იგი?» მივუგე: «ბოლომდე ვერ ჩავწვდი შენი შეკითხვის არსს, მით უფრო არ ძალმიძს, რომ გიპასუხო.» «ხომ არ შევცდი,» – წარმოთქვა მან, – «როცა გავიფიქრე, რომ შენში იყო რაღაცის უკმარობა, საიდანაც, როგორც მტკიცე სიმაგრეში გაჩენილი ნაპრალიდან, შენს სულში ვნებათაღელვის სენი შემოჭრილა. ასე, რომ, მიპასუხე, თუ გახსოვს, რა არის არსებულ საგანთა მიჯნა და საითკენაა მიმართული ბუნების მთელი ძალისხმევა?» ვუპასუხე: «მსმენია ამის შესახებ, მაგრამ სევდამ გონება დამიბინდა.» «და ის თუ იცი, საიდან იღებს ყოველივე სათავეს?» «ვიცი,»– მივუგე, – «და გეუბნები, რომ ესაა ღმერთი.» «და როგორ შეიძლება ისე მოხდეს, რომ იცოდე საგანთა საწყისი და არ იცოდე მათი ბოლო. მაგრამ სწორედ ესაა ვნებათა ღელვის

თვისება, მისი ძალაც ისეთია, რომ, ერთი მხრივ, ხელეწიფება ადამიანის მდგომარეობა შეარყიოს, მეორე მხრივ კი, არ ძალუძს ძირფესვიანად ამოძირკვოს და საკუთარ თავს მოსწყვიტოს იგი. მსურს ამაზედაც მიპასუხო: – გახსოვს, ადამიანი რომ ხარ?» «როგორ შეიძლება ეს არ მახსოვდეს» - ვუპასუხე. «მაშ, შეგიძლია განსაზღვრო, რა არის ადამიანი?» «ანუ გსურს მკითხო, ვიცი თუ არა, რომ ადამიანი არის გონიერი, მოკვდავი ცხოველი? დიახ, ვიცი და ვაღიარებ, რომ ასეთი ვარ.» მან კი მკითხა: «ხომ არ შეიძლება კიდევ სხვა რამეს წარმოადგენდე?» «მეტად აღარაფერს.» «უკვე ვიცი რა არის შენი სნეულების სხვა, ანუ ყველაზე მთავარი მიზეზი,» – თქვა მან, – «დაგვიწყებია თავად ვინ ხარ. ამგვარად, მივაგენი როგორც შენი ავადმყოფობის მიზეზს, ისე შენი ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებას. რადგან დავიწყებამ აგირია გზა და შენი განდევნისა თუ საკუთარი ქონების წართმევის გამო დაიტანჯე, რადგან უღირსებსა და ბოროტმოქმედებს ძლიერ და ბედნიერ ადამიანებად მიიჩნევ, რადგან დაგავიწყდა, რა საშუალებებით იმართება სამყარო და გგონია, რომ ბედის ცვალებადობა განმგებლის გარეშე თვითდინებით წარიმართება, სერიოზული მიზეზი გქონია არა მარტო სნეულებამდე, არამედ დაღუპვამდე მისასვლელადაც. მაგრამ, მადლობა მას, ვინც ჯანმრთელობას გვანიჭებს, რადგან შენი ბუნება მთლიანად არ დაზარალებულა. ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს შენი სიჯანსაღის უმთავრესი ნაკვესი – ეს არის სწორედ ის მოსაზრება სამყაროს განმგებლობის შესახებ, რომლის მიხედვითაც მიიჩნევ, რომ იგი ექვემდებარება არა უნებლიე შემთხვევას, არამედ ღვთაებრივ გონს. მაშ, ნურაფრის შეგეშინდება, მალე ამ მცირე ნაპერწკლიდან შენთვის სიცოცხლის კოცონი აგიზგიზდება. მაგრამ, ვინაიდან ჯერ არ დამდგარა უფრო ძლიერი წამლების გამოყენების დრო, ადამიანის გონებას კი, ცნობილია, რომ ჩვევია სიმართლის მიტოვება და შემოსვა მცდარი აზრებით, რომელთაგან წარმომდგარი ვნებათაღელვის ბურუსი ჭეშმარიტების ხედვას აბრკოლებს, ამიტომ შევეცდები მსუბუქი სამკურნალო საშუალებებით მიმოვფანტო, რათა, ფუჭ ვნებათა ბურუსის გაფანტვის შემდეგ, შეიძლო ჭეშმარიტი სინათლის ბრწყინვალება დაინახო.

I. 7. (v) შავბნელი ღრუბლებით
დაფარულ ვარსკვლავებს
არ ძალუძთ სხივები
მიწას დააფრქვიონ.
როდესაც ავსტერი[33],
ზღვაზე მონავარდე,
ტალღას ააგორებს,
წინათ რომ ყოფილა
სუფთა, გამჭვირვალე,
ბროლივით კრიალა,
ახლა ამღვრეული,
ტალახს შერეული
ხედვას დააბრკოლებს.
ღვარი მონადენი
მაღალი მთებიდან
ხშირად შეჩერდება,
როდესაც ქვა-ღორღი,
კლდიდან მოწყვეტილი,
გზას გადაუღობავს.
ამგვარად თუკი გსურს,

იხილო სიმართლე
ბრწყინვალე ნათელში,
წრფელი გზით იარე,
არ გადაუხვიო.
შორს შენგან განცხრომა,
შორს შენგან სიმხდალე,
იმედიც განაგდე,
ტანჯვაც განირიდე!
გონებას ბინდავენ,
ჯაჭვებით ბორკავენ
იქ, სადაც მძლავრობენ.

II

II.1. მას შემდეგ იგი მცირე ხნით დადუმდა და როცა თავისი კეთილგონივრული დუმილით ყურადღება მომაკრებინა, საუბარი ასე დაიწყო: «თუ სწორად ჩავსწვდი შენი სნეულების მიზეზებსა და ხასიათს, უწინდელი ბედკეთილობის სიყვარული და მონატრება უნდა გაჭკნობდეს. მხოლოდ და მხოლოდ ბედის ცვლილებაა ის, რამაც, როგორც წარმოგიდგენია, შენი სული თავდაყირა დააყენა. ვცნობ იმ ურჩხულის ნაირგვარ ხრიკებს და მის ფარისევლურ მეგობრობას იმათთან, ვის მიტოვებასაც იზრახავს, სანამ თავს აუტანელ კაეშანს არ დაატეხს, როდესაც მოულოდნელად მიატოვებს. თუ გაიხსენებ ფორტუნას ბუნებას, ზნესა და დამსახურებას, მიხვდები, რომ მის ხელში ღირებულს არაფერს ფლობდი და არც არაფერი დაგიკარგავს. ვფიქრობ, დიდი ჯაფა არ უნდა დამჭირდეს იმისთვის, რომ ეს გაგახსენო. ვინაიდან მაშინაც კი, როცა შენ გვერდით იყო და გიღიმოდა, გჩვეოდა მკაცრი სიტყვებით გამკლავებოდი და თავს დასხმოდი ჩემი სავანის წიაღიდან გამოტანილი აზრებით. მაგრამ გარემოებათა არავითარი ცვლილება არ ხდება ისე, რომ რაიმე სულიერი ღელვა არ გამოიწვიოს. ამიტომ მოხდა, რომ შენც კი მცირედ გადაუხვიე შენი სიმშვიდისგან, მაგრამ დროა მიიღო და დააგემოვნო რაიმე საამური და მსუბუქი სამკურნალო საშუალება, რომელიც ღრმად რომ შეაღწევს, უფრო ძლიერმოქმედ წამლებს გაუხსნის გზას. მაშ, მოვუხმოთ ტკბილი რიტორიკის დამაჯერებლობას, რომლებსაც სწორი გზით მხოლოდ მაშინ მივყავართ, როცა ჩემს პრინციპებს არ ღალატობს და ჩემი ლარების მშობლიურ მუსიკას მიჰყვება ხან მსუბუქი, ხან მძიმე მელოდიით.

მაშ, რა არის, ადამიანო, ის, რამაც სევდასა და მწუხარებაში ჩაგაგდო? ვფიქრობ, იხილე რაღაც უჩვეულო და წარმოუდგენელი. მიიჩნევ, თითქოს ფორტუნამ შენ მიმართ დამოკიდებულება შეცვალა. ცდები: მისი ჩვევა, მისი ბუნება მუდამ ასეთია. შენს შემთხვევაშიც, იგი თავისი ცვალებადობის წყალობით უცვლელი დარჩა. მაშინაც ასეთივე იყო, როცა გიღიმოდა, როცა ყალბი ბედნიერების საცთურით გიზიდავდა. შენ ამ ბრმა ღვთაების ორსახოვნება აღმოაჩინე. რაც სხვებისთვის ჯერ კიდევ ფარულია, შენთვის სრულადაა გაცხადებული. თუ იწონებ, მისდიე მის ზნე-ჩვეულებას, ნუღარ დაიჩივლებ. ხოლო თუ მისი სივერაგე გზარავს, შეიზიზღე და განაგდე ის, ვინც დამანგრეველი თამაშით ერთობა. შენთვის ამოდენა მწუხარების მიზეზი სიხარულის მიზეზად უნდა იქცეს. მართლაც დაგტოვა მან, ვისი წასვლისგანაც არავინაა დაზღვეული. ნუთუ ღირებულად მიგაჩნია წარმავალი ბედნიერება? განა ძვირფასია შენთვის

ფორტუნა, რომელიც, თუნდაც შენ გვერდით იყოს, მაინც არ მოგცემს დარჩენის იმედს და სევდას დაგიტოვებს, როცა დაგშორდება? თუ შეუძლებელია ვინმეს გადაწყვეტილება აკავებდეს, ხოლო ვისაც გაექცევა – აუბედურებს, მაშ რაა ეს სწრაფმავალი ფორტუნა, თუ არა სამომავლო უბედურების მომასწავებელი ნიშანი? არც იმის ცქერაა საკმარისი, რაც თვალწინაა. კეთილგონიერებამ ყოველივე არსებულის შედეგი უნდა გაზომოს; და სწორედ კარგისა და ცუდის მონაცვლეობა ხდის ნაკლებად საშიშს ფორტუნას მუქარას, ხოლო მის ალერსს – ნაკლებ მიმზიდველს. და ბოლოს, თუ ერთხელ უკვე მოუდრიკე ქედი ფორტუნას უღელს, საჭიროა მშვიდი სულით ბოლომდე აიტანო ყოველივე, რაც მის სამფლობელოში ხდება. მაგრამ თუ ისურვებ დაწერო კანონი, როდის გაუშვა ან როდის დატოვო ის, ვინც მბრძანებლად საკუთარი ნებით აირჩიე, განა უსამართლო არ იქნები, განა შენი მოუთმენლობით არ დაამძიმებ ხვედრს, რომლის შეცვლაც

არ შეგიძლია? თუ აფრებს ქარიშხლებს მიანდობ, იძულებული იქნები, იქით წახვიდე, საითაც ქარი წაგიღებს და არა იქით, საითაც გსურს. როცა მარცვალს დათესავ ხნულში, უნაყოფო და მოსავლიანი წლები ერთმანეთს უნდა შეუდარო. თავი გადაეცი ფორტუნას მბრძანებლობას, საჭიროა მბრძანებლის წესებს დაემორჩილო. რატომ ცდილობ მისი ბორბლის მოძრაობა შეაკავო? ყველა მოკვდავ არსებაზე უგუნურო, თუ იგი უძრავად დარჩება, მაშინ ხომ შემთხვევითობაზე დამოკიდებულიც ვეღარ იქნება.

II. 1 (v). როდესაც იგი ბორბალს[34] აბრუნებს ამაყი მარჯვენით,
ვით ევრიპუსის[35] მღელვარე სრუტე – თავადაც ბორგავს,
მრისხანე მეფეთ რომ თელავს ფერხთქვეშ ასე დაუნდობლად
იგი, თვალთმაქცი, მიწაზე განრთხმულთ კვლავ ააყენებს.
და არ შეისმენს ბედკრულთა ოხვრას, არც ცრემლი ადარდებს,
მის სისასტიკეს ვინც შეეწირა, დასცინის მათაც.
ასე ერთობა, ძალმოსილებას ამგვარად ამტკიცებს
და მაშინ ავლენს საკუთარ სახეს, როს ერთდროულად
შეძლებს მოკვდავის ამაღლებას და კვლავ დამხობას.

II.2. მაგრამ მსურს თავად ფორტუნას სიტყვებით შეგეკამათო. შენ კი ყურადღება მიაქციე, სამართლიანია თუ არა მისი მოთხოვნები: «რად მადანაშაულებ, ადამიანო, გამუდმებით რატომ მდევნი შენი საჩივრით? რა შევცოდე შენ წინაშე? რა სიკეთე მოგტაცე? პატივისა და სიმდიდრის მფლობელობისთვის მედავე, რომელი სამართალითაც გსურს და თუ დაამტკიცებ, რომ მოკვდავი რომელიმე მათგანის მესაკუთრეა, ნებით გადმოგცემ, რასაც მოითხოვ, რომ დაგიბრუნდეს. როცა ბუნებამ წარმოგშვა დედის წიაღიდან შიშველი, ყოველგვარ ნივთიერ ქონებას მოკლებული, ხელში აგიყვანე, საკუთარი სიუხვით გაგანებივრე, რის გამოც ახლა ჩემ მიმართ სულსწრაფი გახდი, შენდამი კეთილგანწყობილმა სითბოთი და სიყვარულით გაგზარდე, რაც კი ჩემს განკარგულებაში სიმდიდრე და პატივი იყო, ყოველივე გარს მოგახვიე, ახლა კი მსურს, კვლავ ავიღო ხელი. მადლობელი ვიყავი, სხვისი საკუთრებით რომ სარგებლობდი, უფლება არ გაქვს იწუწუნო, თითქოს მართლაც შენ გეკუთვნოდა ის, რაც დაკარგე. მაშ, რატომ ოხრავ? შენ წინააღმდეგ არავითარი ძალა არ გამომიყენებია. სიმდიდრე, პატივი და სხვა მრავალი ჩემი მსახურნი არიან. მსახურები კი ცნობენ თავიანთ ქალბატონს. ისინი მოდიან ჩემთან ერთად და თან მიმყვებიან, როცა მივდივარ. თამამად ვამტკიცებ: შენი რომ ყოფილიყო ის, რისი დაკარგვის გამოც წუწუნებ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაკარგავდი. იქნებ მე, ერთადერთს, მეკრძალება საკუთარი უფლებებით ვისარგებლო?

ზეცისთვის ნებადართულია წარმოშვას ნათელი დღე და კიდევაც ჩაძიროს იგი ბნელ ღამეში, წელიწადს შეუძლია მიწის იერი ყვავილებითა და ხეხილით შეამკოს და კიდევაც დაატეხოს თავს საავდრო ღრუბლები. ზღვას უფლება აქვს ხან გლუვი ზედაპირით მოგვეალერსოს, ხან შიშის ზარი დაგვცეს ქარიშხლითა და ზვირთებით. მხოლოდ მე რატომ უნდა მივეჯაჭვო ჩემი ზნისათვის უჩვეულო მუდმივობას ადამიანთა დაუკმაყოფილებელი სიხარბის გამო?! ესაა ჩემი ძალა, ამ თამაშს ვთამაშობ დაუსრულებლად – ვაბრუნებ

ბორბალს და ვხარობ, როცა უმდაბლესი უმაღლესს ცვლის, ხოლო უმაღლესი – უმდაბლესს. შენც ამაღლდი, თუკი ასე გსურს, მაგრამ იმ პირობით, რომ დაცემას უსამართლოდ არ მიიჩნევ, როცა ჩემი თამაშის წესი ამას მოითხოვს. ნუთუ შენთვის უცნობი იყო ჩემი ზნე? არაფერი გსმენია ლიდიის მეფის კროისოსის[36]შესახებ, რომელიც უწინ კიროსსაც შიშის ზარს სცემდა, თუმცა შემდეგ მალევე გაუბედურდა და კოცონზე დაწვისგან ზეციდან მოვლენილმა წვიმამ დაიხსნა? დაგავიწყდა, როგორ კეთილშობილურად დაღვარა ცრემლი პაულუსმა[37], მის მიერ დატყვევებული მეფის, პერსევსის გამო და რისთვის ტირიან და მოთქვამენ ტრაგედიებში, თუ არა ფორტუნას მოულოდნელი დარტყმისთვის, სვებედნიერ სამეფოებსაც რომ ძირს დაამხობს ხოლმე? არასოდეს გისწავლია სიყმაწვილეში – δύο πίθους, τὸν μεν ‘ένα κακων, τὸν δε ‘έτερον εάων[38]– იუპიტერის სამყოფელში რომ დგას? იქნებ უფრო უხვად სიკეთის წილი გერგო? იქნებ ბოლომდე არ გაქციე ზურგი? იქნებ თავად ჩემი ცვალებადი ბუნება არის იმის საფუძველი, რომ უკეთესის იმედი გქონდეს? ამიტომ ნუ დაეცემი სულით, ნუ ესწრაფვი საკუთარი წესებით იცხოვრო, როცა ყველასთვის საერთო განმგებლობაში ხარ მოქცეული!

II. 2 (v). რამდენი ქვიშაც აქვს ზღვას ატაცებული,
როს ღელავს ქარიშხლის გამო,
ან ღამით რამდენი ვარსკვლავიც ელვარებს
უღრუბლო, მოწმენდილ ცაზე,
იმდენი ბარაქა რომ გადმოიღვაროს
უწყვეტად სიუხვის რქიდან[39]–
თვით ამ მიზეზითაც კი ჩივილს არ შეწყვეტს
კაცთა ეს ბედკრული მოდგმა.
თუნდაც შეისმინოს უფალმა ვედრება
და ოქრო გულუხვად გასცეს,
კიდევაც რომ უძღვნას გულხარბებს პატივი –
არად ჩანს, რაც უკვე ერგოთ,
როცა მიიღებენ, რასაც ესწრაფვოდნენ,
უძღებად ითხოვენ ახალს.
და, ნეტავ, თუ რამეს ძალუძს, რომ ალაგმოს
ეს თავაშვებული ლტოლვა:
როცა უხვად იღებს ძღვენს ვინმე და მაინც
შეძენის სურვილით იწვის;
ვინაც უპოვრობას უჩივის, მდიდარი
ვერასდროს იქნება იგი.

II.3. ამ სიტყვებით რომ ესაუბრა შენთან ფორტუნას საკუთარ თავზე, მართლაც, საწინააღმდეგოდ

აღარაფერი გეთქმოდა. მაგრამ თუ არის რამე, შენს საჩივარში სამართლიანად რომ დაგეცვა, საჭიროა გამოთქვა. მე გითმობ ასპარეზს საუბრისათვის». მაშინ მე ვუპასუხე: «ეს სათქმელი მშვენიერია, გაჟღენთილია რიტორიკისა და მუსიკის სიტკბოებით. თუმცა მხოლოდ მაშინ ატკბობს, როცა უსმენ, მაგრამ უიღბლონი უფრო ღრმად განიცდიან უბედურებას. ამგვარად, როცა იგი შეწყვეტს ჟღერას, სულს კვლავ დაამძიმებს შინაგანი სევდა». მან თქვა: «სწორედ ასეა და ეს ჯერ კიდევ არ არის შენი სნეულების სალბუნი, არამედ აქამდე უკურნებელი მწუხარების რაღაც შემამსუბუქებელი საშუალებაა. როცა დრო მოვა, მე მივმართავ უფრო ძლიერმოქმედ წამალს, ოღონდ შენ თუ არ მოინდომებ, თავი უბედურად მიიჩნიო. იქნებ დაგავიწყდა შენი ბედნიერების ზომა და ხანგრძლივობა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ, როცა მშობლები დაკარგე, შენზე ზრუნვა უდიდესმა ადამიანებმა ითავეს და შეგარჩიეს სახელმწიფოს პირველ პირთა მიერ ქორწინებით დასამოყვრებლად. სანამ ახლობელი გახდებოდი, მანამ იყავი მათთვის ძვირფასი, რაც ყოველგვარ ნათესაობაზე აღმატებულია. ვინ არ მიგიჩნევდა შენ ბედნიერად, როცა ასეთი დიდებული სიდედრ-სიმამრი, პატივსაცემი მეუღლე და ღირსეული ვაჟიშვილები გყავს? აჯობებს, გამოვტოვო ზოგიერთი რამ, ამიტომ გვერდს ავუვლი იმ თანამდებობების ჩამოთვლას, რომლებიც ახალგაზრდობაში მიიღე და რომლებზეც უარი უთხრეს ხანდაზმულებსაც კი. მსურს მხოლოდ შენი კუთვნილი ბედნიერების მწვერვალთან მივიდე. თუკი წარმავალ სიამეში არის რაიმე ნეტარებისეული ფასეულობა, მაშინ განა შეუძლია შენს თავს დამტყდარ თუნდაც ურიცხვ უბედურებას გადაწონოს იმ ერთი დღის ხსოვნა, როცა იხილე კონსულთა თანამდებობებზე ერთდროულად არჩეული შენი ორივე შვილი თუ როგორ გამოვიდა სახლიდან და გაემართა საზეიმო სვლით კურიისაკენ[40] პატრიცთა თანხლებითა და აღტაცებული პლებსით გარემოცული, როცა კურიის სავარძლებში მოკალათებულ შვილთა წინაშე წარმოთქვი სიტყვა და ხოტბა შეასხი სამეფო ძალაუფლებას, დაიმსახურე პატივი შენი ნიჭისა და მჭევრმეტყველებისათვის, როცა ცირკში ორ კონსულს შორის მყოფმა გარსმოჯარული ხალხის მოლოდინი ტრიუმფალური სიუხვით დააკმაყოფილე. ვფიქრობ, ეპირფერებოდი ფორტუნას, სანამ იგი გეალერსებოდა, სანამ განებივრებდა, როგორც მისთვის ძვირფასს. ასეთი საჩუქრით, შენ რომ გებოძა, მანამდე არც ერთი პიროვნება არ დაუჯილდოვებია. ხომ არ გსურს, ფორტუნას ანგარიში გაუსწორო? აკი პირველად ახლა შემოგხედა მან შურის თვალით? თუ შეადარებ ბედნიერებისა და უბედურების ზომას და ხანგრძლივობას, ვერ შეძლებ უარყო, რომ აქამდე ბედნიერი იყავი. თუ იმ მიზეზით არ მიიჩნევ თავს ბედნიერად, რომ, რაც მაშინ სასიხარულო ჩანდა – წავიდა, მაშინ არ გაქვს მიზეზი, თავი უბედურად მიიჩნიო, ვინაიდან ისიც წავა, რასაც ახლა მიიჩნევ უბედურებად. ნუთუ ცხოვრების ასპარეზზე პირველად გახვედი უმეცარი და მოუმზადებელი? იქნებ ფიქრობ, რომ კაცთ საზრუნავში არის მუდმივობა, მაშინ, როცა თავად ადამიანს მოულოდნელი წამი ხშირად ანადგურებს? იშვიათია სწრაფწარმავალი ფორტუნას დარჩენის იმედი, ხოლო სიცოცხლის უკანასკნელი დღე ფორტუნას, თუნდაც ხანიერის, ერთგვარი სიკვდილიცაა. მაშ, როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობა აქვს: შენ ტოვებ მას გარდაცვალებით, თუ ის გტოვებს შენგან წასვლით?

II. 3. (v). როცა ვარდისფერი ეტლიდან ფებუსი
სხივთა მიმოფანტვას დაიწყებს ცარგვალზე,
ვარსკვლავებს დაჩრდილავს მისი ელვარება,

მათ მიმქრალ სახეებს სულ გააფერმკრთალებს.
როცა ზეფიროსის სუნთქვით განათბობი
ტყე საგაზაფხულოდ ირთვება ვარდებით,

მძლავრად დაუბერავს ნოტიო ავსტერი,
გააქრობს სიტურფეს, დარჩება ეკლები.
ზოგჯერ წყნარ ამინდში ბრწყინავს და ლიცლიცებს
მშვიდი ზღვა თავისი მთვლემარე ტალღებით,
ზოგჯერ აღელდება და ფაფარს აიშლის,
როდესაც აკვილო ქარიშხლებს აღაგზნებს.
თუ ასე ხშირია ამქვეყნად ცვლილება,
სამყაროს თუ არ აქვს მუდმივი იერი,
მსხვრევად ბედს კაცისას როგორღა ენდობი,
წარმავალ სიკეთეს, მაშ, როგორ ირწმუნებ,
ურღვევი წესი აქვს ბუნებას ასეთი –
ქვეყნად არაფერი არ რჩება უცვლელი.

II.4. მაშინ მე მივუგე: «ყოველგვარ სათნოებათა მოძღვარო, ჭეშმარიტება აღნიშნე და არ შემიძლია, უარვყო ჩემი წინსვლა და უსწრაფესი აღმავლობა, მაგრამ ეს არის, რომ მოგონებები მწარედ მტანჯავს. თურმე ის, რომ ოდესღაც ბედნიერება გამოგიცდია, ფორტუნას ავბედითობათა შორის ყველაზე აუტანელი ყოფილა». «მაგრამ,» – თქვა მან, – «რადგან თავადაც მცდარი აზრებისათვის ისჯები, არ შეგიძლია სამართლიანად განსაჯო ვითარება. თუ შენ ასე გაღელვებს შემთხვევითი ბედნიერების ეს მოჩვენებითი სახელი, გიჯობს, ჩემთან ერთად გააანალიზო, რამდენად უხვი და დიდია შენი ბედნიერების წყარო, თუ ფორტუნას მიერ მონიჭებულ ძღვენთა შორის შენ ფლობდი ყველაზე ღირებულს და ღვთის ნებით ის დღემდე უვნებელი შემოგრჩა, განა სამართლიანი იქნება შენი წუწუნი უიღბლობის გამო, როცა ყოველივე საუკეთესო შეინარჩუნე? ჯერ ერთი, ცოცხალი და უვნებელია შენი სიმამრი სიმაქუსი – კაცთა მოდგმის უძვირფასესი საუნჯე, რომლისთვისაც დაუნანებლად გაიღებდი სიცოცხლეს. ცოცხალია შენი მეუღლეც, ბუნებით თავმდაბალი, მოკრძალებით და ზნეობით გამორჩეული და მთელი მისი ღირსებები მოკლედ რომ აღვნიშნოთ – მამის მსგავსი. ის ცოცხალია, ვიმეორებ, მხოლოდ შენთვის არსებობს სიცოცხლემოძულებული. მხოლოდ ერთი რამ აკნინებს შენს ბედნიერებას, ამაში მეც გეთანხმები: ის, რომ შენი მონატრების გამო ცრემლითა და სევდით ჭკნება. რაღა უნდა ვთქვა შენს შვილებზე, კონსულარებზე, რომლებშიც უკვე ყმაწყვილობის ასაკში გამოვლინდა მამისა და პაპის ნიჭიერება. თუკი მოკვდავთათვის უმთავრესი საზრუნავი სიცოცხლის შენარჩუნებაა, მაშინ რამდენად ბედნიერი ხარ, თუკი შეიცნობ შენს წყალობას, რომელიც უდაოდ სიცოცხლეზე ძვირფასია და რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ გაქვს. ამიტომ შეიშრე ცრემლი! ქარტეხილი, თავს რომ დაგატყდა, შენთვის არც ისე ძლიერია, რადგან მტკიცედ გიჭერენ ღუზები, რომლებიც აწმყოში ნუგეშის, ხოლო მომავალში იმედის არქონას აიტანენ.»

და მე ვთქვი: «ნეტავ, მართლა მიჭერდნენ, ამას ვნატრობ. რაც არ უნდა მომხდარიყო, ნაპირს გავაღწევდი, თუკი მათ შევინარჩუნებდი, მაგრამ შენც ხედავ, როგორ დამტოვა ჩემმა ბრწყინვალებამ.» და მან მითხრა: «რამდენადმე წინ წავწეულვართ, თუკი საკუთარი ხვედრით ბოლომდე უკმაყოფილო აღარ ხარ. მაგრამ შენს ჭირვეულობას ვეღარ ავიტან, სანამ ასე დამწუხრებული და შეშფოთებული წუწუნებ, რომ შენს ბედნიერებას რაღაც აკლია. მაგრამ ვისი ბედნიერებაა ისე სრულყოფილი, რომ თავის ცხოვრებას რაიმეზე არ უჩიოდეს? შემაშფოთებელი რამაა ადამიანთა კეთილდღეობა: იგი ან არასოდეს გვაჩვენებს სრულყოფილ სახეს, ან მუდმივად არასოდეს ჩერდება. ერთს ქონება თავზე საყრელად აქვს, მაგრამ მდაბიური წარმომავლობა ერცხვინება, მეორე ცნობილია თავისი წარმომავლობით, მაგრამ

ქონების სიმცირის გამო შებოჭილი მდაბიოდ ყოფნას ამჯობინებს. მესამეს მიმადლებული აქვს ორივე, მაგრამ დაუოჯახებელია და ამის გამო თავის ბედს დასტირის. ზოგი ქორწინებაშიც ბედნიერია, მაგრამ შვილებს მოკლებული, უცხო მემკვიდრეს უგროვებს ქონებას. ზოგი კი, შთამომავლობით გაბედნიერებული, მაინც მწარე ცრემლებს ღვრის ძისა თუ ასულის შეცდომათათვის. ამიტომ ბოლომდე არავინ ემადლიერება ფორტუნას თავისი ხვედრის გამო. ასე, რომ თითოეულ შემთხვევაში არის ის, რაც გამოუცდელმა არ იცის, ხოლო გამოცდილს თავზარს სცემს. ამაც ისიც დაუმატე, რომ ყველაზე ბედნიერ ადამიანთა გრძნობა ადვილად მოწყვლადია, შეიძლება ადვილად შეილახოს და თუ ასეთ ადამიანს ყველაფერი არ ექნა სურვილის ასასრულებლად, მცირე დაბრკოლებაც კი გატეხს ყოველგვარ წინააღმდეგობას მიუჩვეველს. ძალზე ცოტა რამაა საჭირო მათი სრულყოფილი ბედნიერების შესარყევად. როგორ ფიქრობ, რამდენი ადამიანი მიიჩნევდა თავს მეცხრე ცაზე, შენი ბედნიერების ნაშთის თვით უმცირესი ნაწილიც რომ რგებოდა? სწორედ ეს ადგილი, შენ რომ განდევნის ადგილად მოიხსენიებ, სამშობლოა აქ მობინადრეთათვის. აქ საუბედურო არაფერია, თუ თავად არ ფიქრობ ასე. პირიქით, ნეტარია მისი ხვედრი, ვინც ყოველივეს სულიერი სიმშვიდით დაითმენს. ვინ არის ისე ბედნიერი, რომ თავისი მდგომარეობის შეცვლას არ ისურვებს, თუკი მოუთმენელი ფორტუნა მასზე ხელს აიღებს? რამდენი სიმწარე აქვს შერეული ადამიანური ბედნიერების სიტკბოებას? და თუმცა ფორტუნას სიამენი სანეტაროდ მოჩანს, როცა წასვლას დააპირებს, მისი შეკავება შეუძლებელია. აშკარაა, თუ რაოდენ უბადრუკია წარმავალი ნეტარება, რომელიც არც სულიერად მშვიდ ადამიანებს უჩერდება სამუდამოდ და არც მოუსვენართ აძლევს ბოლომდე ტკბობის საშუალებას.

მაშ, მოკვდავებო, რად დაეძებთ ბედნიერებას თქვენ მიღმა, როცა იგი თავად თქვენშია? შეცდომამ და უმეცრებამ გზა აგირიათ. მე მოკლედ გიჩვენებ უმაღლესი ბედნიერების არსს. განა არის შენთვის რამე საკუთარ თავზე ძვირფასი? მიპასუხებ, რომ არა. მაშ, საკუთარი თავის პატრონი რომ იყო, შენი იქნებოდა ის, რისი ხელიდან გაშვებასაც არ ისურვებდი და ვერც ფორტუნა შეძლებდა მის წართმევას. ეს რომ გაიგო, ასე განსაჯე: ბედნიერება არ შეიძლება მიეჯაჭვოს შემთხვევით საგნებს. თუ ბედნიერება არის უმაღლესი სიკეთე იმ ბუნებისა, რომელსაც გონი წარმართავს, ამასთანავე უზენაეს ბედნიერებად არ შეიძლება მივიჩნიოთ ის, რისი წართმევაც რაიმე საშუალებითაა შესაძლებელი, ვინაიდან აღმატებული ისაა, რასაც ვერ მოიტაცებ, ცხადია, რომ ფორტუნას ცვალებადი ბუნება ბედნიერებას ვერც კი მიუახლოვდება. მეტსაც გეტყვი: მან, ვისაც წარმავალი ბედნიერება იტაცებს, ან უწყის, რომ იგი ცვალებადია, ან არ უწყის. თუკი არ უწყის, მაშინ რა ბედნიერება შეიძლება იყოს სიმბრმავესა და უმეცრებაში? ხოლო თუ უწყის, მაშინ

უდავოდ ეშინია, რომ დაკარგავს მას, რის დაკარგვაშიც ეჭვი არ ეპარება. ამგვარად, მუდმივი შიში არ აძლევს საშუალებას, იყოს ბედნიერი. იქნებ, რასაც დაკარგავს, ღირებულად არ მიიჩნიოს? მაგრამ ნამდვილად უმნიშვნელოა ის სიკეთე, რისი დაკარგვაც შეიძლება გულგრილად აიტანო. ვიცი, რომ ვინაიდან ხარ ისევ ის, ვინც მრავალი მტკიცებულებით ღრმადაა დარწმუნებული, რომ ადამიანის სული არავითარ შემთხვევაში მოკვდავი არაა, ამიტომაც შენთვის ნათელი უნდა იყოს ის, რომ წარმავალი ბედნიერება სხეულის მოკვდავობით არის შეზღუდული, ვერც იმაში დაეჭვდები, რომ თუ სიკვდილი თან წაიღებს ბედნიერებას, მაშინ ადამიანის მთელი მოდგმა უბედურებაში ჩაიძირება, როცა სიკვდილის ზღვარს მიღმა აღმოჩნდება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ნეტარების სიტკბოს მრავალი ეძებდა არა მხოლოდ სიკვდილით, არამედ ტანჯვითა და წამებითაც. მაშ, როგორ გააბედნიერებდა ამგვარი სიცოცხლე, თუკი მისმა დასასრულმა ისინი უბედურად არ აქცია?

II. 4. (v). ვინაც ისურვებს წინდახედულად
ააგოს მტკიცე თავშესაფარი,
სადაც ის შეძლებს მძვინვარე ევრუსს[41]
ზათქით მოვარდნილს ურყევად დახვდეს,
სადაც იურვებს, აზვირთებული
ზღვის ტალღები რომ უკუაქციოს,
უნდა უარყოს მთის მწვერვალები,
უნდა ერიდოს ნესტიან ქვიშას,
რადგან მწვერვალებს გამძვინვარებით
უტევს ავსტერი გალაღებული,
ხოლო უარობს ფხვიერი ქვიშა
გაუძლოს მასზე დადგმულ სიმძიმეს.
ამიტომ ხიფათს რომ განერიდო
შენთვის სასურველ თავშესაფარში,
საცხოვრებელი რომ მომცრო კლდეზე
უნდა ააგო – დაიმახსოვრე.
თუნდ დაუბეროს მაშინ გრიგალმა
და ააღელვოს ზღვის ზედაპირი,
როცა უსაფრთხო ადგილზე სახლობ,
გიცავს ბედნიერს შენი სიმაგრე,
განლევ ცხოვრების წლებს უშფოთველად,
და ცის რისხვასაც არად მიიჩნევ.

II.5. მაგრამ ვინაიდან შენში უკვე შეაღწია ჩემი სიბრძნის ელექსირმა, ვფიქრობ ცოტა უფრო ძლიერმოქმედ

საშუალებას მივმართო. მაშ ასე, ფორტუნას წყალობანი რომც არ იყოს წარმავალი და დროებითი, რა არის მათში ისეთი, რაც შესაძლოა ოდესმე შენი საკუთრება გახდეს, ან დაკვირვებისა და გაანალიზების შემდეგ არ გაუფასურდეს. ოქრო ღირებულია იმიტომ, რომ თქვენია, თუ მისი ბუნებაა ასეთი? მაინც რომელი უფრო მნიშვნელოვანია: ოქრო, თუ ნაგროვები ფულის ძალა? მაგრამ იგი გაცემისას უფრო თვალისმომჭრელია, ვიდრე დაგროვებისას. თუ სიხარბე მუდამ საძულველად აქცევს ადამიანს, გულუხვობა განადიდებს. თუმცა შეუძლებელია ერთმა შეინარჩუნოს ის, რასაც მეორეს გადასცემს, მაგრამ ფულს ხომ მაშინ აქვს ფასი, როცა სხვისთვის გულუხვად ბოძებული უკვე შენი საკუთრება აღარაა. და თუ მთელი ფული ერთი ადამიანის ხელში მოიყრის თავს, სხვებს გააღარიბებს. ხმა სრულად ავსებს ყველა სასმენელს, ხოლო თქვენს სიმდიდრეს არ ძალუძს წილად ხვდეს მრავალს, თუ არ დანაწევრდა. მაგრამ როცა ასე მოხდება, თავად ის ადამიანები გახდებიან უცილობლად უპოვარნი, რომელთაც იგი მიატოვებს. მაშ რა უბადრუკი და უმნიშვნელოა ის სიმდიდრე, რომელსაც სრულად ვერ ფლობს ადამიანი და რომელსაც არა აქვს უნარი ისე ეკუთვნოდეს ერთს, რომ სხვები არ გააღარიბოს! ხომ თვალისმომჭრელია მვირფასი თვლების ელვარება? მაგრამ თუ რამე ღირსება გააჩნია ამ ბრწყინვალებას, იგი ეკუთვნის ქვებს და არა ადამიანს. ძალზე მაოცებს, რა აღაფრთოვანებთ მათში ადამიანებს. როგორ შეიძლება ცოცხალი და გონიერი არსებისათვის ჭეშმარიტად მიმზიდველი ჩანდეს ის, რაც უსულოა და უმოძრაო. თუმცა, უფლის შემოქმედებისა და საკუთარი გამორჩეულობის წყალობით, იძენენ რაღაც

უმნიშვნელო სილამაზეს, თქვენს ბრწყინვალებას მაინც ჩამოუვარდებიან და თქვენს აღტაცებას ვერასგზით იმსახურებენ.

ხომ გხიბლავთ ბუნების სიტურფე? რატომაც არა: ის ხომ უმშვენიერესი ქმნილების მშვენიერი ნაწილია. ზოგჯერ მშვიდი ზღვის ხილვა გვახარებს, ასევე – ზეცა, ვარსკვლავები, მზე და მთვარე აღგვაფრთოვანებს. განა გეკუთვნის რომელიმე მათგანი? გაბედავ დაიტრაბახო რომელიმე მათგანის ბრწყინვალებით? განა შენ იკაზმები გაზაფხულის ყვავილებით? ან შენი ბარაქაა, ზაფხულისას ხილთან ერთად რომ მწიფდება? რატომ გიპყრობს ფუჭი სიხარული? რად ეპოტინები გარეგან სიკეთეს, როგორც საკუთარს? ფორტუნა არასოდეს გარგუნებს იმას, რაც ბუნებამ შენგან უცხო საგნებს მიაკუთვნა. მიწის ნაყოფმა უდაოდ ცოცხალი არსებები უნდა ასაზრდოოს. მაგრამ თუ ისურვებ მოთხოვნილება იმით დაიკმაყოფილო, რასაც ბუნება სჯერდება, ფორტუნას სიუხვე სრულიადაც არაა საჭირო. ძალზე მცირეა საკმარისი ბუნებისათვის. და თუ მოინდომებ საკმარისს გადაჭარბებული დაურთო, შენ მიერ მიმატებული ან უსიამო იქნება, ან საზიანო.

იქნებ კვლავ ფიქრობ, რომ კარგია, როცა მრავალფეროვანი სამოსით გამოირჩევი? თუმცა ისინი საცქერლად საამოა, მე ან ქსოვილის ხარისხი აღმაფრთოვანებს, ან მკერავის ოსტატობა. იქნებ მსახურთა გრძელი რიგი გაგაბედნიერებს? მაგრამ თუ უზნეონი არიან, სახლისთვის სახიფათო ტვირთად იქცევიან, ხოლო მათი ბატონისთვის – დიდ საშიშროებად. მაგრამ თუ კეთილსინდისიერნი არიან, მაშინ შენს სიმდიდრეში სხვათა ღირსება როგორ ჩაითვლება?

ნათლად გამოჩნდა, რომ იმათგან, რასაც შენს სიქველედ მიიჩნევდი, არაფერი არ გეკუთვნის. თუ მათში სასურველი მშვენიერებიდან არაფერია, მაშ რაღამ უნდა დაგამწუხროს მათი დაკარგვისას ან გაგახაროს შენარჩუნებისას. თუ ისინი ბუნებით მშვენიერნი არიან, შენ ეს რას მოგცემს? ისინი ხომ შენი

სიმდიდრისგან განცალკევებით თავისთავადაც მოგხიბლავდა? და არც იმის გამო არიან ძვირფასნი, რომ შენს ქონებას ამკობენ, არამედ ძვირფასნი ვინაიდან ჩანან, ამიტომ ირიცხებიან შენს სიმდიდრეში.

მაგრამ ასე ხმამაღლა რას მოითხოვთ ფორტუნასაგან? დარწმუნებული ვარ, გინდათ სიუხვის მეშვეობით მოთხოვნილება განირიდოთ. მაგრამ საპირისპიროდ გამოგდით. დიახაც, ურიცხვი დამხმარე საშუალებაა საჭირო მრავალფეროვან ძვირფას ნივთთა დასაცავად. და ისიც სიმართლეა, რომ ბევრი სჭირდება მას, ვინც ბევრს ფლობს და, საპირისპიროდ, ძალზე მცირე – ვინც ზომავს თავის დოვლათს ბუნებრივი საჭიროებით და არა გადაჭარბებული სიუხვით. განა საკუთარი შინაგანი სიკეთე არ გაგაჩნიათ, ამ თქვენს სიკეთეს გარეგან და შორეულ საგნებში რომ ეძებთ? განა ისეა შეცვლილი სამყაროს წესი, რომ ის, ვინც ღვთაებრიობასთან არის წილნაყარი თავისი გონების მეშვეობით, უსულო სამკაულების გარეშე მოკლებული იქნებოდა ბრწყინვალებას?

ყველა დანარჩენი კმაყოფილია თავისი ხვედრით, თქვენ კი, გონებით ღმერთის მსგავსნი, ესწრაფვით ბრწყინვალე ბუნება უსულო საგნებით შეიმკოთ. განა ვერ ხედავთ, რა უსამართლოდ ექცევით შემოქმედს? მან ისურვა, ადამიანთა მოდგმა ყოველგვარ მიწიერებაზე აღმატებული ყოფილიყო. თქვენ კი საკუთარი ღირსებები უმდაბლეს საგნებზე დაბლა დაამხეთ. თუ ცნობილია, რომ ვინმეს სიკეთე უფრო ძვირფასია მასზე, ვისი საკუთრებაცაა, მაშინ თუ უმდაბლესი საგნები თქვენი ქონებაა, თავად თქვენ, საკუთარი განსჯით მათზე დაბლა აყენებთ – რაც სრულიადაც არაა უსამართლო. ადამიანის ბუნება მართლაც ისეთია,

რომ სხვა ქმნილებებზე უკეთესი მაშინაა, როცა თავს შეიცნობს, ხოლო როცა აღარ ეცოდინება, თუ ვინაა იგი, მაშინ მხეცებზე მეტად დამდაბლდება. სხვა ცოცხალი არსებებისთვის საკუთარი თავის შეუცნობლობა ბუნებრივია, ადამიანთათვის კი მანკიერებაა. რამდენად დაგაშორათ თქვენ თავს შეცდომამ, რადგანაც ფიქრობთ, რომ თითქოს რაიმე მოსართავს შეუძლია თქვენი გამშვენიერება? ეს შეუძლებელია. თუ რაიმე ბრწყინვალეა მოსაკაზმის წყალობით, ქებას თავად სამკაული იმსახურებს, ვინაიდან ის, რასაც იგი ფარავს, თავის უსახურებას არანაკლებ ინარჩუნებს. მე კი უარვყოფ, რომ სიკეთედ შეიძლება მივიჩნიოთ ის, რაც მფლობელს აზიანებს. ხომ არ ვცდები? არანაირად – მიპასუხებ. მაგრამ სიმდიდრე ძალზე ხშირად ვნებს მფლობელებს, ვინაიდან ვინმე უღირსი და სხვის ქონებას მეტად დახარბებული მიიჩნევს, რომ მხოლოდ ის ერთადერთი იმსახურებს ფლობდეს, რაც კი რამ ოქრო და ძვირფასი ქვაა. მაშ შენ, ვინც ახლა შუბისა და მახვილის შიშით ხარ შეპყრობილი, თუკი გზას, ვითარცა უპოვარი მგზავრი, გაუყვებოდი, ხომ დასცინებდი შემხვედრ ყაჩაღებს? ო, მოკვდავთა სიმდიდრის ბრწყინვალებავ! როცა მას შეიძენ, თავს უსაფრთხოდ ვეღარ იგრძნობ.

II. 5. (v). მეტად ბედნიერ უძველეს ხანას[42],
სანდო ნათესებს რომ სჯერდებოდა,
ფუჭი სიმდიდრე ვერარას ვნებდა
და შეჩვეულნი იყვნენ ყველანი
რკოთი[43]მოეკლათ შიმშილი იმ დროს.

არვინ უწყოდა ბახუსის ძღვენი
და არც სითხეში თაფლის გარევა[44],
მაშინ მბზინვარე ჩინურ აბრეშუმს
ტირას საღებავს არვინ ურევდა.[45]
ბალახზე წოლა ჯანსაღ ძილს ჰგვრიდათ,
წყურვილს უკლავდათ სწრაფი რუები,
ჩრდილს იძლეოდა მაღალი ფიჭვი.
ჯერ არც ღრმა ზღვები გადაელახათ,
ყოველი მხრიდან ზიდული ნივთით
არ მისდგომოდნენ უცხო ნაპირებს.
მაშინ საბრძოლო საყვირიც დუმდა,
გამძვინვარებით და სიძულვილით
დაღვრილი სისხლი არ რწყავდა ველებს.
პირველად რისთვის ისურვეს, ნეტავ,
იარაღისთვის რომ მიემართათ,
როცა ჭრილობაც არსად ენახათ,
არც საფასური დაღვრილი სისხლის?
შეიძლებოდეს, ნეტავ, ჩვენი დროც
ძველ ჩვეულებებს რომ დაუბრუნდეს.
მაგრამ გიზგიზებს ვნება მოხვეჭის
ეტნას[46]ცეცხლებზე უფრო მგზნებარედ.
ვაჰმე, ვინ იყო ის, ვინც პირველად
ფარული ოქროს უხვი მარაგი,
ძვირფასი თვლებიც, მალვის მსურველნი,
რომ მოიპოვა დიდ განსაცდელად?

II.6. მაშ, რაღა ვთქვა საპატიო თანამდებობებსა და ძალაუფლებაზე, რომლებსაც თქვენ, ვინც ჭეშმარიტი ღირსება და ძალაუფლება არ უწყით, ცამდე აღამაღლებთ? რა ეტნიდან ამოფრქვეული ცეცხლი, რა წყალდიდობა გამოიწვევს ისეთ ნგრევას, როგორსაც ესენი, თუ მეტად უღირს ადამიანებს ჩაუვარდათ ხელში? ვფიქრობ, დანამდვილებით გახსოვს, რომ თქვენი წინაპრები მოწადინებულნი იყვნენ კონსულთა მედიდურობის გამო დაემხოთ მათი ძალაუფლება, რამაც საფუძველი ჩაუყარა თავისუფლებას,. უფრო ადრე კი იმავე მედიდურობის მიზეზით, სახელმწიფოდან მეფის ხსენებაც მოსპეს.[47]თუკი თანამდებობა და ძალაუფლება ღირსეულ ადამიანებს გადაეცემათ, რაც ძალზე იშვიათია, სხვამ რამ შეიძლება მოგვხიბლოს, თუ არა მათ მფლობელთა წესიერებამ? ასე, რომ სიქველეს ფასი ედება არა თანამდებობის გამო, არამედ თანამდებობას სიქველის გამო. მაშ, რას წარმოადგენს ეგ თქვენთვის საწადელი და ბრწყინვალე ძალაუფლება? განა არ უფიქრდებით იმას, მიწიერო არსებანო, ვინ ვისზე მბრძანებლობს?

ახლა რომ ხედავდეთ, თუ როგორ მოითხოვს თაგვებს შორის ერთი დანარჩენებზე კანონიერად ბატონობის უფლებას, როგორ გულიანად გაიცინებდით! ახლა თუ ადამიანის სხეულსაც დავაკვირდებით, რა შეიძლება მოიძებნოს უფრო უძლური, ვიდრე ის, რასაც ხშირად ღუპავს ციცქნა მწერის ნაკბენი ან შეღწევა ფარულ შინაგან ორგანოებში? ვის შეუძლია თავისი უფლება სხვაზე გაავრცელოს, გარდა მხოლოდ საკუთარი სხეულისა და იმისა, რაც კიდევ უფრო დაბლაა სხეულზე – მის ბედს ვგულისხმობ. განა თავისუფალ გონებას რაიმეს აიძულებ? განა თავისი მშვიდი მდგომარეობიდან გამოიყვან გონებას, თუკი განსჯითაა განმტკიცებული? ერთხელ, როცა ტირანმა იფიქრა, რომ თავისუფალ ადამიანს წამებით აიძულებდა გაეცა მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილენი, ამ ადამიანმა ენა მოიკვნიტა და სასტიკ ტირანს სახეში მიაფურთხა.[48]ამგვარად წამება, რომელიც ტირანს სისასტიკის იარაღად მიაჩნდა, ბრძენკაცმა სიქველის იარაღად აქცია.

განა არის რამე, რაც შეიძლება მავანმა ვინმეს გაუკეთოს და შეუძლებელია იგივე სხვისგან დაითმინოს? გვსმენია, რომ ბუსირისი[49], სტუმრების დახოცვა რომ ჩვეოდა, თავადაც სტუმრის, ჰერკულესის ხელით მოკვდა. რეგულუსმა[50] მრავალი ჰუნი ტყვე ჩაიგდო ხელთ ბრძოლისას, მაგრამ მალევე თავადაც მოუხდა გამარჯვებულთა ბორკილებისთვის გაეწვდინა ხელი. ხომ არ ფიქრობ, რომ ადამიანი ფლობს რაღაც ძალას და რაც შეუძლია სხვებს დამართოს, სხვა იმავეს ვერ დამართებს? ამას დაუმატე ისიც, რომ თავად თანამდებობასა თუ ძალაუფლებას რომ გააჩნდეს რაიმე ბუნებრივი შინაგანი სიკეთე, ხელში არასდროს ჩაუვარდებოდა უმდაბლეს ადამიანებს. ვინაიდან საპირისპირონი ჩვეულნი არ არიან ერთმანეთს შეერწყან. ბუნება უარობს, რომ ურთიერთსაწინააღმდეგონი შეერთდნენ. ამგვარად, ვინაიდან უდავოა, რომ თანამდებობებს უმეტესწილად უმდაბლესი ადამიანები იკავებენ, ისიც ნათელია, რომ ეს თანამდებობები ღირსებას მოკლებულია, რამდენადაც მდაბალთ ეძლევათ მათი ფლობის საშუალება. ეს თანაბრად შეიძლება ითქვას ფორტუნას ყოველგვარ ძღვენზე, რასაც უღირსი ადამიანებიც უხვად იღებენ. ამის შესახებ შეიძლება ამგვარადაც განვსაჯოთ; არავინ დაობს, რომ მამაცია ის, ვისშიც სიმამაცე შეიმჩნევა და ცხადია, რომ სწრაფია, ვისაც თანდაყოლილი აქვს სისწრაფე. ასევე აქცევს მუსიკოსად ადამიანს მუსიკა, მედიკოსად – მედიცინა, ორატორად – რიტორიკა. თითოეულის ბუნება იმას აკეთებს, რაც მისთვის ნიშანდობლივია. მას საწინააღმდეგოთა ზემოქმედება ვერ ჩაითრევს, უფრო მეტიც, იგი განირიდებს, რაც საწინააღმდეგოა.

მაგრამ ვერც სიმდიდრე დააკმაყოფილებს უძღებ სიხარბეს, ვერც ძალაუფლებით გახდება ადამიანი საკუთარი თავის პატრონი, თუ იგი მანკიერ ვნებათა უწყვეტი ჯაჭვითაა შებოჭილი, ხოლო უღირსთათვის ბოძებული წოდება მათ არა თუ ღირსებას არ შესძენს, არამედ მათ უზნეობას კიდევ უფრო განაცხადებს და გამოააშკარავებს. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ გიყვართ საგნები მცდარი სახელით მოიხსენიოთ, როცა ისინი სრულიად სხვა რამეს წარმოადგენენ. მაგრამ მათი ნამოქმედარი ამ სიმცდარეს ააშკარავებს. ამგვარად, არც სიმდიდრეს, არც ძალაუფლებას, არც თანამდებობას არ შეიძლება სამართლიანად ვუწოდოთ ეს სახელები. და, ბოლოს, იგივე შეგვიძლია დავასკვნათ სრულიად ფორტუნას შესახებ, რომელშიც არაფერია მისწრაფების ღირსი, იგი ცხადია, არც ბუნებრივ სიკეთეს შეიცავს, რადგან მუდამ კეთილ ადამიანებს ვერ უერთდება და ვისაც უერთდება, ვერც მას აკეთილშობილებს.

II. 6.(v). რამდენი ნგრევა მოიტანა, ყველას გვსმენია:
გადაწვა რომი[51], შეიწირა სენატორები,
ვინაც ოდესღაც სასიკვდილოდ ძმა გაიმეტა
და დედის სისხლით შეიღება ვინაც ხელები; –
მან გაციებულ ცხედარს მზერა ისე შეავლო,
რომ ცრემლებს სახე მწუხარებით არ დაუნამავს,
მისი მიმქრალი სილამაზე განსაჯა მხოლოდ.
მაგრამ იმ ხალხებს განაგებდა, რომლებსაც უცქერს
მზე იმ დროიდან, რაც ამოდის აღმოსავლეთით,
თავის სხივკონებს ზღვის ტალღებში ვიდრე ჩაძირავს.
რომელთ გვირგვინად თავზე ადგას შვიდი მნათობი
და მათაც, ვისაც წვავს და დაგავს ცხელი ნოტუსი[52],
რომელსაც ძალუძს მხურვალებით ქვიშა დაადნოს.
მაგრამ ახერხებს განა რამე დიადი ძალა,
უზნეო ნერონს, მის სიშმაგეს წინ რომ აღუდგეს?
ვაი, მძიმე ხვედრს! მერამდენედ ძლიერ საწამლავს
უსამართლობით აღმართული ახლავს მახვილი.

II.7. მაშინ მივუგე: «თავადაც იცი, რომ წარმავალი დიდების მოხვეჭის სურვილი ჩემში ნაკლებად მძლავრობდა. თუმცა ვნატრობდი სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეობის საშუალება მქონოდა, რათა სიქველე მდუმარებაში არ დაჩაჩანაკებულიყო. და მან თქვა: «მართლაც არის ერთი რამ, რასაც შეუძლია ბუნების მიერ გამორჩეული, მაგრამ სიქველის საბოლოო ზღვრამდე მისაღწევად ჯერ კიდევ არასაკმარისად სრულქმნილი გონება მიიზიდოს. ვგულისხმობ სახელის მოხვეჭისა და სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურების მქონე პიროვნებად ყოფნის სურვილს. თავად განსაჯე, როგორი უმნიშვნელო და ყოველგვარ წონას მოკლებულია ასეთი დიდება. მთელი დედამიწის სფეროს, როგორც ასტროლოგთა მტკიცებულებათაგან ისწავლე, ზეცის განფენილობასთან შედარებით წერტილის ტოლფარდი ადგილი უკავია. თუ მას ზეციური სფეროს სიდიდეს შეადარებ, ჩათვალე, თითქოს სიდიდე სრულიადაც არ გააჩნია. ხოლო ამ უმნიშვნელო მონაკვეთიდან, როგორც პტოლემაიოსის[53]დასაბუთებიდან იცი, დაახლოებით მეოთხედი ნაწილია ჩვენთვის ნაცნობი არსებებით დასახლებული. თუ ამ მეოთხედ ნაწილს წარმოსახვით იმდენ ნაკვეთს გამოაკლებ, რამდენსაც ზღვა და ჭაობები მოიცავს, რამდენსაც – უდაბური ადგილები, ძლივსღა დარჩება ძალზე უმნიშვნელო ტერიტორია ადამიანთა საცხოვრებლად. ნუთუ ასეთ მცირე წერტილში,

თავადაც რომ წერტილის შიგნითაა შემოსაზღვრული და შემოზღუდული, განდიდებაზე, სახელის განთქმაზე უნდა ფიქრობდე? რა მასშტაბი, რა სიდიადე ექნება ასეთ ვიწრო და მჭიდრო საზღვრებში მოქცეულ დიდებას? ამას ისიც დაუმატე, რომ ეს შეზღუდული საცხოვრებელი არე დასახლებულია მრავალი ერით, რომლებიც ენით, წეს-ჩვეულებით, სრულიად ცხოვრების წესით განსხვავდებიან. და მგზავრობის სირთულის, ენობრივი სხვაობის, იშვიათი ვაჭრობის გამო მათში არა თუ

კერძო პირთა სახელს, არამედ ქალაქების სახელწოდებასაც არ ძალუძს შეღწევა. მ. ტულიუსის დროს, როგორც მან ერთ ადგილას აღნიშნა, რომაული სახელმწიფოს დიდება კავკასიის მთებამდე ჯერ არ ვრცელდებოდა, თუმცა სახელმწიფო უკვე გაფართოებულიყო და პართიასა თუ იმ ადგილას მცხოვრებ სხვა ხალხებს შიშის ზარს სცემდა. ხომ ხედავ, რა მცირე, რა შეზღუდული არის დიდება, რომლის გავრცელებასა და გაფართოებაზე ირჯებით? განა შეიძლება, რომ იქ, სადაც რომის სახელი ვერ აღწევს, რომაელმა ადამიანმა სახელი გაითქვას? უფრო მეტიც, სხვადასხვა ხალხის ჩვეულებანი და წყობილებანი იმდენად განსხვავდებიან, რომ რაც ერთთან ქების ღირსია, სხვაგან სასჯელის ღირსად მიიჩნევა. ამიტომაცაა, რომ, თუმცა ადამიანს სიამოვნებს დიდების მოხვეჭა, არავითარ შემთხვევაში არაა მისთვის მიზანშეწონილი მრავალ ხალხში სახელი გაუვარდეს. მაშ, თითოეული უნდა დაკმაყოფილდეს, თუ მისი სახელი მისავე ხალხში იქნება ცნობილი და დიდების ბრწყინვალე უკვდავება ერთი ერის ფარგლებში მოექცევა.

მაგრამ თავისი დროის რამდენი უბრწყინვალესი ადამიანი მიეცა დავიწყებას იმის გამო, რომ მათი ამბავი არავინ აღწერა. თუმცა რა უპირატესობა აქვთ მათ, ვის შესახებაც დაწერილია, ამ ნაწერებსაც ხომ თავიანთ ავტორებთან ერთად ხანიერი და ბნელი ჟამი გააქრობს? თქვენ მაინც გეჩვენებათ, რომ თქვენი უკვდავება გახანგრძლივდება, როცა იფიქრებთ მომავალ საუკუნეებში მოსალოდნელ დიდებაზე. მაგრამ თუ მარადისობის უსასრულო განფენილობას დაუფიქრდებით, რაღა მიზეზი გექნებათ, რომ სახელის მარადიულობით დატკბეთ; ვინაიდან ერთ წამს ათი ათას წელთან შედარებით, თუმცა მცირე, მაგრამ თავისი წილი მაინც აქვს, ვინაიდან ორივე დროის განსაზღვრული მონაკვეთია. მაგრამ თუნდაც ათი ათასი წელი, ან რამდენიც არ უნდა იყოს იგი, უსასრულო მარადისობას ვერ შეედრება. ვინაიდან დასაშვებია სასრული სასრულს შევადაროთ, მაგრამ უსასრულოსა და სასრულის შედარება არ შეიძლება. ამიტომაცაა, რომ, რაც არ უნდა გახანგრძლივდეს დიდება, თუ იგი მარადისობასთან მიმართებით გაიაზრება, არა თუ მცირედ, არამედ სრულიად არარად გამოჩნდება. თქვენ კი არ იცით, სწორად როგორ მოექცეთ ცვალებად პოპულარობის და ცარიელ მითქმა-მოთქმას, თმობთ საკუთარი ცოდნისა და სიქველის ბრწყინვალებას, ხოლო ჯილდოს სხვების ლაყბობაში ეძებთ. ახლა მოისმინე, როგორ იხუმრა ერთმა ამგვარი ამპარტავნების უმნიშვნელობაზე. მან მტკიცედ შეუტია ადამიანს, რომელიც ფილოსოფოსის სახელს შეცდომით იბრალებდა, არა ჭეშმარიტი სიქველის გამო, არამედ იმისთვის, რომ ამ სახელით გაამაყებულს ეტრაბახა. მან დასძინა: თუ იგი მშვიდად და მოთმინებით აიტანდა თავს დატეხილ ყოველგვარ შეურაცხყოფას, მაშინ აღიარებდა, რომ ის მართლაც ფილოსოფოსი იყო. ამ უკანასკნელმა ცოტა ხნით გამოიჩინა მოთმინება და შეურაცხყოფა აიტანა, შემდეგ კი დაცინვით წარმოთქვა: «ხომ მიხვდი, ბოლოს და ბოლოს, რომ ფილოსოფოსი ვარ?» ამაზე პირველმა გესლიანად მიუგო: «მივხვდებოდი კიდევაც, ჩუმად რომ ყოფილიყავი.» მაშ, რას შესძენს სახელოვნება იმ დიდებულ ადამიანებს, რომელთა შესახებაც ვსაუბრობთ, როცა ისინი დიდებას სიქველეში ეძებენ? რა დარჩებათ მათ, როდესაც სიკვდილი მათ სხეულებს დაშლის? თუ ადამიანი სრულად ქრება (რის დაჯერებასაც ჩვენი განსჯა გვიკრძალავს), მაშინ დიდება

საერთოდ არაფერია, ვინაიდან აღარც ის იქნება საერთოდ, ვისაც იგი მიეწერებოდა. თუკი გონება, რომელიც თავისი ბუნებას სრულად შეიმეცნებს, როცა თავისუფლდება მიწიერი საპყრობილისგან და ზეცას ელტვის, განა ყოველგვარ ამქვეყნიურ საზრუნავს არ დაივიწყებს და მიწიერებას გარიდებული ზეციური ლხინით არ დატკბება?

II. 7. (ვ). ვინც მხოლოდ დიდებას ესწრაფვის,
უმაღლეს სიკეთედ მიიჩნევს თანაც,
გახედოს ეთერის უსაზღვრო სივრცეებს
და მიწის შეზღუდულ არეს:
შერცხვება, როცა თვით დიადი სახელიც
ვერ ავსებს ამ მცირე წრესაც.
ზვიადნო, ამაოდ რად ცდილობთ, მოკვდავის
უღელი შეიხსნათ ქედზე?
დიდება ეგების შორეულ ხალხებსაც
მისწვდეს, ისაუბრონ მასზე;
ბრწყინვალე სახლებს თუნდ ტიტულნი ამკობდეს –
სიკვდილი დიდებას არ ცნობს.
თანაბრად ჩაითრევს, რაც უმაღლესია,
რაც უმდაბლესია – მასაც.
ან ფაბრიციუსის[54]ნაშთი სადღა არის?
ბრუტუსის? კატონის[55], თუნდაც?
მათი დიდებისგან ვხვდებით უმნიშვნელო
ნაწერში ცარიელ სახელს.
მათი პიროვნება ვიცოდით და ახლა
ბრწყინვალე სახელიც ქრება,
რომ გარდაიცვლებით თქვენც, დავიწყებულებს,
სახელი ვერარას გარგებთ.
თუ ფიქრობთ, სიცოცხლე გაგიხანგრძლივდებათ
დიდების ამაო სუნთქვით?
შემდეგ დრო როდესაც ამასაც მოგტაცებთ,
სიკვდილი მეორედ გელით.

II.8.მაგრამ არ იფიქრო, თითქოს ფორტუნას წინააღმდეგ დაუნდობელი ომი წამოვიწყე. არის დრო, როცა იგი ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე ადამიანს კარგ სამსახურს უწევს. ამგვარად სწორედ მაშინ იქცევა, როცა საკუთარ თავს ავლენს, სახიდან ნიღაბს იხსნის და თავის ზნე-ჩვეულებებს ააშკარავებს. ალბათ ჯერ ვერ ხვდები, თუ რის შესახებ ვაპირებ საუბარს – უჩვეულოა ის, რის თქმასაც ვესწრაფვი და ძლივს ვახერხებ, ეს აზრი სიტყვებად დავალაგო. ვფიქრობ, რომ ავ ბედს მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე კეთილს. ერთი მუდმივად ცრუობს, ბედნიერების იერით თავს რომ მოკეთედ გვაჩვენებს, მეორე მუდამ მართალია, როცა ცვალებადობით თავის მერყევ ბუნებას წარმოაჩენს. ერთი გვატყუებს, მეორე გვმოძღვრავს, ერთი ყალბ სიკეთეთა იერით ბორკავს მათ გონებას, რომლებიც მისგან სიამოვნებას იღებენ,

მეორე კი ბედნიერების წარმავლობის შემეცნებით ათავისუფლებს. ამგვარად, ხედავ, რომ ერთი ქარაფშუტა, არამყარი და საკუთარი არსის შეუმეცნებელია, მეორე – ფხიზელი და მომართული, წინააღმდეგობათა მიერ გამობრძმედილი და განსწავლული. და, ბოლოს,

კეთილი ბედი ადამიანს თავისი ალერსით იზიდავს და ჭეშმარიტი სიკეთის გზას აცდენს, ავი ბედი კი ჭეშმარიტი სიკეთისკენ მოაბრუნებს და კაუჭით აკავებს მას. განა უმნიშვნელოდ აფასებ იმას, რომ ერთგული მეგობრების აზრები ამ ეკლიანმა და საზარელმა ბედმა გამოააშკარავა? მან სანდო მეგობართა სახე უნდობთაგან განარჩია. მიმავალმა თავისიანნი წაიყვანა, შენიანები დაგიტოვა. რა საფასურს გაიღებდი, ეს რომ გენახა ხელშეუხებელი და, როგორც ფიქრობ, ბედნიერი რომ ყოფილიყავი? ნუღარ დაეძებ დაკარგულ კეთილდღეობას: ხომ შეიძინე მეგობრები, რომლებიც უძვირფასესნი არიან ყოველგვარ განძზე.

II. 8. (v). მრავალგვარ ცვლილებას რომ იწვევს
სამყარო მარადი სიკეთით,
დაპირისპირებულ საწყისებს
კავშირი რომ იჭერს ურღვევი,
ფებუსი ოქროსგან ნაკეთი
ეტლით რომ წინ უძღვის ნათელ დღეს,
მისი და ღამეს რომ განაგებს,
რომელიც ჰესპეროსს შემოჰყავს,
ხარბი ზღვა ტალღებს რომ აკავებს
შეურყევ საზღვრებში მოქცეულს,
ნებას რომ არ აძლევს, ხმელეთის
გამყოფი სამანი მოშალოს,
და ამ მოვლენათა კავშირი
ურღვევად შეუკრავს სიყვარულს –
მიწის, წყლის და ზეცის მბრძანებელს
და თუ ის სადავეს მიუშვებს,
ყოველი, რაც კი მას განიცდის,
ერთმანეთს ომს გამოუცხადებს.
რაც ახლა ჰარმონიაშია
და აღძრავს მშვენიერ მექანიზმს –
იბრძოლებს, რომ იგი დაშალოს.
ის ადამიანებს აერთებს
და იჭერს ურღვევი კავშირით,
ცოლქმრული ერთობის სიმყარეს
უმანკო გრძნობებით ამტკიცებს,
ის თავის კანონებს კარნახობს

ერთგულ და მისანდობ მეგობრებს.
კაცნი ბედნიერნი არიან,
თუკი მათ სულებშიც მეუფებს
ზეცათა გამრიგე ამორი.

II

II.1. მას შემდეგ იგი მცირე ხნით დადუმდა და როცა თავისი კეთილგონივრული დუმილით ყურადღება მომაკრებინა, საუბარი ასე დაიწყო: «თუ სწორად ჩავსწვდი შენი სნეულების მიზეზებსა და ხასიათს, უწინდელი ბედკეთილობის სიყვარული და მონატრება უნდა

გაჭკნობდეს. მხოლოდ და მხოლოდ ბედის ცვლილებაა ის, რამაც, როგორც წარმოგიდგენია, შენი სული თავდაყირა დააყენა. ვცნობ იმ ურჩხულის ნაირგვარ ხრიკებს და მის ფარისევლურ მეგობრობას იმათთან, ვის მიტოვებასაც იზრახავს, სანამ თავს აუტანელ კაეშანს არ დაატეხს, როდესაც მოულოდნელად მიატოვებს. თუ გაიხსენებ ფორტუნას ბუნებას, ზნესა და დამსახურებას, მიხვდები, რომ მის ხელში ღირებულს არაფერს ფლობდი და არც არაფერი დაგიკარგავს. ვფიქრობ, დიდი ჯაფა არ უნდა დამჭირდეს იმისთვის, რომ ეს გაგახსენო. ვინაიდან მაშინაც კი, როცა შენ გვერდით იყო და გიღიმოდა, გჩვეოდა მკაცრი სიტყვებით გამკლავებოდი და თავს დასხმოდი ჩემი სავანის წიაღიდან გამოტანილი აზრებით. მაგრამ გარემოებათა არავითარი ცვლილება არ ხდება ისე, რომ რაიმე სულიერი ღელვა არ გამოიწვიოს. ამიტომ მოხდა, რომ შენც კი მცირედ გადაუხვიე შენი სიმშვიდისგან, მაგრამ დროა მიიღო და დააგემოვნო რაიმე საამური და მსუბუქი სამკურნალო საშუალება, რომელიც ღრმად რომ შეაღწევს, უფრო ძლიერმოქმედ წამლებს გაუხსნის გზას. მაშ, მოვუხმოთ ტკბილი რიტორიკის დამაჯერებლობას, რომლებსაც სწორი გზით მხოლოდ მაშინ მივყავართ, როცა ჩემს პრინციპებს არ ღალატობს და ჩემი ლარების მშობლიურ მუსიკას მიჰყვება ხან მსუბუქი, ხან მძიმე მელოდიით.

მაშ, რა არის, ადამიანო, ის, რამაც სევდასა და მწუხარებაში ჩაგაგდო? ვფიქრობ, იხილე რაღაც უჩვეულო და წარმოუდგენელი. მიიჩნევ, თითქოს ფორტუნამ შენ მიმართ დამოკიდებულება შეცვალა. ცდები: მისი ჩვევა, მისი ბუნება მუდამ ასეთია. შენს შემთხვევაშიც, იგი თავისი ცვალებადობის წყალობით უცვლელი დარჩა. მაშინაც ასეთივე იყო, როცა გიღიმოდა, როცა ყალბი ბედნიერების საცთურით გიზიდავდა. შენ ამ ბრმა ღვთაების ორსახოვნება აღმოაჩინე. რაც სხვებისთვის ჯერ კიდევ ფარულია, შენთვის სრულადაა გაცხადებული. თუ იწონებ, მისდიე მის ზნე-ჩვეულებას, ნუღარ დაიჩივლებ. ხოლო თუ მისი სივერაგე გზარავს, შეიზიზღე და განაგდე ის, ვინც დამანგრეველი თამაშით ერთობა. შენთვის ამოდენა მწუხარების მიზეზი სიხარულის მიზეზად უნდა იქცეს. მართლაც დაგტოვა მან, ვისი წასვლისგანაც არავინაა დაზღვეული. ნუთუ ღირებულად მიგაჩნია წარმავალი ბედნიერება? განა ძვირფასია შენთვის ფორტუნა, რომელიც, თუნდაც შენ გვერდით იყოს, მაინც არ მოგცემს დარჩენის იმედს და სევდას დაგიტოვებს, როცა დაგშორდება? თუ შეუძლებელია ვინმეს გადაწყვეტილება აკავებდეს, ხოლო ვისაც გაექცევა – აუბედურებს, მაშ რაა ეს სწრაფმავალი ფორტუნა, თუ არა სამომავლო უბედურების მომასწავებელი ნიშანი? არც იმის ცქერაა საკმარისი, რაც თვალწინაა. კეთილგონიერებამ ყოველივე არსებულის შედეგი უნდა გაზომოს; და სწორედ კარგისა და ცუდის მონაცვლეობა ხდის ნაკლებად საშიშს ფორტუნას მუქარას, ხოლო მის ალერსს – ნაკლებ მიმზიდველს. და ბოლოს, თუ ერთხელ უკვე მოუდრიკე ქედი ფორტუნას უღელს, საჭიროა მშვიდი სულით ბოლომდე აიტანო ყოველივე, რაც მის სამფლობელოში ხდება. მაგრამ თუ ისურვებ დაწერო კანონი, როდის გაუშვა ან როდის დატოვო ის, ვინც მბრძანებლად საკუთარი ნებით აირჩიე, განა უსამართლო არ იქნები, განა შენი მოუთმენლობით არ დაამძიმებ ხვედრს, რომლის შეცვლაც არ შეგიძლია? თუ აფრებს ქარიშხლებს მიანდობ, იძულებული იქნები, იქით წახვიდე, საითაც ქარი წაგიღებს და არა იქით, საითაც გსურს. როცა მარცვალს დათესავ ხნულში, უნაყოფო და მოსავლიანი წლები ერთმანეთს უნდა შეუდარო. თავი გადაეცი ფორტუნას მბრძანებლობას, საჭიროა მბრძანებლის წესებს დაემორჩილო. რატომ ცდილობ მისი ბორბლის მოძრაობა შეაკავო? ყველა მოკვდავ არსებაზე უგუნურო, თუ იგი უძრავად დარჩება, მაშინ ხომ შემთხვევითობაზე დამოკიდებულიც ვეღარ იქნება.

II. 1 (v). როდესაც იგი ბორბალს[34] აბრუნებს ამაყი მარჯვენით,
ვით ევრიპუსის[35] მღელვარე სრუტე – თავადაც ბორგავს,

მრისხანე მეფეთ რომ თელავს ფერხთქვეშ ასე დაუნდობლად
იგი, თვალთმაქცი, მიწაზე განრთხმულთ კვლავ ააყენებს.
და არ შეისმენს ბედკრულთა ოხვრას, არც ცრემლი ადარდებს,
მის სისასტიკეს ვინც შეეწირა, დასცინის მათაც.
ასე ერთობა, ძალმოსილებას ამგვარად ამტკიცებს
და მაშინ ავლენს საკუთარ სახეს, როს ერთდროულად
შეძლებს მოკვდავის ამაღლებას და კვლავ დამხობას.

II.2. მაგრამ მსურს თავად ფორტუნას სიტყვებით შეგეკამათო. შენ კი ყურადღება მიაქციე, სამართლიანია თუ არა მისი მოთხოვნები: «რად მადანაშაულებ, ადამიანო, გამუდმებით რატომ მდევნი შენი საჩივრით? რა შევცოდე შენ წინაშე? რა სიკეთე მოგტაცე? პატივისა და სიმდიდრის მფლობელობისთვის მედავე, რომელი სამართალითაც გსურს და თუ დაამტკიცებ, რომ მოკვდავი რომელიმე მათგანის მესაკუთრეა, ნებით გადმოგცემ, რასაც მოითხოვ, რომ დაგიბრუნდეს. როცა ბუნებამ წარმოგშვა დედის წიაღიდან შიშველი, ყოველგვარ ნივთიერ ქონებას მოკლებული, ხელში აგიყვანე, საკუთარი სიუხვით გაგანებივრე, რის გამოც ახლა ჩემ მიმართ სულსწრაფი გახდი, შენდამი კეთილგანწყობილმა სითბოთი და სიყვარულით გაგზარდე, რაც კი ჩემს განკარგულებაში სიმდიდრე და პატივი იყო, ყოველივე გარს მოგახვიე, ახლა კი მსურს, კვლავ ავიღო ხელი. მადლობელი ვიყავი, სხვისი საკუთრებით რომ სარგებლობდი, უფლება არ გაქვს იწუწუნო, თითქოს მართლაც შენ გეკუთვნოდა ის, რაც დაკარგე. მაშ, რატომ ოხრავ? შენ წინააღმდეგ არავითარი ძალა არ გამომიყენებია. სიმდიდრე, პატივი და სხვა მრავალი ჩემი მსახურნი არიან. მსახურები კი ცნობენ თავიანთ ქალბატონს. ისინი მოდიან ჩემთან ერთად და თან მიმყვებიან, როცა მივდივარ. თამამად ვამტკიცებ: შენი რომ ყოფილიყო ის, რისი დაკარგვის გამოც წუწუნებ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაკარგავდი. იქნებ მე, ერთადერთს, მეკრძალება საკუთარი უფლებებით ვისარგებლო? ზეცისთვის ნებადართულია წარმოშვას ნათელი დღე და კიდევაც ჩაბიროს იგი ბნელ ღამეში, წელიწადს შეუძლია მიწის იერი ყვავილებითა და ხეხილით შეამკოს და კიდევაც დაატეხოს თავს საავდრო ღრუბლები. ზღვას უფლება აქვს ხან გლუვი ზედაპირით მოგვეალერსოს, ხან შიშის ზარი დაგვცეს ქარიშხლითა და ზვირთებით. მხოლოდ მე რატომ უნდა მივეჯაჭვო ჩემი ზნისათვის უჩვეულო მუდმივობას ადამიანთა დაუკმაყოფილებელი სიხარბის გამო?! ესაა ჩემი ძალა, ამ თამაშს ვთამაშობ დაუსრულებლად – ვაბრუნებ ბორბალს და ვხარობ, როცა უმდაბლესი უმაღლესს ცვლის, ხოლო უმაღლესი – უმდაბლესს. შენც ამაღლდი, თუკი ასე გსურს, მაგრამ იმ პირობით, რომ დაცემას უსამართლოდ არ მიიჩნევ, როცა ჩემი თამაშის წესი ამას მოითხოვს. ნუთუ შენთვის უცნობი იყო ჩემი ზნე? არაფერი გსმენია ლიდიის მეფის კროისოსის[36] შესახებ, რომელიც უწინ კიროსსაც შიშის ზარს სცემდა, თუმცა შემდეგ მალევე გაუბედურდა და კოცონზე დაწვისგან ზეციდან მოვლენილმა წვიმამ დაიხსნა? დაგავიწყდა, როგორ კეთილშობილურად დაღვარა ცრემლი პაულუსმა[37], მის მიერ დატყვევებული მეფის, პერსევსის გამო და რისთვის ტირიან და მოთქვამენ ტრაგედიებში, თუ არა ფორტუნას მოულოდნელი დარტყმისთვის, სვებედნიერ სამეფოებსაც რომ ძირს დაამხობს ხოლმე? არასოდეს გისწავლია სიყმაწვილეში – δύο πίθους, τὸν μεν ‘ένα κακων, τὸν δε ‘έτερον εάων[38] – იუპიტერის სამყოფელში რომ დგას? იქნებ უფრო უხვად სიკეთის წილი გერგო? იქნებ ბოლომდე არ გაქციე ზურგი? იქნებ თავად ჩემი ცვალებადი ბუნება არის იმის საფუძველი, რომ უკეთესის იმედი გქონდეს? ამიტომ ნუ დაეცემი სულით, ნუ ესწრაფვი საკუთარი წესებით იცხოვრო, როცა ყველასთვის საერთო განმგებლობაში ხარ მოქცეული!

II. 2 (v). რამდენი ქვიშაც აქვს ზღვას ატაცებული,
როს ღელავს ქარიშხლის გამო,
ან ღამით რამდენი ვარსკვლავიც ელვარებს
უღრუბლო, მოწმენდილ ცაზე,
იმდენი ბარაქა რომ გადმოიღვაროს
უწყვეტად სიუხვის რქიდან[39] –
თვით ამ მიზეზითაც კი ჩივილს არ შეწყვეტს
კაცთა ეს ბედკრული მოდგმა.
თუნდაც შეისმინოს უფალმა ვედრება
და ოქრო გულუხვად გასცეს,
კიდევაც რომ უძღვნას გულხარბებს პატივი –
არად ჩანს, რაც უკვე ერგოთ,
როცა მიიღებენ, რასაც ესწრაფვოდნენ,
უძღებად ითხოვენ ახალს.
და, ნეტავ, თუ რამეს ძალუძს, რომ ალაგმოს
ეს თავაშვებული ლტოლვა:
როცა უხვად იღებს ძღვენს ვინმე და მაინც
შეძენის სურვილით იწვის;
ვინაც უპოვრობას უჩივის, მდიდარი
ვერასდროს იქნება იგი.

II.3. ამ სიტყვებით რომ ესაუბრა შენთან ფორტუნას საკუთარ თავზე, მართლაც, საწინააღმდეგოდ აღარაფერი გეთქმოდა. მაგრამ თუ არის რამე, შენს საჩივარში სამართლიანად რომ დაგეცვა, საჭიროა გამოთქვა. მე გითმობ ასპარეზს საუბრისათვის». მაშინ მე ვუპასუხე: «ეს სათქმელი მშვენიერია, გაჟღენთილია რიტორიკისა და მუსიკის სიტკბოებით. თუმცა მხოლოდ მაშინ ატკბობს, როცა უსმენ, მაგრამ უიღბლონი უფრო ღრმად განიცდიან უბედურებას. ამგვარად, როცა იგი შეწყვეტს ჟღერას, სულს კვლავ დაამძიმებს შინაგანი სევდა». მან თქვა: «სწორედ ასეა და ეს ჯერ კიდევ არ არის შენი სნეულების სალბუნი, არამედ აქამდე უკურნებელი მწუხარების რაღაც შემამსუბუქებელი საშუალებაა. როცა დრო მოვა, მე მივმართავ უფრო ძლიერმოქმედ წამალს, ოღონდ შენ თუ არ მოინდომებ, თავი უბედურად მიიჩნიო. იქნებ დაგავიწყდა შენი ბედნიერების ზომა და ხანგრძლივობა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ, როცა მშობლები დაკარგე, შენზე ზრუნვა უდიდესმა ადამიანებმა ითავეს და შეგარჩიეს სახელმწიფოს პირველ პირთა მიერ ქორწინებით დასამოყვრებლად. სანამ ახლობელი გახდებოდი, მანამ იყავი მათთვის ძვირფასი, რაც ყოველგვარ ნათესაობაზე აღმატებულია. ვინ არ მიგიჩნევდა შენ ბედნიერად, როცა ასეთი დიდებული სიდედრ-სიმამრი, პატივსაცემი მეუღლე და ღირსეული ვაჟიშვილები გყავს? აჯობებს, გამოვტოვო ზოგიერთი რამ, ამიტომ გვერდს ავუვლი იმ თანამდებობების ჩამოთვლას, რომლებიც ახალგაზრდობაში მიიღე და რომლებზეც უარი უთხრეს ხანდაზმულებსაც კი. მსურს მხოლოდ შენი კუთვნილი ბედნიერების მწვერვალთან მივიდე. თუკი წარმავალ სიამეში არის რაიმე ნეტარებისეული ფასეულობა, მაშინ განა შეუძლია შენს თავს დამტყდარ თუნდაც ურიცხვ უბედურებას გადაწონოს იმ ერთი დღის ხსოვნა, როცა იხილე კონსულთა თანამდებობებზე ერთდროულად არჩეული შენი ორივე შვილი თუ როგორ გამოვიდა სახლიდან და გაემართა საზეიმო სვლით კურიისაკენ[40] პატრიცთა თანხლებითა და აღტაცებული პლებსით გარემოცული, როცა კურიის სავარძლებში მოკალათებულ შვილთა წინაშე წარმოთქვი სიტყვა და ხოტბა შეასხი სამეფო ძალაუფლებას, დაიმსახურე პატივი შენი ნიჭისა და მჭევრმეტყველებისათვის, როცა

ცირკში ორ კონსულს შორის მყოფმა გარსმოჯარული ხალხის მოლოდინი ტრიუმფალური სიუხვით დააკმაყოფილე. ვფიქრობ, ეპირფერებოდი ფორტუნას, სანამ იგი გეალერსებოდა, სანამ განებივრებდა, როგორც მისთვის ძვირფასს. ასეთი საჩუქრით, შენ რომ გებოძა, მანამდე არც ერთი პიროვნება არ დაუჯილდოვებია. ხომ არ გსურს, ფორტუნას ანგარიში გაუსწორო? აკი პირველად ახლა შემოგხედა მან შურის თვალით? თუ შეადარებ ბედნიერებისა და უბედურების ზომას და ხანგრძლივობას, ვერ შეძლებ უარყო, რომ აქამდე ბედნიერი იყავი. თუ იმ მიზეზით არ მიიჩნევ თავს ბედნიერად, რომ, რაც მაშინ სასიხარულო ჩანდა – წავიდა, მაშინ არ გაქვს მიზეზი, თავი უბედურად მიიჩნიო, ვინაიდან ისიც წავა, რასაც ახლა მიიჩნევ უბედურებად. ნუთუ ცხოვრების ასპარეზზე პირველად გახვედი უმეცარი და მოუმზადებელი? იქნებ ფიქრობ, რომ კაცთ საზრუნავში არის მუდმივობა, მაშინ, როცა თავად ადამიანს მოულოდნელი წამი ხშირად ანადგურებს? იშვიათია სწრაფწარმავალი ფორტუნას დარჩენის იმედი, ხოლო სიცოცხლის უკანასკნელი დღე ფორტუნას, თუნდაც ხანიერის, ერთგვარი სიკვდილიცაა. მაშ, როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობა აქვს: შენ ტოვებ მას გარდაცვალებით, თუ ის გტოვებს შენგან წასვლით?

II. 3. (v). როცა ვარდისფერი ეტლიდან ფებუსი
სხივთა მიმოფანტვას დაიწყებს ცარგვალზე,
ვარსკვლავებს დაჩრდილავს მისი ელვარება,
მათ მიმქრალ სახეებს სულ გააფერმკრთალებს.
როცა ზეფიროსის სუნთქვით განათბობი
ტყე საგაზაფხულოდ ირთვება ვარდებით,
მძლავრად დაუბერავს ნოტიო ავსტერი,
გააქრობს სიტურფეს, დარჩება ეკლები.
ზოგჯერ წყნარ ამინდში ბრწყინავს და ლიცლიცებს
მშვიდი ზღვა თავისი მთვლემარე ტალღებით,
ზოგჯერ აღელდება და ფაფარს აიშლის,
როდესაც აკვილო ქარიშხლებს აღაგზნებს.
თუ ასე ხშირია ამქვეყნად ცვლილება,
სამყაროს თუ არ აქვს მუდმივი იერი,
მსხვრევად ბედს კაცისას როგორღა ენდობი,
წარმავალ სიკეთეს, მაშ, როგორ ირწმუნებ,
ურღვევი წესი აქვს ბუნებას ასეთი –
ქვეყნად არაფერი არ რჩება უცვლელი.

II.4. მაშინ მე მივუგე: «ყოველგვარ სათნოებათა მოძღვარო, ჭეშმარიტება აღნიშნე და არ შემიძლია, უარვყო ჩემი წინსვლა და უსწრაფესი აღმავლობა, მაგრამ ეს არის, რომ მოგონებები მწარედ მტანჯავს. თურმე ის, რომ ოდესღაც ბედნიერება გამოგიცდია, ფორტუნას ავბედითობათა შორის ყველაზე აუტანელი ყოფილა». «მაგრამ,» – თქვა მან, – «რადგან თავადაც მცდარი აზრებისათვის ისჯები, არ შეგიძლია სამართლიანად განსაჯო ვითარება. თუ შენ ასე გაღელვებს შემთხვევითი ბედნიერების ეს მოჩვენებითი სახელი, გიჯობს, ჩემთან ერთად გააანალიზო, რამდენად უხვი და დიდია შენი ბედნიერების წყარო, თუ ფორტუნას მიერ მონიჭებულ ძღვენთა შორის შენ ფლობდი ყველაზე ღირებულს და ღვთის ნებით ის დღემდე უვნებელი შემოგრჩა, განა სამართლიანი იქნება შენი წუწუნი უიღბლობის გამო, როცა ყოველივე საუკეთესო შეინარჩუნე? ჯერ ერთი, ცოცხალი და უვნებელია შენი სიმამრი სიმაქსი – კაცთა მოდგმის უძვირფასესი საუნჯე, რომლისთვისაც დაუნანებლად გაიღებდი

სიცოცხლეს. ცოცხალია შენი მეუღლეც, ბუნებით თავმდაბალი, მოკრძალებით და ზნეობით გამორჩეული და მთელი მისი ღირსებები მოკლედ რომ აღვნიშნოთ – მამის მსგავსი. ის ცოცხალია, ვიმეორებ, მხოლოდ შენთვის არსებობს სიცოცხლემოძულებული. მხოლოდ ერთი რამ აკნინებს შენს ბედნიერებას, ამაში მეც გეთანხმები: ის, რომ შენი მონატრების გამო ცრემლითა და სევდით ჭკნება. რაღა უნდა ვთქვა შენს შვილებზე, კონსულარებზე, რომლებშიც უკვე ყმაწყვილობის ასაკში გამოვლინდა მამისა და პაპის ნიჭიერება. თუკი მოკვდავთათვის უმთავრესი საზრუნავი სიცოცხლის შენარჩუნებაა, მაშინ რამდენად ბედნიერი ხარ, თუკი შეიცნობ შენს წყალობას, რომელიც უდაოდ სიცოცხლეზე ძვირფასია და რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ გაქვს. ამიტომ შეიშრე ცრემლი! ქარტეხილი, თავს რომ დაგატყდა, შენთვის არც ისე ძლიერია, რადგან მტკიცედ გიჭერენ ღუზები, რომლებიც აწმყოში ნუგეშის, ხოლო მომავალში იმედის არქონას აიტანენ.»

და მე ვთქვი: «ნეტავ, მართლა მიჭერდნენ, ამას ვნატრობ. რაც არ უნდა მომხდარიყო, ნაპირს გავაღწევდი, თუკი მათ შევინარჩუნებდი, მაგრამ შენც ხედავ, როგორ დამტოვა ჩემმა ბრწყინვალებამ.» და მან მითხრა: «რამდენადმე წინ წავწეულვართ, თუკი საკუთარი ხვედრით ბოლომდე უკმაყოფილო აღარ ხარ. მაგრამ შენს ჭირვეულობას ვეღარ ავიტან, სანამ ასე დამწუხრებული და შეშფოთებული წუწუნებ, რომ შენს ბედნიერებას რაღაც აკლია. მაგრამ ვისი ბედნიერებაა ისე სრულყოფილი, რომ თავის ცხოვრებას რაიმეზე არ უჩიოდეს? შემაშფოთებელი რამაა ადამიანთა კეთილდღეობა: იგი ან არასოდეს გვაჩვენებს სრულყოფილ სახეს, ან მუდმივად არასოდეს ჩერდება. ერთს ქონება თავზე საყრელად აქვს, მაგრამ მდაბიური წარმომავლობა ერცხვინება, მეორე ცნობილია თავისი წარმომავლობით, მაგრამ ქონების სიმცირის გამო შებოჭილი მდაბიოდ ყოფნას ამჯობინებს. მესამეს მიმადლებული აქვს ორივე, მაგრამ დაუოჯახებელია და ამის გამო თავის ბედს დასტირის. ზოგი ქორწინებაშიც ბედნიერია, მაგრამ შვილებს მოკლებული, უცხო მემკვიდრეს უგროვებს ქონებას. ზოგი კი, შთამომავლობით გაბედნიერებული, მაინც მწარე ცრემლებს ღვრის ძისა თუ ასულის შეცდომათათვის. ამიტომ ბოლომდე არავინ ემადლიერება ფორტუნას თავისი ხვედრის გამო. ასე, რომ თითოეულ შემთხვევაში არის ის, რაც გამოუცდელმა არ იცის, ხოლო გამოცდილს თავზარს სცემს. ამაც ისიც დაუმატე, რომ ყველაზე ბედნიერ ადამიანთა გრძნობა ადვილად მოწყვლადია, შეიძლება ადვილად შეილახოს და თუ ასეთ ადამიანს ყველაფერი არ ექნა სურვილის ასასრულებლად, მცირე დაბრკოლებაც კი გატეხს ყოველგვარ წინააღმდეგობას მიუჩვეველს. ძალზე ცოტა რამაა საჭირო მათი სრულყოფილი ბედნიერების შესარყევად. როგორ ფიქრობ, რამდენი ადამიანი მიიჩნევდა თავს მეცხრე ცაზე, შენი ბედნიერების ნაშთის თვით უმცირესი ნაწილიც რომ რგებოდა? სწორედ ეს ადგილი, შენ რომ განდევნის ადგილად მოიხსენიებ, სამშობლოა აქ მობინადრეთათვის. აქ საუბედურო არაფერია, თუ თავად არ ფიქრობ ასე. პირიქით, ნეტარია მისი ხვედრი, ვინც ყოველივეს სულიერი სიმშვიდით დაითმენს. ვინ არის ისე ბედნიერი, რომ თავისი მდგომარეობის შეცვლას არ ისურვებს, თუკი მოუთმენელი ფორტუნა მასზე ხელს აიღებს? რამდენი სიმწარე აქვს შერეული ადამიანური ბედნიერების სიტკბოებას? და თუმცა ფორტუნას სიამენი სანეტაროდ მოჩანს, როცა წასვლას დააპირებს, მისი შეკავება შეუძლებელია. აშკარაა, თუ რაოდენ უბადრუკია წარმავალი ნეტარება, რომელიც არც სულიერად მშვიდ ადამიანებს უჩერდება სამუდამოდ და არც მოუსვენართ აძლევს ბოლომდე ტკბობის საშუალებას.

მაშ, მოკვდავებო, რად დაეძებთ ბედნიერებას თქვენ მიღმა, როცა იგი თავად თქვენშია? შეცდომამ და უმეცრებამ გზა აგირიათ. მე მოკლედ გიჩვენებ უმაღლესი ბედნიერების არსს. განა არის შენთვის რამე საკუთარ თავზე ძვირფასი? მიპასუხებ, რომ არა. მაშ, საკუთარი თავის

პატრონი რომ იყო, შენი იქნებოდა ის, რისი ხელიდან გაშვებასაც არ ისურვებდი და ვერც ფორტუნა შეძლებდა მის წართმევას. ეს რომ გაიგო, ასე განსაჯე: ბედნიერება არ შეიძლება მიეჯაჭვოს შემთხვევით საგნებს. თუ ბედნიერება არის უმაღლესი სიკეთე იმ ბუნებისა, რომელსაც გონი წარმართავს, ამასთანავე უზენაეს ბედნიერებად არ შეიძლება მივიჩნიოთ ის, რისი წართმევაც რაიმე საშუალებითაა შესაძლებელი, ვინაიდან აღმატებული ისაა, რასაც ვერ მოიტაცებ, ცხადია, რომ ფორტუნას ცვალებადი ბუნება ბედნიერებას ვერც კი მიუახლოვდება. მეტსაც გეტყვი: მან, ვისაც წარმავალი ბედნიერება იტაცებს, ან უწყის, რომ იგი ცვალებადია, ან არ უწყის. თუკი არ უწყის, მაშინ რა ბედნიერება შეიძლება იყოს სიმბრმავესა და უმეცრებაში? ხოლო თუ უწყის, მაშინ უდავოდ ეშინია, რომ დაკარგავს მას, რის დაკარგვაშიც ეჭვი არ ეპარება. ამგვარად, მუდმივი შიში არ აძლევს საშუალებას, იყოს ბედნიერი. იქნებ, რასაც დაკარგავს, ღირებულად არ მიიჩნიოს? მაგრამ ნამდვილად უმნიშვნელოა ის სიკეთე, რისი დაკარგვაც შეიძლება გულგრილად აიტანო. ვიცი, რომ ვინაიდან ხარ ისევ ის, ვინც მრავალი მტკიცებულებით ღრმადაა დარწმუნებული, რომ ადამიანის სული არავითარ შემთხვევაში მოკვდავი არაა, ამიტომაც შენთვის ნათელი უნდა იყოს ის, რომ წარმავალი ბედნიერება სხეულის მოკვდავობით არის შეზღუდული, ვერც იმაში დაეჭვდები, რომ თუ სიკვდილი თან წაიღებს ბედნიერებას, მაშინ ადამიანის მთელი მოდგმა უბედურებაში ჩაიძირება, როცა სიკვდილის ზღვარს მიღმა აღმოჩნდება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ნეტარების სიტკბოს მრავალი ეძებდა არა მხოლოდ სიკვდილით, არამედ ტანჯვითა და წამებითაც. მაშ, როგორ გააბედნიერებდა ამგვარი სიცოცხლე, თუკი მისმა დასასრულმა ისინი უბედურად არ აქცია?

II. 4. (v). ვინაც ისურვებს წინდახედულად
ააგოს მტკიცე თავშესაფარი,
სადაც ის შეძლებს მძვინვარე ევრუსს[41]
ზათქით მოვარდნილს ურყევად დახვდეს,
სადაც იურვებს, აზვირთებული
ზღვის ტალღები რომ უკუაქციოს,
უნდა უარყოს მთის მწვერვალები,
უნდა ერიდოს ნესტიან ქვიშას,
რადგან მწვერვალებს გამძვინვარებით
უტევს ავსტერი გალაღებული,
ხოლო უაროზს ფხვიერი ქვიშა
გაუძლოს მასზე დადგმულ სიმძიმეს.
ამიტომ ხიფათს რომ განერიდო
შენთვის სასურველ თავშესაფარში,
საცხოვრებელი რომ მომცრო კლდეზე
უნდა ააგო – დაიმახსოვრე.
თუნდ დაუბეროს მაშინ გრიგალმა
და ააღელვოს ზღვის ზედაპირი,
როცა უსაფრთხო ადგილზე სახლობ,
გიცავს ბედნიერს შენი სიმაგრე,
განლევ ცხოვრების წლებს უშფოთველად,
და ცის რისხვასაც არად მიიჩნევ.

II.5. მაგრამ ვინაიდან შენში უკვე შეაღწია ჩემი სიბრძნის ელექსირმა, ვფიქრობ ცოტა უფრო ძლიერმოქმედ საშუალებას მივმართო. მაშ ასე, ფორტუნას წყალობანი რომც არ იყოს

წარმავალი და დროებითი, რა არის მათში ისეთი, რაც შესაძლოა ოდესმე შენი საკუთრება გახდეს, ან დაკვირვებისა და გაანალიზების შემდეგ არ გაუფასურდეს. ოქრო ღირებულია იმიტომ, რომ თქვენია, თუ მისი ბუნებაა ასეთი? მაინც რომელი უფრო მნიშვნელოვანია: ოქრო, თუ ნაგროვები ფულის ძალა? მაგრამ იგი გაცემისას უფრო თვალისმომჭრელია, ვიდრე დაგროვებისას. თუ სიხარბე მუდამ საძულველად აქცევს ადამიანს, გულუხვობა განადიდებს. თუმცა შეუძლებელია ერთმა შეინარჩუნოს ის, რასაც მეორეს გადასცემს, მაგრამ ფულს ხომ მაშინ აქვს ფასი, როცა სხვისთვის გულუხვად ბოძებული უკვე შენი საკუთრება აღარაა. და თუ მთელი ფული ერთი ადამიანის ხელში მოიყრის თავს, სხვებს გააღარიბებს. ხმა სრულად ავსებს ყველა სასმენელს, ხოლო თქვენს სიმდიდრეს არ ძალუძს წილად ხვდეს მრავალს, თუ არ დანაწევრდა. მაგრამ როცა ასე მოხდება, თავად ის ადამიანები გახდებიან უცილობლად უპოვარნი, რომელთაც იგი მიატოვებს. მაშ რა უბადრუკი და უმნიშვნელოა ის სიმდიდრე, რომელსაც სრულად ვერ ფლობს ადამიანი და რომელსაც არა აქვს უნარი ისე ეკუთვნოდეს ერთს, რომ სხვები არ გააღარიბოს! ხომ თვალისმომჭრელია ძვირფასი თვლების ელვარება? მაგრამ თუ რამე ღირსება გააჩნია ამ ბრწყინვალებას, იგი ეკუთვნის ქვებს და არა ადამიანს. ძალზე მაოცებს, რა აღაფრთოვანებთ მათში ადამიანებს. როგორ შეიძლება ცოცხალი და გონიერი არსებისათვის ჭეშმარიტად მიმზიდველი ჩანდეს ის, რაც უსულოა და უმოძრაო. თუმცა, უფლის შემოქმედებისა და საკუთარი გამორჩეულობის წყალობით, იძენენ რაღაც უმნიშვნელო სილამაზეს, თქვენს ბრწყინვალებას მაინც ჩამოუვარდებიან და თქვენს აღტაცებას ვერასგზით იმსახურებენ.

ხომ გხიბლავთ ბუნების სიტურფე? რატომაც არა: ის ხომ უმშვენიერესი ქმნილების მშვენიერი ნაწილია. ზოგჯერ მშვიდი ზღვის ხილვა გვახარებს, ასევე – ზეცა, ვარსკვლავები, მზე და მთვარე აღგვაფრთოვანებს. განა გეკუთვნის რომელიმე მათგანი? გაბედავ დაიტრაბახო რომელიმე მათგანის ბრწყინვალებით? განა შენ იკაზმები გაზაფხულის ყვავილებით? ან შენი ბარაქაა, ზაფხულისას ხილთან ერთად რომ მწიფდება? რატომ გიპყრობს ფუჭი სიხარული? რად ეპოტინები გარეგან სიკეთეს, როგორც საკუთარს? ფორტუნა არასოდეს გარგუნებს იმას, რაც ბუნებამ შენგან უცხო საგნებს მიაკუთვნა. მიწის ნაყოფმა უდაოდ ცოცხალი არსებები უნდა ასაზრდოოს. მაგრამ თუ ისურვებ მოთხოვნილება იმით დაიკმაყოფილო, რასაც ბუნება სჯერდება, ფორტუნას სიუხვე სრულიადაც არაა საჭირო. ძალზე მცირეა საკმარისი ბუნებისათვის. და თუ მოინდომებ საკმარისს გადაჭარბებული დაურთო, შენ მიერ მიმატებული ან უსიამო იქნება, ან საზიანო.

იქნებ კვლავ ფიქრობ, რომ კარგია, როცა მრავალფეროვანი სამოსით გამოირჩევი? თუმცა ისინი საცქერლად საამოა, მე ან ქსოვილის ხარისხი აღმაფრთოვანებს, ან მკერავის ოსტატობა. იქნებ მსახურთა გრძელი რიგი გაგაბედნიერებს? მაგრამ თუ უზნეონი არიან, სახლისთვის სახიფათო ტვირთად იქცევიან, ხოლო მათი ბატონისთვის – დიდ საშიშროებად. მაგრამ თუ კეთილსინდისიერნი არიან, მაშინ შენს სიმდიდრეში სხვათა ღირსება როგორ ჩაითვლება?

ნათლად გამოჩნდა, რომ იმათგან, რასაც შენს სიქველედ მიიჩნევდი, არაფერი არ გეკუთვნის. თუ მათში სასურველი მშვენიერებიდან არაფერია, მაშ რაღამ უნდა დაგამწუხროს მათი დაკარგვისას ან გაგახაროს შენარჩუნებისას. თუ ისინი ბუნებით მშვენიერნი არიან, შენ ეს რას მოგცემს? ისინი ხომ შენი სიმდიდრისგან განცალკევებით თავისთავადაც მოგხიბლავდა? და არც იმის გამო არიან ძვირფასნი, რომ შენს ქონებას ამკობენ, არამედ ძვირფასნი ვინაიდან ჩანან, ამიტომ ირიცხებიან შენს სიმდიდრეში.

მაგრამ ასე ხმამაღლა რას მოითხოვთ ფორტუნასაგან? დარწმუნებული ვარ, გინდათ სიუხვის მეშვეობით მოთხოვნილება განირიდოთ. მაგრამ საპირისპიროდ გამოგდით. დიახაც, ურიცხვი დამხმარე საშუალებაა საჭირო მრავალფეროვან ძვირფას ნივთთა დასაცავად. და ისიც სიმართლეა, რომ ბევრი სჭირდება მას, ვინც ბევრს ფლობს და, საპირისპიროდ, ძალზე მცირე – ვინც ზომავს თავის დოვლათს ბუნებრივი საჭიროებით და არა გადაჭარბებული სიუხვით. განა საკუთარი შინაგანი სიკეთე არ გაგაჩნიათ, ამ თქვენს სიკეთეს გარეგან და შორეულ საგნებში რომ ეძებთ? განა ისეა შეცვლილი სამყაროს წესი, რომ ის, ვინც ღვთაებრიობასთან არის წილნაყარი თავისი გონების მეშვეობით, უსულო სამკაულების გარეშე მოკლებული იქნებოდა ბრწყინვალებას?

ყველა დანარჩენი კმაყოფილია თავისი ხვედრით, თქვენ კი, გონებით ღმერთის მსგავსნი, ესწრაფვით ბრწყინვალე ბუნება უსულო საგნებით შეიმკოთ. განა ვერ ხედავთ, რა უსამართლოდ ექცევით შემოქმედს? მან ისურვა, ადამიანთა მოდგმა ყოველგვარ მიწიერებაზე აღმატებული ყოფილიყო. თქვენ კი საკუთარი ღირსებები უმდაბლეს საგნებზე დაბლა დაამხეთ. თუ ცნობილია, რომ ვინმეს სიკეთე უფრო ძვირფასია მასზე, ვისი საკუთრებაცაა, მაშინ თუ უმდაბლესი საგნები თქვენი ქონებაა, თავად თქვენ, საკუთარი განსჯით მათზე დაბლა აყენებთ – რაც სრულიადაც არაა უსამართლო. ადამიანის ბუნება მართლაც ისეთია, რომ სხვა ქმნილებებზე უკეთესი მაშინაა, როცა თავს შეიცნობს, ხოლო როცა აღარ ეცოდინება, თუ ვინაა იგი, მაშინ მხეცებზე მეტად დამდაბლდება. სხვა ცოცხალი არსებებისთვის საკუთარი თავის შეუცნობლობა ბუნებრივია, ადამიანთათვის კი მანკიერებაა. რამდენად დაგაშორათ თქვენ თავს შეცდომამ, რადგანაც ფიქრობთ, რომ თითქოს რაიმე მოსართავს შეუძლია თქვენი გამშვენიერება? ეს შეუძლებელია. თუ რაიმე ბრწყინვალეა მოსაკაზმის წყალობით, ქებას თავად სამკაული იმსახურებს, ვინაიდან ის, რასაც იგი ფარავს, თავის უსახურებას არანაკლებ ინარჩუნებს. მე კი უარვყოფ, რომ სიკეთედ შეიძლება მივიჩნიოთ ის, რაც მფლობელს აზიანებს. ხომ არ ვცდები? არანაირად – მიპასუხებ. მაგრამ სიმდიდრე ძალზე ხშირად ვნებს მფლობელებს, ვინაიდან ვინმე უღირსი და სხვის ქონებას მეტად დახარბებული მიიჩნევს, რომ მხოლოდ ის ერთადერთი იმსახურებს ფლობდეს, რაც კი რამ ოქრო და ძვირფასი ქვაა. მაშ შენ, ვინც ახლა შუბისა და მახვილის შიშით ხარ შეპყრობილი, თუკი გზას, ვითარცა უპოვარი მგზავრი, გაუყვებოდი, ხომ დასცინებდი შემხვედრ ყაჩაღებს? ო, მოკვდავთა სიმდიდრის ბრწყინვალებავ! როცა მას შეიძენ, თავს უსაფრთხოდ ვეღარ იგრძნობ.

II. 5. (v). მეტად ბედნიერ უძველეს ხანას[42],
სანდო ნათესებს რომ სჯერდებოდა,
ფუჭი სიმდიდრე ვერარას ვნებდა
და შეჩვეულნი იყვნენ ყველანი
რკოთი[43] მოეკლათ შიმშილი იმ დროს.
არვინ უწყოდა ბახუსის ძღვენი
და არც სითხეში თაფლის გარევა[44],
მაშინ მზზინვარე ჩინურ აბრეშუმს
ტირას საღებავს არვინ ურევდა.[45]
ბალახზე წოლა ჯანსაღ ძილს ჰგვრიდათ,
წყურვილს უკლავდათ სწრაფი რუები,
ჩრდილს იძლეოდა მაღალი ფიჭვი.
ჯერ არც ღრმა ზღვები გადაელახათ,
ყოველი მხრიდან ზიდული ნივთით

არ მისდგომოდნენ უცხო ნაპირებს.
მაშინ საბრძოლო საყვირიც დუმდა,
გამძვინვარებით და სიძულვილით
დაღვრილი სისხლი არ რწყავდა ველებს.
პირველად რისთვის ისურვეს, ნეტავ,
იარაღისთვის რომ მიემართათ,
როცა ჭრილობაც არსად ენახათ,
არც საფასური დაღვრილი სისხლის?
შეიძლებოდეს, ნეტავ, ჩვენი დროც
ძველ ჩვეულებებს რომ დაუბრუნდეს.
მაგრამ გიზგიზებს ვნება მოხვეჭის
ეტნას[46] ცეცხლებზე უფრო მგზნებარედ.
ვაჰმე, ვინ იყო ის, ვინც პირველად
ფარული ოქროს უხვი მარაგი,
ძვირფასი თვლებიც, მალვის მსურველნი,
რომ მოიპოვა დიდ განსაცდელად?

II.6. მაშ, რაღა ვთქვა საპატიო თანამდებობებსა და ძალაუფლებაზე, რომლებსაც თქვენ, ვინც ჭეშმარიტი ღირსება და ძალაუფლება არ უწყით, ცამდე აღამაღლებთ? რა ეტნიდან ამოფრქვეული ცეცხლი, რა წყალდიდობა გამოიწვევს ისეთ ნგრევას, როგორსაც ესენი, თუ მეტად უღირს ადამიანებს ჩაუვარდათ ხელში? ვფიქრობ, დანამდვილებით გახსოვს, რომ თქვენი წინაპრები მოწადინებულნი იყვნენ კონსულთა მედიდურობის გამო დაემხოთ მათი ძალაუფლება, რამაც საფუძველი ჩაუყარა თავისუფლებას,. უფრო ადრე კი იმავე მედიდურობის მიზეზით, სახელმწიფოდან მეფის ხსენებაც მოსპეს.[47] თუკი თანამდებობა და ძალაუფლება ღირსეულ ადამიანებს გადაეცემათ, რაც ძალზე იშვიათია, სხვამ რამ შეიძლება მოგვხიბლოს, თუ არა მათ მფლობელთა წესიერებამ? ასე, რომ სიქველეს ფასი ედება არა თანამდებობის გამო, არამედ თანამდებობას სიქველის გამო. მაშ, რას წარმოადგენს ეგ თქვენთვის საწადელი და ბრწყინვალე ძალაუფლება? განა არ უფიქრდებით იმას, მიწიერო არსებანო, ვინ ვისზე მბრძანებლობს? ახლა რომ ხედავდეთ, თუ როგორ მოითხოვს თაგვებს შორის ერთი დანარჩენებზე კანონიერად ბატონობის უფლებას, როგორ გულიანად გაიცინებდით! ახლა თუ ადამიანის სხეულსაც დავაკვირდებით, რა შეიძლება მოიძებნოს უფრო უძლური, ვიდრე ის, რასაც ხშირად ღუპავს ციცქნა მწერის ნაკბენი ან შეღწევა ფარულ შინაგან ორგანოებში? ვის შეუძლია თავისი უფლება სხვაზე გაავრცელოს, გარდა მხოლოდ საკუთარი სხეულისა და იმისა, რაც კიდევ უფრო დაბლაა სხეულზე – მის ბედს ვგულისხმობ. განა თავისუფალ გონებას რაიმეს აიძულებ? განა თავისი მშვიდი მდგომარეობიდან გამოიყვან გონებას, თუკი განსჯითაა განმტკიცებული? ერთხელ, როცა ტირანმა იფიქრა, რომ თავისუფალ ადამიანს წამებით აიძულებდა გაეცა მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილენი, ამ ადამიანმა ენა მოიკვნიტა და სასტიკ ტირანს სახეში მიაფურთხა.[48] ამგვარად წამება, რომელიც ტირანს სისასტიკის იარაღად მიაჩნდა, ბრძენკაცმა სიქველის იარაღად აქცია.

განა არის რამე, რაც შეიძლება მავანმა ვინმეს გაუკეთოს და შეუძლებელია იგივე სხვისგან დაითმინოს? გვსმენია, რომ ბუსირისი[49], სტუმრების დახოცვა რომ ჩვეოდა, თავადაც სტუმრის, ჰერკულესის ხელით მოკვდა. რეგულუსმა[50] მრავალი ჰუნი ტყვე ჩაიგდო ხელთ ბრძოლისას, მაგრამ მალევე თავადაც მოუხდა გამარჯვებულთა ბორკილებისთვის გაეწვდინა ხელი. ხომ არ ფიქრობ, რომ ადამიანი ფლობს რაღაც ძალას და რაც შეუძლია სხვებს

დამართოს, სხვა იმავეს ვერ დამართებს? ამას დაუმატე ისიც, რომ თავად თანამდებობასა თუ ძალაუფლებას რომ გააჩნდეს რაიმე ბუნებრივი შინაგანი სიკეთე, ხელში არასდროს ჩაუვარდებოდა უმდაბლეს ადამიანებს. ვინაიდან საპირისპირონი ჩვეულნი არ არიან ერთმანეთს შეერწყან. ბუნება უაროობს, რომ ურთიერთსაწინააღმდეგონი შეერთდნენ. ამგვარად, ვინაიდან უდავოა, რომ თანამდებობებს უმეტესწილად უმდაბლესი ადამიანები იკავებენ, ისიც ნათელია, რომ ეს თანამდებობები ღირსებას მოკლებულია, რამდენადაც მდაბალთ ეძლევათ მათი ფლობის საშუალება. ეს თანაბრად შეიძლება ითქვას ფორტუნას ყოველგვარ ძღვენზე, რასაც უღირსი ადამიანებიც უხვად იღებენ. ამის შესახებ შეიძლება ამგვარადაც განვსაჯოთ; არავინ დაობს, რომ მამაცია ის, ვისშიც სიმამაცე შეიმჩნევა და ცხადია, რომ სწრაფია, ვისაც თანდაყოლილი აქვს სისწრაფე. ასევე აქცევს მუსიკოსად ადამიანს მუსიკა, მედიკოსად – მედიცინა, ორატორად – რიტორიკა. თითოეულის ბუნება იმას აკეთებს, რაც მისთვის ნიშანდობლივია. მას საწინააღმდეგოთა ზემოქმედება ვერ ჩაითრევს, უფრო მეტიც, იგი განირიდებს, რაც საწინააღმდეგოა.

მაგრამ ვერც სიმდიდრე დააკმაყოფილებს უძღებ სიხარბეს, ვერც ძალაუფლებით გახდება ადამიანი საკუთარი თავის პატრონი, თუ იგი მანკიერ ვნებათა უწყვეტი ჯაჭვითაა შებოჭილი, ხოლო უღირსთათვის ბოძებული წოდება მათ არა თუ ღირსებას არ შესძენს, არამედ მათ უზნეობას კიდევ უფრო განაცხადებს და გამოააშკარავებს. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ გიყვართ საგნები მცდარი სახელით მოიხსენიოთ, როცა ისინი სრულიად სხვა რამეს წარმოადგენენ. მაგრამ მათი ნამოქმედარი ამ სიმცდარეს ააშკარავებს. ამგვარად, არც სიმდიდრეს, არც ძალაუფლებას, არც თანამდებობას არ შეიძლება სამართლიანად ვუწოდოთ ეს სახელები. და, ბოლოს, იგივე შეგვიძლია დავასკვნათ სრულიად ფორტუნას შესახებ, რომელშიც არაფერია მისწრაფების ღირსი, იგი ცხადია, არც ბუნებრივ სიკეთეს შეიცავს, რადგან მუდამ კეთილ ადამიანებს ვერ უერთდება და ვისაც უერთდება, ვერც მას აკეთილშობილებს.

II. 6.(v). რამდენი ნგრევა მოიტანა, ყველას გვსმენია:
გადაწვა რომი[51], შეიწირა სენატორები,
ვინაც ოდესღაც სასიკვდილოდ ძმა გაიმეტა
და დედის სისხლით შეიღება ვინაც ხელები; –
მან გაციებულ ცხედარს მზერა ისე შეავლო,
რომ ცრემლებს სახე მწუხარებით არ დაუნამავს,
მისი მიმქრალი სილამაზე განსაჯა მხოლოდ.
მაგრამ იმ ხალხებს განაგებდა, რომლებსაც უცქერს
მზე იმ დროიდან, რაც ამოდის აღმოსავლეთით,
თავის სხივკონებს ზღვის ტალღებში ვიდრე ჩაძირავს.
რომელთ გვირგვინად თავზე ადგას შვიდი მნათობი
და მათაც, ვისაც წვავს და დაგავს ცხელი ნოტუსი[52],
რომელსაც ძალუძს მხურვალებით ქვიშა დაადნოს.
მაგრამ ახერხებს განა რამე დიადი ძალა,
უზნეო ნერონს, მის სიშმაგეს წინ რომ აღუდგეს?
ვაი, მძიმე ხვედრს! მერამდენედ ძლიერ საწამლავს
უსამართლობით აღმართული ახლავს მახვილი.

II.7. მაშინ მივუგე: «თავადაც იცი, რომ წარმავალი დიდების მოხვეჭის სურვილი ჩემში ნაკლებად მძლავრობდა. თუმცა ვნატრობდი სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეობის საშუალება მქონოდა, რათა სიქველე მდუმარებაში არ დაჩაჩანაკებულიყო. და მან თქვა: «მართლაც არის ერთი რამ, რასაც შეუძლია ბუნების მიერ გამორჩეული, მაგრამ სიქველის საბოლოო ზღვრამდე მისაღწევად ჯერ კიდევ არასაკმარისად სრულქმნილი გონება მიიზიდოს. ვგულისხმობ სახელის მოხვეჭისა და სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურების მქონე პიროვნებად ყოფნის სურვილს. თავად განსაჯე, როგორი უმნიშვნელო და ყოველგვარ წონას მოკლებულია ასეთი დიდება. მთელი დედამიწის სფეროს, როგორც ასტროლოგთა მტკიცებულებათაგან ისწავლე, ზეცის განფენილობასთან შედარებით წერტილის ტოლფარდი ადგილი უკავია. თუ მას ზეციური სფეროს სიდიდეს შეადარებ, ჩათვალე, თითქოს სიდიდე სრულიადაც არ გააჩნია. ხოლო ამ უმნიშვნელო მონაკვეთიდან, როგორც პტოლემაიოსის[53] დასაბუთებიდან იცი, დაახლოებით მეოთხედი ნაწილია ჩვენთვის ნაცნობი არსებებით დასახლებული. თუ ამ მეოთხედ ნაწილს წარმოსახვით იმდენ ნაკვეთს გამოაკლებ, რამდენსაც ზღვა და ჭაობები მოიცავს, რამდენსაც – უდაბური ადგილები, ძლივსღა დარჩება ძალზე უმნიშვნელო ტერიტორია ადამიანთა საცხოვრებლად. ნუთუ ასეთ მცირე წერტილში, თავადაც რომ წერტილის შიგნითაა შემოსაზღვრული და შემოზღუდული, განდიდებაზე, სახელის განთქმაზე უნდა ფიქრობდე? რა მასშტაბი, რა სიდიადე ექნება ასეთ ვიწრო და მჭიდრო საზღვრებში მოქცეულ დიდებას? ამას ისიც დაუმატე, რომ ეს შეზღუდული საცხოვრებელი არე დასახლებულია მრავალი ერით, რომლებიც ენით, წეს-ჩვეულებით, სრულიად ცხოვრების წესით განსხვავდებიან. და მგზავრობის სირთულის, ენობრივი სხვაობის, იშვიათი ვაჭრობის გამო მათში არა თუ კერძო პირთა სახელს, არამედ ქალაქების სახელწოდებასაც არ ძალუძს შეღწევა. მ. ტულიუსის დროს, როგორც მან ერთ ადგილას აღნიშნა, რომაული სახელმწიფოს დიდება კავკასიის მთებამდე ჯერ არ ვრცელდებოდა, თუმცა სახელმწიფო უკვე გაფართოებულიყო და პართიასა თუ იმ ადგილას მცხოვრებ სხვა ხალხებს შიშის ზარს სცემდა. ხომ ხედავ, რა მცირე, რა შეზღუდული არის დიდება, რომლის გავრცელებასა და გაფართოებაზე ირჯებით? განა შეიძლება, რომ იქ, სადაც რომის სახელი ვერ აღწევს, რომაელმა ადამიანმა სახელი გაითქვას? უფრო მეტიც, სხვადასხვა ხალხის ჩვეულებანი და წყობილებანი იმდენად განსხვავდებიან, რომ რაც ერთთან ქების ღირსია, სხვაგან სასჯელის ღირსად მიიჩნევა. ამიტომაცაა, რომ, თუმცა ადამიანს სიამოვნებს დიდების მოხვეჭა, არავითარ შემთხვევაში არაა მისთვის მიზანშეწონილი მრავალ ხალხში სახელი გაუვარდეს. მაშ, თითოეული უნდა დაკმაყოფილდეს, თუ მისი სახელი მისავე ხალხში იქნება ცნობილი და დიდების ბრწყინვალე უკვდავება ერთი ერის ფარგლებში მოექცევა.

მაგრამ თავისი დროის რამდენი უბრწყინვალესი ადამიანი მიეცა დავიწყებას იმის გამო, რომ მათი ამბავი არავინ აღწერა. თუმცა რა უპირატესობა აქვთ მათ, ვის შესახებაც დაწერილია, ამ ნაწერებსაც ხომ თავიანთ ავტორებთან ერთად ხანიერი და ბნელი ჟამი გააქრობს? თქვენ მაინც გეჩვენებათ, რომ თქვენი უკვდავება გახანგრძლივდება, როცა იფიქრებთ მომავალ საუკუნეებში მოსალოდნელ დიდებაზე. მაგრამ თუ მარადისობის უსასრულო განფენილობას დაუფიქრდებით, რაღა მიზეზი გექნებათ, რომ სახელის მარადიულობით დატკბეთ; ვინაიდან ერთ წამს ათი ათას წელთან შედარებით, თუმცა მცირე, მაგრამ თავისი წილი მაინც აქვს, ვინაიდან ორივე დროის განსაზღვრული მონაკვეთია. მაგრამ თუნდაც ათი ათასი წელი, ან რამდენიც არ უნდა იყოს იგი, უსასრულო მარადისობას ვერ შეედრება. ვინაიდან დასაშვებია სასრული სასრულს შევადაროთ, მაგრამ უსასრულოსა და სასრულის შედარება არ შეიძლება. ამიტომაცაა, რომ, რაც არ უნდა გახანგრძლივდეს დიდება, თუ იგი მარადისობასთან მიმართებით გაიაზრება, არა თუ მცირედ, არამედ სრულიად არარად გამოჩნდება. თქვენ კი არ

იცით, სწორად როგორ მოექცეთ ცვალებად პოპულარობის და ცარიელ მითქმა-მოთქმას, თმობთ საკუთარი ცოდნისა და სიქველის ბრწყინვალებას, ხოლო ჯილდოს სხვების ლაყბობაში ეძებთ. ახლა მოისმინე, როგორ იხუმრა ერთმა ამგვარი ამპარტავნების უმნიშვნელობაზე. მან მტკიცედ შეუტია ადამიანს, რომელიც ფილოსოფოსის სახელს შეცდომით იბრალებდა, არა ჭეშმარიტი სიქველის გამო, არამედ იმისთვის, რომ ამ სახელით გაამაყებულს ეტრაბახა. მან დასძინა: თუ იგი მშვიდად და მოთმინებით აიტანდა თავს დატეხილ ყოველგვარ შეურაცხყოფას, მაშინ აღიარებდა, რომ ის მართლაც ფილოსოფოსი იყო. ამ უკანასკნელმა ცოტა ხნით გამოიჩინა მოთმინება და შეურაცხყოფა აიტანა, შემდეგ კი დაცინვით წარმოთქვა: «ხომ მიხვდი, ბოლოს და ბოლოს, რომ ფილოსოფოსი ვარ?» ამაზე პირველმა გესლიანად მიუგო: «მივხვდებოდი კიდევაც, ჩუმად რომ ყოფილიყავი.» მაშ, რას შესძენს სახელოვნება იმ დიდებულ ადამიანებს, რომელთა შესახებაც ვსაუბრობთ, როცა ისინი დიდებას სიქველეში ეძებენ? რა დარჩებათ მათ, როდესაც სიკვდილი მათ სხეულებს დაშლის? თუ ადამიანი სრულად ქრება (რის დაჯერებასაც ჩვენი განსჯა გვიკრძალავს), მაშინ დიდება საერთოდ არაფერია, ვინაიდან აღარც ის იქნება საერთოდ, ვისაც იგი მიეწერებოდა. თუკი გონება, რომელიც თავისი ბუნებას სრულად შეიმეცნებს, როცა თავისუფლდება მიწიერი საპყრობილისგან და ზეცას ელტვის, განა ყოველგვარ ამქვეყნიურ საზრუნავს არ დაივიწყებს და მიწიერებას გარიდებული ზეციური ლხინით არ დატკბება?

II. 7. (ვ). ვინც მხოლოდ დიდებას ესწრაფვის,
უმაღლეს სიკეთედ მიიჩნევს თანაც,
გახედოს ეთერის უსაზღვრო სივრცეებს
და მიწის შეზღუდულ არეს:
შერცხვება, როცა თვით დიადი სახელიც
ვერ ავსებს ამ მცირე წრესაც.
ზვიადნო, ამაოდ რად ცდილობთ, მოკვდავის
უღელი შეიხსნათ ქედზე?
დიდება ეგების შორეულ ხალხებსაც
მისწვდეს, ისაუბრონ მასზე;
ბრწყინვალე სახლებს თუნდ ტიტულნი ამკობდეს –
სიკვდილი დიდებას არ ცნობს.
თანაბრად ჩაითრევს, რაც უმაღლესია,
რაც უმდაბლესია – მასაც.
ან ფაბრიციუსის[54] ნაშთი სადღა არის?
ბრუტუსის? კატონის[55], თუნდაც?
მათი დიდებისგან ვხვდებით უმნიშვნელო
ნაწერში ცარიელ სახელს.
მათი პიროვნება ვიცოდით და ახლა
ბრწყინვალე სახელიც ქრება,
რომ გარდაიცვლებით თქვენც, დავიწყებულებს,
სახელი ვერარას გარგებთ.
თუ ფიქრობთ, სიცოცხლე გაგიხანგრძლივდებათ
დიდების ამაო სუნთქვით?
შემდეგ დრო როდესაც ამასაც მოგტაცებთ,
სიკვდილი მეორედ გელით.

II.8.მაგრამ არ იფიქრო, თითქოს ფორტუნას წინააღმდეგ დაუნდობელი ომი წამოვიწყე. არის დრო, როცა იგი ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე ადამიანს კარგ სამსახურს უწევს. ამგვარად სწორედ მაშინ იქცევა, როცა საკუთარ თავს ავლენს, სახიდან ნიღაბს იხსნის და თავის ზნე-ჩვეულებებს ააშკარავებს. ალბათ ჯერ ვერ ხვდები, თუ რის შესახებ ვაპირებ საუბარს – უჩვეულოა ის, რის თქმასაც ვესწრაფვი და ძლივს ვახერხებ, ეს აზრი სიტყვებად დავალაგო. ვფიქრობ, რომ ავ ბედს მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე კეთილს. ერთი მუდმივად ცრუობს, ბედნიერების იერით თავს რომ მოკეთედ გვაჩვენებს, მეორე მუდამ მართალია, როცა ცვალებადობით თავის მერყევ ბუნებას წარმოაჩენს. ერთი გვატყუებს, მეორე გვმოძღვრავს, ერთი ყალბ სიკეთეთა იერით ბორკავს მათ გონებას, რომლებიც მისგან სიამოვნებას იღებენ, მეორე კი ბედნიერების წარმავლობის შემეცნებით ათავისუფლებს. ამგვარად, ხედავ, რომ ერთი ქარაფშუტა, არამყარი და საკუთარი არსის შეუმეცნებელია, მეორე – ფხიზელი და მომართული, წინააღმდეგობათა მიერ გამობრძმედილი და განსწავლული. და, ბოლოს, კეთილი ბედი ადამიანს თავისი ალერსით იზიდავს და ჭეშმარიტი სიკეთის გზას აცდენს, ავი ბედი კი ჭეშმარიტი სიკეთისკენ მოაბრუნებს და კაუჭით აკავებს მას. განა უმნიშვნელოდ აფასებ იმას, რომ ერთგული მეგობრების აზრები ამ ეკლიანმა და საზარელმა ბედმა გამოააშკარავა? მან სანდო მეგობართა სახე უნდობთაგან განარჩია. მიმავალმა თავისიანნი წაიყვანა, შენიანები დაგიტოვა. რა საფასურს გაიღებდი, ეს რომ გენახა ხელშეუხებელი და, როგორც ფიქრობ, ბედნიერი რომ ყოფილიყავი? ნუღარ დაეძებ დაკარგულ კეთილდღეობას: ხომ შეიძინე მეგობრები, რომლებიც უძვირფასესნი არიან ყოველგვარ განძზე.

II. 8. (v). მრავალგვარ ცვლილებას რომ იწვევს
სამყარო მარადი სიკეთით,
დაპირისპირებულ საწყისებს
კავშირი რომ იჭერს ურღვევი,
ფებუსი ოქროსგან ნაკეთი
ეტლით რომ წინ უძღვის ნათელ დღეს,
მისი და ღამეს რომ განაგებს,
რომელიც ჰესპეროსს შემოჰყავს,
ხარბი ზღვა ტალღებს რომ აკავებს
შეურყევ საზღვრებში მოქცეულს,
ნებას რომ არ აძლევს, ხმელეთის
გამყოფი სამანი მოშალოს,
და ამ მოვლენათა კავშირი
ურღვევად შეუკრავს სიყვარულს –
მიწის, წყლის და ზეცის მბრძანებელს
და თუ ის სადავეს მიუშვებს,
ყოველი, რაც კი მას განიცდის,
ერთმანეთს ომს გამოუცხადებს.
რაც ახლა ჰარმონიაშია
და აღძრავს მშვენიერ მექანიზმს –
იბრძოლებს, რომ იგი დაშალოს.
ის ადამიანებს აერთებს
და იჭერს ურღვევი კავშირით,
ცოლქმრული ერთობის სიმყარეს
უმანკო გრძნობებით ამტკიცებს,

ის თავის კანონებს კარნახობს
ერთგულ და მისანდობ მეგობრებს.
კაცნი ბედნიერნი არიან,
თუკი მათ სულებშიც მეუფებს
ზეცათა გამრიგე ამორი.

III

III. 1. მან სიმღერა უკვე დაასრულა. თუმცა მე მოსმენას დახარბებული, გაოგნებული და სმენადაძაბული, ჯერ კიდევ მოჯადოებული ვყავდი მისი სიმღერის სიტკბოებას. ცოტა ხნის შემდეგ მივუგე: «დაქანცულ სულთა უდიდესო მანუგეშებელო, როგორ გამომაცოცხლე შენი აზრების სიღრმითა თუ სიმღერის სიტკბოებით. ამის შემდეგ, ვფიქრობ, მე უკვე ძალმიძს გავუმკლავდე ფორტუნას დარტყმებს. ამგვარად, არა თუ არ მაშინებს სამკურნალო საშუალებები, რომლებიც ცოტა ხნის წინ დამიხასიათე, როგორც უფრო მწვავე, არამედ, მოსმენას დახარბებული, დაჟინებით მოვითხოვ მათ მიღებას.» მაშინ მან თქვა: «მე ეს ვიგრძენი, როცა ჩემს სიტყვებს მდუმარედ და ყურადღებით ისმენდი და გონების ამგვარ მდგომარეობას კიდევაც მოველოდი, ან რაც უფრო სწორია, თავად შევქმენი. ეს სამკურნალო საშუალებები, რომლებიც მისაღები დაგვრჩა, მართლაც რომ ასეთია: გაგამწარებს, როცა გასინჯავ, ხოლო გაამებს, როცა ღრმად შემოაღწევს შენში. ვინაიდან მოსმენის სურვილი თავად გამოთქვი, რომ გაგეგო, საით მიმყავხარ, რა ცეცხლი მოგედებოდა!» «საით?» – შევეკითხე. «ჭეშმარიტი ბედნიერებისკენ, რომელიც შენს სულს ეზმანება, მაგრამ არ ძალუძს იგი ისეთი იხილოს, როგორიცაა სინამდვილეში, ვინაიდან ხატებათა მზერითაა გართული». მაშინ მივუგე: «გემუდარები, დაუყოვნებლივ მაჩვენე, რა არის ჭეშმარიტი ბედნიერება!» «შენი გულისთვის ამას ხალისით გავაკეთებ, მაგრამ ჯერ იმის აღწერასა და სიტყვებით გადმოცემას შევუდგები, რაც შენთვის უკეთაა ცნობილი, რომ მისი ხილვისას, როცა თვალებს საწინააღმდეგო მხარეს მიაპყრობ, ჭეშმარიტი ნეტარების სახის ამოცნობა შეძლო».

III. 1 (v). ვისაც სურს, ყამირი მიწა რომ დათესოს, –
ჯერ ბუჩქნარისაგან გაწმინდოს მინდორი
და ცელით მოთიბოს გვიმრა და მაყვალი,
რომ შემდეგ კერესი მოვიდეს ნაყოფით.
თუ გსურს, რომ შეიგრძნო თაფლის სიტკბოება, –
მანამდე სიმწარეს გემო გაუსინჯე;
უფრო საამოა ვარსკვლავთა ციმციმი,
როცა ჩაწყნარდება საავდრო ნოტუსი;
ოდეს ლუციფერი წყვდიადს დაამარცხებს,
აისი აუშვებს ვარდისფერ ტაიჭებს.
მაშ, ჩამოიხსენი კისრიდან უღელი,
ვინც ყალბ სიკეთეზე ზრუნავდი მანამდე,
ჭეშმარიტებამ რომ სულში შეაღწიოს.

III. 2. მაშინ მან ცოტა ხნით თვალები დახარა და თითქოს მიბრუნებულმა თავისი გონის წმინდა სამყოფელში, საუბარი ასე დაიწყო: «მოკვდავნი მთელი თავიანთი საზრუნავით, რომელსაც

სხვადასხვაგვარი მიზნისკენ წარმართავენ, მართალია, სხვადასხვა გზით, მაგრამ ნეტარების ერთსა და იმავე ზღვართან მიღწევას ლამობენ. ესაა სიკეთე და თუ მას ვინმე მოიპოვებს, სხვას ვეღარაფერს ინატრებს. იგი ყოველი არსებული სიკეთის მწვერვალია და საკუთარ თავში მოიცავს ყველა სახის სიკეთეს. თუ რამე მოაკლდება, მაშინ უზენაესი ვეღარ იქნება, ვინაიდან მის მიღმა დარჩება ის, რაც შეიძლება ინატრო. მაშასადამე, ცხადია, რომ ნეტარება სრულყოფილი მდგომარეობაა, რომელიც ყოველგვარი სიკეთის თავმოყრითაა მიღწეული. როგორც აღვნიშნე, ყველა ადამიანი განსხვავებული გზით ცდილობს მასთან მისვლას, რადგან ჭეშმარიტი სიკეთის სურვილი ადამიანის გონებაში ბუნებრივადაა შთანერგილი. მხოლოდ შეცდომა აცდენს მათ ამ გზიდან და ყალბი სიკეთისკენ უბიძგებს. ზოგი მართლაც დარწმუნებულია, რომ უმაღლესი სიკეთე ისაა, როცა არაფერი გაკლია და ირჯება, რათა სიმდიდრე უხვად დააგროვოს. ზოგი კი სიკეთედ იმას მიიჩნევს, რაც თაყვანისცემას იმსახურებს და ცდილობს თანამდებობების მიღებით თანამოქალაქეთათვის პატივსაცემი გახდეს. არიან ისეთებიც, რომელთათვისაც უზენაესი სიკეთე უმაღლეს ძალაუფლებაშია. მათ ან თავად სურთ მბრძანებლობა, ან ცდილობენ დაუახლოვდნენ მათ, ვინც მბრძანებლობს. ვისთვისაც სახელოვნებაა უმთავრესი, ის ცდილობს მშვიდობის ან ომის ხელოვნებით გაითქვას სახელი. უმრავლესაობა სიკეთეს სიხარულისა და სიამის ოდენობით ზომავს. ისინი უდიდეს ბედნიერებად ჭარბ სიამოვნებას მიიჩნევენ. არიან ისეთებიც, რომლებიც საბოლოო მიზანსა და საშუალებებს ერთმანეთში ურევენ. მაგალითად ისინი, ვისაც სიმდიდრე ძალაუფლებისა და სიამოვნების გულისთვის სწადია, ან ისინი, ვინც ძალაუფლებას იმისთვის ესწრაფვის, რომ ფული მოიხვეჭოს ან სახელი გაითქვას. ამ და სხვა მსგავს შემთხვევაში ადამიანთა ქმედებებისა და სურვილების საბოლოო მიზნები გაერთიანებულია. ასეა, როცა ეჩვენებათ, თითქოს წარჩინებულობა და ხალხის კეთილგანწყობა სიამოვნებას შეიცავს, ან როცა ცოლ-შვილის ყოლა მათგან მოგვრილი სიხარულის გამო სურთ. ხოლო მეგობრობა, რომელიც მათგან ყველაზე წმინდაა, სიქველეს უნდა მივაკუთვნოთ და არა – ფორტუნას, დანარჩენი კი, ან ძალაუფლების, ან სიამოვნების გულისთვისაა სასურველი. ყოველგვარი ფიზიკური ღირსებაც, ცხადია, ზემოთ აღნიშნულ ღირსებებს უნდა მივაკუთვნოთ. ფიზიკური ძალა და სიდიდე ხომ ადამიანის ძლიერებას ამტკიცებს, როგორც სილამაზე და სისწრაფე ადამიანს სახელოვნებას სძენს, ხოლო სიჯანსაღეს სიამოვნება მოაქვს. ნათელია, რომ ყოველ მათგანში ერთი რამაა სასურველი – ნეტარება. ადამიანი უმაღლეს სიკეთედ მიიჩნევს მას, რისი მოპოვებისთვისაც სხვა დანარჩენ სიკეთეებს ესწრაფვის. ხოლო უმაღლესი სიკეთე, როგორც განვსაზღვრეთ, არის ნეტარება. ამიტომაც ადამიანს ნეტარად ის მდგომარეობა მიაჩნია, რომელსაც სხვა დანარჩენზე მეტად ისურვებდა.

მაშასადამე, შენ თვალწინაა ადამიანური ბედნიერების თითქმის ყველა სახე: სიმდიდრე, პატივი, ძალა, დიდება, სიამოვნება. მხოლოდ ეს უკანასკნელი იყო ეპიკურეს განხილვის საგანი და მან, შესაბამისად, დაასკვნა, რომ უზენაესი სიკეთე სიამოვნებაა, ვინაიდან სხვა სიკეთეებსაც ადამიანისთვის სიამოვნება მოაქვთ. მაგრამ, მოდი, დავუბრუნდეთ ადამიანურ მისწრაფებებს. ადამიანის გონებაც ხომ კუთვნილ სიკეთეს დაეძებს, თუმცა კი მეხსიერება ბურუსით აქვს დაბინდული და მან, მთვრალი კაცის მსგავსად, არ უწყის, შინ რომელი გზით დაბრუნდეს. განა ცდებიან ისინი, ვინც იმისთვის იღვწიან, რომ არაფერი მოაკლდეთ? თუმცა

არაფერია ისეთი, რაც ნეტარებას ისე სრულყოფილად მოიცავდა, როგორც ის მდგომარეობა, ყოველგვარი სიკეთით რომაა აღსავსე და რომელსაც გარედან არაფერი ესაჭიროება, არამედ

თავადაა თვითკმარი. განა ცდებიან ისინი, ვისთვისაც ის, რაც საუკეთესოა, მოწიწებასა და პატივისცემას ყველაზე მეტად იმსახურებს? რა თქმა უნდა, არა, ვინაიდან ის, რის მოსაპოვებლადაც მოკვდავთა მთელი ძალისხმევაა მიმართული, მდაბალი და უმნიშვნელო ვერ იქნება. განა ძალმოსილება სიკეთეთა რიცხვს არ უნდა განეკუთვნებოდეს? მაშ, როგორ იქნება სუსტი და უღონო ის, რაც, როგორც დადგენილია, ყოველივე არსებულზე აღმატებულია? ან იქნებ დიდებაა უმნიშვნელო? მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ, რაც უზენაესია, ის ყველაზე უფრო დიდებულიცაა. განა საჭიროა იმის თქმა, რომ ნეტარებას არც შფოთვა ახლავს, არც – მწუხარება, რომ იგი არც ტანჯვას ექვემდებარება, არც სიძნელეებს, მაშინ, როცა თვით უმნიშვნელო რამეებშიც კი იმას ესწრაფვიან, რისი ფლობა და სარგებლობაც სიამოვნებას ანიჭებთ? მაშასადამე, სიკეთე ისაა, რისკენაც სხვადასხვა გზით ისწრაფვიან ადამიანები და აქ მარტივად წარმოჩნდება, თუ რა დიდია ბუნების ძალა, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა აზრები არაერთგვაროვანი და განსხვავებულია, სიკეთის, როგორც საბოლოო მიზნისკენ სწრაფვაში ყველანი თანხვდებიან.

III. 2 (v). რამდენ საგანთა სადავეს მართავს
მძლავრი ბუნება. რა კანონებით
იცავს განგება უსაზღვრო კოსმოსს
და დაურღვევლად შეაკავშირებს
ცალკეულ საგნებს – მსურს ტკბილხმოვანი
ვთქვა სიმღერები ფაქიზი ლირით.
რამდენი ხანიც უნდა ატარონ
ლომებმა ჯაჭვი ულამაზესი,
მოწოდებული მიირთვან ხორცი,
მკაცრი გამწვრთნელის შოლტს შეჩვეულებს,
თუ ტუჩზე სისხლი მათ შეეხებათ,
დაუბრუნდებათ ძველი მხნეობა,
როდესაც წარსულს გაიხსენებენ,
ბორკილს ქედიდან გადაიგდებენ
და მრისხანებას მათი კბილების
პირველი იგრძნობს მწვრთნელის სხეული.
მაღალ რტოებში ჩიტი რომ გალობს,
მას გალიაში გამოკეტავენ,
თუმცა უხვად აქვს სასმელ-საჭმელი
და მასპინძელიც იქვეა ტკბილი,
ადამიანი ამით ერთობა,
და მაინც იგი ვიწრო საკნიდან
თუ ტყის სანატრელ ჩრდილებს იხილავს,

ფეხით გათელავს მობნეულ საჭმელს,
ბედშავი მხოლოდ ტყეს მოისურვებს
და ტკბილად მხოლოდ მას უგალობებს.
ოდესღაც ძალით გადმოღუნული

ნერგი ძირს დახრის თავის კენწეროს,
თუ მის მომდრეკავ მარჯვენას უშვებ, –
გასწორებული ზეცას ახედავს.
როცა ტალღებში დასავლეთისკენ
ჩაიძირება ფებუსის ეტლი,
საიდუმლო გზით მივა საწყისთან.
უკან მისასვლელ გზას ეძებს ყველა
და დაბრუნება თვისი ახარებს.
წესრიგი ისე ვერ იარსებებს,
რომ დასასრული და დასაწყისი
თავის წრებრუნვით არ განამტკიცოს.

III. 3. და თქვენც, მიწიერო არსებებო, თუმცა სუსტ ხატებად, მაგრამ მაინც გეზმანებათ თქვენი პირველსაწყისი და, ნაკლებად თვალნათლივ, მაგრამ მაინც ჭვრეტთ ნეტარების ჭეშმარიტ სამანს. ამიტომ ბუნებრივ მისწრაფებას სიკეთისკენ მიჰყავხართ, ხოლო მისგან თქვენი მრავალგვარი შეცდომა გადაგახვევინებთ. დაფიქრდი, შეიძლება თუ არა ადამიანი დანიშნულ სამანთან მიიყვანოს იმან, რაც მას ნეტარების მისაღწევ საშუალებად მიაჩნია? თუკი ისეთი რამ, რაც არავითარ სიკეთეს არაა მოკლებული, მოაქვს ფულს, პატივსა და სხვა ამდაგვარ რაიმეს, ჩვენც კი იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ მათ ადამიანების გაბედნიერება ძალუძთ. მაგრამ, თუ ვერ აღასრულებენ რასაც გვპირდებიან და მრავალ სიკეთეს არიან მოკლებული, მაშინ ხომ ნათლად დავინახავთ მათი ნეტარების ყალბ იერს? მაშ, პირველ რიგში, შენ, ვისაც ცოტა ხნის წინ სიმდიდრე თავს გადაგდიოდა, გეკითხები: იმ აურაცხელი სიმდიდრის მიუხედავად, განა შენი სული არ აუფორიაქებია უსამართლობისგან გამოწვეულ რაიმე მღელვარებას?» «რა თქმა უნდა,» – მივუგე, – არც მახსენდება, ჩემი სული ამისგან თავისუფალი ყოფილიყო, მას მუდამ რაღაც აწუხებდა. «ეს იმიტომ, რომ გაკლდა ის, რისი უქონლობაც არ გსურდა და გქონდა ის, რაც არ გინდოდა რომ გქონოდა.» «ასეა,» – მივუგე. «შენ გსურდა ერთის ფლობა და არა მეორის.» «სწორედ ასეა, ვაღიარებ.» მან განაგრძო: «თუ მავანი რაიმეს ნატრობს, გამოდის, რომ მას იგი აკლია?» «მართლაც რომ აკლია,» – მივუგე. «მაგრამ ვინც ბევრ რამესაა მოკლებული, იგი ხომ სრულად დაკმაყოფილებული ვერ იქნება?» «ვერასგზით,» – ვუპასუხე. «ამგვარად, შენ, სიმდიდრით აღსავსე, ნუთუ დაუკმაყოფილებლობას არ გრძნობდი?» «როგორ არა,» – მივუგე. მაშ, სიმდიდრეს არ შეუძლია ადამიანი დააკმაყოფილოს და არაფერი მოაკლოს, თუმცა ამას გვპირდება. ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის, რომ ფულს ბუნებით ისეთი არაფერი აქვს, რაც დაიცავდა მფლობელს მისი უნებურად წართმევისაგან.» «გეთანხმები», – ვუპასუხე. «რატომაც არ უნდა დამეთანხმო, როცა ყოველდღე ართმევს სიმდიდრეს უფრო ძლიერი მასზე სუსტს.

საიდან ჩნდება სასამართლოში საჩივრები, თუ არა იქიდან, რომ ვიღაც ცდილობს დაიბრუნოს ფული, რომელიც, მისდა უნებურად, ან ძალით წაართვეს, ან სიცრუით დასტყუეს?» «ასეა», – მივუგე. «მაშინ», – განაგრძო მან, – «ხომ დასჭირდება ადამიანს ითხოვოს გარეშე ძალთა დახმარება, რათა თავისი ქონება დაიცვას?» «ამას ვინ უარყოფს?» «მაგრამ ეს ხომ არ დასჭირდებოდა, რომ არ ფლობდეს ქონებას, რომლის წართმევაც შესაძლებელია?» «ეს უდავოა», – დავუდასტურე. «მაშ, სიმართლე საწინააღმდეგო მხარეს აღმოჩნდა: სიმდიდრემ, რომელიც ითვლებოდა, რომ ადამიანს დააკმაყოფილებდა, სხვის დახმარებაზე დამოკიდებულად უფრო აქცია იგი. მაშ, არის რამე გზა, სიმდიდრეს უკმარობისგან რომ განარიდებდა? განა შეიძლება მდიდარს არ მოშივდეს ან არ მოსწყურდეს? განა ვერ

შეიგრძნობს ზამთრის სუსხს ფულიანი ადამიანის სხეული? თუმცა მეტყვი, რომ შეძლებულთ აქვთ ის, რითაც შიმშილს დაიკმაყოფილებენ, წყურვილს მოიკლავენ და სიცივეს თავს დააღწევენ. მართალია, ამგვარად ძალუძთ მდიდრებს უკმარისობა შეამსუბუქონ, მაგრამ მისი ძირფესვიანად აღმოფხვრა არ ხელეწიფებათ. ვინაიდან, თუ სიმდიდრით დაკმაყოფილდება იგი, მარად რაღაცის მსურველი და დახარბებული, აუცილებლად დარჩება რაღაც, კვლავ დასაკმაყოფილებელი. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ბუნება მცირედს სჯერდება, როცა სიხარბეს ვერაფერი აკმაყოფილებს. ამგვარად, სიმდიდრეს არა თუ არ ძალუძს უკმარობა აღმოფხვრას, არამედ თავად ბადებს მას, მაშინ რატომღა უნდა ირწმუნო, რომ იგი დაგაკმაყოფილებს?»

III. 3 (v). დაე მდიდარი ოქროს ღვარით ხარბად ავსებდეს
თავის ქონებას, არასოდეს რომ არ სჯერდება –
მკერდი შეიმკოს მარგალიტით წითელი ზღვიდან,
ნოყიერ მინდვრებს ასი ხარით დაატყოს კვალი.
არ მიატოვებს, ვიდრე ცოცხლობს, ზრუნვა და ურვა,
როცა მოკვდება, ის სიმდიდრეს თან ვერ წაიღებს.

III. 4. მაგრამ თანამდებობას პატივისცემა და დაფასება მოაქვს მათთვის, ვისაც ერგება. თუმცა შესწევს კი იმის ძალა, რომ მის მფლობელთა სულში სიქველე შთანერგოს და მანკიერება გამოდევნოს? მაგრამ მას არა მანკიერებათა გამოდევნა, არამედ სააშკარაოზე გამოტანა უფრო ახასიათებს. ამიტომაა, რომ აღვშფოთდებით ხოლმე, როცა თანამდებობებს ყველაზე უფრო უღირსი ადამიანები იკავებენ. ამის გამო კატულუსმა ნონიუსი სიმსივნედ მოიხსენია[56]მიუხედავად იმისა, რომ იგი კურიის სავარძელში იჯდა. ხედავ, როგორ არცხვენს თანამდებობა უზნეო ადამიანებს? ხომ უფრო ნაკლებად თვალშისაცემი იქნებოდა მათი სიმდაბლე, რაიმე წოდებათა წყალობით რომ არ ყოფილიყვნენ ცნობილი? განა შეეძლო თუნდაც მრავალ განსაცდელს ებიძგებინა შენთვის მიგეღო მაგისტრატობა დეკორატუსთან[57]ერთად, თუ მასში ქლესა და მაბეზღარა ადამიანის სულს დაინახავდი? ჩვენ სწორედაც ვერ მივიჩნევთ თანამდებობათა გამო მოწიწების ღირსად მათ, ვინც, ჩვენი აზრით, ამ თანამდებობებს არ იმსახურებს. მაგრამ ახლა რომ ხედავდე ვინმე სიბრძნით დაჯილდოებულ ადამიანს, განა არ მიიჩნევდი მას დაფასების ან იმ სიბრძნის ღირსად, რომელსაც ფლობს?» «რა თქმა უნდა.» «თავად სიქველეშია მისივე ღირსება, რომელიც იმთავითვე

გადაეცემა მას, ვინც სიქველის მოზიარეა. და ვინაიდან ხალხის მიერ დაწესებულ თანამდებობას ეს არ ხელეწიფება, ნათელია, რომ მას საკუთარი მშვენება და ღირსება არ გააჩნია. აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: რაც უფრო სულმდაბალია მავანი, მით მეტ ადამიანს სძაგს იგი, ამიტომ თანამდებობას არა თუ არ ძალუძს პატივისცემა მოუტანოს ადამიანებს, არამედ უფრო საძულველად აქცევს, რადგან უფრო მეტს ეძლევა საშუალება მათი უზნეობა იხილოს. მაგრამ ეს დაუსჯელი არ რჩება: ვინაიდან უზნეონი თანაბრად მიაგებენ საზღაურს თანამდებობას, რომელსაც თავიანთი თანაზიარებით ბილწავენ.

მაგრამ რომ შეიმეცნო: ნამდვილი დაფასება ამ ბურუსით მოცული თანამდებობებით რომ არ მიიღწევა, დავუშვათ, რომ მავანს, კონსულად მრავალგზით არჩეულს, ბარბაროს ხალხში მოუხდა გასვლა, განა თანამდებობა მას ბარბაროსთათვის პატივსაცემს გახდის? პატივისცემა თანამდებობათა ბუნების საჩუქარი რომ იყოს, მაშინ არცერთ ხალხში არ დაკარგავდა თავის

ფუნქციას, ისევე, როგორც ცეცხლი არ კარგავს თავის სიმხურვალეს დედამიწის ნებისმიერ ადგილზე. მაგრამ, ვინაიდან პატივისცემა თანამდებობათა ბუნების საჩუქარი კი არ არის, არამედ მასთან ხალხის მცდარი წარმოდგენა აკავშირებს, ადამიანები მას მყისვე დაკარგავენ, როგორც კი მოხვდებიან იმ ხალხებში, რომლებიც ამ თანამდებობებს სრულიად არ ცნობენ. ეს რაც შეეხება უცხო ხალხებს. მაგრამ ნუთუ მუდმივად რჩება მათ შორის, ვისთანაც გაჩნდა? პრეტოროობა – ოდესღაც დიდ ძალაუფლებას რომ ნიშნავდა, ახლა მარტოოდენ სახელი და სენატორთა ცენზის მძიმე ტვირთია. თუკი ერთ დროს კეთილშობილად მიიჩნეოდა ის, ვინც ხალხის ხორბლით მომარაგებაზე ზრუნავდა, ახლა რაა ამ საქმიანობაზე უფრო სათაკილო? მართლაც, როგორც ცოტა ხნის წინ აღვნიშნეთ, ის, რასაც საკუთარი ღირსება არ გააჩნია, ხან იძენს ბრწყინვალებას, ხან – კარგავს იმის მიხედვით, თუ როგორი სახელის მქონეა მისი მფლობელი. მაშ, თუკი თანამდებობას არ ხელეწიფება ადამიანი პატივსაცემი გახადოს, თუ შებილწულია უზნეოთა თანაზიარებით, თუ ჟამთა ცვლასთან ერთად ბრწყინვალებასაც კარგავს, თუ უფასურდება ხალხის შეხედულებისამებრ, მაშინ რაღა სასურველ მშვენებას ფლობს საკუთარ თავში, მით უმეტეს, რომ სხვებს გაუზიაროს?

III. 4 (v). როგორც არ უნდა მოერთო თავი
ქედმაღალს ძოწით და მარგალიტით,
რჩებოდა მაინც საძულველ კაცად
ნერონი, გიჟი ფუფუნებისა.
ბრძენ სენატორებს ის ერთ დროს ურცხვად
არჩევინებდა უღირს სენატორს,
მაშ, ასეთ პატივს ვინღა ინატრებს,
როცა მას იხვეჭს უპატიოსნო.

III. 5. იქნებ სამეფო ძალაუფლებას და მეფესთან სიახლოვეს შეუძლია ადამიანი ძალმოსილი გახადოს? არა?

განა მათი ბედნიერება მუდმივად გრძელდება? გარდასული დრო სავსეა იმ მეფეთა მაგალითებით, რომელთა ბედნიერება უბედურებით შეიცვალა. სავსეა ახალი დროც, ო, რა ბრწყინვალეა ძალაუფლება, რომელიც საკუთარი თავის დასაცავადაც უკმარი აღმოჩნდა! თუკი ეს სამეფო ძალაუფლება ნეტარების სათავეა, განა ბედნიერებას არ დაამცრობს და უბედურებას არ შემოიტანს, თუ მის სისრულეს რაიმე დააკლდება? მაგრამ როგორ ფართოდაც არ უნდა გავრცელდეს ადამიანის ძალაუფლება, აუცილებლად დარჩება მრავალი ერი, რომელთაც მეფე არ განაგებს, სადაც მეფეთათვის ბედნიერების მომტანი ძალაუფლება წყდება, იქ მათი გამაუბედურებელი უძლურება შემოიპარება. ამგვარად, მეფეებისთვის უბედურების წილი უფრო მეტია. ერთმა ტირანმა, რომელსაც გამოცდილი ჰქონდა ის საფრთხეები, რომლებიც მის ხვედრს უკავშირდებოდა, მეფის შიში თავს ზემოთ დაკიდებული მახვილის საშიშროებით გამოხატა.[58]მაშასადამე, რაღაა ეს ძალა, რომელსაც არ შეუძლია მტანჯველ საზრუნავს გაექცეს ან შიშის ნესტარი აირიდოს? რა თქმა უნდა, მეფეები ისურვებდნენ უზრუნველად ცხოვრებას, მაგრამ ვერ ახერხებენ. ისინი ძალაუფლების გამო თავს იწონებენ, მაგრამ როცა ხედავ, რომ ვინმეს არ ძალუძს აღასრულოს ის, რაც სურს, ნუთუ მას ძლიერად მიიჩნევ? განა ძლიერად მიიჩნევ მას, ვინც მცველთა სიმრავლითაა გარემოცული? ანდა მას, ვინც იმ ადამიანებს, რომლებსაც მისი ეშინიათ, თავად უფრო მეტად უფრთხის? ან მას, ვისი სიძლიერის წარმოჩენა მსახურებაზეა დამოკიდებული? რაღა უნდა ვთქვა მეფესთან დაახლოებულ პირთა შესახებ, როცა იმას ვაჩვენებ, რომ თავად მეფობაა ასეთი

უბედურებით აღსავსე? მათ ხომ ხშირად მეფის ხელშეუხლებელი ძალაუფლება, ზოგჯერ კი დამხობილი ძალაუფლება, ღუპავთ.

ნერონმა თავისი მასწავლებელი და ახლობელი სენეკა აიძულა, გადაწყვეტილება მიეღო და სიკვდილი აერჩია. პაპინიანუსი[59], დიდი ხნის განმავლობაში ძლევამოსილი რომ იყო მეფის მოხელეთა შორის, ანტონიუსმა ჯარისკაცთა მახვილებს მიუგდო. თუმცა ორივე მათგანს სურდა ძალაუფლებაზე ეთქვა უარი, მათ შორის სენეკა კიდევაც შეეცადა თავისი სიმდიდრე ნერონისათვის გადაეცა, ხოლო თავად გადამდგარიყო, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეასრულა ის, რაც სურდა. მაშ, რა არის ეს ძალა, რომლისაც მის მფლობელებსაც ეშინიათ? სანამ გსურს, რომ იგი გაგაჩნდეს, დაცული არ ხარ, ხოლო როცა გადაგდებას მოიწადინებ, ამას ვეღარ შეძლებ. იქნებ ჩვენი სიმტკიცე არიან ის მეგობრები, რომლებთანაც არა სიქველემ, არამედ ფორტუნამ დაგვაახლოვა? თუმცა მას, ვინც ბედნიერებამ მეგობრად აქცია, უბედურება მტრად გაგვიხდის. მაგრამ რა ჭირ-ვარამი მოქმედებს ადამიანისთვის უფრო საზიანოდ, ვიდრე მტერი, ოდესღაც მოყვარე რომ იყო?»

III. 5 (v). ვისაც სურს იყოს ძლევამოსილი,
მშფოთვარე სული უნდა დაიცხროს,
არ მოუდრიკოს ძლეული ქედი
ვნებათა ღელვის ბილწ სადავეებს.
თუნდ ინდოეთზე უფრო შორეულ
მხარეს აკრთობდეს შენი წესები

და ქვეშევრდომად აქცევდე თუნდაც
უშორეს თილეს[60], მაინც არ ძალგიძს
თავის დაღწევა ბნელი ურვისგან,
ძალმოსილება ეს აღარ არის.

III. 6. როგორი ცრუა ხშირად დიდება, რა ამაზრზენია! არც თუ უსამართლოდ გაიძახის ტრაგიკოსი პოეტი: “’Ω δόξα δόξα, μυρίοισι δη βροτων ουδεν γεγωσι βίοτον ώγκωσας μέγαν.»[61]მართლაც, მრავალმა მოიხვეჭა დიადი სახელი ხალხის მცდარი შეხედულების წყალობით. ამაზე უფრო ამაზრზენი კი რა შეიძლება წარმოიდგინო? სწორედ მას, ვინც უმართებულოდაა შექებული, თავად უნდა შერცხვეს ქების გამო. თუნდაც დამსახურებით იყოს მოპოვებული ქება-დიდება, რას შესძენს იგი შეგნებას ბრძენკაცისას, რომელიც საკუთარ სიკეთეს არა ხალხთა მიეთ-მოეთით, არამედ შეგნების სიმართლით ზომავს? თუ მიმზიდველად მოჩანს სახელის განთქმა, აქედან გამომდინარე, მისი მიჩუმათება სამარცხვინოდაა მიჩნეული. მაგრამ, როგორც ცოტა ხნის წინ აღვნიშნე, აუცილებლად იქნება მრავალი ერი, რომლებსაც ერთი ადამიანის სახელი ვერ გასწვდება. ისეც ხდება, რომ ის, ვისაც სახელოვნად მიიჩნევ, მეზობელ ქვეყნებში უსახელოა. დიდების სახეობათა შორის ხალხის კეთილგანწყობა აღნიშვნის ღირსადაც არ მიმაჩნია. იგი არც მტკიცეა, არც განსჯას ეფუძნება. ვინ ვერ ხედავს, თუ რა ამაო და არაფრისმთქმელია წარჩინებულთა სახელოვნება? თუმცა იგი დიდებას მიემართება, მაგრამ სხვისია. წარჩინებულობა წინაპართა დამსახურებათაგან მომდინარე ერთგვარი ხოტბაა, ხოლო თუ ბრწყინვალებას ქება-დიდება წარმოშობს, მაშინ ისინი არიან ბრწყინვალენი, ვისაც აქებენ. ამიტომ შენ სხვისი ბრწყინვალება ვერ შეგმატებს დიდებულებას, თუკი საკუთარი არ გაგაჩნია. მაგრამ თუ რამე სიკეთეა წარჩინებულობაში, ვფიქრობ, მხოლოდ ისაა, რომ იგი შეიცავს ვალდებულებას, რომელიც წარჩინებულთ ნებას არ რთავს, წინაპართა სიქველეს უღალატონ.

III. 6 (v). ერთი საწყისი აქვს ამქვეყნად კაცთა მთელ მოდგმას,
საგანთა მამა, არსთ გამრიგე, მხოლოდ ერთია.
მან უწყალობა სხივნი ფებუსს, ქიმები მთვარეს.
ადამიანი დედამიწას, ზეცას – ვარსკვლავნი.
ცისკენ მიმსწრაფი მოაქცია სხეულში სული.
აღმოაცენა მოკვდავები ღვთიურმა თესლმა,
წარმომავლობით რად ამაყობ? როცა ღმერთია
ყველას საწყისი, მაშ, მდაბიოც არ არსებულა
მათ გარდა, ვინაც ცოდვის გამო დაშორდა საწყისს.

III. 7. რაღა მეთქმის ხორციელ სიამოვნებებზე, რომელთა ნდომაც იწვევს შფოთვას, ხოლო გადაჭარბება –

სინანულს. რა სნეულების, რა აუტანელი სატანჯველის თავს დატეხა ჩვევიათ მათ, როგორც უკეთურების ერთგვარ ნაყოფთ, იმ ადამიანთა სხეულებისთვის, რომლებიც მათით ტკბებიან. არ ვიცი, რა სიამოვნება ახლავს მათ აღძვრას, დასასრული კი ნამდვილად მწუხარეა. ამას ის გაიგებს, ვინც თავის ვნებათა გახსენებას მოიწადინებს. თუ ხორციელ სიამოვნებებს ნეტარების მოგვრა ძალუძთ, მაშინ უსაფუძველო არ იქნება, რომ ვთქვათ, თითქოს ნეტარნი არიან ცხოველებიც, რომლებიც მთელ ძალისხმევას სხეულებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ მიმართავენ. ყველაზე სამართლიანი მეუღლისა და შვილებისგან გამოწვეული სიხარულია. მაგრამ ნათქვამია და ძალზე ბუნებრივადაც, რომ ვიღაცამ სატანჯველად მოავლინა შვილები. საჭირო არაა ეს შეგახსენო შენ, ვინც ადრეც გამოსცადე და ახლაც განიცდი, თუ რა წუხილი მოაქვს მათ მდგომარეობას, როგორიც არ უნდა იყოს. აქ კი ვეთანხმები ჩემი ევრიპიდეს[62]მოსაზრებას, რომ: ვისაც შვილები არა ჰყავს, იგი უბედურებითაა ბედნიერი.

III. 7 (v). ჩვევია სიამეს ყოველს:
დევნიდეს მას, ვისაც ატკბობს
სტიმულით და, ფუტკრის მსგავსად,
ჯერ გვიძღვნას უტკბესი თაფლი,
შემდეგ გაგვეცალოს, გულში
ჩატოვოს ნესტარი მწარე.

III. 8. მაშ, სადაო არაფერია: ნეტარებისკენ მიმავალი ეს გზები რამდენადმე გამრუდებულია და არ შეუძლია ვინმე მიიყვანოს იქ, სადაც დაჰპირდა მიყვანას. ძალზე მოკლედ გიჩვენებ, რამდენ ბოროტებასთან შეიძლება იყოს ისინი გადახლართული. მაშ, ფულის დაგროვებას შეეცდები? მოგიწევს მფლობელს წაართვა. გსურს თანამდებობით გამოირჩეოდე? მაშინ მათ მომნიჭებელს უნდა დაუჩოქო და შენ, ვინც ესწრაფვი პატივით სხვებს აღემატებოდე, თავს დამამცირებელი თხოვნებით დაიმდაბლებ. იქნებ ისურვებ ძალაუფლებას? ქვეშევრდომთა მახეებს და საფრთხეებს დაექვემდებარები. დიდებას ესწრაფვი? წინააღმდეგობათა მიერ გატეხილი სიმშვიდეს დაკარგავ. ცხოვრებას საამურად გაატარებდი? ვინ არ შეიზიზღებდა და დათმობდა ისეთი უმნიშვნელო და მყიფე რამის მსახურებას, როგორიც სხეულია? მაგრამ ვისაც სხეულის ღირსებებით მოაქვს თავი, რა მწირი და რა არამყარია ქონება, რომელსაც ის ეყრდნობა. ნუთუ შეგიძლიათ სპილოებს სხეულის სიდიდით, ხარებს ძალით აღემატოთ ან ვეფხვებს სისწრაფეში აჯობოთ? შეხედეთ ციურ განფენილობას, სწრაფსა და უცვლელს და ამჯერად მაინც შეწყვიტეთ უმნიშვნელო რამეებით აღტაცება. თუმცა ზეცაც თავისთავად კი

არ არის საოცარი, არამედ იმ წესრიგის წყალობით, რომლითაც იმართება. გარეგნული მშვენიერება კი როგორი ცვალებადი, როგორი ჭკნობადი და გაზაფხულის ყვავილზე უფრო სწრაფწარმავალია. და თუ, როგორც არისტოტელემ თქვა, ადამიანები ლინკევსის[63]თვალებს გამოიყენებდნენ, რათა მათ მზერას დაბრკოლებებში გაეღწია, განა, როცა შიგნეულობას დაინახავდნენ, ალკიბიადესის[64]მშვენიერი სხეულიც კი ამაზრზენი არ მოეჩვენებოდათ? მაშასადამე, ლამაზი ჩანხარ არა საკუთარი ბუნებით, არამედ ასეთად უმწეო მზერა

წარმოგსახავს. მაგრამ მოდით, დააფასეთ მეტისმეტად ფიზიკური იერის ღირსებები, სანამ არ გეცოდინებათ, რომ ის, რაც ასე აღგაფრთოვანებთ, შეუძლია სამი დღის ციების ხანძარმა მოსპოს. ყოველივე აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ სიკეთეებსაც არ შეუძლიათ აღასრულონ, რასაც გვპირდებოდნენ და არც ყოველგვარი სიკეთის თავმოყრით არიან სრულქმნილნი. მათ, როგორც სხვა მრავალ გზას, არც ნეტარებისკენ მივყავართ, არც თავად გვანიჭებენ ნეტარებას.

III. 8 (v). ეჰ, რა უმეცრების ბილიკებს ადგანან ბედკრულნი,
გზას ვინაც ასცდნენ!
ოქროს ამწვანებულ ხეებზე ვერ ნახავ...
ძვირფას თვლებს ვერ დაკრეფ ვაზზე...
მთებში არასოდეს დამალავ ბადეებს,
რომ გექნეს სადილად თევზი...
თუ ნიამორების დევნა გსიამოვნებს,
ვერ დაჭრი მათ ტირას ზღვებთან.
ადამიანები ხომ უკვე იცნობენ
ზღვათა ფსკერს, ტალღა რომ ფარავს.
იციან, რომელი წყლებია მდიდარი
სადაფით, წითელი ქვებით.
თევზებს და ზღვის ზღარბებს რომელ ნაპირებთან
ხედავენ ყველაზე ხშირად.
მაგრამ არ უწყიან, სადაა ნანატრი
სიკეთე, რჩებიან ბრმებად
და რაც ვარსკვლავეთის მიღმა იმალება
მიწაზე ეძებენ იმას.
ბრმა გონებათათვის, მაშ რაღა ვისურვო?
სიმდიდრეც, პატივიც ჰქონდეთ.
როცა ცრუ სიკეთე ტვირთად დააწვებათ,
მაშინ შეიცნობენ ნამდვილს.

III. 9. ამ დრომდე უკვე საკმარისად გაჩვენე ყალბი ბედნიერების სახე, და თუ მას გულდასმით დააკვირდი, შემდეგ იმის ჯერი დგას, რომ დაგანახო, თუ რომელია ჭეშმარიტი.» «რა თქმა უნდა, ვხედავ, რომ ვერც თვითკმაროზას მოიპოვებ სიმდიდრით, ვერც ძალმოსილებას მეფის ძალაუფლებით, ვერც დაფასებას – თანამდებობებით, ვერც სახელოვნებას – დიდებით და ვერც სიხარულს – სიამეებით.» «იმის მიზეზებიც გამოარკვიე, თუ რატომაა ეს ასე?» «მომეჩვენა, რომ მათ თვალი მოვკარი თითქოს ჭუჭრუტანიდან, მაგრამ ვამჯობინებ შენგან უფრო ვრცლად შევიტყო.» «მიზეზი ხომ ცხადზე ცხადია. მას, რაც ბუნებით მარტივი

და განუყოფელია, ადამიანთა მცდარი წარმოდგენა აცალკევებს, ჭეშმარიტი და სრულყოფილი მდგომარეობიდან მცდარსა და არასრულყოფილში გადაჰყავს. იქნებ ფიქრობ, რომ ძალაგამოცლილია ის, რასაც არაფერი აკლია?» «სრულიადაც არა,» – მივუგე. «მართალი ხარ,» – მითხრა მან – «ვინაიდან, თუ არის რამე, რისი ძალაც რამდენადმე მოისუსტებს, მას აუცილებლად დასჭირდება სხვისი დახმარება.» «ასეა,» – დავუდასტურე. «მაშასადამე, თვითკმარობას და ძალმოსილებას ერთი ბუნება აქვს.» «ჩანს, ასეა.» «როგორ ფიქრობ: ის, რასაც ასეთი ბუნება აქვს, არაფრადაა ჩასაგდები, თუ პირიქით, ყოველივე არსებულზე მეტადაა დაფასების ღირსი?» «აქ სადაოც არაფერია,» – ვუპასუხე. «მაშ, თვითკმარობასა და ძალმოსილებას დაფასებაც უნდა მივუმატოთ, რათა ეს სამი განვიხილოთ, როგორც ერთი. «უნდა მივუმატოთ,» – დავეთანხმე – თუ მართლაც გვსურს შევიცნოთ ჭეშმარიტება.» «როგორ ფიქრობ,» – მკითხა მან, – ეს ერთობა ბუნდოვანი და უმნიშვნელოა, თუ ყოველგვარ დიდებაზე აღმატებული? დაუფიქრდი, განა მას, რაც ყველაზე ძალმოსილია და დაფასებას ყველაზე მეტად იმსახურებს, არ მოაკლდება დიდება, თუკი საკუთარ თავს თავად ვერ შესძენს? ამის გამო ხომ რაღაც მხრივ არასასურველად გამოჩნდება.» «არ შემიძლია არ ვაღიარო, რომ გარდა იმისა, რასაც ეს ერთობა წარმოადგენს, იგი ძალზე დიდებულიცაა.» «მაშასადამე, აქედან გამომდინარეობს, რომ დიდება ზემოთ აღნიშნული სამისგან არაფრით განსხვავდება.» «მართლაც გამომდინარეობს,» – მივუგე. «მაშ, რაც სხვას არაფერს საჭიროებს, რაც ყოველივეს საკუთარი ძალებით აღწევს, რაც დიდებული და დაფასებულია, განა უთუოდ სასიხარულოც არაა?» «მართლაც ვერ წარმომიდგენია ამგვარ მდგომარეობაში რაიმე სევდამ შეაღწიოს, ამიტომაც, თუ წინამდებარე დასკვნები კვლავ ძალაშია, აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, რომ იგი სიხარულითაცაა სავსე. მაშინ, იმავე მიზეზებით, აუცილებელია, რომ მხოლოდ მათი სახელწოდებები განსხვავდებოდეს და არავითარ შემთხვევაში მათი არსი.» «აუცილებელია,» – დავუდასტურე.

«მაშასადამე, მას, რაც ბუნებით ერთიანი და მარტივია, ადამიანური სიმრუდე ანაწევრებს და როცა მავანი ცდილობს მიიღოს იმის ნაწილი, რასაც ნაწილი არ გააჩნია, იგი ვერც ნაწილს იღებს (ვინაიდან იგი არ არსებობს), და ვერც მთელს, რომელსაც არც კი ესწრაფვის.» «ეს როგორ?» – შევეკითხე, ის, ვინც უპოვრობისგან თავის არიდებით ცდილობს სიმდიდრის მოპოვებას, ძალაუფლებისთვის არაფერს აკეთებს, ამჯობინებს იყოს უჩინარი და უმნიშვნელო. იგი მრავალ ბუნებრივ სიამოვნებასაც განირიდებს, რათა ნაშოვნი ფული არ შემოეხარჯოს. მაგრამ ამ გზით თვითკმარობას ვერ მიაღწევს ის, ვისაც ტოვებს ძალა, ვისაც სადარდებელი მოსვენებას არ აძლევს, ვისაც საკუთარი უმნიშვნელობა აკნინებს, ვინც ჩრდილში იმალება. ხოლო ვისაც მხოლოდ ძალმოსილება სურს, ანიავებს სიმდიდრეს, სიამეებს უგულებელყოფს, წოდებებსა და დიდებას ძალაუფლების გარეშე არაფრად აგდებს. მაგრამ თავადაც ხედავ, თუ როგორი არასრულყოფილია მისი მდგომარეობა. ზოგჯერ ხდება, რომ მას რაც საჭიროა, ისიც არა აქვს, ტანჯავს სურვილები და ვინაიდან ამისგან თავის დაღწევა არ შეუძლია, კარგავს ძალმოსილებასაც, რომელსაც ყველაზე მეტად ეშურებოდა. მსგავსი რამ უნდა ითქვას წოდებების, დიდების, სიამეების შესახებაც. მაგრამ, ვინაიდან თითოეული მათგანი იგივეა, რაც დანარჩენი, ვინც მხოლოდ ერთ მათგანს ესწრაფვის, იმასაც ვერ იღებს, რაც სურს.» «რა მოხდება,»– შევეკითხე, – თუ ვინმე მოიწადინებს ყველა ერთად მიიღოს?» «ესე იგი მას ნეტარების მწვერვალთან მიღწევა სურს. მაგრამ განა იპოვნის იმ ფასეულობებში, რომლებიც, როგორც დავადგინეთ, ვერ აღასრულებენ რასაც გვპირდებიან?» «სრულიადაც

არა.» «მაშასადამე, ნეტარება არ უნდა ვეძიოთ მათში, რაც სასურველთაგან მხოლოდ რაღაც ცალკეულს წარმოგვიდგენს.» «ვაღიარებ, ამაზე უფრო მართებულს ვერაფერს დასძენ.»

«მაშასადამე,» – თქვა მან – «შენ წინაშეა ყალბი ბედნიერების სახეც და მიზეზებიც. ახლა გონების თვალი საწინააღმდეგო მხარეს მიაპყარი, მართლაც იქ მყისვე იხილავ ჭეშმარიტ ბედნიერებას, რომელსაც დაგპირდი.» «მაგრამ ეს ხომ ბრმისათვისაც ნათელია,» – მივუგე – და ცოტა ხნის წინ კიდევაც მაჩვენე იგი, როცა შეეცადე ყალბი ბედნიერების მიზეზები გაგეცხადებინა. თუ არ ვცდები, ჭეშმარიტი და სრულყოფილი ბედნიერება არის ის, რომელიც ადამიანს თვითკმარობას, ძალმოსილებას, დაფასებას სძენს. მაგრამ რომ გაიგო, თუ რა გულისყურით გისმენდი, გეტყვი, რომ რასაც ჭეშმარიტად ხელეწიფება ერთ-ერთი მათგანის მონიჭება, ვინაიდან ყველა ეს ერთი და იგივეა, ყოყმანის გარეშე ვაღიარებ სრულყოფილ ნეტარებად.» «ო, ჩემო აღზრდილო, ბედნიერი ხარ ამ შენი შეხედულების წყალობით, მხოლოდ ეს ერთი რამ უნდა დასძინო.» «რა?» – შევეკითხე. «როგორ ფიქრობ, განა ამ წარმავალ და დროებით საგნებში იქნება ისეთი რამ, რასაც შეუძლია ასეთი სრულყოფილი მდგომარეობა შექმნას?» «არა,» – ვუპასუხე, – და ვფიქრობ, რომ შენ ეს ისე ნათლად წარმოაჩინე, რომ აღარაფრის დამატება აღარაა საჭირო.» «მაშასადამე, ეს ყოველივე ან ჭეშმარიტი სიკეთის აჩრდილებს ანიჭებს მოკვდავებს, ან რაღაც არასრულყოფილ სიკეთეს, ხოლო ჭეშმარიტი და სრულყოფილი სიკეთის მოტანა არ ხელეწიფება.» «გეთანხმები,» – მივუგე. «მაშ, რადგან უკვე შეიცანი, რომელია ჭეშმარიტი ნეტარება და რომელს უწოდებენ შეცდომით ნეტარებას, ახლა ისღა დაგრჩენია, რომ შეიტყო, თუ სად შეგიძლია ეძიო იგი.» «მართლაც უკვე დიდი ხანია გამალებით დავეძებ მას.» «მაგრამ, რადგან ჩემ პლატონს «ტიმეოსში» წარმოუდგენია, უმნიშვნელო საქმეებშიც კი გვმართებს ღვთაებრივი შემწეობა ვითხოვოთ, როგორ ფიქრობ, ახლა რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ უმაღლესი სიკეთის სამყოფელის მოძებნა დავიმსახუროთ?» «უნდა მოვუხმოთ ყოველივე არსებულის მამას, რომლის გარეშეც წესიერად საფუძველს ვერაფერს ჩაუყრი.» «მართალია» – თქვა მან და მაშინვე დაიწყო სიმღერა:

III. 9 (v).[65]ო, ვინაც მართავ მარადისი წესით სამყაროს,
ცისა და მიწის შემოქმედო, ვინაც დროს მოსწყვეტ
მარადისობას; აღძრავ ყოველს, თავად უცვლელი.
გარეგან მიზეზთ არ შეეძლო მიეცა ბიძგი მისთვის,
რაც შექმენ ჭეშმარიტად, რომ მატერიას
ფორმა მიეღო უმაღლესი სიკეთისაგან.
შენ ზეციური მაგალითით უძღვები ყოველს,
უდიადესო, გონით მართავ დიად სამყაროს
მსგავს ხატად შექმნილს, სრულყოფილი ნაწილებისგან
სრულქმნი სამყაროს, ელემენტებს რიცხვებით შეკრავ.
თანაარსებობს მშრალი სველთან, სიცხე – ყინვასთან,
რომ წმინდა ცეცხლი არ გაფრინდეს, არც რა დაემხოს.

სამმაგ ბუნების შუა წევრი ქვეყნად განფინე [66]
და ამოძრავებს ყოველივეს ჰარმონიულად,
მან ორ წრედ შეკრა მოძრაობა, როს გაითიშა,
თავის თავს იგი უბრუნდება, გონს გარს ევლება,
ასე აბრუნებს ზეცის ხატსაც.[67]მსგავსი მიზეზით
წინ მიგყავს სულნი, არსებებიც უფრო მდაბალნი

და მსუბუქ ეტლებს მიანიჭებ ამაღლებულებს,
ბრძნული კანონით, რომ წარმოშობ ცაშიც, მიწაზეც
მობრუნებული ცეცხლით იწვევ შენკენ მოქცეულთ.
მამავ, მიუშვი გონი, მისწვდეს წმინდა სავანეს,
სიკეთის წყარო დაანახე, უძღვენ ნათელი.
სულს ნება მიეც, რომ იხილოს შენი ხატება,
გაფანტე ნისლი მიწიერი, ტვირთი ახსენი,
გამოანათე ბრწყინვალებით, რამეთუ შენ ხარ
ნავთსაყუდელი ღვთისმოსავთა, შენ გესწრაფვიან,
შენში არს ყოვლის დასაწყისიც და დასასრულიც.

III. 10. მაშ, ვინაიდან უკვე იხილე, თუ როგორია არასრულყოფილი და როგორია სრულყოფილი სიკეთის სახე, ახლა დროა გაჩვენო, თუ რა განაპირობებს ბედნიერების ამ სისრულეს. მიმაჩნია, რომ აქ, პირველ რიგში, უნდა გამოვარკვიოთ, არის თუ არა შესაძლებელი არსებულ საგანთა ბუნებაში იყოს რაიმე იმდაგვარი სიკეთე, როგორადაც ცოტა ხნის წინ განვსაზღვრეთ, რათა ჭეშმარიტებასთან შეუსაბამო უშინაარსო მსჯელობამ თავგზა არ აგვიბნიოს. მაგრამ, შეუძლებელია უარყოფა მისი არსებობისა და იმისა, რომ იგი ყოველგვარი სიკეთის რაღაც სათავეა. ვინაიდან ყოველივე, რასაც არასრულყოფილი ეწოდება, სრულყოფილების ნაკლებობის გამოა არასრულყოფილად აღიარებული. ამიტომაცაა, რომ თუ რამეში აღმოჩნდება რაღაც არასრულყოფილი, აუცილებელია მასში რაღაც სრულყოფილიც იყოს. ვინაიდან თუ სრულყოფილებას გვერდზე გადავდებთ, სრულიად წარმოუდგენელი იქნება, საიდანღა იარსებებს ის, რაც არასრულყოფილადაა მიჩნეული. არც ბუნება იღებს დასაბამს ნაკლულოვანი და არასრულყოფილი საგნებიდან, არამედ სავსე და სრულყოფილიდან მომდინარეობს და შემდეგ მდაბალსა და დაკნინებულში გადაიზრდება. თუკი, როგორც ცოტა ხნის წინ ვაჩვენეთ, არსებობს წარმავალი სიკეთისეული რაღაც არასრულყოფილი ბედნიერება, შეუძლებელია დაეჭვება, რომ რაღაც მყარი და სრულყოფილი ბედნიერებაც არსებობს.» «ძალზე მტკიცედ და მართებულადაა დასკვნა გამოტანილი.» – მივუგე. «ახლა გავაანალიზოთ,» – თქვა მან, – მართლაც სად უდევს ბინა ბედნიერებას. ის, რომ ყოველივე არსებულის მეუფე – ღმერთი – სიკეთეა, ადამიანთა გონებისთვის საყოველთაოდ მისაღები აზრია. ხოლო ვინაიდან ღმერთზე უკეთესი რამის წარმოდგენა შეუძლებელია, ვის შეეპარება ეჭვი, რომ ის, ვისზე უკეთესიც არაფერია, – სიკეთეა? ამგვარად, ღმერთი რომ სიკეთეა, გონებამ ისე ცხადყო, რომ ისიც დაადგინა – სრულყოფილი სიკეთე მასშია. ეს რომ ასე არ იყოს, ყოველივეს განმგებელი ვერ იქნებოდა. რადგან

იარსებებდა სრულყოფილი სიკეთის მფლობელი მასზე აღმატებული რამ, რომელიც მასზე უწინარესიც იქნებოდა და მასზე ხანიერიც, რადგან უდავოა, რომ ყოველივე სრულყოფილი მასზე ნაკლებად სრულყოფილზე უწინარესია. ამიტომ, მსჯელობა უსასრულოდ რომ არ გაგვიგრძელდეს, უნდა ვაღიაროთ, რომ უზენაესი ღმერთი უმაღლესი და სრულყოფილი სიკეთითაა აღსავსე. მაგრამ, ვინაიდან დავადგინეთ, რომ სრულყოფილი სიკეთე ჭეშმარიტი ნეტარებაა, ამიტომაც ჭეშმარიტი ნეტარებაც აუცილებლად უზენაეს ღმერთში უნდა მდგომარეობდეს.» «გეთანხმები,» – მივუგე, – შეუძლებელია ამის საწინააღმდეგოდ რაიმეს თქმა.» «მაგრამ» – განაგრძო მან – «მაინტერესებს როგორ დაამტკიცებ უცილობლად და დაბეჯითებით იმას, რაც აღვნიშნეთ, რომ უზენაესი ღმერთი უმაღლესი სიკეთითაა აღსავსე.» «როგორ?» – შევეკითხე. «ნაჩქარევად არ უნდა ივარაუდო, რომ იმას, ვინც ყოველივე არსებულის მამაა, უმაღლესი სიკეთე, რომელსაც, როგორც ნათქვამია იგი ფლობს, ან რაიმე

გარეგანი წყაროდან აქვს მიღებული, ან ბუნებრივად ფლობს ისე, რომ განსხვავებულად მიიჩნიო საკუთრების – ნეტარების და მესაკუთრის – ღმერთის არსი. მაგრამ, თუ ფიქრობ, რომ გარედან აქვს მიღებული, მაშინ შეიძლება ივარაუდო, რომ ვინც აძლევს უფრო აღმატებულია მასზე, ვინც იღებს. მაგრამ ჩვენ ძალზე საკადრისად ვაღიარეთ, რომ იგი ყოველივე არსებულზე დიდებულია. ხოლო თუ იგი მის ბუნებაშია, მაგრამ არსობრივად განსხვავდება, დაუჯერებელი აზრია, ვინაიდან ჩვენ ვსაუბრობთ ღმერთის შესახებ, რომელიც ყოველივე არსებულზე აღმატებულია. და ბოლოს, თუ ერთი საგანი განსხვავდება მეორისგან, იგი ვერ იქნება ის, რაც მისგან განსხვავებულადაა მიჩნეული. ამგვარად, რაც უმაღლესი სიკეთისგან განსხვავებულია თავისი ბუნებით, იგი უმაღლესი სიკეთე არ არის. მაგრამ დანაშაულია ამის გაფიქრება მასზე, ვისზე აღმატებულიც უდაოდ არაფერია. ვინაიდან ვერაფერი იქნება თავის საწყისზე უკეთესი. ამიტომაც ყოველივე არსებულის საწყისი უმაღლესი სიკეთეა.» «სწორია,»- მივუგე «მაგრამ აუცილებელია ვაღიაროთ, რომ ღმერთი არის თავად ნეტარება.» ვუპასუხე: «არც უწინდელი, არც ახლანდელი ვარაუდებისთვის წინ აღდგომა არ შემიძლია და ნათლად ვხედავ, რომ აქედან ეს უცილობლად გამომდინარეობს.»

«შეხედე,» – თქვა მან, – ამ მტკიცებულებითაც კიდევ უფრო მყარდება ის, რომ შეუძლებელია ორი ერთმანეთისგან განსხვავებული სიკეთის არსებობა. ვინაიდან განსხვავებულ სიკეთეთაგან ერთი ვერ იქნება ის, რაც მეორეა. ამიტომ ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს სრულყოფილი, ვინაიდან თითოეულს დააკლდება მეორე. მაგრამ რაც არ არის სრულყოფილი, ცხადია ის უზენაესი ვერ იქნება. სიკეთენი, რომლებიც უმაღლესნი არიან, ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებიან განსხვავებულნი. ჩვენ დავასკვენით, რომ ნეტარებაც და ღმერთიც უმაღლესი სიკეთეა. ამიტომაც აუცილებელია, რომ რაც უზენაესი ღვთაებრიობაა, ის უზენაესი ნეტარებაც იყოს.» «სინამდვილეში ვერც ერთი დასკვნა ვერ იქნება ვერც ასე სწორი, ვერც განსჯით ასე გამყარებული და ვერც ღმერთის უფრო შესაფერისი. გარდა ამისა, როგორც გეომეტრიკოსებს ჩვევიათ რაიმეს ჩართვა დასაბუთებული დებულებებიდან, რომელთაც თავად დანასკვს უწოდებენ, მეც მოგცემ რაიმეს დანასკვის სახით. მაშ, ვინაიდან ადამიანები ნეტარების მოპოვებით ხდებიან ნეტარნი, ხოლო ნეტარება თავად ღვთაებრიობაა, მაშინ ცხადია, რომ ღვთაებრიობის შეძენით ნეტარნი გახდებიან, ისევე, როგორც სამართლიანობის შეძენით ხდებიან სამართლიანნი, სიბრძნის შეძენით – ბრძენნი, მაშინ მსგავსი განსჯით, ღვთაებრივობის შეძენით ღმერთები გახდებიან.

ყველა, ვინც ნეტარია ღმერთია, მაგრამ ღმერთი ბუნებით ერთია. არაფერი უშლის ხელს მრავალს მასთან თანაზიარებაში. ეს ძალზე მშვენიერიცაა და ღირებულიც, გინდ დასკვნა უწოდე, გინდ – დანასკვი.» «მაგრამ არაფერია იმაზე მშვენიერი, რისი დართვაც ზემოთ აღნიშნულთან სურს გონებას.» «რა?» – შევეკითხე. «ის, რომ ვინაიდან ჩანს, რომ ნეტარება მრავალ რაიმეს მოიცავს, ეს მრავალი შეერთებულია, როგორც ერთი სხეული განსხვავებული ნაწილებით, თუ არის მათში რაიმე ნეტარების არსის შემცველი, რომელიც ყველა დანარჩენთანაცაა დაკავშირებული?» ვუპასუხე: «მსურს თავად მათი გახსენებით ამიხსნა ეს საკითხი.» «განა ნეტარება სიკეთედ არ მივიჩნიეთ?» «დაიხ, უზენაეს სიკეთედ.» – დავუდასტურე.

«შეგიძლია ყველა დანარჩენს ესეც დაურთო; ხომ დავადგინეთ, რომ სრული თვითკმარობა, უმაღლესი ძალმოსილება, აგრეთვე დაფასება, დიდება და სიამე იგივე ნეტარებაა. მაშ, როგორაა ყველა ეს სიკეთე: თვითკმარობა, ნეტარება და სხვანი ნეტარების თითქოსდა რაღაც ნაწილნი არიან, თუ ყოველივე ეს ისე მიემართება უმაღლეს სიკეთეს, როგორც თავიანთ

მწვერვალს?» «ვხვდები,» – მივუგე, – საკვლევად რაც დამისახე, მაგრამ მსურს მოვისმინო, თავად როგორ გადაწყვეტ ამას.» «მაშ, მოისმინე, თუ რა სხვაობაა ამ ორ მოსაზრებას შორის: ყოველი მათგანი ნეტარების ნაწილი რომ იყოს, მაშინ ისინი ერთმანეთისგან განსხვავებული იქნებოდნენ, ვინაიდან ნაწილების ბუნება ასეთია – ერთ მთლიან სხეულს თავიანთი განსხვავებულობით აგებენ. მაგრამ დადგინდა, რომ ყველა ეს ერთი და იგივეა. მაშასადამე ისინი ნაწილები ვერ იქნებიან, თორემ ნეტარება ერთი ნაწილისგან შედგენილი იქნებოდა, რაც შეუძლებელია რომ მოხდეს.» «ეს მართლაც არ არის სადაო,» – მივუგე, – «მაგრამ დანარჩენი არგუმენტების მოსმენასაც მოუთმენლად ველი.» «ცხადია, რომ სიკეთესთან ურთიერთდაკავშირებულია ყველა დანარჩენი. თვითკმარობასაც ხომ იმიტომ ესწრაფვიან, რომ იგი სიკეთედ არის აღიარებული. იგივე შეიძლება ითქვას დაფასებაზე, დიდებაზე, სიამოვნებაზე. ყოველივე სასურველის მწვერვალი და ამავდროულად მიზეზი არის სიკეთე. რაც საკუთარ თავში არ ატარებს სიკეთეს ან მის მსგავსებას, ის არასგზით არაა სასურველი. ამის საპირისპიროდ, იმას, რაც ბუნებით სიკეთე არ არის, ისევე ესწრაფვიან, როგორც ჭეშმარიტ სიკეთეს, თუკი ასეთად მოსჩანს. ამიტომაცაა, რომ ყოველივე სასურველის მწვერვალად, ღერძად და მიზეზად სამართლიანად მიიჩნევენ სიკეთეს. ყველაზე სასურველი მართლაც ისაა, რისი გულისთვისაც სხვა დანარჩენს ეშურებიან. მაგალითად, როცა ვინმეს ჯანმრთელობისთვის სწადია ცხენით ჯირითი, მას იმდენად საჯირითო მოძრაობა კი არ სიამოვნებს, რამდენადაც ამის შედეგი – ჯანმრთელობა. მაშასადამე, როცა რაიმეს სიკეთის გულისთვის ესწრაფვიან, ყველასათვის უფრო მეტადაა სასურველი არა ეს რაიმე, არამედ სიკეთე. მაგრამ ჩვენ შევთანხმდით, რომ ის, რისი გულისთვისაც სხვა დანარჩენს ესწრაფვიან ნეტარებაა, აქედან გამომდინარე, ცხადზე ცხადია, რომ თავად სიკეთესა და ნეტარებას ერთი არსი აქვთ.» «არ მესმის, როგორ უნდა აუხირდეს ვინმე ამ დასკვნებს,» – ვუთხარი მე. «ჩვენ ამასთანავე დავადგინეთ, რომ ღმერთი და ჭეშმარიტი ნეტარება ერთი და იგივეა.» «ასეა,» – დავუდასტურე. «მაშინ თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ღმერთის არსი მდგომარეობს ნეტარებაში და არსად სხვაგან.

III. 10 (v). მომიახლოვდით, ტყვედქმნილებო, ერთად შემოკრბით,

ვისაც მტანჯველი ჯაჭვით გბორკავთ ამაო ვნება,
მიწიერ გონში დაუდვია რომელსაც ბინა.
კირთების ნაცვლად მოიპოვებთ თქვენ აქ სიამეს,
აქ გელოდებათ უშფოთველი ნავთსაყუდელი,
უბედურთათვის თავშესაფრის ღიაა კარი.
ის, რასაც გვიძღვნის ოქროს ქვიშით ჩქარი ტაგუსი[68]
ანდა ჰერმუსი[69]მოოჭვილი სანაპიროთი,
ანდა ინდუსი[70]ცხელ სარტყელთან ახლოს მყოფელი,
თეთრ და მწვანე ქვებს ერთმანეთში როცა აურევს
ადამიანის მზერას ატკბობს ნათელმოსილი,
მაგრამ ჩამალავს ბრმა გონებას თავის წყვდიადში.
ის რაღაც, მიწამ რომ აღზარდა ღრმა უფსკრულებში,
კაცის გონებას აჯადოებს და მიიზიდავს.
ის ბრწყინვალება, კი, რომლითაც ზეცა სულდგმულობს
მუდამ გაურბის დაცემული სულის სიბნელეს.
ის, ვინც შეიძლებს ბრწყინვალება იგი იხილოს,
ფებუსის სხივთა სიკაშკაშეს არად ჩააგდებს.

III. 11. «გეთანხმები,» – მივუგე, – «რადგან შენი მსჯელობა ურყევი მტკიცებულებებითაა გამყარებული.» მაშინ მან მკითხა: «რამდენად დააფასებდი, რომ შეგეძლოს იმის შეცნობა, თუ რას წარმოადგენს თავად სიკეთე?» «განუსაზღვრელად, თუკი ამასთან ერთად მოვახერხებდი ღმერთის შეცნობასაც, რომელიც თავადაც სიკეთეა.» «ამას ყველაზე უფრო ჭეშმარიტი აზრებით განგიმარტავ, მხოლოდ თუ ჩვენი წინამდებარე დასკვნები კვლავაც ძალაშია.» «დიახ, კვლავ ძალაშია.» «ხომ ცხადვყავით, რომ ის ფასეულობები, რომლებსაც ადამიანთა უმრავლესობა ესწრაფვის, ჭეშმარიტ და სრულყოფილ სიკეთეს არ წარმოადგენენ იმიტომ, რომ ერთმანეთისგან განსხვავდებიან და რადგან ერთი მათგანი მოკლებულია მეორეს, არ შეუძლიათ სრულყოფილი და აბსოლუტური სიკეთის მონიჭება, მაგრამ ჭეშმარიტ სიკეთედ იქცევიან მაშინ, როცა თითქოსდა გაერთიანდებიან ერთ ფორმასა და მოქმედებაში ისე, რომ რაც თვითკმარობაა, იგივე გახდება ძალაუფლება, დაფასება, დიდება, აგრეთვე სიამე. ესენი ერთი და იგივე რომ არ ყოფილიყვნენ, მაშინ ხომ არაფერი ექნებოდათ ისეთი, რის გამოც სასურველთა შორის ჩაითვლებოდნენ?» «ეს დამტკიცებულია და შეუძლებელია მასში რაიმე ეჭვის შეტანა.» «მაშ, როცა ესენი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მაშინ სიკეთისგან შორს არიან, მაგრამ როცა ერთიანდებიან, სიკეთედ იქცევიან, განა სიკეთეს გაერთიანებით არ იძენენ?» «ასე ჩანს.» მაგრამ ყოველივე კეთილი სიკეთის თანაზიარებითაა ასეთი, არა?» «ასეა.» «მაშასადამე საჭიროა მსგავსი განჯით მიხვიდე იმ დასკვნამდე, რომ ერთიანობა და სიკეთე ერთი და იგივეა, რადგან ერთი არსი იმ საგნებს აქვთ, რომელთა ზემოქმედებაც არაა განსხვავებული.» «ამას ვერ უარვყოფ.» «იცი თუ არა, რომ ყოველივე, რაც არსებობს, არსებობს იქამდე, სანამ ერთიანია, მაგრამ ერთიანობის დაკარგვისთანავე იშლება და იღუპება?» «ეს როგორ?» «ისევე,

როგორც ცხოველების შემთხვევაში,» – თქვა მან, – როცა მათი სული და სხეული ერთადაა და აგრძელებს თანაარსებობას, მაშინ ეწოდება მას ცოცხალი არსება. მაგრამ როდესაც ეს ერთიანობა ირღვევა ამ ორთა დაცალკევებით, ქმნილება კვდება და ის უკვე ცოცხალი არსება აღარ არის. თავად სხეულიც, როცა მის ნაწილთა გაერთიანებით ერთ მთლიანობადაა ქცეული, ადამიანის გარეგნობას წარმოგვიდგენს, მაგრამ თუ მათი დაშლა და დაფანტვა სხეულის ერთიანობას დაარღვევს, მაშინ ვეღარ იქნება ის, რაც იყო. ამგვარად, თვალი რომ გადავავლოთ ყოველივე დანარჩენს, მაშინ უთუოდ ცხადი იქნება, რომ ნებისმიერი რამ არსებობს მანამ, სანამ მთლიანია, მაგრამ, როცა ერთიანობას კარგავს, იღუპება.»

«თუ არის რაიმე,» – იკითხა მან, – ბუნების წესისამებრაც რომ იქცეოდეს და თან არსებობის სურვილს თმობდეს და დაღუპვასა და განადგურებამდე მისვლას ლამობდეს?» ვუპასუხე: «თუ მხედველობაში მივიღებთ ცხოველებს, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული ბუნებრივი უნარი ისურვონ რაიმე ან არ ისურვონ, მათ შორის ვერ ვპოულობ ისეთს, რომელიც რაიმე გარეგანი იძულების გარეშე ტოვებს სიცოცხლის წყურვილს და დაღუპვისკენ ნებით მიიჩქარის. ყველა ცხოველი ხომ სიცოცხლის შენარჩუნებისთვის ირჯება, ხოლო სიკვდილსა და დაღუპვას გაურბის. მაგრამ, რაც შეეხება ბალახსა და ხეებს, და, ზოგადად, უსულო საგნებს, მართლაც ვყოყმანობ მათზე რაიმეს გაფიქრებას.» «მაგრამ არც მათ შემთხვევაშია რაიმე საყოყმანო. ხომ ხედავ, რომ ბალახიც და ხეებიც მათთვის შესაფერის ადგილას იზრდება, სადაც, რამდენადაც ბუნება ამის საშუალებას აძლევს, დაცულნი არიან სწრაფად დაჭკნობისა და დაღუპვისაგან. ამგვარად ზოგი ხარობს მინდვრებში, ზოგი – მთაში, ზოგი – ჭაობში, ზოგი კლდეს ემაგრება, ზოგისთვის კი უნაყოფო ქვიშაა ხელსაყრელი და თუ მათ სხვა ადგილზე გადატანას შეეცდებიან – დაჭკნებიან. მაგრამ ბუნება აძლევს იმას, რაც სასარგებლოა და ზრუნავს, რომ სანამ არსებობის ძალა შესწევთ, არ განადგურდენ. მაშ, ყველა მცენარე რატომ

იღებს საკვებს ფესვებით, თითქოსდა მიწას პირითაა ჩაფრენილი და შემდეგ საკვებს გულითა და ქერქით ანაწილებს? რატომაა, რომ ყველაზე რბილი რამ, როგორიცაა ხის გული მუდამ შიგნითაა ჩამალული, ხოლო ყველაზე გარეთ ქერქია, მცველის დარად არაჯანსაღი კლიმტისთვის წინააღმდეგობის გასაწევად? და კვლავაც, რა დიდია ბუნების გულმოდგინება, როცა ყოველივეს მოშენებას თესლთა გამრავლებით უწყობს ხელს. განა ვინმემ არ იცის, რომ ეს პროცესი არა მხოლოდ დროში არსებობის შენარჩუნების, არამედ შთამომავლობის გზით თითქოს სამუდამოდ არსებობის ერთგვარი მექანიზმია? ხოლო ის, რაც უსულო საგნადაა მიჩნეული განა რაღაც გონების მსგავსით არ ესწრაფვის თავის შესაფერისს? მაშ, რატომ ეზიდება ზემოთ ცეცხლს სიმსუბუქე, ხოლო მიწას სიმძიმე ძირს ექაჩება, თუკი თითოეული მათგანისთვის ეს ადგილი და ამგვარი მოძრაობა არაა შესაფერისი? გარდა ამისა, თითოეული დაცულია იმით, რაც შეეფერება ისევე, როგორც აზიანებს ის, რაც არახელსაყრელია. მკვრივ საგნებს, ისეთებს, როგორიც არის ქვები, ადვილად დაშლისგან იცავთ მჭიდროდ შეკრული ნაწილები. ზოგი არამყარი საგანი, როგორიცაა ჰაერი ან წყალი, თუმცა გამთიშველ ძალას ადვილად ემორჩილება, მაგრამ მალევე იბრუნებს იმას, რაც მოეკვეთა. ხოლო ცეცხლი ყოველგვარ დანაწევრებას გამორიცხავს.

მაგრამ ჩვენ ახლა განვიხილავთ არა გაცნობიერებული სულის ნებაყოფლობით მოძრაობას, არამედ ბუნებრივ მისწრაფებას. ისევე, როგორც მიღებულ საკვებს ვითვისებთ მასზე დაფიქრების გარეშე, ან როცა

ძილში ვსუნთქავთ გაუცნობიერებლად, ამის მსგავსად, ცხოველებშიც სიცოცხლის სიყვარული მოდის არა სულის ნებელობიდან, არამედ ბუნების კანონზომიერებიდან. მაგრამ, ხშირად რიგ გარემოებათა გამო ნება ირჩევს სიკვდილს, რომელსაც ბუნება გაურბის. ხოლო, მეორე მხრივ, იმისგან, რითაც მოკვდავ ქმნილებათა არსებობაა განმტკიცებული – შთამომავლობის დატოვება – რასაც ბუნება მუდამ მიელტვის, ნება ზოგჯერ თავს იკავებს. ამდენად საკუთარი თავის სიყვარულიც მომდინარეობს არა მაცოცხლებელი სულის მოძრაობიდან, არამედ ბუნებრივი მისწრაფებიდან. ვინაიდან განგებამ მის მიერ გაჩენილ ქმნილებებში შთანერგა არსებობის უდიდესი მიზეზი – სიცოცხლე მანამ სურდეთ, სანამ ამის შესაძლებლობა აქვთ. ამიტომაც არავითარ შემთხვევაში ეჭვი არ უნდა შეგეპაროს, რომ ყოველივე არსებული ბუნებრივად ესწრაფვის არსებობის მუდმივობას და გაურბის აღსასრულს.» «ვაღიარებ,» – მივუგე, – რაც აქამდე გაურკვევლად მეჩვენებოდა, ახლა ვჭვრეტ, როგორც უტყუარს. მაშ, რაც არსებობას და არსებობის გახანგრძლივებას ესწრაფვის, სურს იყოს ერთიანი. თუ ეს ასე არ იქნება, ვერც მისი არსებობა გაგრძელდება.» «ასეა,» – დავუდასტურე. «მაშასადამე ყოველივეს სურს ერთიანობა.» «გეთანხმები.» «მაგრამ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ეს ერთიანობა არის თავად სიკეთე.» «მართლაც ასეა.» «მაშ, ყოველივე ესწრაფვის სიკეთეს და ეს შეგიძლია ასე გადმოსცე: თავად სიკეთეა ის, რაც ყველასთვისაა სასურველი.» «ამაზე უფრო ჭეშმარიტი ვერცერთი სხვა აზრი ვერ იქნებოდა. ან ყოველივე არავითარი ერთიანობისკენ არაა მიმართული და თვითნებურად მიედინება განმკარგველსა და საბოლოო მიზანს მოკლებული, ან არსებობს ის ერთი რაღაც, რისკენაც ყველაფერი მიისწრაფვის და ესა არის ყოველივე სიკეთის მწვერვალი.» მაშინ მან თქვა: «მეტისმეტად გახარებული ვარ ჩემო მოწაფევ, რადგან ახლა შენი გონება ჭეშმარიტების უმთავრესი საკითხისკენაა მიმართული. აქ განგიცხადდა ის, რისი არცოდნაც ცოტა ხნის წინ აღიარე.» «რა?» «ის თუ რა არის ყოველივე არსებულის საბოლოო მიზანი, ვინაიდან ის მართლაც იმას წარმოადგენს, რაც ყველასათვისაა სასურველი და რადგან დავასკვენით, რომ იგი სიკეთეა, გვმართებს ვაღიაროთ, რომ სიკეთე ყოველივე არსებულის საბოლოო მიზანია.

III. 11 (v). ვინაც ეძიებს ღრმა გონებით ჭეშმარიტებას
და მისკენ სავალ გამრუდებულ გზებს ერიდება,
საკუთარ თავში შინაგანი მზერის ნათელით
უნდა საზღვრებში მოაქციოს უსაძღვროება.
სული გაწვართოს: გარეთ ნუკი ესწრაფვის რამეს,
ის საგანძური, რომელსაც ფლობს, შიგნით, სულშია.
თავად ფებუსზე უფრო ნათლად გამობრწყინდება,
რაც კი შეცდომის შავმა ნისლმა უწინ დაფარა.
გონებისაგან ვერ განდევნა ჯერ საბოლოოდ
შუქი სხეულმა, დავიწყების ზვირთის აღმძვრელმა,
დარჩა მარცვალი, სულის შიგნით, ჭეშმარიტების,
რომელსაც სწავლის ნიავქარი კვლავ გააღვიძებს.
როგორ განსჯიდით შემკითხველნი სწორად რაიმეს,

თქვენ გულში მისი ნაპერწკალი რომ არ ღვიოდეს.
პლატონის მუზა[71] ახმოვანებს თუკი სიმართლეს,
ვინც რამეს სწავლობს, დავიწყებულს იხსენებს იგი.»

III. 12. მაშინ მივუგე: «სავსებით ვეთანხმები პლატონს. მართლაც, უკვე მეორედ შემახსენე ამის შესახებ, პირველად მაშინ, როცა სხეულის ზეგავლენით მქონდა დავიწყებული, მეორედ კი მწუხარებით გულდამძიმებული როცა ვიყავი.» მან თქვა: «თუკი გადახედავ იმას, რაც ცოტა ხნის წინ ვივარაუდეთ, არ გაგიძნელდება იმის გახსენება, რისი არცოდნაც ახლა აღიარე.» «რა?» – შევეკითხე. «ის, თუ რა საშუალებებით იმართება სამყარო.» «მახსოვს,» – მივუგე, – რომ ჩემი უმეცრება ვაღიარე და თუმცა წინასწარ ვხვდები, რაც უნდა მამცნო, მაინც მსურს შენგან უფრო დაწვრილებით მოვისმინო.» «ცოტა ხნის წინ,» – თქვა მან, – «სრულიად არ გეეჭვებოდა, რომ სამყაროს ღმერთი განაგებს.» «სხვაგვარად არც ახლა ვფიქრობ,» – მივუგე, – და არც ოდესმე დავეჭვდები ამაში. მოკლედ განვმარტავ, ამ მოსაზრებამდე რამ მიმიყვანა: სამყარო ასეთი განსხვავებული და საპირისპირო ნაწილებისგან ერთ მთლიანობად ვერ ჩამოყალიბდებოდა, რომ არა ის ერთი, რომელიც ამგვარ განსხვავებულ საგნებს შეაკავშირებდა. ხოლო განსხვავებულ არსთა კავშირი თანდათან დაიშლებოდა და გაითიშებოდა, რომ არა ის ერთი, რომელიც განამტკიცებდა მათ, რაც შეაერთა. ვერც ბუნების განსაზღვრული წესრიგი წარმოიქმნებოდა, ვერც საგნები იმოძრავებდნენ დროსა და სივრცეში, არ ექნებოდათ მიზეზი, ხარისხი და განფენილობა, რომ არა ის ერთი, რომელიც თავად უცვლელი, ამ ცვლილებათა მრავალსახეობას მოაწესრიგებდა. მას კი, რაც არ უნდა იყოს იგი, რისი წყალობითაც ყოველივე არსებული სულდგმულობს და მოძრაობს, ვუწოდებ ყველასათვის ნაცნობ სახელს – ღმერთს.»

მაშინ მან თქვა: «თუკი ასე მიგაჩნია, მაშინ ვფიქრობ, მცირე ძალისხმევაღა დამრჩა იმისთვის, რომ ბედნიერებას გაზიარო და სამშობლოში უვნებელი დაგაბრუნო. მაგრამ, მოდი, გადავხედოთ წამოჭრილ საკითხს. ხომ მივაკუთვნეთ თვითკმარობა ნეტარებას და შევთანხმდით, რომ ღმერთი თავად ნეტარებაა?» «ასეა,» – დავეთანხმე.» «მაშ, – განაგრძო მან, – «ღმერთს არავითარი გარეგანი მხარდაჭერა არ დასჭირდება, ვინაიდან თუკი ვინმე რაიმეს საჭიროებს, მაშინ იგი არ არის ბოლომდე თვითკმარი.» «ეს უთუოდ ასეა.» «ხომ დამტკიცდა, რომ ღმერთი თავად სიკეთეა?» «დიახ, ეს მახსოვს.» «და ვინაიდან ყოველივეს თავად უძღვება და, როგორც შევთანხმდით, იგი სიკეთეა, მაშასადამე, ყოველივეს სიკეთით განკარგავს. იგი

თითქოს საჭე და სადავეა, რომელთა მეშვეობითაც სამყაროს მოწყობილობა მყარი და ურღვევი რჩება.» «სრულიად გეთანხმები,» – მივუგე – «და ცოტა ხნის წინ თუმცა გუმანით, ბუნდოვნად, მაგრამ მაინც განვჭვრიტე, რაც უნდა გეთქვა.» «მჯერა,» – მითხრა მან – «ახლა კი, როგორც ვფიქრობ ჭეშმარიტებისკენ უფრო დაკვირვებით მიმართავ მზერას. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია გასათვალისწინებლად, რასაც ახლა გეტყვი.» «რას? – შევეკითხე. «იმას, რომ ვინაიდან სამართლიანად სჯერათ, ღმერთი სიკეთის საჭით რომ უძღვება ყოველივე არსებულს და ეს ყოველივე, როგორც გასწავლე, სიკეთისკენ ბუნებრივად მიისწრაფვის, განა შეიძლება დაეჭვდე იმაში, რომ არსებული საგნები ნებაყოფლობით იმართებიან და

თითქოს შეთანხმებულად და გაწონასწორებულად მისდევენ განმკარგველის წესებს?» «უდაოდ ასეა, რადგან ის მმართველობა ვერ იქნებოდა ნეტარი, რომელიც არა ხსნა მორჩილთათვის, არამედ უღელი იქნებოდა უარმყოფელთათვის.» «მაშ, ქვეყნად არაფერია ისეთი, რაც თავისი არსის ერთგულია და თან ცდილობს ღმერთს აუჯანყდეს?» «არაფერია» – დავეთანხმე. «მაგრამ, თუ მაინც შეეცდებოდა, რას გააწყობდა მის წინააღმდეგ, ვინც სამართლიანად მივიჩნიეთ ნეტარების უმაღლეს მწვერვალად?» «მართლაც ვერაფერი შეძლებდა ამას.» «მაშ, არ არსებობს ისეთი რამ, რაც მოისურვებდა ან შეძლებდა უმაღლეს სიკეთეს წინ აღდგომოდა?» «ვფიქრობ, რომ არა.» – ვუპასუხე. «მაშასადამე, იგი უმაღლესი სიკეთეა, რომელიც მტკიცედ მართავს ყოველივეს და სიხარულით ანაწილებს.» მაშინ ვუთხარი: «როგორ მაამა არა მარტო იმან, რაც შენი მსჯელობით დაასკვენი, არამედ უფრო მეტად იმ სიტყვებმა, რომლებსაც ამისთვის მიმართე, რომ ბოლოს შემრცხვა იმ სისულელის გამო, რომელიც ასე ძლიერ მტანჯავდა.»

«მოსმენილი გაქვს თქმულებები ზეცის წინააღმდეგ გამლაშქრებელ გიგანტებზე, თუმცა კეთილმა ძალამ მათაც მიუჩინა ადგილი, როგორც დაიმსახურეს. მაგრამ თავად ჩვენი არგუმენტებიც ხომ არ შევუპირისპიროთ ერთმანეთს, რათა ამგვარი წინააღმდეგობიდან ჭეშმარიტების რაიმე მშვენიერმა ნაპერწკალმა გამოხეთქოს.» «როგორც გენებოს» – მივუგე. «მაშასადამე,» – თქვა მან – «არაფერია ისეთი, რაც ყოვლისშემძლეს არ ხელეწიფება?» «არაფერი,» – დავუდასტურე. «მაშ, შეუძლია ღმერთს ბოროტების ჩადენა?» «არავითარ შემთხვევაში.» – მივუგე «მაშასადამე, ბოროტება არაფერია, ვინაიდან მისი ჩადენა არ შეუძლია მას, ვისაც ყველაფერი ხელეწიფება.» «მეხუმრები?» – შევეკითხე –»მსჯელობათა გაუვალ ლაბირინთს რომ მიგებ და ხან სადაც წყვეტ, იქ იწყებ, ხან სადაც იწყებ, იქ წყვეტ, ან იქნებ ღვთაებრივი სიმარტივის რაღაც წრეებს კრავ? რადგან ცოტა ხნის წინ, როცა ნეტარებაზე დაიწყე საუბარი, განაცხადე, რომ იგი უმაღლესი სიკეთეა და აღნიშნე, რომ ის თავად უზენაეს ღმერთშია. დაამტკიცე, რომ თავად ღმერთიც უმაღლესი სიკეთე და სრული ნეტარებაა. და აქედან გამომდინარე დასძინე, რომ ვერავინ იქნება ნეტარი, ვინც ღმერთის თანასწორი არ არის. კვლავაც აღნიშნე, რომ თავად სიკეთის ფორმა ღმერთისა თუ ნეტარების არსია და რომ ეს ერთი არის სიკეთე, რომელსაც არსებულ საგანთა ბუნება მიესწრაფვის, რომ ღმერთიც სიკეთის საჭით განაგებს სამყაროს და მას ნებით ემორჩილება ყოველი, ხოლო ბოროტებას არავითარი არსი არ აქვს. და ეს არა რაიმე გარედან მოხმობილი მტკიცებულებებით, არამედ ერთი მეორიდან საიმედოდ გამოყვანილი არგუმენტებით გამოარკვიე.» მაშინ მან თქვა: «სრულიადაც არ გეხუმრები და ღვთის შეწევნით, რომელსაც ცოტა ხნის წინ ლოცვით მივმართეთ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საგანი ამოვწურეთ. ეს არის ღვთაებრივი არსის ფორმა, რომელიც არც გარეგან რამეში გადაიზრდება, არც გარედან იღებს რაიმეს, არამედ, როგორც მის შესახებ თქვა პარმენიდესმა: Πάντοθεν ευκύκλου σφαίρης εναλίγκιον ‘όγκω.[72]იგი აბრუნებს სამყაროს მოძრავ სფეროს მაშინ, როცა თავად უძრავად რჩება. ამიტომ არაფერია

გასაკვირი, რომ ავამუშავე არა გარედან მოხმობილი, არამედ განსახილველი საკითხის შიგნით მომცველი არგუმენტები, ვინაიდან ნასწავლი გაქვს პლატონის განმარტებისამებრ[73], რომ საუბარი უნდა ენათესავებოდეს იმ საგანს, რომლის შესახებაცაა იგი.

III. 12 (v). ბედნიერია, ვისაც სიკეთის
ბრწყინვალე წყაროს ხილვა ეღირსა,
ვინაც შეიძლო, რომ მიწიერი
ბორკილებისგან დაეხსნა თავი.
ერთ დროს მგოსანი თრაკიის მხარის[74]
მეუღლის სიკვდილს გლოვობდა თურმე,
როცა მწუხარე ჰანგებით იგი
ფეხადგმულ ხეებს ამოძრავებდა,
ხოლო დინებებს შეაჩერებდა
და გულმიცემულ ირმებს მძვინვარე
ლომების გვერდით დაადგომებდა,
და აღარც კურდღელს აფრთხობდა უკვე
ხილვა ჰანგებით დამტკბარი ძაღლის,
მაგრამ მის გულში ვნებათა ღელვის
კოცონი ენთო მეტად მგზნებარედ
და ყოველივეს ტყვედმქმნელი ჰანგი
საკუთარ ბატონს ვერ აამებდა,
მაშინ დაადგა ის ქვესკნელის გზას,
თან სასტიკ ღმერთებს საყვედურობდა,
იქ კი თავისი ტკბილი ჰანგები
მჟღერი სიმებით გაახმიანა,
რაც შეითვისა თავისი დედის[75]
გამორჩეული წყაროდან, რაც კი
უძლურებისგან ერგო ვაებად,
რაც დაითმინა სიყვარულისგან
ტენარუმის[76]წინ ცრემლად დაღვარა,
და მოითხოვა ტკბილი მუდარით,
შეეშვათ იგი აჩრდილთა ქვეყნად,
რომლის დარაჯი სამთავიანი[77]
გაოგნებულა ჯადოსნურ ჰანგით,
შურისძიების ქალღმერთებიც კი
დამნაშავეებს თავზარს რომ სცემენ,
ახლა მწუხარე ცრემლებს აფრქვევენ,
იქსიონის[78]თავს სწრაფი ბორბალი
თავბრუდამხვევად აღარ აბრუნებს
და ტანტალოსიც[79]წყალს არად აგდებს,
ხანგრძლივ წყურვილით გაწამებული

კმაყოფილდება ტკბილი ჰანგებით.
ღვიძლს არ უკორტნის ტიტიუსს[80]სვავი,
ბოლოს აჩრდილთა მბრძანებელიც კი

მწუხარე სახით მარცხს აღიარებს:
«კაცს დაუბრუნეთ ერთგული ცოლი,
სიმღერებით რომ გამოისყიდა,
მაგრამ ეს წესი უნდა დაიცვას:
ვიდრე ტარტაროსს არ მოიტოვებს,
უკან არასგზით არ მოიხედოს,
თუმც ვინ დაუდგენს წესებს მიჯნურებს –
სიყვარულია მთავარი წესი.
ვაი, რომ სწორედ ღამის საზღვართან,
თვის ევრიდიკეს კარგავს ორფევსი,
ჯერ ნახა, მერე დაკარგა, მოკლა.
მე ეს ამბავი თქვენ მოგიძღვენით,
ვინც ეშურებით, თქვენი გონება
რომ წაიყვანოთ ციური დღისკენ,
რადგანაც იგი, ვინც დაიძლევა,
ტარტაროსისკენ მიაპყრობს მზერას,
თუ ღირებული თან მიაქვს რამე,
დაკარგავს, როცა ქვესკნელს გახედავს.

III

III. 1. მან სიმღერა უკვე დაასრულა. თუმცა მე მოსმენას დახარბებული, გაოგნებული და სმენადაძაბული, ჯერ კიდევ მოჯადოებული ვყავდი მისი სიმღერის სიტკბოებას. ცოტა ხნის შემდეგ მივუგე: «დაქანცულ სულთა უდიდესო მანუგეშებელო, როგორ გამომაცოცხლე შენი აზრების სიღრმითა თუ სიმღერის სიტკბოებით. ამის შემდეგ, ვფიქრობ, მე უკვე ძალმიძს გავუმკლავდე ფორტუნას დარტყმებს. ამგვარად, არა თუ არ მაშინებს სამკურნალო საშუალებები, რომლებიც ცოტა ხნის წინ დამიხასიათე, როგორც უფრო მწვავე, არამედ, მოსმენას დახარბებული, დაჟინებით მოვითხოვ მათ მიღებას.» მაშინ მან თქვა: «მე ეს ვიგრძენი, როცა ჩემს სიტყვებს მდუმარედ და ყურადღებით ისმენდი და გონების ამგვარ მდგომარეობას კიდევაც მოველოდი, ან რაც უფრო სწორია, თავად შევქმენი. ეს სამკურნალო საშუალებები, რომლებიც მისაღები დაგვრჩა, მართლაც რომ ასეთია: გაგამწარებს, როცა გასინჯავ, ხოლო გაამებს, როცა ღრმად შემოაღწევს შენში. ვინაიდან მოსმენის სურვილი თავად გამოთქვი, რომ გაგეგო, საით მიმყავხარ, რა ცეცხლი მოგედებოდა!» «საით?» – შევეკითხე. «ჭეშმარიტი ბედნიერებისკენ, რომელიც შენს სულს ეზმანება, მაგრამ არ ძალუძს იგი ისეთი იხილოს, როგორიცაა სინამდვილეში, ვინაიდან ხატებათა მზერითაა გართული». მაშინ მივუგე: «გემუდარები, დაუყოვნებლივ მაჩვენე, რა არის ჭეშმარიტი ბედნიერება!» «შენი გულისთვის ამას ხალისით გავაკეთებ, მაგრამ ჯერ იმის აღწერასა და სიტყვებით გადმოცემას შევუდგები, რაც შენთვის უკეთაა ცნობილი, რომ მისი ხილვისას, როცა თვალებს საწინააღმდეგო მხარეს მიაპყრობ, ჭეშმარიტი ნეტარების სახის ამოცნობა შეძლო».

III. 1 (v). ვისაც სურს, ყამირი მიწა რომ დათესოს, –
ჯერ ბუჩქნარისაგან გაწმინდოს მინდორი
და ცელით მოთიბოს გვიმრა და მაყვალი,
რომ შემდეგ კერესი მოვიდეს ნაყოფით.

თუ გსურს, რომ შეიგრძნო თაფლის სიტკბოება, –
მანამდე სიმწარეს გემო გაუსინჯე;
უფრო საამოა ვარსკვლავთა ციმციმი,
როცა ჩაწყნარდება საავდრო ნოტუსი;
ოდეს ლუციფერი წყვდიადს დაამარცხებს,
აისი აუშვებს ვარდისფერ ტაიჭებს.
მაშ, ჩამოიხსენი კისრიდან უღელი,
ვინც ყალბ სიკეთეზე ზრუნავდი მანამდე,
ჭეშმარიტებამ რომ სულში შეაღწიოს.

III. 2. მაშინ მან ცოტა ხნით თვალები დახარა და თითქოს მიბრუნებულმა თავისი გონის წმინდა სამყოფელში, საუბარი ასე დაიწყო: «მოკვდავნი მთელი თავიანთი საზრუნავით, რომელსაც სხვადასხვაგვარი მიზნისკენ წარმართავენ, მართალია, სხვადასხვა გზით, მაგრამ ნეტარების ერთსა და იმავე ზღვართან მიღწევას ლამობენ. ესაა სიკეთე და თუ მას ვინმე მოიპოვებს, სხვას ვეღარაფერს ინატრებს. იგი ყოველი არსებული სიკეთის მწვერვალია და საკუთარ თავში მოიცავს ყველა სახის სიკეთეს. თუ რამე მოაკლდება, მაშინ უზენაესი ვეღარ იქნება, ვინაიდან მის მიღმა დარჩება ის, რაც შეიძლება ინატრო. მაშასადამე, ცხადია, რომ ნეტარება სრულყოფილი მდგომარეობაა, რომელიც ყოველგვარი სიკეთის თავმოყრითაა მიღწეული. როგორც აღვნიშნე, ყველა ადამიანი განსხვავებული გზით ცდილობს მასთან მისვლას, რადგან ჭეშმარიტი სიკეთის სურვილი ადამიანის გონებაში ბუნებრივადაა შთანერგილი. მხოლოდ შეცდომა აცდენს მათ ამ გზიდან და ყალბი სიკეთისკენ უბიძგებს. ზოგი მართლაც დარწმუნებულია, რომ უმაღლესი სიკეთე ისაა, როცა არაფერი გაკლია და ირჯება, რათა სიმდიდრე უხვად დააგროვოს. ზოგი კი სიკეთედ იმას მიიჩნევს, რაც თაყვანისცემას იმსახურებს და ცდილობს თანამდებობების მიღებით თანამოქალაქეთათვის პატივსაცემი გახდეს. არიან ისეთებიც, რომელთათვისაც უზენაესი სიკეთე უმაღლეს ძალაუფლებაშია. მათ ან თავად სურთ მბრძანებლობა, ან ცდილობენ დაუახლოვდნენ მათ, ვინც მბრძანებლობს. ვისთვისაც სახელოვნებაა უმთავრესი, ის ცდილობს მშვიდობის ან ომის ხელოვნებით გაითქვას სახელი. უმრავლესაობა სიკეთეს სიხარულისა და სიამის ოდენობით ზომავს. ისინი უდიდეს ბედნიერებად ჭარბ სიამოვნებას მიიჩნევენ. არიან ისეთებიც, რომლებიც საბოლოო მიზანსა და საშუალებებს ერთმანეთში ურევენ. მაგალითად ისინი, ვისაც სიმდიდრე ძალაუფლებისა და სიამოვნების გულისთვის სწადია, ან ისინი, ვინც ძალაუფლებას იმისთვის ესწრაფვის, რომ ფული მოიხვეჭოს ან სახელი გაითქვას. ამ და სხვა მსგავს შემთხვევაში ადამიანთა ქმედებებისა და სურვილების საბოლოო მიზნები გაერთიანებულია. ასეა, როცა ეჩვენებათ, თითქოს წარჩინებულობა და ხალხის კეთილგანწყობა სიამოვნებას შეიცავს, ან როცა ცოლ-შვილის ყოლა მათგან მოგვრილი სიხარულის გამო სურთ. ხოლო მეგობრობა, რომელიც მათგან ყველაზე წმინდაა, სიქველეს უნდა მივაკუთვნოთ და არა – ფორტუნას, დანარჩენი კი, ან ძალაუფლების, ან სიამოვნების გულისთვისაა სასურველი. ყოველგვარი ფიზიკური ღირსებაც, ცხადია, ზემოთ აღნიშნულ ღირსებებს უნდა მივაკუთვნოთ. ფიზიკური ძალა და სიდიდე ხომ ადამიანის ძლიერებას ამტკიცებს, როგორც სილამაზე და სისწრაფე ადამიანს სახელოვნებას სძენს, ხოლო სიჯანსაღეს სიამოვნება მოაქვს. ნათელია, რომ ყოველ მათგანში ერთი რამაა სასურველი – ნეტარება. ადამიანი უმაღლეს სიკეთედ მიიჩნევს მას, რისი მოპოვებისთვისაც სხვა დანარჩენ სიკეთეებს ესწრაფვის. ხოლო უმაღლესი სიკეთე, როგორც განვსაზღვრეთ, არის ნეტარება. ამიტომაც ადამიანს ნეტარად ის მდგომარეობა მიაჩნია, რომელსაც სხვა დანარჩენზე მეტად ისურვებდა.

მაშასადამე, შენ თვალწინაა ადამიანური ბედნიერების თითქმის ყველა სახე: სიმდიდრე, პატივი, ძალა, დიდება, სიამოვნება. მხოლოდ ეს უკანასკნელი იყო ეპიკურეს განხილვის საგანი და მან, შესაბამისად, დაასკვნა, რომ უზენაესი სიკეთე სიამოვნებაა, ვინაიდან სხვა სიკეთეებსაც ადამიანისთვის სიამოვნება მოაქვთ. მაგრამ, მოდი, დავუბრუნდეთ ადამიანურ მისწრაფებებს. ადამიანის გონებაც ხომ კუთვნილ სიკეთეს დაეძებს, თუმცა კი მეხსიერება ბურუსით აქვს დაბინდული და მან, მთვრალი კაცის მსგავსად, არ უწყის, შინ რომელი გზით დაბრუნდეს. განა ცდებიან ისინი, ვინც იმისთვის იღვწიან, რომ არაფერი მოაკლდეთ? თუმცა არაფერია ისეთი, რაც ნეტარებას ისე სრულყოფილად მოიცავდა, როგორც ის მდგომარეობა, ყოველგვარი სიკეთით რომაა აღსავსე და რომელსაც გარედან არაფერი ესაჭიროება, არამედ თავადაა თვითკმარი. განა ცდებიან ისინი, ვისთვისაც ის, რაც საუკეთესოა, მოწიწებასა და პატივისცემას ყველაზე მეტად იმსახურებს? რა თქმა უნდა, არა, ვინაიდან ის, რის მოსაპოვებლადაც მოკვდავთა მთელი ძალისხმევაა მიმართული, მდაბალი და უმნიშვნელო ვერ იქნება. განა ძალმოსილება სიკეთეთა რიცხვს არ უნდა განეკუთვნებოდეს? მაშ, როგორ იქნება სუსტი და უღონო ის, რაც, როგორც დადგენილია, ყოველივე არსებულზე აღმატებულია? ან იქნებ დიდებაა უმნიშვნელო? მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ, რაც უზენაესია, ის ყველაზე უფრო დიდებულიცაა. განა საჭიროა იმის თქმა, რომ ნეტარებას არც შფოთვა ახლავს, არც – მწუხარება, რომ იგი არც ტანჯვას ექვემდებარება, არც სიძნელეებს, მაშინ, როცა თვით უმნიშვნელო რამეებშიც კი იმას ესწრაფვიან, რისი ფლობა და სარგებლობაც სიამოვნებას ანიჭებთ? მაშასადამე, სიკეთე ისაა, რისკენაც სხვადასხვა გზით ისწრაფვიან ადამიანები და აქ მარტივად წარმოჩნდება, თუ რა დიდია ბუნების ძალა, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა აზრები არაერთგვაროვანი და განსხვავებულია, სიკეთის, როგორც საბოლოო მიზნისკენ სწრაფვაში ყველანი თანხვდებიან.

III. 2 (v). რამდენ საგანთა სადავეს მართავს
მძლავრი ბუნება. რა კანონებით
იცავს განგება უსაზღვრო კოსმოსს
და დაურღვევლად შეაკავშირებს
ცალკეულ საგნებს – მსურს ტკბილხმოვანი
ვთქვა სიმღერები ფაქიზი ლირით.
რამდენი ხანიც უნდა ატარონ
ლომებმა ჯაჭვი ულამაზესი,
მოწოდებული მიირთვან ხორცი,
მკაცრი გამწვრთნელის შოლტს შეჩვეულებს,
თუ ტუჩზე სისხლი მათ შეეხებათ,
დაუბრუნდებათ ძველი მხნეობა,
როდესაც წარსულს გაიხსენებენ,
ბორკილს ქედიდან გადაიგდებენ
და მრისხანებას მათი კბილების
პირველი იგრძნობს მწვრთნელის სხეული.
მაღალ რტოებში ჩიტი რომ გალობს,
მას გალიაში გამოკეტავენ,
თუმცა უხვად აქვს სასმელ-საჭმელი
და მასპინძელიც იქვეა ტკბილი,
ადამიანი ამით ერთობა,
და მაინც იგი ვიწრო საკნიდან

თუ ტყის სანატრელ ჩრდილებს იხილავს,
ფეხით გათელავს მობნეულ საჭმელს,
ბედშავი მხოლოდ ტყეს მოისურვებს
და ტკბილად მხოლოდ მას უგალობებს.
ოდესღაც ძალით გადმოღუნული
ნერგი ძირს დახრის თავის კენწეროს,
თუ მის მომდრეკავ მარჯვენას უშვებ, –
გასწორებული ზეცას ახედავს.
როცა ტალღებში დასავლეთისკენ
ჩაიძირება ფებუსის ეტლი,
საიდუმლო გზით მივა საწყისთან.
უკან მისასვლელ გზას ეძებს ყველა
და დაბრუნება თვისი ახარებს.
წესრიგი ისე ვერ იარსებებს,
რომ დასასრული და დასაწყისი
თავის წრებრუნვით არ განამტკიცოს.

III. 3. და თქვენც, მიწიერო არსებებო, თუმცა სუსტ ხატებად, მაგრამ მაინც გეზმანებათ თქვენი პირველსაწყისი და, ნაკლებად თვალნათლივ, მაგრამ მაინც ჭვრეტთ ნეტარების ჭეშმარიტ სამანს. ამიტომ ბუნებრივ მისწრაფებას სიკეთისკენ მიჰყავხართ, ხოლო მისგან თქვენი მრავალგვარი შეცდომა გადაგახვევინებთ. დაფიქრდი, შეიძლება თუ არა ადამიანი დანიშნულ სამანთან მიიყვანოს იმან, რაც მას ნეტარების მისაღწევ საშუალებად მიაჩნია? თუკი ისეთი რამ, რაც არავითარ სიკეთეს არაა მოკლებული, მოაქვს ფულს, პატივსა და სხვა ამდაგვარ რაიმეს, ჩვენც კი იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ მათ ადამიანების გაბედნიერება ძალუძთ. მაგრამ, თუ ვერ აღასრულებენ რასაც გვპირდებიან და მრავალ სიკეთეს არიან მოკლებული, მაშინ ხომ ნათლად დავინახავთ მათი ნეტარების ყალბ იერს? მაშ, პირველ რიგში, შენ, ვისაც ცოტა ხნის წინ სიმდიდრე თავს გადაგდიოდა, გეკითხები: იმ აურაცხელი სიმდიდრის მიუხედავად, განა შენი სული არ აუფორიაქებია უსამართლობისგან გამოწვეულ რაიმე მღელვარებას?» «რა თქმა უნდა,» – მივუგე, – არც მახსენდება, ჩემი სული ამისგან თავისუფალი ყოფილიყო, მას მუდამ რაღაც აწუხებდა. «ეს იმიტომ, რომ გაკლდა ის, რისი უქონლობაც არ გსურდა და გქონდა ის, რაც არ გინდოდა რომ გქონოდა.» «ასეა,» – მივუგე. «შენ გსურდა ერთის ფლობა და არა მეორის.» «სწორედ ასეა, ვაღიარებ.» მან განაგრძო: «თუ მავანი რაიმეს ნატრობს, გამოდის, რომ მას იგი აკლია?» «მართლაც რომ აკლია,» – მივუგე. «მაგრამ ვინც ბევრ რამესაა მოკლებული, იგი ხომ სრულად დაკმაყოფილებული ვერ იქნება?» «ვერასგზით,» – ვუპასუხე. «ამგვარად, შენ, სიმდიდრით აღსავსე, ნუთუ დაუკმაყოფილებლობას არ გრძნობდი?» «როგორ არა,» – მივუგე. მაშ, სიმდიდრეს არ შეუძლია ადამიანი დააკმაყოფილოს და არაფერი მოაკლოს, თუმცა ამას გვპირდება. ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის, რომ ფულს ბუნებით ისეთი არაფერი აქვს, რაც დაიცავდა მფლობელს მისი უნებურად წართმევისაგან.» «გეთანხმები», – ვუპასუხე. «რატომაც არ უნდა დამეთანხმო, როცა ყოველდღე ართმევს სიმდიდრეს უფრო ძლიერი მასზე სუსტს. საიდან ჩნდება სასამართლოში საჩივრები, თუ არა იქიდან, რომ ვიღაც ცდილობს დაიბრუნოს ფული, რომელიც, მისდა უნებურად, ან ძალით წაართვეს, ან სიცრუით დასტყუეს?» «ასეა», – მივუგე. «მაშინ», – განაგრძო მან, – «ხომ დასჭირდება ადამიანს ითხოვოს გარეშე ძალთა დახმარება, რათა თავისი ქონება დაიცვას?» «ამას ვინ უარყოფს?» «მაგრამ ეს ხომ არ დასჭირდებოდა, რომ არ ფლობდეს ქონებას, რომლის წართმევაც შესაძლებელია?» «ეს უდავოა», – დავუდასტურე.

«მაშ, სიმართლე საწინააღმდეგო მხარეს აღმოჩნდა: სიმდიდრემ, რომელიც ითვლებოდა, რომ ადამიანს დააკმაყოფილებდა, სხვის დახმარებაზე დამოკიდებულად უფრო აქცია იგი. მაშ, არის რამე გზა, სიმდიდრეს უკმაროობისგან რომ განარიდებდა? განა შეიძლება მდიდარს არ მოშივდეს ან არ მოსწყურდეს? განა ვერ შეიგრძნობს ზამთრის სუსხს ფულიანი ადამიანის სხეული? თუმცა მეტყვი, რომ შეძლებულთ აქვთ ის, რითაც შიმშილს დაიკმაყოფილებენ, წყურვილს მოიკლავენ და სიცივეს თავს დააღწევენ. მართალია, ამგვარად ძალუძთ მდიდრებს უკმარისობა შეამსუბუქონ, მაგრამ მისი ძირფესვიანად აღმოფხვრა არ ხელეწიფებათ. ვინაიდან, თუ სიმდიდრით დაკმაყოფილდება იგი, მარად რაღაცის მსურველი და დახარბებული, აუცილებლად დარჩება რაღაც, კვლავ დასაკმაყოფილებელი. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ბუნება მცირედს სჯერდება, როცა სიხარბეს ვერაფერი აკმაყოფილებს. ამგვარად, სიმდიდრეს არა თუ არ ძალუძს უკმაროობა აღმოფხვრას, არამედ თავად ბადებს მას, მაშინ რატომღა უნდა ირწმუნო, რომ იგი დაგაკმაყოფილებს?»

III. 3 (v). დაე მდიდარი ოქროს ღვარით ხარბად ავსებდეს
თავის ქონებას, არასოდეს რომ არ სჯერდება –
მკერდი შეიმკოს მარგალიტით წითელი ზღვიდან,
ნოყიერ მინდვრებს ასი ხარით დაატყოს კვალი.
არ მიატოვებს, ვიდრე ცოცხლობს, ზრუნვა და ურვა,
როცა მოკვდება, ის სიმდიდრეს თან ვერ წაიღებს.

III. 4. მაგრამ თანამდებობას პატივისცემა და დაფასება მოაქვს მათთვის, ვისაც ერგება. თუმცა შესწევს კი იმის ძალა, რომ მის მფლობელთა სულში სიქველე შთანერგოს და მანკიერება გამოდევნოს? მაგრამ მას არა მანკიერებათა გამოდევნა, არამედ სააშკარაოზე გამოტანა უფრო ახასიათებს. ამიტომაა, რომ აღვშფოთდებით ხოლმე, როცა თანამდებობებს ყველაზე უფრო უღირსი ადამიანები იკავებენ. ამის გამო კატულუსმა ნონიუსი სიმსივნედ მოიხსენია[56] მიუხედავად იმისა, რომ იგი კურიის სავარძელში იჯდა. ხედავ, როგორ არცხვენს თანამდებობა უზნეო ადამიანებს? ხომ უფრო ნაკლებად თვალშისაცემი იქნებოდა მათი სიმდაბლე, რაიმე წოდებათა წყალობით რომ არ ყოფილიყვნენ ცნობილი? განა შეეძლო თუნდაც მრავალ განსაცდელს ებიძგებინა შენთვის მიგეღო მაგისტრატობა დეკორატუსთან[57] ერთად, თუ მასში ქლესა და მაბეზღარა ადამიანის სულს დაინახავდი? ჩვენ სწორედაც ვერ მივიჩნევთ თანამდებობათა გამო მოწიწების ღირსად მათ, ვინც, ჩვენი აზრით, ამ თანამდებობებს არ იმსახურებს. მაგრამ ახლა რომ ხედავდე ვინმე სიბრძნით დაჯილდოებულ ადამიანს, განა არ მიიჩნევდი მას დაფასების ან იმ სიბრძნის ღირსად, რომელსაც ფლობს?» «რა თქმა უნდა.» «თავად სიქველეშია მისივე ღირსება, რომელიც იმთავითვე გადაეცემა მას, ვინც სიქველის მოზიარეა. და ვინაიდან ხალხის მიერ დაწესებულ თანამდებობას ეს არ ხელეწიფება, ნათელია, რომ მას საკუთარი მშვენება და ღირსება არ გააჩნია. აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: რაც უფრო სულმდაბალია მავანი, მით მეტ ადამიანს სძაგს იგი, ამიტომ თანამდებობას არა თუ არ ძალუძს პატივისცემა მოუტანოს ადამიანებს, არამედ უფრო საძულველად აქცევს, რადგან უფრო მეტს ეძლევა საშუალება მათი უზნეობა იხილოს. მაგრამ ეს დაუსჯელი არ რჩება: ვინაიდან უზნეონი თანაბრად მიაგებენ საზღაურს თანამდებობას, რომელსაც თავიანთი თანაზიარებით ბილწავენ.

მაგრამ რომ შეიმეცნო: ნამდვილი დაფასება ამ ბურუსით მოცული თანამდებობებით რომ არ მიიღწევა, დავუშვათ, რომ მავანს, კონსულად მრავალგზით არჩეულს, ბარბაროს ხალხში მოუხდა გასვლა, განა თანამდებობა მას ბარბაროსთათვის პატივსაცემს გახდის? პატივისცემა

თანამდებობათა ბუნების საჩუქარი რომ იყოს, მაშინ არცერთ ხალხში არ დაკარგავდა თავის ფუნქციას, ისევე, როგორც ცეცხლი არ კარგავს თავის სიმხურვალეს დედამიწის ნებისმიერ ადგილზე. მაგრამ, ვინაიდან პატივისცემა თანამდებობათა ბუნების საჩუქარი კი არ არის, არამედ მასთან ხალხის მცდარი წარმოდგენა აკავშირებს, ადამიანები მას მყისვე დაკარგავენ, როგორც კი მოხვდებიან იმ ხალხებში, რომლებიც ამ თანამდებობებს სრულიად არ ცნობენ. ეს რაც შეეხება უცხო ხალხებს. მაგრამ ნუთუ მუდმივად რჩება მათ შორის, ვისთანაც გაჩნდა? პრეტოროობა – ოდესღაც დიდ ძალაუფლებას რომ ნიშნავდა, ახლა მარტოოდენ სახელი და სენატორთა ცენზის მძიმე ტვირთია. თუკი ერთ დროს კეთილშობილად მიიჩნეოდა ის, ვინც ხალხის ხორბლით მომარაგებაზე ზრუნავდა, ახლა რაა ამ საქმიანობაზე უფრო სათაკილო? მართლაც, როგორც ცოტა ხნის წინ აღვნიშნეთ, ის, რასაც საკუთარი ღირსება არ გააჩნია, ხან იძენს ბრწყინვალებას, ხან – კარგავს იმის მიხედვით, თუ როგორი სახელის მქონეა მისი მფლობელი. მაშ, თუკი თანამდებობას არ ხელეწიფება ადამიანი პატივსაცემი გახადოს, თუ შებილწულია უზნეოთა თანაზიარებით, თუ ჟამთა ცვლასთან ერთად ბრწყინვალებასაც კარგავს, თუ უფასურდება ხალხის შეხედულებისამებრ, მაშინ რაღა სასურველ მშვენებას ფლობს საკუთარ თავში, მით უმეტეს, რომ სხვებს გაუზიაროს?

III. 4 (v). როგორც არ უნდა მოერთო თავი
ქედმაღალს ძოწით და მარგალიტით,
რჩებოდა მაინც სამღვლველ კაცად
ნერონი, გიჟი ფუფუნებისა.
ბრძენ სენატორებს ის ერთ დროს ურცხვად
არჩევინებდა უღირს სენატორს,
მაშ, ასეთ პატივს ვინღა ინატრებს,
როცა მას იხვეჭს უპატიოსნო.

III. 5. იქნებ სამეფო ძალაუფლებას და მეფესთან სიახლოვეს შეუძლია ადამიანი ძალმოსილი გახადოს? არა? განა მათი ბედნიერება მუდმივად გრძელდება? გარდასული დრო სავსეა იმ მეფეთა მაგალითებით, რომელთა ბედნიერება უბედურებით შეიცვალა. სავსეა ახალი დროც, ო, რა ბრწყინვალეა ძალაუფლება, რომელიც საკუთარი თავის დასაცავადაც უკმარი აღმოჩნდა! თუკი ეს სამეფო ძალაუფლება ნეტარების სათავეა, განა ბედნიერებას არ დაამცრობს და უბედურებას არ შემოიტანს, თუ მის სისრულეს რაიმე დააკლდება? მაგრამ როგორ ფართოდაც არ უნდა გავრცელდეს ადამიანის ძალაუფლება, აუცილებლად დარჩება მრავალი ერი, რომელთაც მეფე არ განაგებს, სადაც მეფეთათვის ბედნიერების მომტანი ძალაუფლება წყდება, იქ მათი გამაუბედურებელი უძლურება შემოიპარება. ამგვარად, მეფეებისთვის უბედურების წილი უფრო მეტია. ერთმა ტირანმა, რომელსაც გამოცდილი ჰქონდა ის საფრთხეები, რომლებიც მის ხვედრს უკავშირდებოდა, მეფის შიში თავს ზემოთ დაკიდებული მახვილის საშიშროებით გამოხატა.[58] მაშასადამე, რაღაა ეს ძალა, რომელსაც არ შეუძლია მტანჯველ საზრუნავს გაექცეს ან შიშის ნესტარი აირიდოს? რა თქმა უნდა, მეფეები ისურვებდნენ უზრუნველად ცხოვრებას, მაგრამ ვერ ახერხებენ. ისინი ძალაუფლების გამო თავს იწონებენ, მაგრამ როცა ხედავ, რომ ვინმეს არ ძალუძს აღასრულოს ის, რაც სურს, ნუთუ მას ძლიერად მიიჩნევ? განა ძლიერად მიიჩნევ მას, ვინც მცველთა სიმრავლითაა გარემოცული? ანდა მას, ვინც იმ ადამიანებს, რომლებსაც მისი ეშინიათ, თავად უფრო მეტად უფრთხის? ან მას, ვისი სიძლიერის წარმოჩენა მსახურებაზეა დამოკიდებული? რაღა უნდა ვთქვა მეფესთან დაახლოებულ პირთა შესახებ, როცა იმას ვაჩვენებ, რომ თავად მეფობაა ასეთი

უბედურებით აღსავსე? მათ ხომ ხშირად მეფის ხელშეუხლებელი ძალაუფლება, ზოგჯერ კი დამხობილი ძალაუფლება, ღუპავთ.

ნერონმა თავისი მასწავლებელი და ახლობელი სენეკა აიძულა, გადაწყვეტილება მიეღო და სიკვდილი აერჩია. პაპინიანუსი[59], დიდი ხნის განმავლობაში ძლევამოსილი რომ იყო მეფის მოხელეთა შორის, ანტონიუსმა ჯარისკაცთა მახვილებს მიუგდო. თუმცა ორივე მათგანს სურდა ძალაუფლებაზე ეთქვა უარი, მათ შორის სენეკა კიდევაც შეეცადა თავისი სიმდიდრე ნერონისათვის გადაეცა, ხოლო თავად გადამდგარიყო, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეასრულა ის, რაც სურდა. მაშ, რა არის ეს ძალა, რომლისაც მის მფლობელებსაც ეშინიათ? სანამ გსურს, რომ იგი გაგაჩნდეს, დაცული არ ხარ, ხოლო როცა გადაგდებას მოიწადინებ, ამას ვეღარ შეძლებ. იქნებ ჩვენი სიმტკიცე არიან ის მეგობრები, რომლებთანაც არა სიქველემ, არამედ ფორტუნამ დაგვაახლოვა? თუმცა მას, ვინც ბედნიერებამ მეგობრად აქცია, უბედურება მტრად გაგვიხდის. მაგრამ რა ჭირ-ვარამი მოქმედებს ადამიანისთვის უფრო საზიანოდ, ვიდრე მტერი, ოდესღაც მოყვარე რომ იყო?»

III. 5 (v). ვისაც სურს იყოს ძლევამოსილი,
მშფოთვარე სული უნდა დაიცხროს,
არ მოუდრიკოს ძლეული ქედი
ვნებათა ღელვის ბილწ სადავეებს.
თუნდ ინდოეთზე უფრო შორეულ
მხარეს აკრთობდეს შენი წესები
და ქვეშევრდომად აქცევდე თუნდაც
უშორეს თილეს[60], მაინც არ ძალგიძს
თავის დაღწევა ბნელი ურვისგან,
ძალმოსილება ეს აღარ არის.

III. 6. როგორი ცრუა ხშირად დიდება, რა ამაზრზენია! არც თუ უსამართლოდ გაიძახის ტრაგიკოსი პოეტი: “’Ω δόξα δόξα, μυρίοισι δη βροτων ουδεν γεγωσι βίοτον ώγκωσας μέγαν.»[61] მართლაც, მრავალმა მოიხვეჭა დიადი სახელი ხალხის მცდარი შეხედულების წყალობით. ამაზე უფრო ამაზრზენი კი რა შეიძლება წარმოიდგინო? სწორედ მას, ვინც უმართებულოდაა შექებული, თავად უნდა შერცხვეს ქების გამო. თუნდაც დამსახურებით იყოს მოპოვებული ქება-დიდება, რას შესძენს იგი შეგნებას ბრძენკაცისას, რომელიც საკუთარ სიკეთეს არა ხალხთა მიეთ-მოეთით, არამედ შეგნების სიმართლით ზომავს? თუ მიმზიდველად მოჩანს სახელის განთქმა, აქედან გამომდინარე, მისი მიჩუმათება სამარცხვინოდაა მიჩნეული. მაგრამ, როგორც ცოტა ხნის წინ აღვნიშნე, აუცილებლად იქნება მრავალი ერი, რომლებსაც ერთი ადამიანის სახელი ვერ გასწვდება. ისეც ხდება, რომ ის, ვისაც სახელოვნად მიიჩნევ, მეზობელ ქვეყნებში უსახელოა. დიდების სახეობათა შორის ხალხის კეთილგანწყობა აღნიშვნის ღირსადაც არ მიმაჩნია. იგი არც მტკიცეა, არც განსჯას ეფუძნება. ვინ ვერ ხედავს, თუ რა ამაო და არაფრისმთქმელია წარჩინებულთა სახელოვნება? თუმცა იგი დიდებას მიემართება, მაგრამ სხვისია. წარჩინებულობა წინაპართა დამსახურებათაგან მომდინარე ერთგვარი ხოტბაა, ხოლო თუ ბრწყინვალებას ქება-დიდება წარმოშობს, მაშინ ისინი არიან ბრწყინვალენი, ვისაც აქებენ. ამიტომ შენ სხვისი ბრწყინვალება ვერ შეგმატებს დიდებულებას, თუკი საკუთარი არ გაგაჩნია. მაგრამ თუ რამე სიკეთეა წარჩინებულობაში, ვფიქრობ, მხოლოდ ისაა, რომ იგი შეიცავს ვალდებულებას, რომელიც წარჩინებულთ ნებას არ რთავს, წინაპართა სიქველეს უღალატონ.

III. 6 (v). ერთი საწყისი აქვს ამქვეყნად კაცთა მთელ მოდგმას,
საგანთა მამა, არსთ გამრიგე, მხოლოდ ერთია.
მან უწყალობა სხივნი ფებუსს, ქიმები მთვარეს.
ადამიანი დედამიწას, ზეცას – ვარსკვლავნი.
ცისკენ მიმსწრაფი მოაქცია სხეულში სული.
აღმოაცენა მოკვდავები ღვთიურმა თესლმა,
წარმომავლობით რად ამაყობ? როცა ღმერთია
ყველას საწყისი, მაშ, მდაბიოც არ არსებულა
მათ გარდა, ვინაც ცოდვის გამო დაშორდა საწყისს.

III. 7. რაღა მეთქმის ხორციელ სიამოვნებებზე, რომელთა ნდომაც იწვევს შფოთვას, ხოლო გადაჭარბება – სინანულს. რა სნეულების, რა აუტანელი სატანჯველის თავს დატეხა ჩვევიათ მათ, როგორც უკეთურების ერთგვარ ნაყოფთ, იმ ადამიანთა სხეულებისთვის, რომლებიც მათით ტკბებიან. არ ვიცი, რა სიამოვნება ახლავს მათ აღძვრას, დასასრული კი ნამდვილად მწუხარეა. ამას ის გაიგებს, ვინც თავის ვნებათა გახსენებას მოიწადინებს. თუ ხორციელ სიამოვნებებს ნეტარების მოგვრა ძალუძთ, მაშინ უსაფუძველო არ იქნება, რომ ვთქვათ, თითქოს ნეტარნი არიან ცხოველებიც, რომლებიც მთელ ძალისხმევას სხეულებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ მიმართავენ. ყველაზე სამართლიანი მეუღლისა და შვილებისგან გამოწვეული სიხარულია. მაგრამ ნათქვამია და ძალზე ბუნებრივადაც, რომ ვიღაცამ სატანჯველად მოავლინა შვილები. საჭირო არაა ეს შეგახსენო შენ, ვინც ადრეც გამოსცადე და ახლაც განიცდი, თუ რა წუხილი მოაქვს მათ მდგომარეობას, როგორიც არ უნდა იყოს. აქ კი ვეთანხმები ჩემი ევრიპიდეს[62] მოსაზრებას, რომ: ვისაც შვილები არა ჰყავს, იგი უბედურებითაა ბედნიერი.

III. 7 (v). ჩვევია სიამეს ყოველს:
დევნიდეს მას, ვისაც ატკბობს
სტიმულით და, ფუტკრის მსგავსად,
ჯერ გვიძღვნას უტკბესი თაფლი,
შემდეგ გაგვეცალოს, გულში
ჩატოვოს ნესტარი მწარე.

III. 8. მაშ, სადაო არაფერია: ნეტარებისკენ მიმავალი ეს გზები რამდენადმე გამრუდებულია და არ შეუძლია ვინმე მიიყვანოს იქ, სადაც დაჰპირდა მიყვანას. ძალზე მოკლედ გიჩვენებ, რამდენ ბოროტებასთან შეიძლება იყოს ისინი გადახლართული. მაშ, ფულის დაგროვებას შეეცდები? მოგიწევს მფლობელს წაართვა. გსურს თანამდებობით გამოირჩეოდე? მაშინ მათ მომნიჭებელს უნდა დაუჩოქო და შენ, ვინც ესწრაფვი პატივით სხვებს აღემატებოდე, თავს დამამცირებელი თხოვნებით დაიმდაბლებ. იქნებ ისურვებ ძალაუფლებას? ქვეშევრდომთა მახეებს და საფრთხეებს დაექვემდებარები. დიდებას ესწრაფვი? წინააღმდეგობათა მიერ გატეხილი სიმშვიდეს დაკარგავ. ცხოვრებას საამურად გაატარებდი? ვინ არ შეიზიზღებდა და დათმობდა ისეთი უმნიშვნელო და მყიფე რამის მსახურებას, როგორიც სხეულია? მაგრამ ვისაც სხეულის ღირსებებით მოაქვს თავი, რა მწირი და რა არამყარია ქონება, რომელსაც ის ეყრდნობა. ნუთუ შეგიძლიათ სპილოებს სხეულის სიდიდით, ხარებს ძალით აღემატოთ ან ვეფხვებს სისწრაფეში აჯობოთ? შეხედეთ ციურ განფენილობას, სწრაფსა და უცვლელს და ამჯერად მაინც შეწყვიტეთ უმნიშვნელო რამეებით აღტაცება. თუმცა ზეცაც თავისთავად კი არ არის საოცარი, არამედ იმ წესრიგის წყალობით, რომლითაც იმართება. გარეგნული

მშვენიერება კი როგორი ცვალებადი, როგორი ჭკნობადი და გაზაფხულის ყვავილზე უფრო სწრაფწარმავალია. და თუ, როგორც არისტოტელემ თქვა, ადამიანები ლინკევსის[63] თვალებს გამოიყენებდნენ, რათა მათ მზერას დაბრკოლებებში გაეღწია, განა, როცა შიგნეულობას დაინახავდნენ, ალკიბიადესის[64] მშვენიერი სხეულიც კი ამაზრზენი არ მოეჩვენებოდათ? მაშასადამე, ლამაზი ჩანხარ არა საკუთარი ბუნებით, არამედ ასეთად უმწეო მზერა წარმოგსახავს. მაგრამ მოდით, დააფასეთ მეტისმეტად ფიზიკური იერის ღირსებები, სანამ არ გეცოდინებათ, რომ ის, რაც ასე აღგაფრთოვანებთ, შეუძლია სამი დღის ციების ხანძარმა მოსპოს. ყოველივე აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ სიკეთეებსაც არ შეუძლიათ აღასრულონ, რასაც გვპირდებოდნენ და არც ყოველგვარი სიკეთის თავმოყრით არიან სრულქმნილნი. მათ, როგორც სხვა მრავალ გზას, არც ნეტარებისკენ მივყავართ, არც თავად გვანიჭებენ ნეტარებას.

III. 8 (v). ეჰ, რა უმეცრების ბილიკებს ადგანან ბედკრულნი,
გზას ვინაც ასცდნენ!
ოქროს ამწვანებულ ხეებზე ვერ ნახავ...
ძვირფას თვლებს ვერ დაკრეფ ვაზზე...
მთებში არასოდეს დამალავ ბადეებს,
რომ გექნეს სადილად თევზი...
თუ ნიამორების დევნა გსიამოვნებს,
ვერ დაჭრი მათ ტირას ზღვებთან.
ადამიანები ხომ უკვე იცნობენ
ზღვათა ფსკერს, ტალღა რომ ფარავს.
იციან, რომელი წყლებია მდიდარი
სადაფით, წითელი ქვებით.
თევზებს და ზღვის ზღარბებს რომელ ნაპირებთან
ხედავენ ყველაზე ხშირად.
მაგრამ არ უწყიან, სადაა ნანატრი
სიკეთე, რჩებიან ბრმებად
და რაც ვარსკვლავეთის მიღმა იმალება
მიწაზე ეძებენ იმას.
ბრმა გონებათათვის, მაშ რაღა ვისურვო?
სიმდიდრეც, პატივიც ჰქონდეთ.
როცა ცრუ სიკეთე ტვირთად დააწვებათ,
მაშინ შეიცნობენ ნამდვილს.

III. 9. ამ დრომდე უკვე საკმარისად გაჩვენე ყალბი ბედნიერების სახე, და თუ მას გულდასმით დააკვირდი, შემდეგ იმის ჯერი დგას, რომ დაგანახო, თუ რომელია ჭეშმარიტი.» «რა თქმა უნდა, ვხედავ, რომ ვერც თვითკმაროობას მოიპოვებ სიმდიდრით, ვერც ძალმოსილებას მეფის ძალაუფლებით, ვერც დაფასებას – თანამდებობებით, ვერც სახელოვნებას – დიდებით და ვერც სიხარულს – სიამეებით.» «იმის მიზეზებიც გამოარკვიე, თუ რატომაა ეს ასე?» «მომეჩვენა, რომ მათ თვალი მოვკარი თითქოს ჭუჭრუტანიდან, მაგრამ ვამჯობინებ შენგან უფრო ვრცლად შევიტყო.» «მიზეზი ხომ ცხადზე ცხადია. მას, რაც ბუნებით მარტივი და განუყოფელია, ადამიანთა მცდარი წარმოდგენა აცალკევებს, ჭეშმარიტი და სრულყოფილი მდგომარეობიდან მცდარსა და არასრულყოფილში გადაჰყავს. იქნებ ფიქრობ, რომ ძალაგამოცლილია ის, რასაც არაფერი აკლია?» «სრულიადაც არა,» – მივუგე. «მართალი ხარ,»

– მითხრა მან – «ვინაიდან, თუ არის რამე, რისი ძალაც რამდენადმე მოისუსტებს, მას აუცილებლად დასჭირდება სხვისი დახმარება.» «ასეა,» – დავუდასტურე. «მაშასადამე, თვითკმაროზას და ძალმოსილებას ერთი ბუნება აქვს.» «ჩანს, ასეა.» «როგორ ფიქროზ: ის, რასაც ასეთი ბუნება აქვს, არაფრადაა ჩასაგდები, თუ პირიქით, ყოველივე არსებულზე მეტადაა დაფასების ღირსი?» «აქ სადაოც არაფერია,» – ვუპასუხე. «მაშ, თვითკმაროზასა და ძალმოსილებას დაფასებაც უნდა მივუმატოთ, რათა ეს სამი განვიხილოთ, როგორც ერთი. «უნდა მივუმატოთ,» – დავეთანხმე – თუ მართლაც გვსურს შევიცნოთ ჭეშმარიტება.» «როგორ ფიქროზ,» – მკითხა მან, – ეს ერთობა ბუნდოვანი და უმნიშვნელოა, თუ ყოველგვარ დიდებაზე აღმატებული? დაუფიქრდი, განა მას, რაც ყველაზე ძალმოსილია და დაფასებას ყველაზე მეტად იმსახურებს, არ მოაკლდება დიდება, თუკი საკუთარ თავს თავად ვერ შესძენს? ამის გამო ხომ რაღაც მხრივ არასასურველად გამოჩნდება.» «არ შემიძლია არ ვაღიარო, რომ გარდა იმისა, რასაც ეს ერთობა წარმოადგენს, იგი ძალზე დიდებულიცაა.» «მაშასადამე, აქედან გამომდინარეობს, რომ დიდება ზემოთ აღნიშნული სამისგან არაფრით განსხვავდება.» «მართლაც გამომდინარეობს,» – მივუგე. «მაშ, რაც სხვას არაფერს საჭიროებს, რაც ყოველივეს საკუთარი ძალებით აღწევს, რაც დიდებული და დაფასებულია, განა უთუოდ სასიხარულოც არაა?» «მართლაც ვერ წარმომიდგენია ამგვარ მდგომარეობაში რაიმე სევდამ შეაღწიოს, ამიტომაც, თუ წინამდებარე დასკვნები კვლავ ძალაშია, აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, რომ იგი სიხარულითაცაა სავსე. მაშინ, იმავე მიზეზებით, აუცილებელია, რომ მხოლოდ მათი სახელწოდებები განსხვავდებოდეს და არავითარ შემთხვევაში მათი არსი.» «აუცილებელია,» – დავუდასტურე.

«მაშასადამე, მას, რაც ბუნებით ერთიანი და მარტივია, ადამიანური სიმრუდე ანაწევრებს და როცა მავანი ცდილობს მიიღოს იმის ნაწილი, რასაც ნაწილი არ გააჩნია, იგი ვერც ნაწილს იღებს (ვინაიდან იგი არ არსებობს), და ვერც მთელს, რომელსაც არც კი ესწრაფვის.» «ეს როგორ?» – შევეკითხე, ის, ვინც უპოვრობისგან თავის არიდებით ცდილობს სიმდიდრის მოპოვებას, ძალაუფლებისთვის არაფერს აკეთებს, ამჯობინებს იყოს უჩინარი და უმნიშვნელო. იგი მრავალ ბუნებრივ სიამოვნებასაც განირიდებს, რათა ნაშოვნი ფული არ შემოეხარჯოს. მაგრამ ამ გზით თვითკმაროზას ვერ მიაღწევს ის, ვისაც ტოვებს ძალა, ვისაც სადარდებელი მოსვენებას არ აძლევს, ვისაც საკუთარი უმნიშვნელობა აკნინებს, ვინც ჩრდილში იმალება. ხოლო ვისაც მხოლოდ ძალმოსილება სურს, ანიავებს სიმდიდრეს, სიამეებს უგულებელყოფს, წოდებებსა და დიდებას ძალაუფლების გარეშე არაფრად აგდებს. მაგრამ თავადაც ხედავ, თუ როგორი არასრულყოფილია მისი მდგომარეობა. ზოგჯერ ხდება, რომ მას რაც საჭიროა, ისიც არა აქვს, ტანჯავს სურვილები და ვინაიდან ამისგან თავის დაღწევა არ შეუძლია, კარგავს ძალმოსილებასაც, რომელსაც ყველაზე მეტად ეშურებოდა. მსგავსი რამ უნდა ითქვას წოდებების, დიდების, სიამეების შესახებაც. მაგრამ, ვინაიდან თითოეული მათგანი იგივეა, რაც დანარჩენი, ვინც მხოლოდ ერთ მათგანს ესწრაფვის, იმასაც ვერ იღებს, რაც სურს.» «რა მოხდება,»– შევეკითხე, – თუ ვინმე მოიწადინებს ყველა ერთად მიიღოს?» «ესე იგი მას ნეტარების მწვერვალთან მიღწევა სურს. მაგრამ განა იპოვნის იმ ფასეულობებში, რომლებიც, როგორც დავადგინეთ, ვერ აღასრულებენ რასაც გვპირდებიან?» «სრულიადაც არა.» «მაშასადამე, ნეტარება არ უნდა ვეძიოთ მათში, რაც სასურველთაგან მხოლოდ რაღაც ცალკეულს წარმოგვიდგენს.» «ვაღიარებ, ამაზე უფრო მართებულს ვერაფერს დასძენ.»

«მაშასადამე,» – თქვა მან – «შენ წინაშეა ყალბი ბედნიერების სახეც და მიზეზებიც. ახლა გონების თვალი საწინააღმდეგო მხარეს მიაპყარი, მართლაც იქ მყისვე იხილავ ჭეშმარიტ

ბედნიერებას, რომელსაც დაგპირდი.» «მაგრამ ეს ხომ ბრმისათვისაც ნათელია,» – მივუგე – და ცოტა ხნის წინ კიდევაც მაჩვენე იგი, როცა შეეცადე ყალბი ბედნიერების მიზეზები გაგეცხადებინა. თუ არ ვცდები, ჭეშმარიტი და სრულყოფილი ბედნიერება არის ის, რომელიც ადამიანს თვითკმარობას, ძალმოსილებას, დაფასებას სძენს. მაგრამ რომ გაიგო, თუ რა გულისყურით გისმენდი, გეტყვი, რომ რასაც ჭეშმარიტად ხელეწიფება ერთ-ერთი მათგანის მონიჭება, ვინაიდან ყველა ეს ერთი და იგივეა, ყოყმანის გარეშე ვაღიარებ სრულყოფილ ნეტარებად.» «ო, ჩემო აღზრდილო, ბედნიერი ხარ ამ შენი შეხედულების წყალობით, მხოლოდ ეს ერთი რამ უნდა დასძინო.» «რა?» – შევეკითხე. «როგორ ფიქრობ, განა ამ წარმავალ და დროებით საგნებში იქნება ისეთი რამ, რასაც შეუძლია ასეთი სრულყოფილი მდგომარეობა შექმნას?» «არა,» – ვუპასუხე, – და ვფიქრობ, რომ შენ ეს ისე ნათლად წარმოაჩინე, რომ აღარაფრის დამატება აღარაა საჭირო.» «მაშასადამე, ეს ყოველივე ან ჭეშმარიტი სიკეთის აჩრდილებს ანიჭებს მოკვდავებს, ან რაღაც არასრულყოფილ სიკეთეს, ხოლო ჭეშმარიტი და სრულყოფილი სიკეთის მოტანა არ ხელეწიფება.» «გეთანხმები,» – მივუგე. «მაშ, რადგან უკვე შეიცანი, რომელია ჭეშმარიტი ნეტარება და რომელს უწოდებენ შეცდომით ნეტარებას, ახლა ისღა დაგრჩენია, რომ შეიტყო, თუ სად შეგიძლია ეძიო იგი.» «მართლაც უკვე დიდი ხანია გამალებით დავეძებ მას.» «მაგრამ, რადგან ჩემ პლატონს «ტიმეოსში» წარმოუდგენია, უმნიშვნელო საქმეებშიც კი გვმართებს ღვთაებრივი შემწეობა ვითხოვოთ, როგორ ფიქრობ, ახლა რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ უმაღლესი სიკეთის სამყოფელის მოძებნა დავიმსახუროთ?» «უნდა მოვუხმოთ ყოველივე არსებულის მამას, რომლის გარეშეც წესიერად საფუძველს ვერაფერს ჩაუყრი.» «მართალია» – თქვა მან და მაშინვე დაიწყო სიმღერა:

III. 9 (v).[65] ო, ვინაც მართავ მარადისი წესით სამყაროს,
ცისა და მიწის შემოქმედო, ვინაც დროს მოსწყვეტ
მარადისობას; აღძრავ ყოველს, თავად უცვლელი.
გარეგან მიზეზთ არ შეეძლო მიეცა ბიძგი მისთვის,
რაც შექმენ ჭეშმარიტად, რომ მატერიას
ფორმა მიეღო უმაღლესი სიკეთისაგან.
შენ ზეციური მაგალითით უძღვები ყოველს,
უდიადესო, გონით მართავ დიად სამყაროს
მსგავს ხატად შექმნილს, სრულყოფილი ნაწილებისგან
სრულქმნი სამყაროს, ელემენტებს რიცხვებით შეკრავ.
თანაარსებობს მშრალი სველთან, სიცხე – ყინვასთან,
რომ წმინდა ცეცხლი არ გაფრინდეს, არც რა დაემხოს.
სამმაგ ბუნების შუა წევრი ქვეყნად განფინე [66]
და ამოძრავებს ყოველივეს ჰარმონიულად,
მან ორ წრედ შეკრა მოძრაობა, როს გაითიშა,
თავის თავს იგი უბრუნდება, გონს გარს ევლება,
ასე აბრუნებს ზეცის ხატსაც.[67] მსგავსი მიზეზით
წინ მიგყავს სულნი, არსებებიც უფრო მდაბალნი
და მსუბუქ ეტლებს მიანიჭებ ამაღლებულებს,
ბრძნული კანონით, რომ წარმოშობ ცაშიც, მიწაზეც
მობრუნებული ცეცხლით იწვევ შენკენ მოქცეულთ.
მამავ, მიუშვი გონი, მისწვდეს წმინდა სავანეს,
სიკეთის წყარო დაანახე, უძღვენ ნათელი.
სულს ნება მიეც, რომ იხილოს შენი ხატება,

გაფანტე ნისლი მიწიერი, ტვირთი ახსენი,
გამოანათე ბრწყინვალებით, რამეთუ შენ ხარ
ნავთსაყუდელი ღვთისმოსავთა, შენ გესწრაფვიან,
შენში არს ყოვლის დასაწყისიც და დასასრულიც.

III. 10. მაშ, ვინაიდან უკვე იხილე, თუ როგორია არასრულყოფილი და როგორია სრულყოფილი სიკეთის სახე, ახლა დროა გაჩვენო, თუ რა განაპირობებს ბედნიერების ამ სისრულეს. მიმაჩნია, რომ აქ, პირველ რიგში, უნდა გამოვარკვიოთ, არის თუ არა შესაძლებელი არსებულ საგანთა ბუნებაში იყოს რაიმე იმდაგვარი სიკეთე, როგორადაც ცოტა ხნის წინ განვსაზღვრეთ, რათა ჭეშმარიტებასთან შეუსაბამო უშინაარსო მსჯელობამ თავგზა არ აგვიბნიოს. მაგრამ, შეუძლებელია უარყოფა მისი არსებობისა და იმისა, რომ იგი ყოველგვარი სიკეთის რაღაც სათავეა. ვინაიდან ყოველივე, რასაც არასრულყოფილი ეწოდება, სრულყოფილების ნაკლებობის გამოა არასრულყოფილად აღიარებული. ამიტომაცაა, რომ თუ რამეში აღმოჩნდება რაღაც არასრულყოფილი, აუცილებელია მასში რაღაც სრულყოფილიც იყოს. ვინაიდან თუ სრულყოფილებას გვერდზე გადავდებთ, სრულიად წარმოუდგენელი იქნება, საიდანღა იარსებებს ის, რაც არასრულყოფილადაა მიჩნეული. არც ბუნება იღებს დასაბამს ნაკლულოვანი და არასრულყოფილი საგნებიდან, არამედ სავსე და სრულყოფილიდან მომდინარეობს და შემდეგ მდაბალსა და დაკნინებულში გადაიზრდება. თუკი, როგორც ცოტა ხნის წინ ვაჩვენეთ, არსებობს წარმავალი სიკეთისეული რაღაც არასრულყოფილი ბედნიერება, შეუძლებელია დაეჭვება, რომ რაღაც მყარი და სრულყოფილი ბედნიერებაც არსებობს.» «ძალზე მტკიცედ და მართებულადაა დასკვნა გამოტანილი.» – მივუგე. «ახლა გავაანალიზოთ,» – თქვა მან, – მართლაც სად უდევს ბინა ბედნიერებას. ის, რომ ყოველივე არსებულის მეუფე – ღმერთი – სიკეთეა, ადამიანთა გონებისთვის საყოველთაოდ მისაღები აზრია. ხოლო ვინაიდან ღმერთზე უკეთესი რამის წარმოდგენა შეუძლებელია, ვის შეეპარება ეჭვი, რომ ის, ვისზე უკეთესიც არაფერია, – სიკეთეა? ამგვარად, ღმერთი რომ სიკეთეა, გონებამ ისე ცხადყო, რომ ისიც დაადგინა – სრულყოფილი სიკეთე მასშია. ეს რომ ასე არ იყოს, ყოველივეს განმგებელი ვერ იქნებოდა. რადგან იარსებებდა სრულყოფილი სიკეთის მფლობელი მასზე აღმატებული რამ, რომელიც მასზე უწინარესიც იქნებოდა და მასზე ხანიერიც, რადგან უდავოა, რომ ყოველივე სრულყოფილი მასზე ნაკლებად სრულყოფილზე უწინარესია. ამიტომ, მსჯელობა უსასრულოდ რომ არ გაგვიგრძელდეს, უნდა ვაღიაროთ, რომ უზენაესი ღმერთი უმაღლესი და სრულყოფილი სიკეთითაა აღსავსე. მაგრამ, ვინაიდან დავადგინეთ, რომ სრულყოფილი სიკეთე ჭეშმარიტი ნეტარებაა, ამიტომაც ჭეშმარიტი ნეტარებაც აუცილებლად უზენაეს ღმერთში უნდა მდგომარეობდეს.» «გეთანხმები,» – მივუგე, – შეუძლებელია ამის საწინააღმდეგოდ რაიმეს თქმა.» «მაგრამ» – განაგრძო მან – «მაინტერესებს როგორ დაამტკიცებ უცილობლად და დაბეჯითებით იმას, რაც აღვნიშნეთ, რომ უზენაესი ღმერთი უმაღლესი სიკეთითაა აღსავსე.» «როგორ?» – შევეკითხე. «ნაჩქარევად არ უნდა ივარაუდო, რომ იმას, ვინც ყოველივე არსებულის მამაა, უმაღლესი სიკეთე, რომელსაც, როგორც ნათქვამია იგი ფლობს, ან რაიმე გარეგანი წყაროდან აქვს მიღებული, ან ბუნებრივად ფლობს ისე, რომ განსხვავებულად მიიჩნიო საკუთრების – ნეტარების და მესაკუთრის – ღმერთის არსი. მაგრამ, თუ ფიქრობ, რომ გარედან აქვს მიღებული, მაშინ შეიძლება ივარაუდო, რომ ვინც აძლევს უფრო აღმატებულია მასზე, ვინც იღებს. მაგრამ ჩვენ ძალზე საკადრისად ვაღიარეთ, რომ იგი ყოველივე არსებულზე დიდებულია. ხოლო თუ იგი მის ბუნებაშია, მაგრამ არსობრივად განსხვავდება, დაუჯერებელი აზრია, ვინაიდან ჩვენ ვსაუბრობთ ღმერთის შესახებ, რომელიც ყოველივე არსებულზე აღმატებულია. და ბოლოს, თუ ერთი საგანი განსხვავდება მეორისგან, იგი ვერ იქნება ის, რაც მისგან განსხვავებულადაა

მიჩნეული. ამგვარად, რაც უმაღლესი სიკეთისგან განსხვავებულია თავისი ბუნებით, იგი უმაღლესი სიკეთე არ არის. მაგრამ დანაშაულია ამის გაფიქრება მასზე, ვისზე აღმატებულიც უდაოდ არაფერია. ვინაიდან ვერაფერი იქნება თავის საწყისზე უკეთესი. ამიტომაც ყოველივე არსებულის საწყისი უმაღლესი სიკეთეა.» «სწორია,»- მივუგე «მაგრამ აუცილებელია ვაღიაროთ, რომ ღმერთი არის თავად ნეტარება.» ვუპასუხე: «არც უწინდელი, არც ახლანდელი ვარაუდებისთვის წინ აღდგომა არ შემიძლია და ნათლად ვხედავ, რომ აქედან ეს უცილობლად გამომდინარეობს.»

«შეხედე,» – თქვა მან, – ამ მტკიცებულებითაც კიდევ უფრო მყარდება ის, რომ შეუძლებელია ორი ერთმანეთისგან განსხვავებული სიკეთის არსებობა. ვინაიდან განსხვავებულ სიკეთეთაგან ერთი ვერ იქნება ის, რაც მეორეა. ამიტომ ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს სრულყოფილი, ვინაიდან თითოეულს დააკლდება მეორე. მაგრამ რაც არ არის სრულყოფილი, ცხადია ის უზენაესი ვერ იქნება. სიკეთენი, რომლებიც უმაღლესნი არიან, ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებიან განსხვავებულნი. ჩვენ დავასკვენით, რომ ნეტარებაც და ღმერთიც უმაღლესი სიკეთეა. ამიტომაც აუცილებელია, რომ რაც უზენაესი ღვთაებრიობაა, ის უზენაესი ნეტარებაც იყოს.» «სინამდვილეში ვერც ერთი დასკვნა ვერ იქნება ვერც ასე სწორი, ვერც განსჯით ასე გამყარებული და ვერც ღმერთის უფრო შესაფერისი. გარდა ამისა, როგორც გეომეტრიკოსებს ჩვევიათ რაიმეს ჩართვა დასაბუთებული დებულებებიდან, რომელთაც თავად დანასკვს უწოდებენ, მეც მოგცემ რაიმეს დანასკვის სახით. მაშ, ვინაიდან ადამიანები ნეტარების მოპოვებით ხდებიან ნეტარნი, ხოლო ნეტარება თავად ღვთაებრიობაა, მაშინ ცხადია, რომ ღვთაებრიობის შეძენით ნეტარნი გახდებიან, ისევე, როგორც სამართლიანობის შეძენით ხდებიან სამართლიანნი, სიბრძნის შეძენით – ბრძენნი, მაშინ მსგავსი განსჯით, ღვთაებრივობის შეძენით ღმერთები გახდებიან. ყველა, ვინც ნეტარია ღმერთია, მაგრამ ღმერთი ბუნებით ერთია. არაფერი უშლის ხელს მრავალს მასთან თანაზიარებაში. ეს ძალზე მშვენიერიცაა და ღირებულიც, გინდ დასკვნა უწოდე, გინდ – დანასკვი.» «მაგრამ არაფერია იმაზე მშვენიერი, რისი დართვაც ზემოთ აღნიშნულთან სურს გონებას.» «რა?» – შევეკითხე. «ის, რომ ვინაიდან ჩანს, რომ ნეტარება მრავალ რაიმეს მოიცავს, ეს მრავალი შეერთებულია, როგორც ერთი სხეული განსხვავებული ნაწილებით, თუ არის მათში რაიმე ნეტარების არსის შემცველი, რომელიც ყველა დანარჩენთანაცაა დაკავშირებული?» ვუპასუხე: «მსურს თავად მათი გახსენებით ამიხსნა ეს საკითხი.» «განა ნეტარება სიკეთედ არ მივიჩნიეთ?» «დაიხ, უზენაეს სიკეთედ.» – დავუდასტურე.

«შეგიძლია ყველა დანარჩენს ესეც დაურთო; ხომ დავადგინეთ, რომ სრული თვითკმარობა, უმაღლესი ძალმოსილება, აგრეთვე დაფასება, დიდება და სიამე იგივე ნეტარებაა. მაშ, როგორაა ყველა ეს სიკეთე: თვითკმარობა, ნეტარება და სხვანი ნეტარების თითქოსდა რაღაც ნაწილნი არიან, თუ ყოველივე ეს ისე მიემართება უმაღლეს სიკეთეს, როგორც თავიანთ მწვერვალს?» «ვხვდები,» – მივუგე, – საკვლევად რაც დამისახე, მაგრამ მსურს მოვისმინო, თავად როგორ გადაწყვეტ ამას.» «მაშ, მოისმინე, თუ რა სხვაობაა ამ ორ მოსაზრებას შორის: ყოველი მათგანი ნეტარების ნაწილი რომ იყოს, მაშინ ისინი ერთმანეთისგან განსხვავებული იქნებოდნენ, ვინაიდან ნაწილების ბუნება ასეთია – ერთ მთლიან სხეულს თავიანთი განსხვავებულობით აგებენ. მაგრამ დადგინდა, რომ ყველა ეს ერთი და იგივეა. მაშასადამე ისინი ნაწილები ვერ იქნებიან, თორემ ნეტარება ერთი ნაწილისგან შედგენილი იქნებოდა, რაც შეუძლებელია რომ მოხდეს.» «ეს მართლაც არ არის სადაო,» – მივუგე, – «მაგრამ დანარჩენი არგუმენტების მოსმენასაც მოუთმენლად ველი.» «ცხადია, რომ სიკეთესთან ურთიერთდაკავშირებულია ყველა დანარჩენი. თვითკმარობასაც ხომ იმიტომ ესწრაფვიან,

რომ იგი სიკეთედ არის აღიარებული. იგივე შეიძლება ითქვას დაფასებაზე, დიდებაზე, სიამოვნებაზე. ყოველივე სასურველის მწვერვალი და ამავდროულად მიზეზი არის სიკეთე. რაც საკუთარ თავში არ ატარებს სიკეთეს ან მის მსგავსებას, ის არასგზით არაა სასურველი. ამის საპირისპიროდ, იმას, რაც ბუნებით სიკეთე არ არის, ისევე ესწრაფვიან, როგორც ჭეშმარიტ სიკეთეს, თუკი ასეთად მოსჩანს. ამიტომაცაა, რომ ყოველივე სასურველის მწვერვალად, ღერძად და მიზეზად სამართლიანად მიიჩნევენ სიკეთეს. ყველაზე სასურველი მართლაც ისაა, რისი გულისთვისაც სხვა დანარჩენს ეშურებიან. მაგალითად, როცა ვინმეს ჯანმრთელობისთვის სწადია ცხენით ჯირითი, მას იმდენად საჯირითო მოძრაობა კი არ სიამოვნებს, რამდენადაც ამის შედეგი – ჯანმრთელობა. მაშასადამე, როცა რაიმეს სიკეთის გულისთვის ესწრაფვიან, ყველასათვის უფრო მეტადაა სასურველი არა ეს რაიმე, არამედ სიკეთე. მაგრამ ჩვენ შევთანხმდით, რომ ის, რისი გულისთვისაც სხვა დანარჩენს ესწრაფვიან ნეტარებაა, აქედან გამომდინარე, ცხადზე ცხადია, რომ თავად სიკეთესა და ნეტარებას ერთი არსი აქვთ.» «არ მესმის, როგორ უნდა აუხირდეს ვინმე ამ დასკვნებს,» – ვუთხარი მე. «ჩვენ ამასთანავე დავადგინეთ, რომ ღმერთი და ჭეშმარიტი ნეტარება ერთი და იგივეა.» «ასეა,» – დავუდასტურე. «მაშინ თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ღმერთის არსი მდგომარეობს ნეტარებაში და არსად სხვაგან.

III. 10 (v). მომიახლოვდით, ტყვედქმნილებო, ერთად შემოკრბით,
ვისაც მტანჯველი ჯაჭვით გბორკავთ ამაო ვნება,
მიწიერ გონში დაუდვია რომელსაც ბინა.
კირთების ნაცვლად მოიპოვებთ თქვენ აქ სიამეს,
აქ გელოდებათ უშფოთველი ნავთსაყუდელი,
უბედურთათვის თავშესაფრის ღიაა კარი.
ის, რასაც გვიძღვნის ოქროს ქვიშით ჩქარი ტაგუსი[68]
ანდა ჰერმუსი[69] მოოჭვილი სანაპიროთი,
ანდა ინდუსი[70] ცხელ სარტყელთან ახლოს მყოფელი,
თეთრ და მწვანე ქვებს ერთმანეთში როცა აურევს
ადამიანის მზერას ატკბობს ნათელმოსილი,
მაგრამ ჩამალავს ბრმა გონებას თავის წყვდიადში.
ის რაღაც, მიწამ რომ აღზარდა ღრმა უფსკრულებში,
კაცის გონებას აჯადოებს და მიიზიდავს.
ის ბრწყინვალება, კი, რომლითაც ზეცა სულდგმულობს
მუდამ გაურბის დაცემული სულის სიბნელეს.
ის, ვინც შეიძლებს ბრწყინვალება იგი იხილოს,
ფებუსის სხივთა სიკაშკაშეს არად ჩააგდებს.

III. 11. «გეთანხმები,» – მივუგე, – «რადგან შენი მსჯელობა ურყევი მტკიცებულებებითაა გამყარებული.» მაშინ მან მკითხა: «რამდენად დააფასებდი, რომ შეგეძლოს იმის შეცნობა, თუ რას წარმოადგენს თავად სიკეთე?» «განუსაზღვრელად, თუკი ამასთან ერთად მოვახერხებდი ღმერთის შეცნობასაც, რომელიც თავადაც სიკეთეა.» «ამას ყველაზე უფრო ჭეშმარიტი აზრებით განგიმარტავ, მხოლოდ თუ ჩვენი წინამდებარე დასკვნები კვლავაც ძალაშია.» «დიახ, კვლავ ძალაშია.» «ხომ ცხადვყავით, რომ ის ფასეულობები, რომლებსაც ადამიანთა უმრავლესობა ესწრაფვის, ჭეშმარიტ და სრულყოფილ სიკეთეს არ წარმოადგენენ იმიტომ, რომ ერთმანეთისგან განსხვავდებიან და რადგან ერთი მათგანი მოკლებულია მეორეს, არ შეუძლიათ სრულყოფილი და აბსოლუტური სიკეთის მონიჭება, მაგრამ ჭეშმარიტ სიკეთედ

იქცევიან მაშინ, როცა თითქოსდა გაერთიანდებიან ერთ ფორმასა და მოქმედებაში ისე, რომ რაც თვითკმარობაა, იგივე გახდება ძალაუფლება, დაფასება, დიდება, აგრეთვე სიამე. ესენი ერთი და იგივე რომ არ ყოფილიყვნენ, მაშინ ხომ არაფერი ექნებოდათ ისეთი, რის გამოც სასურველთა შორის ჩაითვლებოდნენ?» «ეს დამტკიცებულია და შეუძლებელია მასში რაიმე ეჭვის შეტანა.» «მაშ, როცა ესენი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მაშინ სიკეთისგან შორს არიან, მაგრამ როცა ერთიანდებიან, სიკეთედ იქცევიან, განა სიკეთეს გაერთიანებით არ იძენენ?» «ასე ჩანს.» მაგრამ ყოველივე კეთილი სიკეთის თანაზიარებითაა ასეთი, არა?» «ასეა.» «მაშასადამე საჭიროა მსგავსი განჯით მიხვიდე იმ დასკვნამდე, რომ ერთიანობა და სიკეთე ერთი და იგივეა, რადგან ერთი არსი იმ საგნებს აქვთ, რომელთა ზემოქმედებაც არაა განსხვავებული.» «ამას ვერ უარვყოფ.» «იცი თუ არა, რომ ყოველივე, რაც არსებობს, არსებობს იქამდე, სანამ ერთიანია, მაგრამ ერთიანობის დაკარგვისთანავე იშლება და იღუპება?» «ეს როგორ?» «ისევე, როგორც ცხოველების შემთხვევაში,» – თქვა მან, – როცა მათი სული და სხეული ერთადაა და აგრძელებს თანაარსებობას, მაშინ ეწოდება მას ცოცხალი არსება. მაგრამ როდესაც ეს ერთიანობა ირღვევა ამ ორთა დაცალკევებით, ქმნილება კვდება და ის უკვე ცოცხალი არსება აღარ არის. თავად სხეულიც, როცა მის ნაწილთა გაერთიანებით ერთ მთლიანობადაა ქცეული, ადამიანის გარეგნობას წარმოგვიდგენს, მაგრამ თუ მათი დაშლა და დაფანტვა სხეულის ერთიანობას დაარღვევს, მაშინ ვეღარ იქნება ის, რაც იყო. ამგვარად, თვალი რომ გადავავლოთ ყოველივე დანარჩენს, მაშინ უთუოდ ცხადი იქნება, რომ ნებისმიერი რამ არსებობს მანამ, სანამ მთლიანია, მაგრამ, როცა ერთიანობას კარგავს, იღუპება.»

«თუ არის რაიმე,» – იკითხა მან, – ბუნების წესისამებრაც რომ იქცეოდეს და თან არსებობის სურვილს თმობდეს და დაღუპვასა და განადგურებამდე მისვლას ლამობდეს?» ვუპასუხე: «თუ მხედველობაში მივიღებთ ცხოველებს, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული ბუნებრივი უნარი ისურვონ რაიმე ან არ ისურვონ, მათ შორის ვერ ვპოულობ ისეთს, რომელიც რაიმე გარეგანი იძულების გარეშე ტოვებს სიცოცხლის წყურვილს და დაღუპვისკენ ნებით მიიჩქარის. ყველა ცხოველი ხომ სიცოცხლის შენარჩუნებისთვის ირჯება, ხოლო სიკვდილსა და დაღუპვას გაურბის. მაგრამ, რაც შეეხება ბალახსა და ხეებს, და, ზოგადად, უსულო საგნებს, მართლაც ვყოყმანობ მათზე რაიმეს გაფიქრებას.» «მაგრამ არც მათ შემთხვევაშია რაიმე საყოყმანო. ხომ ხედავ, რომ ბალახიც და ხეებიც მათთვის შესაფერის ადგილას იზრდება, სადაც, რამდენადაც ბუნება ამის საშუალებას აძლევს, დაცულნი არიან სწრაფად დაჭკნობისა და დაღუპვისაგან. ამგვარად ზოგი ხარობს მინდვრებში, ზოგი – მთაში, ზოგი – ჭაობში, ზოგი კლდეს ემაგრება, ზოგისთვის კი უნაყოფო ქვიშაა ხელსაყრელი და თუ მათ სხვა ადგილზე გადატანას შეეცდებიან – დაჭკნებიან. მაგრამ ბუნება აძლევს იმას, რაც სასარგებლოა და ზრუნავს, რომ სანამ არსებობის ძალა შესწევთ, არ განადგურდენ. მაშ, ყველა მცენარე რატომ იღებს საკვებს ფესვებით, თითქოსდა მიწას პირითაა ჩაფრენილი და შემდეგ საკვებს გულითა და ქერქით ანაწილებს? რატომაა, რომ ყველაზე რბილი რამ, როგორიცაა ხის გული მუდამ შიგნითაა ჩამალული, ხოლო ყველაზე გარეთ ქერქია, მცველის დარად არაჯანსაღი კლიმატისთვის წინააღმდეგობის გასაწევად? და კვლავაც, რა დიდია ბუნების გულმოდგინება, როცა ყოველივეს მოშენებას თესლთა გამრავლებით უწყობს ხელს. განა ვინმემ არ იცის, რომ ეს პროცესი არა მხოლოდ დროში არსებობის შენარჩუნების, არამედ შთამომავლობის გზით თითქოს სამუდამოდ არსებობის ერთგვარი მექანიზმია? ხოლო ის, რაც უსულო საგნადაა მიჩნეული განა რაღაც გონების მსგავსით არ ესწრაფვის თავის შესაფერისს? მაშ, რატომ ეზიდება ზემოთ ცეცხლს სიმსუბუქე, ხოლო მიწას სიმძიმე ძირს ექაჩება, თუკი თითოეული მათგანისთვის ეს ადგილი და ამგვარი მოძრაობა არაა შესაფერისი? გარდა ამისა, თითოეული

დაცულია იმით, რაც შეეფერება ისევე, როგორც აზიანებს ის, რაც არახელსაყრელია. მკვრივ საგნებს, ისეთებს, როგორიც არის ქვები, ადვილად დაშლისგან იცავთ მჭიდროდ შეკრული ნაწილები. ზოგი არამყარი საგანი, როგორიცაა ჰაერი ან წყალი, თუმცა გამთიშველ ძალას ადვილად ემორჩილება, მაგრამ მალევე იბრუნებს იმას, რაც მოეკვეთა. ხოლო ცეცხლი ყოველგვარ დანაწევრებას გამორიცხავს.

მაგრამ ჩვენ ახლა განვიხილავთ არა გაცნობიერებული სულის ნებაყოფლობით მოძრაობას, არამედ ბუნებრივ მისწრაფებას. ისევე, როგორც მიღებულ საკვებს ვითვისებთ მასზე დაფიქრების გარეშე, ან როცა ძილში ვსუნთქავთ გაუცნობიერებლად, ამის მსგავსად, ცხოველებშიც სიცოცხლის სიყვარული მოდის არა სულის ნებელობიდან, არამედ ბუნების კანონზომიერებიდან. მაგრამ, ხშირად რიგ გარემოებათა გამო ნება ირჩევს სიკვდილს, რომელსაც ბუნება გაურბის. ხოლო, მეორე მხრივ, იმისგან, რითაც მოკვდავ ქმნილებათა არსებობაა განმტკიცებული – შთამომავლობის დატოვება – რასაც ბუნება მუდამ მიელტვის, ნება ზოგჯერ თავს იკავებს. ამდენად საკუთარი თავის სიყვარულიც მომდინარეობს არა მაცოცხლებელი სულის მოძრაობიდან, არამედ ბუნებრივი მისწრაფებიდან. ვინაიდან განგებამ მის მიერ გაჩენილ ქმნილებებში შთანერგა არსებობის უდიდესი მიზეზი – სიცოცხლე მანამ სურდეთ, სანამ ამის შესაძლებლობა აქვთ. ამიტომაც არავითარ შემთხვევაში ეჭვი არ უნდა შეგეპაროს, რომ ყოველივე არსებული ბუნებრივად ესწრაფვის არსებობის მუდმივობას და გაურბის აღსასრულს.» «ვაღიარებ,» – მივუგე, – რაც აქამდე გაურკვევლად მეჩვენებოდა, ახლა ვჭვრეტ, როგორც უტყუარს. მაშ, რაც არსებობას და არსებობის გახანგრძლივებას ესწრაფვის, სურს იყოს ერთიანი. თუ ეს ასე არ იქნება, ვერც მისი არსებობა გაგრძელდება.» «ასეა,» – დავუდასტურე. «მაშასადამე ყოველივეს სურს ერთიანობა.» «გეთანხმები.» «მაგრამ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ეს ერთიანობა არის თავად სიკეთე.» «მართლაც ასეა.» «მაშ, ყოველივე ესწრაფვის სიკეთეს და ეს შეგიძლია ასე გადმოსცე: თავად სიკეთეა ის, რაც ყველასთვისაა სასურველი.» «ამაზე უფრო ჭეშმარიტი ვერცერთი სხვა აზრი ვერ იქნებოდა. ან ყოველივე არავითარი ერთიანობისკენ არაა მიმართული და თვითნებურად მიედინება განმკარგველსა და საბოლოო მიზანს მოკლებული, ან არსებობს ის ერთი რაღაც, რისკენაც ყველაფერი მიისწრაფვის და ესა არის ყოველივე სიკეთის მწვერვალი.» მაშინ მან თქვა: «მეტისმეტად გახარებული ვარ ჩემო მოწაფევ, რადგან ახლა შენი გონება ჭეშმარიტების უმთავრესი საკითხისკენაა მიმართული. აქ განგიცხადდა ის, რისი არცოდნაც ცოტა ხნის წინ აღიარე.» «რა?» «ის თუ რა არის ყოველივე არსებულის საბოლოო მიზანი, ვინაიდან ის მართლაც იმას წარმოადგენს, რაც ყველასათვისაა სასურველი და რადგან დავასკვენით, რომ იგი სიკეთეა, გვმართებს ვაღიაროთ, რომ სიკეთე ყოველივე არსებულის საბოლოო მიზანია.

III. 11 (v). ვინაც ეძიებს ღრმა გონებით ჭეშმარიტებას
და მისკენ სავალ გამრუდებულ გზებს ერიდება,
საკუთარ თავში შინაგანი მზერის ნათელით
უნდა საზღვრებში მოაქციოს უსაძღვროება.
სული გაწვართოს: გარეთ ნუკი ესწრაფვის რამეს,
ის საგანძური, რომელსაც ფლობს, შიგნით, სულშია.
თავად ფებუსზე უფრო ნათლად გამობრწყინდება,
რაც კი შეცდომის შავმა ნისლმა უწინ დაფარა.
გონებისაგან ვერ განდევნა ჯერ საბოლოოდ
შუქი სხეულმა, დავიწყების ზვირთის აღმძვრელმა,
დარჩა მარცვალი, სულის შიგნით, ჭეშმარიტების,

რომელსაც სწავლის ნიავქარი კვლავ გააღვიძებს.
როგორ განსჯიდით შემკითხველნი სწორად რაიმეს,
თქვენ გულში მისი ნაპერწკალი რომ არ ღვიოდეს.
პლატონის მუზა[71] ახმოვანებს თუკი სიმართლეს,
ვინც რამეს სწავლობს, დავიწყებულს იხსენებს იგი.»

III. 12. მაშინ მივუგე: «სავსებით ვეთანხმები პლატონს. მართლაც, უკვე მეორედ შემახსენე ამის შესახებ, პირველად მაშინ, როცა სხეულის ზეგავლენით მქონდა დავიწყებული, მეორედ კი მწუხარებით გულდამძიმებული როცა ვიყავი.» მან თქვა: «თუკი გადახედავ იმას, რაც ცოტა ხნის წინ ვივარაუდეთ, არ გაგიძნელდება იმის გახსენება, რისი არცოდნაც ახლა აღიარე.» «რა?» – შევეკითხე. «ის, თუ რა საშუალებებით იმართება სამყარო.» «მახსოვს,» – მივუგე, – რომ ჩემი უმეცრება ვაღიარე და თუმცა წინასწარ ვხვდები, რაც უნდა მამცნო, მაინც მსურს შენგან უფრო დაწვრილებით მოვისმინო.» «ცოტა ხნის წინ,» – თქვა მან, – «სრულიად არ გეეჭვებოდა, რომ სამყაროს ღმერთი განაგებს.» «სხვაგვარად არც ახლა ვფიქრობ,» – მივუგე, – და არც ოდესმე დავეჭვდები ამაში. მოკლედ განვმარტავ, ამ მოსაზრებამდე რამ მიმიყვანა: სამყარო ასეთი განსხვავებული და საპირისპირო ნაწილებისგან ერთ მთლიანობად ვერ ჩამოყალიბდებოდა, რომ არა ის ერთი, რომელიც ამგვარ განსხვავებულ საგნებს შეაკავშირებდა. ხოლო განსხვავებულ არსთა კავშირი თანდათან დაიშლებოდა და გაითიშებოდა, რომ არა ის ერთი, რომელიც განამტკიცებდა მათ, რაც შეაერთა. ვერც ბუნების განსაზღვრული წესრიგი წარმოიქმნებოდა, ვერც საგნები იმოძრავებდნენ დროსა და სივრცეში, არ ექნებოდათ მიზეზი, ხარისხი და განფენილობა, რომ არა ის ერთი, რომელიც თავად უცვლელი, ამ ცვლილებათა მრავალსახეობას მოაწესრიგებდა. მას კი, რაც არ უნდა იყოს იგი, რისი წყალობითაც ყოველივე არსებული სულდგმულობს და მოძრაობს, ვუწოდებ ყველასათვის ნაცნობ სახელს – ღმერთს.»

მაშინ მან თქვა: «თუკი ასე მიგაჩნია, მაშინ ვფიქრობ, მცირე ძალისხმევაღა დამრჩა იმისთვის, რომ ბედნიერებას გაზიარო და სამშობლოში უვნებელი დაგაბრუნო. მაგრამ, მოდი, გადავხედოთ წამოჭრილ საკითხს. ხომ მივაკუთვნეთ თვითკმარობა ნეტარებას და შევთანხმდით, რომ ღმერთი თავად ნეტარებაა?» «ასეა,» – დავეთანხმე.» «მაშ, – განაგრძო მან, – «ღმერთს არავითარი გარეგანი მხარდაჭერა არ დასჭირდება, ვინაიდან თუკი ვინმე რაიმეს საჭიროებს, მაშინ იგი არ არის ბოლომდე თვითკმარი.» «ეს უთუოდ ასეა.» «ხომ დამტკიცდა, რომ ღმერთი თავად სიკეთეა?» «დიახ, ეს მახსოვს.» «და ვინაიდან ყოველივეს თავად უძღვება და, როგორც შევთანხმდით, იგი სიკეთეა, მაშასადამე, ყოველივეს სიკეთით განკარგავს. იგი თითქოს საჭე და სადავეა, რომელთა მეშვეობითაც სამყაროს მოწყობილობა მყარი და ურღვევი რჩება.» «სრულიად გეთანხმები,» – მივუგე – «და ცოტა ხნის წინ თუმცა გუმანით, ბუნდოვნად, მაგრამ მაინც განვჭვრიტე, რაც უნდა გეთქვა.» «მჯერა,» – მითხრა მან – «ახლა კი, როგორც ვფიქრობ ჭეშმარიტებისკენ უფრო დაკვირვებით მიმართავ მზერას. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია გასათვალისწინებლად, რასაც ახლა გეტყვი.» «რას? – შევეკითხე. «იმას, რომ ვინაიდან სამართლიანად სჯერათ, ღმერთი სიკეთის საჭით რომ უძღვება ყოველივე არსებულს და ეს ყოველივე, როგორც გასწავლე, სიკეთისკენ ბუნებრივად მიისწრაფვის, განა შეიძლება დაეჭვდე იმაში, რომ არსებული საგნები ნებაყოფლობით იმართებიან და თითქოს შეთანხმებულად და გაწონასწორებულად მისდევენ განმკარგველის წესებს?» «უდაოდ ასეა, რადგან ის მმართველობა ვერ იქნებოდა ნეტარი, რომელიც არა ხსნა მორჩილთათვის, არამედ უღელი იქნებოდა უარმყოფელთათვის.» «მაშ, ქვეყნად არაფერია ისეთი, რაც თავისი არსის ერთგულია და თან ცდილობს ღმერთს აუჯანყდეს?» «არაფერია» – დავეთანხმე. «მაგრამ, თუ

მაინც შეეცდებოდა, რას გააწყობდა მის წინააღმდეგ, ვინც სამართლიანად მივიჩნიეთ ნეტარების უმაღლეს მწვერვალად?» «მართლაც ვერაფერი შეძლებდა ამას.» «მაშ, არ არსებობს ისეთი რამ, რაც მოისურვებდა ან შეძლებდა უმაღლეს სიკეთეს წინ აღდგომოდა?» «ვფიქრობ, რომ არა.» – ვუპასუხე. «მაშასადამე, იგი უმაღლესი სიკეთეა, რომელიც მტკიცედ მართავს ყოველივეს და სიხარულით ანაწილებს.» მაშინ ვუთხარი: «როგორ მაამა არა მარტო იმან, რაც შენი მსჯელობით დაასკვენი, არამედ უფრო მეტად იმ სიტყვებმა, რომლებსაც ამისთვის მიმართე, რომ ბოლოს შემრცხვა იმ სისულელის გამო, რომელიც ასე ძლიერ მტანჯავდა.»

«მოსმენილი გაქვს თქმულებები ზეცის წინააღმდეგ გამლაშქრებელ გიგანტებზე, თუმცა კეთილმა ძალამ მათაც მიუჩინა ადგილი, როგორც დაიმსახურეს. მაგრამ თავად ჩვენი არგუმენტებიც ხომ არ შევუპირისპიროთ ერთმანეთს, რათა ამგვარი წინააღმდეგობიდან ჭეშმარიტების რაიმე მშვენიერმა ნაპერწკალმა გამოხეთქოს.» «როგორც გენებოს» – მივუგე. «მაშასადამე,» – თქვა მან – «არაფერია ისეთი, რაც ყოვლისშემძლეს არ ხელეწიფება?» «არაფერი,» – დავუდასტურე. «მაშ, შეუძლია ღმერთს ბოროტების ჩადენა?» «არავითარ შემთხვევაში.» – მივუგე «მაშასადამე, ბოროტება არაფერია, ვინაიდან მისი ჩადენა არ შეუძლია მას, ვისაც ყველაფერი ხელეწიფება.» «მეხუმრები?» – შევეკითხე –»მსჯელობათა გაუვალ ლაბირინთს რომ მიგებ და ხან სადაც წყვეტ, იქ იწყებ, ხან სადაც იწყებ, იქ წყვეტ, ან იქნებ ღვთაებრივი სიმარტივის რაღაც წრეებს კრავ? რადგან ცოტა ხნის წინ, როცა ნეტარებაზე დაიწყე საუბარი, განაცხადე, რომ იგი უმაღლესი სიკეთეა და აღნიშნე, რომ ის თავად უზენაეს ღმერთშია. დაამტკიცე, რომ თავად ღმერთიც უმაღლესი სიკეთე და სრული ნეტარებაა. და აქედან გამომდინარე დასძინე, რომ ვერავინ იქნება ნეტარი, ვინც ღმერთის თანასწორი არ არის. კვლავაც აღნიშნე, რომ თავად სიკეთის ფორმა ღმერთისა თუ ნეტარების არსია და რომ ეს ერთი არის სიკეთე, რომელსაც არსებულ საგანთა ბუნება მიესწრაფვის, რომ ღმერთიც სიკეთის საჭით განაგებს სამყაროს და მას ნებით ემორჩილება ყოველი, ხოლო ბოროტებას არავითარი არსი არ აქვს. და ეს არა რაიმე გარედან მოხმობილი მტკიცებულებებით, არამედ ერთი მეორიდან საიმედოდ გამოყვანილი არგუმენტებით გამოარკვიე.» მაშინ მან თქვა: «სრულიადაც არ გეხუმრები და ღვთის შეწევნით, რომელსაც ცოტა ხნის წინ ლოცვით მივმართეთ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საგანი ამოვწურეთ. ეს არის ღვთაებრივი არსის ფორმა, რომელიც არც გარეგან რამეში გადაიზრდება, არც გარედან იღებს რაიმეს, არამედ, როგორც მის შესახებ თქვა პარმენიდესმა: Πάντοθεν ευκύκλου σφαίρης εναλίγκιον ‘όγκω.[72] იგი აბრუნებს სამყაროს მოძრავ სფეროს მაშინ, როცა თავად უძრავად რჩება. ამიტომ არაფერია გასაკვირი, რომ ავამუშავე არა გარედან მოხმობილი, არამედ განსახილველი საკითხის შიგნით მომცველი არგუმენტები, ვინაიდან ნასწავლი გაქვს პლატონის განმარტებისამებრ[73], რომ საუბარი უნდა ენათესავებოდეს იმ საგანს, რომლის შესახებაცაა იგი.

III. 12 (v). ბედნიერია, ვისაც სიკეთის
ბრწყინვალე წყაროს ხილვა ეღირსა,
ვინაც შეიძლო, რომ მიწიერი
ბორკილებისგან დაეხსნა თავი.
ერთ დროს მგოსანი თრაკიის მხარის[74]
მეუღლის სიკვდილს გლოვობდა თურმე,
როცა მწუხარე ჰანგებით იგი
ფეხადგმულ ხეებს ამოძრავებდა,
ხოლო დინებებს შეაჩერებდა
და გულმიცემულ ირმებს მძვინვარე

ლომების გვერდით დაადგომებდა,
და აღარც კურდღელს აფრთხობდა უკვე
ხილვა ჰანგებით დამტკბარი ძაღლის,
მაგრამ მის გულში ვნებათა ღელვის
კოცონი ენთო მეტად მგზნებარედ
და ყოველივეს ტყვედმქმნელი ჰანგი
საკუთარ ბატონს ვერ აამებდა,
მაშინ დაადგა ის ქვესკნელის გზას,
თან სასტიკ ღმერთებს საყვედურობდა,
იქ კი თავისი ტკბილი ჰანგები
მჟღერი სიმებით გაახმიანა,
რაც შეითვისა თავისი დედის[75]
გამორჩეული წყაროდან, რაც კი
უძლურებისგან ერგო ვაებად,
რაც დაითმინა სიყვარულისგან
ტენარუმის[76] წინ ცრემლად დაღვარა,
და მოითხოვა ტკბილი მუდარით,
შეეშვათ იგი აჩრდილთა ქვეყნად,
რომლის დარაჯი სამთავიანი[77]
გაოგნებულა ჯადოსნურ ჰანგით,
შურისძიების ქალღმერთებიც კი
დამნაშავეებს თავზარს რომ სცემენ,
ახლა მწუხარე ცრემლებს აფრქვევენ,
იქსიონის[78] თავს სწრაფი ბორბალი
თავბრუდამხვევად აღარ აბრუნებს
და ტანტალოსიც[79] წყალს არად აგდებს,
ხანგრძლივ წყურვილით გაწამებული
კმაყოფილდება ტკბილი ჰანგებით.
ღვიძლს არ უკორტნის ტიტიუსს[80] სვავი,
ბოლოს აჩრდილთა მბრძანებელიც კი
მწუხარე სახით მარცხს აღიარებს:
«კაცს დაუბრუნეთ ერთგული ცოლი,
სიმღერებით რომ გამოისყიდა,
მაგრამ ეს წესი უნდა დაიცვას:
ვიდრე ტარტაროსს არ მოიტოვებს,
უკან არასგზით არ მოიხედოს,
თუმც ვინ დაუდგენს წესებს მიჯნურებს –
სიყვარულია მთავარი წესი.
ვაი, რომ სწორედ ღამის საზღვართან,
თვის ევრიდიკეს კარგავს ორფევსი,
ჯერ ნახა, მერე დაკარგა, მოკლა.
მე ეს ამბავი თქვენ მოგიძღვენით,
ვინც ეშურებით, თქვენი გონება
რომ წაიყვანოთ ციური დღისკენ,

რადგანაც იგი, ვინც დაიძლევა,
ტარტაროსისკენ მიაპყრობს მზერას,
თუ ღირებული თან მიაქვს რამე,
დაკარგავს, როცა ქვესკნელს გახედავს.

IV

IV. 1.ეს სიტყვები ფილოსოფიამ ღირსეული იერით, დინჯი გამომეტყველებით, მშვიდად და აუღელვებლად წაიმღერა. და როცა დააპირა ეთქვა ის, რაც აქამდე სათქმელად ჰქონდა მომზადებული, შევაწყვეტინე, რადგანაც ჯერ არ დამვიწყებოდა ჩემში ჩასახლებული სევდა და მივმართე: «ო, ჭეშმარიტი სინათლის გზამკვლევო, ნათელი იყო ის, რასაც შენი სიტყვა გადმოსცემდა ღვთაებრივობის ჭვრეტითა და ურყევი მტკიცებულებებით. მე კი, უსამართლობით ტანჯულს, მივიწყებული მქონდა იგი. ამიტომ არ გითქვამს ჩემთვის ის, რაც მანამ არ ვიცოდი. ჩემი სევდის უმთავრესი მიზეზი სწორედ ისაა, რომ მიუხედავად ყოველთა კეთილად განმგებლის სუფევისა, მაინც ძალუძს ბოროტებას არსებობა და ამ არსებობის დაუსჯელად გაგრძელება. დაუფიქრდი, ეს ნამდვილად იმსახურებს გაოცებას, მაგრამ მასთან რაღაც უფრო მნიშვნელოვანია გადაჯაჭვული; როცა ზეობს და ყვავის უზნეობა, სიქველე არა თუ ჯილდოს კარგავს, არამედ ბოროტმოქმედთა ფეხქვეშ ითელება და დამნაშავეთა მაგიერ იღებს სასჯელს. და ეს ხდება ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე ღმერთის საუფლოში, რომელსაც მხოლოდ სიკეთე სურს». მან კი განაგრძო: «ეს იქნებოდა უსაზღვრო სისულელე, საშინელი და წარმოუდგენელი რამ, თუ იმის მსგავსად, შენ რომ გგონია, ოჯახის უფროსის კარგად მოწყობილ სახლში უფასური ჭურჭელი მოვლილი იყოს, ძვირფასს კი მტვერი ედებოდეს. ასე არ ხდება. თუ მართებულია ის დასკვნები, რომლებიც ცოტა ხნის წინ გამოვიტანეთ, თავად შემოქმედის მეოხებით, რომლის საუფლოს შესახებაც ახლა ვსაუბრობთ, კეთილნი მუდამ ძლევამოსილნი არიან, ბოროტნი კი – დაკნინებულნი და ძალაგამოცლილნი. მანკიერება არასოდეს რჩება დაუსჯელი, ხოლო სიქველე – დაუჯილდოებელი. კეთილ ადამიანებს მუდამ ბედნიერება ერგებათ, ბოროტებს – უბედურება, (და ამის მსგავსი შეიძლება კიდევ მრავალი რამ ითქვას), რაც ჩივილს შეგაწყვეტინებს, განგამტკიცებს და გაგაძლიერებს. ვინაიდან ნანახი გაქვს ნეტარების ჭეშმარიტი ფორმა, რომელიც ცოტა ხნის წინ წარმოგიდგინე და იცი, თუ სადაა იგი, სწრაფად გავიაროთ ყოველივე, რისი წინსწრებაც აუცილებლად მიმაჩნია და გიჩვენებ გზას, რომელიც შინ მიგიყვანს. შენს გონებას ფრთებს შევასხამ, რომელთა შემწეობითაც შეძლებ ამაღლებას, რათა მღელვარება უკუაგდო და ჩემი წინამძღოლობით, ჩემ მიერ ნაჩვენები გზით და ჩემი ეტლით შინ უვნებელი დაბრუნდე.

IV. 1 (v).მსუბუქი ფრთები მაქვს მე მონიჭებული,
რომ ცათა სიმაღლეს მივწვდე.
როცა მათ შეისხამს ცინცხალი გონება,
მიწას გადმოხედავს ზიზღით.
უსაზღვრო ჰაერის სივრცეს რომ გასცდება,
უკან მოიტოვებს ღრუბლებს.
გადაკვეთს ცეცხლოვან ზენიტსაც, რომელიც
მოძრავი ეთერით ღვივის.[81]

სანამ ვარსკვლავების სახლებს[82]არ მიაღწევს,
გაჰყვება ფებუსის სავალს,

ან გზას გაუყვება ცივ, ბებერ სატურნთან
მეომრის მნათობის[83]დარად,
ან გაედევნება წრებრუნვას ვარსკვლავთა,
ციმციმით რომ რთავენ ღამეს.
როცა გულს იჯერებს და მოიქანცება,
კაბადონს დატოვებს ცისას;
სწრაფმავალ ეთერის მიღმა აღმოჩნდება
სინათლის მეუფის მსგავსად.
იქ, სადაც უპყრია სკიპტრა მეფეთმეფეს,
სამყაროს სადავეს მართავს
ის, თავად უძრავი, სწრაფ ეტლებს განაგებს
დიადი მსაჯული ქვეყნის.
გზა მივიწყებული, რომელსაც დაეძებ,
თუკი დაგაბრუნებს უკან:
«ეს ჩემი სახლია, სადაც დავიბადე,
სვლას აქ დავასრულებ,» – იტყვი.
თუ მაინც ისურვებ მოხედო შენ უკან
დარჩენილ მიწიერ წყვდიადს,
მაშინ იმ ტირანებს იხილავ განდევნილს,
ხალხს რომ აძრწუნებდნენ მარად.

IV. 2.მაშინ შევძახე: «საოცარია! რამოდენა რამეს მპირდები! ეჭვიც არ მეპარება, რომ შეასრულებ, ოღონდ ნუ დააყოვნებ, რადგან ასე შემაგულიანე. «პირველ რიგში», – თქვა მან – «უნდა გესმოდეს, რომ ძალმოსილება ყოველთვის კეთილ ადამიანებს აქვთ, ხოლო ბოროტნი ყოველმხრივ უძლურნი არიან. აქედან ერთი მეორეს ამტკიცებს, ვინაიდან სიკეთე და ბოროტება საპირისპირონი არიან და თუ სიკეთის ძალმოსილება ეჭვგარეშეა, მაშინ ბოროტების უძლურებაც თვალსაჩინოა. ხოლო თუ ცხადია ბოროტების სისუსტე, მაშინ სიკეთის ძლიერებაც აშკარაა. მაგრამ იმისთვის, რომ ჩემმა აზრმა მეტი ნდობა მოიპოვოს, ორივე მხარეს წარმოვაჩენ და დებულებას აქეთაც და იქითაც გავამყარებ.

დადგენილია, რომ ადამიანის ყოველგვარი ქმედების შედეგიანობა ორ რამეზეა დამოკიდებული: ესაა ნება და შესაძლებლობა. მათგან თუ არ იქნება რომელიმე, შესასრულებელიც აღარაფერი დარჩება. თუ არ იქნება ნება, ვერავინ წამოიწყებს რაიმეს, რადგან ეს არ ენდომება. ხოლო თუ არაა შესაძლებლობა, მაშინ ნება ამაოა. ამიტომაც თუ ნახავ მავანს, ვისაც სურს მიიღოს ის, რისი მიღწევაც არ ძალუძს, ეჭვიც არ შეგეპარება, რომ იგი სასურველის მიღების შესაძლებლობასაა მოკლებული». «ეს ცხადია», – დავუდასტურე, – და ვერასგზით უარვყოფთ ამას». «და თუ იხილავდი, რომ მავანი აღასრულებს იმას, რაც სურს, განა მის შესაძლებლობაში დაეჭვდებოდი?» «არა», – ვუპასუხე. «ვისაც რა შეუძლია, იმაშია იგი ძლიერი, ხოლო რაც

არ ძალუძს, ის უძლურებად უნდა ჩაეთვალოს». «გეთანხმები». «მაშინ თუ გახსოვს, რაც წინა მსჯელობებიდან დავასკვენით, კერძოდ, მიუხედავად განსხვავებული მიზნებისა, ადამიანთა ნების ყოველგვარი ძალისხმევა ნეტარებისკენ რომ მიისწრაფის?» «მახსოვს», – მივუგე, – ესეც

იქნა დასაბუთებული». «ახლა ხომ გახსენდება, რომ ნეტარება თავად სიკეთეა და ამგვარად ყველას სიკეთე სწადია, როცა ნეტარებას ესწრაფის?» «ამის შეხსენება არ მჭირდება, ვინაიდან მეხსიერებაში მყარად ვინახავ». «მაშ ყველა ადამიანი, გინდა კეთილი, გინდა ბოროტი, თანაბრად, ერთნაირი ძალისხმევით ცდილობს სიკეთეს მიაღწიოს?» «ასე გამოდის», – ვუპასუხე. «მაგრამ უეჭველია ის, რომ სიკეთის მიღწევისას ადამიანი თავადაც კეთილი ხდება». «დიახ, ასეა». «მაშინ იღებენ თუ არა კეთილი ადამიანები იმას, რაც სურთ?» «ასე ჩანს», «და თუ ბოროტი ადამიანები მიიღებენ სიკეთეს, რომელსაც ესწრაფიან, ბოროტებად ვეღარ დარჩებიან». «ასეა». «და როცა ორივენი სიკეთეს ესწრაფიან და ერთნი აღწევენ მას, მეორენი კი ვერა, განა დასაეჭვებელია კეთილთა ძალმოსილება და ბოროტთა უძლურება?» «ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, მას არც საგანთა ბუნების გაეგება რამე და არც იმის, რაც მსჯელობიდან გამომდინარეობს».

«და, კვლავაც», – განაგრძო მან, – «თუ არის ორი ისეთი ადამიანი, რომლებშიც შთანერგილია ერთი და იგივე ბუნებრივი ქმედება და ერთი მათგანი მის აღსასრულებლად ბუნებრივ საშუალებას მიმართავს, მეორეს კი არ შეუძლია ეს ბუნებრივი ვალდებულება იკისროს, არამედ სხვა, ბუნებრივისგან განსხვავებული ხერხებით კი არ აღასრულებს, არამედ მხოლოდ შემსრულებელს ბაძავს, რომელ მათგანს მიიჩნევდი უფრო ძალმოსილად?» «მგონი ვხვდები, ჩემგან რის თქმასაც ელი, თუმცა მირჩევნია, შენგან ეს უფრო დაწვრილებით მოვისმინო». «ხომ არ უარყოფ, – მკითხა მან, – რომ სიარული ადამიანისთვის ბუნებრივი ქმედებაა?» «სრულიადაც არა,» – ვუპასუხე. «ეჭვი არც იმაში გეპარება, რომ ამ ქმედების აღსრულება ფეხების ბუნებრივი დანიშნულებაა?» «არც ეს მეეჭვება», – დავუდასტურე. «მაშ, თუ ერთ ვინმეს შეუძლია ფეხით გადაადგილება, ხოლო სხვა, ვინც ფეხების ამ ბუნებრივ დანიშნულებას მოკლებულია, ცდილობს ხელებზე დაყრდნობილმა გაიაროს, რომელი მათგანი შეიძლება სამართლიანად იყოს მიჩნეული უფრო ძალმოსილად?» «სხვა რამ მკითხე – მივუგე, – ვინაიდან არავინ დაობს, რომ უფრო ძლიერი ისაა, ვისაც ბუნებრივი დანიშნულებით მოქმედება შეუძლია, ვიდრე ის, ვინც ამას ვერ ახერხებს. რაც შეეხება უმაღლეს სიკეთეს, რომელიც თანაბრად ესახებათ მიზნად როგორც კეთილ, ისე ბოროტ ადამიანებს, კეთილნი მას სიქველის ბუნებრივი საშუალებით ესწრაფვიან, ხოლო ბოროტნი ცდილობენ სხვადასხვაგვარი ვნების გზით მიაღწიონ იმავეს, რაც არაა სიკეთის მიღების ბუნებრივი საშუალება. სხვაგვარად ხომ არ ფიქრობ?» «რა თქმა უნდა, არა, – ვუპასუხე, – რადგან ნათელია ის, რაც აღნიშნულიდან მომდინარეობს. რაც ჩვენ დავუშვით, იქიდან გამომდინარეობს, რომ კეთილნი უცილობლად ძლევამოსილნი, ხოლო ბოროტნი უსუსურნი არიან».

«სწორად მიიწევ წინ, – მითხრა მან – და ეს, რამდენადაც ექიმებს დაიმედება ჩვევიათ, იმაზე მიანიშნებს, რომ შენი ბუნება უკვე მომძლავრებულია, დაავადებას რომ წინ აღუდგეს. და ვინაიდან ვხედავ, რომ შემეცნებისთვის უკვე სავსებით ხარ მზად, მრავალ მტკიცებულებას წარმოგიდგენ. შეხედე, რა დიდია სიძაბუნე მანკიერ კაცთა, რომლებსაც არ ძალუძთ მიაღწიონ იმას, რისკენაც ბუნებრივ მისწრაფებას მიჰყავს, ან თითქმის მიერეკება კიდეც. და რა იქნებოდა, რომ არ ჰქონდეთ ბუნების შემწეობა – ეს დიდი და

თითქმის დაუძლეველი გზამკვლევი? განსაჯე, რა დიდ უმწეობაში არიან ჩაცვენილი ბოროტმოქმედნი. ისინი არც თუ უმნიშვნელო და ფუქსავატური ჯილდოს მოპოვებას ცდილობენ, მაგრამ ვერ იღებენ, არსებულ საგანთა უმაღლეს მწვერვალთან მარცხდებიან და ვერ აღწევენ იმ შედეგს, რის გამოც დღედაღამ არიან დამაშვრალნი. ამ საქმეში კი კეთილ კაცთა

ძლიერება მჟღავნდება. ვინაიდან როგორც მას, ვინც ფეხით სიარულისას შეძლებდა იმ ადგილამდე მიღწევას, რომლის იქითაც არავითარი სავალი გზა აღარ არის, უძლიერეს მოსიარულედ მიიჩნევდი, ასევე აუცილებელია ყველაზე ძლევამოსილად აღიარო ის, ვინც მისწვდება ყოველივე სასურველის ზღვარს, რომლის მიღმაც აღარაფერია. ამის საპირისპიროდ ჭეშმარიტია ისიც, რომ ბოროტი ადამიანები სრულიად ძალაგამოცლილნი არიან. მართლაც, რატომ თმობენ სიქველეს და მისდევენ მანკიერებას? იქნებ სიკეთის არცოდნის გამო? მაშინ რა შეიძლება იყოს უმეცრებასა და სიბრმავეზე უფრო დიდი სისუსტე? ან იქნებ იციან, რასაც უნდა ესწრაფოდნენ, მაგრამ ვნებები გზას აცდენენ? აქაც უძლურნი არიან, საკუთარი თავშეუკავებლობის წყალობით, ვინაიდან არ შეუძლიათ ვნებებთან გამკლავება. ანდა შეგნებულად, ნებაყოფლობით ტოვებენ სიკეთეს და მანკიერებას ეძლევიან? მაგრამ, ამ შემთხვევაში არა მარტო ძალმოსილებას თმობენ, არამედ არსებობასაც, ვინაიდან ვინც ყოველივე არსებულის სამანს ზურგს აქცევს, ის ამავდროულად არსებობასაც წყვეტს.

შეიძლება ვინმეს მეტად უცნაურად მოეჩვენოს, რასაც ახლა ვიტყვი, რომ ბოროტნი, რომლებიც ადამიანთა უმრავლესობას წარმოადგენენ, არ არსებობენ. მაგრამ ეს მართლაც ასეა. მართალია, არ უარვყოფ, რომ ვინც ბოროტია, ისინი ბოროტნი არიან, მაგრამ უარვყოფ მათ არსებობას, ამ სიტყვის სრული და პირდაპირი მნიშვნელობით. როგორც მკვდარ ადამიანს უწოდებ გვამს და არ შეგიძლია იგი უბრალოდ ადამიანად მოიხსენიო, აგრეთვე, თუმცა ვეთანხმები, რომ მანკიერი ადამიანები ბოროტები არიან, მაგრამ არ შემიძლია მათი უცილობლად არსებობა ვაღიარო. ვინაიდან არსებობს ის, რაც კუთვნილ ადგილს იკავებს და თავის ბუნებას ინარჩუნებს. ხოლო რაც ამას განუდგება, წყვეტს არსებობასაც, რადგან ეს მათ ბუნებაშია. მაგრამ შენ მეტყვი, რომ ბოროტ ადამიანებს აქვთ ბოროტების ჩადენის შესაძლებლობა, ამას არც მე უარვყოფ, მაგრამ ეს შესაძლებლობა მომდინარეობს არა მათი სიძლიერისგან, არამედ სისუსტისგან. მათ მართლაც ხელეწიფებათ ბოროტება, მაგრამ ამის შესაძლებლობა ნაკლებად ექნებოდათ, მათზე სიკეთის ზემოქმედება რომ ხერხდებოდეს. ამგვარი შესაძლებლობა უფრო თვალნათლივ აჩვენებს, რომ სინამდვილეში არაფერი ხელეწიფებათ. თუკი ბოროტება, როგორც ცოტა ხნის წინ შევჯერდით, არაფერია, მაშინ უზნეოთაც, მხოლოდ ბოროტების ჩადენა რომ ეხერხებათ, ცხადია, არაფერი შეუძლიათ». «ეს ნათელია». «ხოლო იმისთვის, რათა გაიგო რამდენად მცირეა მათი შესაძლებლობა, გაიხსენე, რაც ცოტა ხნის წინ განვმარტეთ, კერძოდ ის, რომ უმაღლეს სიკეთეზე ძალმოსილი არაფერია». «ასეა,» – მივუგე. «მაგრამ ადამიანებს შეუძლიათ ბოროტების ჩადენა». «ნეტავ არ შეეძლოთ!» «ვინაიდან მას, ვინც მხოლოდ სიკეთეს ჩადის, ყველაფერი შეუძლია, მაშინ, ცხადია, რომ ბოროტების ჩამდენს ნაკლები შესაძლებლობა აქვს. ამას ისიც ემატება, რომ ყოველგვარი ძალა სასურველთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ, ყოველივე სასურველი კი დაკავშირებულია სიკეთესთან, როგორც საკუთარი ბუნების ერთგვარ მწვერვალთან. ხოლო ბოროტების ჩადენის შესაძლებლობას კი წარმოუდგენელია სიკეთესთან რაიმე აკავშირებდეს. მაშასადამე, იგი არც სასურველია. და რადგანაც ყოველგვარი ძალა სასურველია, გამოდის, რომ იგი ძალა არაა. ამ ყოველივედან გამომდინარე, აშკარაა, რომ კეთილნი ძალმოსილნი, ხოლო ბოროტნი უძლური არიან.

სამართლიანია პლატონის მოსაზრებაც[84], რომ მხოლოდ ბრძენკაცებს შეუძლიათ აღასრულონ ის, რაც სურთ, უზნეონი კი აკეთებენ იმას, რაც მოსწონთ, მაგრამ ვერ აღწევენ მას, რაც ნამდვილად სურთ. რაც სიამოვნებთ იმას აკეთებენ, ვინაიდან ფიქრობენ, რომ იმის მეშვეობით, რაც მოსწონთ, მიიღებენ იმ სიკეთეს, რომელიც სურთ, მაგრამ ვერ იღებენ, რადგან უზნეობა ნეტარებამდე ვერ აღწევს.

IV. 2 (v).ხედავ მეფეებს, მაღალ ტახტზე დაბრძანებულებს,
ბასრი მახვილი იცავს მორთულთ ბრწყინვალე ძოწით,
იმუქრებიან, გულზე ტვირთად სიშმაგე აწევთ.
თუ მათ დიდების ფუჭ საფარველს ჩამოხსნის ვინმე,
ნახავს, რომ სული შებოჭილი აქვთ მარწუხებით,
ვნებათა ღელვა შხამად უღვრის სიხარბეს გულში,
გონს რისხვა უტევს და მოგორავს ზვირთებად შფოთვა.
სევდა აბრკოლებთ, ხანაც ტანჯავთ ცრუ იმედები.
ერთი რამე აქვთ მათ საერთო – ნატვრის ახდენა
მოვალეობით დამძიმებულთ არ უწერიათ.

IV. 3. ხომ ხედავ, მანკიერება სიბინძურეში როგორ გორავს, მაშინ, როცა პატიოსნება აფრქვევს სინათლეს? ცხადია, რომ არასოდეს ასცდება სიკეთეს ჯილდო და ბოროტებას სასჯელი. კანონზომიერია: რაც ხდება, ხდება იმისთვის, რომ მიიღოს შედეგი ისევე, როგორც მოედანზე მორბენალი იღებს ჯილდოდ გვირგვინს, რომლისთვისაც იწყებს რბოლას. ნეტარება, როგორც ცხადვყავით, თავადაა სიკეთე, რომლის გამოც ხდება ყოველივე. თვით ეს სიკეთე შეიცავს ჯილდოს ადამიანთა ქმედებისთვის. ამიტომ მისი სათნოთაგან განცალკევება შეუძლებელია. სამართლიანად ვერც მას ვუწოდებთ კეთილს, ვინც სიკეთისგან დაიცლება. ამიტომ პატიოსანი ზნენი თავიანთ ჯილდოს არასდროს კარგავენ. როგორც არ უნდა ბობოქრობდნენ ბოროტნი, ბრძენკაცთა გვირგვინი არც დაემხობა, არც დაჭკნება. ვერც სხვათა უზნეობა მიისაკუთრებს პატიოსან კაცთა კუთვნილ დიდებას. დიდება, რომლითაც ტკბებიან, რომ იყოს გარეშე ძალის დამსახურება, მაშინ მის წართმევას თავად მომნიჭებელი ან სხვა ვინმე შეძლებს. და რადგან ადამიანებს საკუთარი პატიოსნება ანიჭებს ჯილდოს, პატიოსნების დაკარგვასთან ერთად მასაც დაკარგავენ. და, ბოლოს, თუ ყოველგვარ ჯილდოს იმიტომ მიელტვიან, რომ სიკეთედ მიაჩნიათ, მაშინ ვინ იტყვის, რომ ის, ვინც სიკეთესთან წილნაყარია, ჯილდოს გარეშეა დარჩენილი? მერე როგორი ჯილდოსი? ყველაზე აღმატებულისა და მშვენიერის. გაიხსენე ის დასკვნები, რომლებსაც ცოტა ხნის წინ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით და ასე განსაჯე: თუ ნეტარებაა თავად სიკეთე, მაშინ ყველა კეთილი ადამიანი ნეტარია იმიტომ, რომ კეთილია. ხოლო ვინც ნეტარნი არიან, ღმერთებს ემსგავსებიან. მაშ, ასეთია კეთილთა ხვედრი. მას ვერავითარი დრო ვერ წარხოცავს, ვერავითარი ძალა ვერ დააკნინებს, ვერავითარი მანკიერება ვერ დაჩრდილავს, რომ ღვთაებრივი გახდნენ. და როცა ეს ასეა, შეუძლებელია, ბრძენკაცი დაეჭვდეს იმაში, რომ ბოროტება დაუსჯელი არ რჩება. რადგან სიკეთე და ბოროტება ისევეა ერთმანეთთან

დაშორებული და დაპირისპირებული, როგორც ჯილდო და სასჯელი. და როცა ვხედავთ, რომ ჯილდო სიკეთის ხვედრია, ამის საპასუხოდ, მეორე მხრივ, სასჯელი აუცილებლად ბოროტებას უნდა ერგოს. როგორც თავად პატიოსნებაა ჯილდო პატიოსანთათვის, ისე უმსგავსოებაა სასჯელი მანკიერთათვის, ხოლო ვინც სასჯელს იწვნევს, ეჭვი არ ეპარება, რომ ბოროტებას დაითმენს, თუ ისურვებენ, საკუთარი თავი განსაჯონ, შეუძლიათ კი სასჯელის გარეშე დაინახონ, რომ ყველა ბოროტებას შორის უსაშინლესმა – ზნედაცემულობამ – ისინი არა მხოლოდ დააშავა, არამედ სასტიკად განგმირა?

მაშ, დაინახე სიკეთე სხვა მხრიდან, თუ როგორ ისჯებიან უღირსნი. ცოტა ხნის წინ ისწავლე, რომ არსებობს მხოლოდ ერთი და ეს ერთი თავად სიკეთეა. აქედან გამომდინარე, ყოველივე, რაც კი არსებობს, სიკეთეა. ამგვარად, თუ რამე გადაუხვევს სიკეთიდან, ის არსებობასაც

შეწყვეტს, ამიტომაცაა, რომ ბოროტნი უკვე აღარ არიან ისინი, ვინც ადრე იყვნენ. მხოლოდ ადამიანის ფორმა, რაც მათ შემორჩათ, მეტყველებს იმაზე, რომ ოდესღაც ადამიანები იყვნენ. იმის გამო, რომ ბოროტებისკენ გადაიხარნენ, ადამიანური ბუნება დაკარგეს. თუ მხოლოდ პატიოსნებას ძალუძს ვინმე ადამიანზე მაღლა აიყვანოს, მაშინ მანკიერება აუცილებლად ადამიანური მდგომარეობიდან დააქვეითებს და ადამიანთა კუთვნილ ადგილზე დაბლა მოისვრის. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ადამიანად მიიჩნიო ის, ვინც მანკიერებამ შეცვალა. როცა ვინმე მოძალადე მძარცველს სხვისი ქონების წადილი არ ასვენებს, იტყვი, რომ იგი მგლის მსგავსია; თუ საჩხუბრად ილესავს ენას ვინმე ანჩხლი და მოუსვენარი – ძაღლს შეადარებ; თუ სამალავიდან ფარულად თავდასხმა უყვარს – მელას ჰგავს; გრგვინავს დაუოკებელი რისხვით – სულის სიღრმეში ლომს მალავს; ძრწის და გარბის მაშინ, როცა საშიში არაფერია – ირემს ემსგავსება; თუ ზარმაცი და უჭკუო თანდათან ჩლუნგდება, ცხოვრობს, როგორც ვირი; ინტერესს ხშირად იცვლის – ფრინველისგან არაფრით გამოირჩევა; ამქვეყნიურ უწმინდურ ვნებებშია ჩაძირული – ბინძურ ღორს ემსგავსება. ასეა, როცა ვინმე სიკეთეს დათმობს, პირუტყვად იქცევა, არ ძალუძს ღვთაებრივ მდგომარეობას მიეახლოს.

IV. 3 (v).ნერიტოსელი ბელადის[85]
მოხეტიალე ხომალდებს
ევრუსი რიყავს კუნძულზე,
სადაც ბინადრობს ქალღმერთი
ტურფა, მზის თესლის ნაყოფი[86]
და მოჯადოებულ სასმისს
ის ახალ სტუმრებს უმზადებს.
ჯადოქრობაში გაწაფულ
მარჯვენით სახეებს უცვლის.
ერთს თუ გარდაქმნის ტახად,
მეორეს – აფრიკულ ლომად,
ბრჭყალებიც რომ აქვს და ეშვიც.
მესამე იღებს მგლის იერს,

როცა სურს ტირილი – ყმუის.
იქ საცხოვრებელს გარს უვლის
უვნები ინდური ვეფხვი.
არკადიული ფრთოსანი,[87]
მასპინძლისაგან მოგვრილი
მრავალი განსაცდელისგან
მხოლოდ მათ წინამძღოლს იხსნის.
რადგან დანარჩენ ზღვაოსნებს
შეესვათ სამსალა უკვე.
კერესის ძღვენი გაცვალეს
ღორების საკვებ რკოზე.
არღარა დარჩათ უცვლელი,
დაკარგეს ხმაც და სხეულიც,
შემორჩათ მხოლოდ გონება,
რომ კუთვნილ ხვედრზე იდარდონ.
სუსტია ყველა ბალახი,

ჯადოსნის ხელნიც, რომლებიც
თუმცა გარდაქმნიან სხეულის
ნაწილებს, მაგრამ გულს – ვერა.
თვით ადამიანში სუფევს
მისი შინაგანი ძალა.
უფრო ძლიერია სამსალა,
რომელიც ადამიანებს
თავს აკარგვინებს, სხეულის
დაუზიანებლად გონებას
აყენებს ჭრილობას მძიმეს.

IV. 4.მაშინ მივუგე: «ვაღიარებ, არ იქნება უმართებულო იმის აღნიშვნა, რომ თუმცა შენარჩუნებული აქვთ ადამიანის შესახედაობა, მაგრამ მანკიერნი სულის თვისებებით ცხოველებად არიან ქცეული. არ ვისურვებდი, მათთვის ნებადართული ყოფილიყო ის, რომ თავიანთი გამძვინვარებული და ავისმზრახველი გონება კეთილთა საზიანოდ მიემართათ». «არც არის ნებადართული, – მითხრა, – ამას შესაფერის დროს გიჩვენებ, მაგრამ თუ იმის ნება, რასაც შენ მათ მიაწერ, ჩამოერთმეოდათ, მაშინ ბოროტმოქმედთა სასჯელიც, უმეტესწილად, შემსუბუქდებოდა. შესაძლოა, ვინმეს მართლაც დაუჯერებლად მოეჩვენოს, მაგრამ ბოროტნი უცილოდ ყველაზე უბედურნი მაშინ არიან, როცა საწადელს აღწევენ, ვიდრე მაშინ, როცა არ ძალუძთ სურვილთა ასრულება. თუ ბოროტების წადილი უბედურებაა, მაშინ უფრო დიდი უბედურება მისი ჩადენის შესაძლებლობაა, რადგან ამის გარეშე ბოროტთა უბედური

ნება უშედეგოა. ამგვარად, სამმაგი უბედურებით იტანჯება ის, ვისაც ბოროტება სურს, ხელეწიფება და კიდევაც ჩადის, ვინაიდან თითოეულს თავისი უბედურება ახლავს». «გეთანხმები,» – დავუდასტურე, – მაგრამ ძლიერ მსურს, ბოროტების ჩადენის შესაძლებლობა დათმონ, რათა უბედურება სასწრაფოდ აირიდონ». «აირიდებენ, უფრო სწრაფადაც, ვიდრე შენ გინდა ან ვიდრე თავად წარმოუდგენიათ. არც არის ამგვარი ხანმოკლე ცხოვრების ფარგლებში შესაძლებელი ისეთი რამ, რისი მოლოდინიც ხანგრძლივი იქნება უკვდავი სულისთვის. ბოროტმოქმედებათა დიდ მიზნებსა და გამორჩეულ ხრიკებს ხშირად უეცარი და მოულოდნელი დასასრული სპობს და ამით მანკიერთა უბედურებას ზღვარი ედება, ვინაიდან, თუ სულმდაბლობა ადამიანს აუბედურებს, მაშინ უცილობლად უფრო უბედურია ის, ვინც უფრო ხანგრძლივად სულმდაბლობს. ყველაზე უბედურად კი მაშინ მივიჩნევდი, თუ, საბოლოოდ, მათ ბოროტმოქმედებას სიკვდილიც ვერ დაუწესებდა სამანს. თუ ჩვენი დასკვნა მართებულია, ზნედაცემულთა უბედურება, თუკი ჩარჩოში არ მოექცევა, მარადიული იქნება». ამაზე მივუგე: «უცნაური და ძნელად გასაზიარებელია შენი დასკვნა, მაგრამ ვფიქრობ, შორს არაა იმისგან, რაზეც ადრე შევთანხმდით.»

«სწორად აზროვნებ, – მითხრა მან, – მაგრამ ვინც ყოყმანობს, დასკვნას დაეთანხმოს, ან მისი სიმცდარე უნდა დაასაბუთოს, ან აჩვენოს, რომ წინამდებარე დებულებებიდან ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს. წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი საფუძველი არ ექნება, რომ დასკვნას აუხირდეს. არანაკლებ უცნაურად გამოჩნდება ის, რასაც ვიტყვი, მაგრამ ის წინამდებარე დებულებებიდან გამომდინარეობს», «მაინც რა?» – შევეკითხე. «ის, რომ უზნეონი უფრო ბედნიერი მაშინ არიან, როცა ისჯებიან, ვიდრე მაშინ, როცა არავითარ დამსახურებულ სასჯელს არ იღებენ. არ მოვყვები იმის მტკიცებას, რაც შეიძლება აზრად მოუვიდეს ვინმეს, კერძოდ ის, რომ წამხდარ ზნეს საზღაური ან დასჯის შიში გამოასწორებს,

რაც მაგალითი იქნება სხვათათვის, რომ სამარცხვინო საქციელს მოერიდონ. არამედ მივიჩნევ, რომ უზნეონი, რომლებიც დაუსჯელნი დარჩნენ, სხვა მიზეზით არიან უბედური, სასჯელის გამაკეთილშობილებელი ზემოქმედებისა და სხვათათვის კარგ მაგალითად ქცევის გაუთვალისწინებლადაც».

«და რა არის ეს სხვა მიზეზი?» მან კითხვა შემომიბრუნა: «შევთანხმდით თუ არა იმაზე, რომ კეთილი ადამიანები ბედნიერნი, ბოროტნი კი უბედურნი არიან? «ასეა,» – დავუდასტურე. «მაშინ, თუ ვინმეს უბედურებას სიკეთე წაემატება, განა ეს ვიღაც უფრო ბედნიერი არ იქნება იმაზე, ვისი უბედურებაც სუფთა სახითაა, რაიმე სიკეთის შერევის გარეშე?» «ჩანს ასეა». «თუკი ის უბედური ადამიანი, ვინც ყოველგვარ სიკეთეს მოკლებულია, სხვა სიავესაც დაურთავს იმას, რის გამოც უბედურია, განა მისი მდგომარეობა უარესი არაა მისაზე, ვისი ბედუკუღმართობაც სიკეთის თანაზიარობითაა შემსუბუქებული?» «რატომაც არა,» – დავუდასტურე. «მაშ, როცა ისჯებიან უზნეონი, სიკეთის წილს ეზიარებიან, ვინაიდან სასჯელი სამართლის მიხედვით სიკეთეა, ხოლო, როცა სასჯელს გაურბიან, მათში ფეხს იკიდებს რაღაც უარესი ბოროტება, ვინაიდან თავად დაუსჯელობა, როგორც უკვე აღიარე, არის ბოროტება უსამართლობის მიზეზით». «ამას ვერ უარვყოფ». «მაშ, მეტად უბედურნი არიან უზნეონი, როცა მათ დაუსჯელობას უსამართლოდ უწყალობებენ, ვიდრე მაშინ, როდესაც სამართლიანად ისჯებიან. ცხადია, მათი დაუსჯელობა უსამართლოა, დასჯა – სამართლიანი». «ამას ვინ უარყოფს?» «ვერც იმას უარყოფს ვინმე, რომ სიკეთეა ყოველივე ის, რაც სამართლიანია, ხოლო ამის საპირისპიროდ, რაც უსამართლოა –

ბოროტებაა». ვუპასუხე, რომ ეს ნათელია. შემდეგ განვაგრძე: «ეს აზრი გამომდინარეობს იქიდან, რაც ცოტა ხნის წინ დავასკვენით, მაგრამ მსურს შეგეკითხო: შენი აზრით, რჩება თუ არა სულისთვის რაიმე სასჯელი სხეულის მოკვდინების შემდგომ?» «მძიმე სასჯელს იწვნევენ. ზოგი მათგანი, ვფიქრობ, სასჯელს ექვემდებარება, ზოგი გულმოწყალე განწმენდას. მაგრამ ახლა ამის განხილვას მიზნად არ ვისახავ. მსჯელობა ისე წარვმართეთ, რომ შენთვის ცხადი გამხდარიყო, ბოროტ ადამიანთა ძალა, რასაც მათთვის შეუფერებლად მიიჩნევ, სინამდვილეში რომ არაფერს წარმოადგენს და გვერდს რომ ვერ უვლიან სასჯელს დანაშაულისთვის ისინი, ვისი დაუსჯელობაც დაიჩივლე. უნდა გესმოდეს, რომ მათი თვითნებობა, რომლის მალევე დასრულება ისურვე, ხანგრძლივი სულაც არაა და რაც უფრო მეტ ხანს გასტანს, მით მეტად აუბედურებს ადამიანს, ხოლო თუ მარადიულად გაგრძელდება, ეს ყველაზე დიდი უბედურება იქნება. ამის შედეგად, თუ უზნეონი სასჯელს უსამართლოდ აირიდებენ, უფრო დაიტანჯებიან, ვიდრე სამართლიანი საზღაურის მიღებისას. აქედან გამომდინარე, უფრო მძიმედ ისჯებიან იმ დროს, როცა თავს დაუსჯელად მიიჩნევენ».

მაშინ ვუთხარი: «როცა შენს მსჯელობას ვისმენ, ვფიქრობ, რომ არაფერია მასზე უფრო ჭეშმარიტად ნათქვამი. მაგრამ ადამიანურ განსჯას რომ დავუბრუნდე, ვინ იქნება ისეთი, ვისაც ეს არა თუ დაუჯერებლად, არამედ გაუგონრადაც არ მოეჩვენება?» «ასეა, – მიპასუხა, – ბნელს შეჩვეულ თვალებს არ ძალუძთ ჭეშმარიტების კაშკაშა სინათლეს უსწორდნენ, მსგავსად ფრინველებისა, რომელთა მზერა ნათელია ღამით, ხოლო დღისით მრუმედმხედველნი არიან. ვინც თვალყურს ადევნებს საკუთარ ვნებებს და არა საგანთა კანონზომიერებას, ის დანაშაულის ჩადენის თავისუფლებასა და დაუსჯელობას ბედნიერებად მიიჩნევს.

მაშ, დააკვირდი, რას აცხადებს მარადიული კანონი: თუ სულს უკეთესი ზრახვების მიხედვით მოაწესრიგებ, ჯილდოს მისაღებად მსაჯული აღარ დაგჭირდება. თუ უარესისკენ გადაწონი,

ნურც მაშინ ელი გარედან სასჯელს, ვინაიდან თავად იგდებ თავს უარეს დღეში. თუ რიგრიგობით გახედავ ჯერ ჭუჭყიან მიწას, შემდეგ კი ზეცას და ყველა გარეგან ფაქტორს უგულებელყოფ, მხედველობა მოგაჩვენებს, რომ ხან ტალახში ხარ, ხან – ვარსკვლავებთან. მაგრამ ხალხს ეს არ ესმის. მაშ, რა ვქნათ, ხომ არ დავემსგავსებით იმათ, ვინც, როგორც ცხადვყავით, ცხოველთა მსგავსნი არიან? როცა ვინმე თვალისჩინს კარგავს და ავიწყდება, რომ ოდესღაც ის ჰქონდა, ფიქრობს, რომ ადამიანურ სისრულემდე არაფერი აკლია. ნუთუ ჩვენ, თვალხილულებმა, საგნებზე ისევე უნდა ვიაზროვნოთ, როგორც ეს ბრმა აზროვნებს? თუმცა მტკიცე არგუმენტებითაა გამყარებული, მაგრამ ხალხი მაინც არ იწყნარებს მოსაზრებას, რომ ვინც ჩადის უსამართლობას, უბედურია იმაზე მეტად, ვინც ამ უსამართლობას დაითმენს». «ვისურვებდი ამ არგუმენტების მოსმენას». «უარყოფ იმას, რომ ყველა დამნაშავე სასჯელის ღირსია?» «არა,» – ვუპასუხე «ხოლო ვინც დამნაშავეა, მრავალი მიზეზის გამო უბედურია.» «ასეა,» – დავუდასტურე. «უდავოა, რომ ვინც სასჯელს იმსახურებს, უბედურია?» «ასე გამოდის». «შენ რომ ახლა მოსამართლედ იჯდე, ვის დასჯას იფიქრებდი, იმის, ვინც უსამართლობა ჩაიდინა, თუ იმის, ვინც გადაიტანა?» «უყოყმანოდ ვაზღვევინებდი ბოროტების ჩამდენს დაზარალებულის წინაშე» «მაშინ უსამართლობის მოქმედი უფრო შესაბრალისი გამოჩნდებოდა, ვიდრე მისი მსხვერპლი» «ასეა,» – მივუგე «ამ და სხვა მიზეზთაგან, რომლებიც ამავე

საფუძველს ეყრდნობა, მჟღავნდება, რომ უკეთურებას, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ადამიანისთვის უბედურება მოაქვს, ხოლო ჩადენილი უსამართლობა აუბედურებს არა მსხვერპლს, არამედ დამნაშავეს.

მაგრამ სასამართლოს ორატორები ამის საწინააღმდეგოდ იქცევიან, ცდილობენ მოსამართლეებს სიბრალული აღუძრან მათ მიმართ, ვინაც მძიმე და სასტიკი ბოროტმოქმედება იწვნია. უფრო სამართლიანი იქნებოდა, ამ დანაშაულის ჩამდენთა მიმართ აღძროდათ სიბრალული. ბრალმდებლებმა ისინი განაჩენამდე უნდა მიიყვანონ არა რისხვით, არამედ მოწყალებით, როგორც ავადმყოფი ექიმთან, რათა მათი დანაშაული, როგორც დაავადება, სასჯელით განიკურნოს. ამგვარი შეთანხმებით, დამცველთა საქმიანობა ან სრულად უნდა გაჩერდეს, ან თუ ადამიანთათვის სარგებლობის მოტანა სურთ, ბრალმდებლის საქმიანობაში გადავიდეს. თავად უკეთურებს საშუალება რომ ჰქონდეთ, რაიმე ჭუჭრუტანიდან თვალი მოჰკრან ჭეშმარიტებას, რომელსაც ზურგი აქციეს, ნახავდნენ, როგორ ჩამოშორდებოდათ ბოროტმოქმედების ჭუჭყი სასჯელის დათმენით. ტანჯვას, სიკეთესთან მიახლებით რომ აუნაზღაურდებოდათ, სასჯელადაც აღარ ჩათვლიდნენ. დამცველის მომსახურეობაზეც უარს იტყოდნენ და თავს სრულად გადასცემდნენ ბრალმდებლებსა და მოსამართლეებს. ამიტომაცაა, რომ ბრძენკაცთა შორის სიძულვილის ადგილი არ არის. განა ვის სძულს კეთილი, თუ არა სულელს? ბოროტთა სიძულვილი კი საფუძველსაა მოკლებული. როგორც სხეულს აქვს თავისი დაავადებები, ისე მანკიერება სულის სნეულებაა. და თუ ფიზიკურად ავადმყოფ ადამიანს, მივიჩნევთ სიბრალულის და არა სიძულვილის ღირსად, ისინი, ვის სულსაც ყველაზე საშინელი სნეულება – უკეთურება სტანჯავს, მით უფრო იმსახურებენ სიბრალულს და არავითარ შემთხვევაში – დევნას.

IV. 4 (v).ადამიანებს მღელვარება რად სურთ, რომ აღძრან,
თავისი ხელით ბედისწერა გამოიწვიონ?
სიკვდილს დაეძებ? იგი მოვა თავისი ნებით,
მის ფრთოსან რაშებს დაყოვნება წესად არა აქვთ.

ის, ვისაც გველი, ტახი, დათვი, ლომი და ვეფხვი
საკბილოდ ეძებს, თავისნაირს ხმლით ემტერება.
განსხვავებული ადათ-წესი რადგან აქვთ ხალხებს, –
გააჩაღებენ უსამართლო და სასტიკ ომებს,
ეშურებიან, ერთმანეთი შუბით განგმირონ.
არ აქვს საბაბი სისასტიკეს, რომ გაამართლო.
დამსახურების საზღაური თუ გსურს მიიღო,
გიყვარდეს სათნო და ბოროტი გებრალებოდეს.

IV. 5.მაშინ მივუგე: «ვხედავ, რომ ბედნიერება თუ უბედურება თავად პატიოსან ან უპატიოსნო კაცთა ღვაწლში მდგომარეობს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მასში, რასაც ხალხი ბედნიერებად მიიჩნევს, რაღაც

კარგიცაა და ცუდიც. მართლაც არც ერთი ჭკუათმყოფელი არ ისურვებს განდევნას, უსახსრობასა და სახელის გატეხას ისე, როგორც პატივსა და დიდებას, ძლევამოსილებას და ზეობას საკუთარ ქალაქში. უფრო ნათლად და მკაფიოდ იკვეთება სიბრძნის ვალი, როცა მმართველთა ნეტარება როგორმე მათზე დაქვემდებარებულ ხალხებზეც ვრცელდება. განსაკუთრებით მაშინ, თუ ციხე, სიკვდილი და სხვა კანონიერი სასჯელით აღძრული სატანჯველი ერგებათ უფრო მეტად დამნაშავე მოქალაქეებს, რომელთა გამოც ისინი მოიგონეს. ძლიერ მაოცებს, თუ რატომ ხდება პირიქით და ბოროტთათვის კუთვნილი სასჯელი რატომ ატყდება თავს კეთილ ადამიანებს, ხოლო ღირსეულთა ჯილდოს უღირსნი ითვისებენ. მსურს შენგან გავიგო, რა არის ასეთი უსამართლო აღრევის მიზეზი. ნაკლებად გავოცდებოდი, თუ დავიჯერებდი, რომ უნებლიე შემთხვევითობას მოჰყავს მოძრაობაში ყოველივე, მაგრამ ის ფაქტი, რომ ყველაფერს ღმერთი განაგებს, ჩემს გაკვირვებას კიდევ უფრო აძლიერებს. ის, ვინც კეთილ ადამიანებს – შვება, ბოროტებს კი სატანჯველი უნდა მიაგოს, ამის საწინააღმდეგოდ ხშირად მკაცრად სჯის კეთილშობილთ, ბოროტებს კი მათთვის სასურველს ანიჭებს. თუ ეს შემთხვევითობა არ არის, მაშ სხვა რა შეიძლება იყოს?» «გასაკვირი არაა, თუ ვინმეს, ვინც არ იცნობს გონისმიერ წესრიგს, შემთხვევითობის და აღრევის სჯერა, თუმცა რომც ვერ სწვდებოდე ამგვარი წესრიგის მიზეზს, მაინც ნუ დაეჭვდები იმაში, რომ ყველაფერი სწორად მიმდინარეობს, ვინაიდან სამყაროს კეთილი მმართველი განაგებს».

IV. 5 (v).მას, ვინაც არ იცის ის, რომ არქტურუსი
მოძრაობს ზესკნელის უმაღლეს წერტილზე,
უკვირს, თუ ვით ძალუძს სწრაფად ამობრწყინდეს
ბოოტესს, შვიდ ვარსკვლავს ნელა რომ მიჰყვება
და გვიან რომ ძირავს სხივკონებს ტალღებში,[88]
აცბუნებს შორეულ ეთერის კანონი.
მთვარის დაბნელების ჟამი რომ მოაწევს
და მნათობს უკუნი აქცევს მარწუხებში,
გამოანათებენ ცაზე ვარსკვლავები,
მათ მთვარის სხივები ვეღარ გადაფარავს.
ეს მრავალ უმეცარ ტომს ძლიერ აძრწუნებს,
სცემენ განუწყვეტლად სპილენძის დაფდაფებს.[89]
კორუსის ქროლვა კი არავის აოცებს,
ტალღებს რომ ანარცხებს ზღვის ნაპირს ხმაურით,

არ უკვირთ, ფებუსის მცხუნვარე სხივები
გაყინულ თოვლის შვავს ლანქერად რომ აქცევს.
მიწიერ მიზეზებს ადვილად სწვდებიან,
ზეცის შეუცნობი მიზეზნი აშფოთებთ.
რაც კი რამ ამქვეყნად ხდება იშვიათად
და მოულოდნელად, ხალხსაც ის აოცებს.

მაგრამ თუ გაქრება ნისლი უმეცრების,
მაშინ სასწაულად არრა გამოჩნდება.

IV. 6. «სწორედ ასეა, – მივუგე, – მაგრამ, ვინაიდან შენი ამოცანა უხილავ საგანთა მიზეზების ახსნა და ბურუსით დაფარული აზრების სააშკარაოზე გამოტანაა, ამიტომ გთხოვ, მათში მეც გამარკვიო და რადგანაც ეს სასწაული მეტად მაღელვებს, დაწვრილებით ამიხსნა იგი.» მაშინ მან ოდნავ გაიღიმა და თქვა: «შენი თხოვნა მომიწოდებს არსებულ საგანთა შორის ყველაზე აღმატებულზე სასაუბროდ და იგი თითქმის ამოუწურავია. ვინაიდან ასეთი ბუნება აქვს: როცა ერთ ეჭვს მოსპობ, სხვა მრავალი აღმოცენდება ჰიდრას თავების[190]მსგავსად და მათ რიცხვს საზღვარი არ ექნება, თუ გონების უცხოველესი ცეცხლით არ დაწვავ. მის გასააზრებლად საჭიროა განგების სისადავის, ბედისწერის უწყვეტი ჯაჭვის, უნებლიე შემთხვევითობის, ღვთიური ცოდნისა და წინასწარგანზრახულობის, არჩევანის თავისუფლების საკითხები გამოვარკვიოთ. თავად განსაჯე, რაოდენ მძიმეა ეს საკითხები. მაგრამ, რადგან მათი ცოდნა შენი მკურნალობის ნაწილია, თუმცა კი დროში შეზღუდულნი ვართ, მაინც შევეცდები როგორმე გესაუბრო მათზე. როგორადაც არ უნდა გაამებდეს სიმღერათა სიტკბოება, გიჯობს სიამოვნება გვერდზე გადადო, სანამ აზრებს რიგრიგობით თავს არ მოვუყრი.» «როგორც გენებოს,» – მივუგე.

მაშინ მან საუბარს თითქოს ახალი სათავე მოუნახა და მსჯელობა ასე დაიწყო: «ყოველივე არსებულის დასაბამს, მთელი ცვალებადი ბუნების განვითარებას და ნებისმიერ რაიმეს, რაც მოძრაობს, თავიანთ მიზეზებს, წესრიგსა და ფორმას ღვთაებრივი გონი უწილადებს. იგი იმყოფება თავისი სისადავის ციტადელში და ყოველგვარ ქმედებას მრავალნაირ ზღვარს უწესებს. როცა ამ ზღვარს თავად ღვთაებრივ გონში განვიხილავთ, მას განგება ეწოდება, მაგრამ როცა უკავშირდება იმ საგნებს, რომლებსაც აღძრავს და ანაწილებს, ეს უკვე ბედისწერაა, როგორც მას წინაპრები უწოდებდნენ. განგება და ბედისწერა სხვადასხვა რამ რომაა, ამას ადვილად მიხვდებით, თუ თითოეულის შესაძლებლობას გონების თვალით შევხედავთ. განგება – ესაა თავად ღვთაებრივი გონი, რომელიც ყოველივეს სათავეში უდგას და ანაწილებს, ხოლო ბედისწერა ცვალებად საგანთათვის ნიშანდობლივი წესრიგია, რომლის მეშვეობითაც განგება მათ თავიანთი რიგის მიხედვით კრავს. განგება თანაბრად მოიცავს ყოველივეს, როგორი განსხვავებულიც არ უნდა იყოს ან როგორი უსასრულოც. ხოლო როცა თავის დროსა და ადგილში ნაწილდება და შესაბამის ფორმას იღებს, იგი უკვე ბედისწერას მოჰყავს მოწესრიგებულ მოძრაობაში. ასე, რომ დროითი წესრიგის ეს განტოტება, გაერთიანებული ღვთაებრივ გონში, არის განგება. ხოლო იმავე გაერთიანებას, რომელიც დროში იშლება და ნაწილდება, ბედისწერა ეწოდება.

თუმცა ესენი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მაინც ერთი მეორეზე არიან დამოკიდებული. ბედისწერისეული წესრიგი განგების სისადაავიდან იღებს სათავეს. მსგავსად ოსტატისა, რომელიც ჯერ გონებაში ჭვრეტს იმ საგნის ფორმას, რომლის შექმნასაც აპირებს, შემდეგ შეუდგება თავისი საქმის

აღსრულებას და ის, რაც ერთბაშად იხილა მარტივი სახით, დროით წესრიგში თანდათან გადმოაქვს, ღმერთიც მას, რაც განსახორციელებელია, კერძო და უცვლელი სახით განგების მეშვეობით აწესრიგებს, ხოლო იმავეს, რაც განგებამ მოაწესრიგა, მოქცეულს დროსა და მრავალგვარ ფორმაში, ბედისწერის მეშვეობით ამოქმედებს. და მნიშვნელობა არა აქვს, ბედისწერას ამოძრავებს ღვთაებრივი სულები, რომლებიც განგებას ემსახურებიან, თუ სამყაროს სული; ბედისწერის ჯაჭვს კრავს მთელი ბუნება, ცაზე მოძრავი ვარსკვლავები, ანგელოზთა ძალა თუ დემონთა ნაირგვარი ხრიკები; რომელიმე მათგანი, თუ ყველა ერთად, ერთი რამ ნამდვილად ცხადია: განგება – ესაა მარტივი და უცვლელი ფორმა ყოველივე იმისა, რაც განსახორციელებლადაა გამიზნული, ხოლო ბედისწერა – ცვალებადი კავშირი და დროითი წესრიგი იმ საგნებისა, რომლებიც ღვთაებრივმა სისადავემ განხორციელებისთვის გამიზნა.

ამგვარად, ყოველივე, რაც ბედისწერას მორჩილებს, მორჩილებს განგებასაც, რომელსაც ექვემდებარება თავად ბედისწერაც. თუმცა ზოგიერთი რამ, რაც განგებას ემორჩილება, ბედისწერის ჯაჭვზე მაღლა დგას. ესენი სწორედ ის არსნი არიან, რომლებიც უზენაეს ღვთაებრიობასთან მტკიცედ მიერთებულნი ცვალებადი ბედისწერის წესრიგს ემიჯნებიან. ისევე, როგორც სფეროები, რომლებიც ერთსა და იმავე წერტილის გარშემო მოძრაობენ და რომელი მათგანიც უფრო სიღრმეშია, ის მეტადაა დაახლოებული ცენტრის მარტივ მოძრაობასთან და დანარჩენი გარეთ მდებარე სფეროებისთვის თავად იქცევა ცენტრად, რომლის გარშემოც ისინი მოძრაობენ. ყველაზე განაპირა უფრო დიდ წრეზე ბრუნავს და რამდენადაც დაშორდება დაუნაწევრებელი შუაწერტილიდან, იმდენად დიდ სივრცეს მოივლის. და თუ რომელიმე შეუერთდება და შეერწყმება ცენტრს, მის სისადავეში მოექცევა და აღარც დაიშლება და დაიფანტება. ამის მსგავსად, რაც მეტადაა რაიმე პირველსაწყისი გონიდან დაშორებული, მით მეტადაა ბედისწერაზე მიჯაჭვული და რაც უფრო ახლოსაა ყოველივე არსებულის მწვერვალთან, მით უფრო თავისუფალია ბედისწერისგან, ხოლო რაც მყარად მიუერთდება უმაღლეს გონს, თავადაც უძრავი გახდება და ბედისწერით გამოწვეულ აუცილებლობასაც გადალახავს. მაშასადამე, რასაც განსჯა წარმოადგენს ცოდნისთვის, წარმოქმნილი არსებულისთვის, დრო – მარადისობისთვის, წრე – შუაწერტილისთვის, იმასვე წარმოადგენს ბედისწერის მოძრავი ჯაჭვი განგების მარტივი უძრაობისთვის. ბედისწერის ეს ჯაჭვი ამოძრავებს ზეცასა და ვარსკვლავებს, ნაწილაკებს თავიანთი წესრიგის მიხედვით კრავს და ურთიერთშენაცვლების გზით გარდაქმნის. ის განაახლებს ყოველივეს რაც იბადება და კვდება, მათივე მსგავსი თესლისა და შთამომავლობის განვითარებით. იგი ადამიანთა ქმედებებსა და ბედს დაურღვეველი კავშირი იჭერს და რადგანაც იგი უძრავი განგებიდან იღებს სათავეს, თავადაც აუცილებლად უცვლელი უნდა იქნეს. ამგვარად, სამყარო ყველაზე კარგად მაშინ იმართება, როცა ღვთაებრივ გონში არსებული სისადავე წარმოშობს მიზეზთა გარდაუვალ წესრიგს. ეს წესრიგი თავისი უცვალებლობით აკავებს ცვალებად საგნებს, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, ალალბედზე გაიფანტებოდნენ.

ამიტომაცაა, რომ თქვენ, ვისაც არ შეგიძლიათ ამ წესრიგის გაგება, ყოველივე არეულად და მოუწესრიგებლად გეჩვენებათ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველივეს თავისი ზღვარი აწესრიგებს და სიკეთისკენ წარმართავს. არაფერია ისეთი, რაც ბოროტების მიზეზით ხდება, თუნდაც თავად უზნეოთა

მიერ. ისინი, როგორც უკვე საკმაოდ სრულად ვაჩვენეთ, სიკეთის მაძიებლები არიან, მაგრამ უმართებულო შეცდომის წყალობით გზას ასცდნენ. უმაღლესი სიკეთის მწვერვალიდან

მომდინარე წესრიგი ხომ თავისი საწყისიდან არავის გადაახვევინებს. მაგრამ მკითხავ: იმაზე უფრო უსამართლო აღრევა რა შეიძლება იყოს, როცა კეთილი ადამიანები ხან ტანჯვას იმკიან, ხან – შვებას და ბოროტი ადამიანებიც, ასევე, ხან იმას იღებენ, რაც სურთ, ხან იმას, რაც ეჯავრებათ? მაგრამ განა ადამიანების განსჯა ისეთი შეუცდომელია, რომ ვისაც პატიოსნად ან უზნეოდ მიიჩნევენ, ისინი მართლაც ასეთები არიან? ადამიანთა აზრი ხომ აქაც ურთიერთსაპირისპიროა და სასჯელის ღირსად მიიჩნევს ზოგი იმას, ვინც, სხვების აზრით, ჯილდოს იმსახურებს.

მოდი, შევთანხმდეთ, რომ ვიღაცას შესწევს ძალა კეთილი და ბოროტი ერთმანეთისგან განასხვაოს. მაგრამ შეძლებს კი იგი ჩასწვდეს სულის შინაგან ჰარმონიას, როგორც ამას სხეულის შემთხვევაში ამბობენ ხოლმე?. ეს შემთხვევა არ განსხვავდება იმისგან, როცა უმეცარს სასწაულად ეჩვენება, თუ რატომ სჭირდება სხეულის სიჯანსაღისთვის ერთს – ტკბილი, მეორეს კი მწარე, ანდა ის, თუ რატომაა ზოგი ავადმყოფისთვის სასარგებლო მსუბუქი სამკურნალო საშუალება, ზოგისთვის კი ძლიერმოქმედი. მაგრამ იმ მკურნალს, რომელიც სიჯანსაღისა და სნეულების ზნესა და ხასიათს იცნობს, ეს სრულიადაც არ აკვირვებს. ხოლო რა შეიძლება იყოს სულისთვის სხვა სიჯანსაღე, თუ არა პატიოსნება და სხვა სნეულება, თუ არა მანკიერება? და ვინ არის კეთილთა შემწე და ბოროტთა მდევნელი, თუ არა ღმერთი – გონებათა გამრიგე და მკურნალი? როცა ის განგების მაღალი ციტადელიდან იმზირება, უწყის, რაც მიესადაგება თითოეულს და სწორედ იმით უზრუნველყოფს, რაც უწყის, რომ მათ მიესადაგება. სწორედ აქედანაა ბედისწერისეული წესრიგის ეს აღსანიშნავი სასწაული, რომელსაც ახდენს მცოდნე უფალი და რომელიც უცოდინარს თავგზას უბნევს.

თვალი რომ შევავლოთ ღვთაებრიობის სიდიადეს იმ მცირედი შესაძლებლობით, რომელიც ადამიანის გონებას გააჩნია, გამოჩნდება, რომ მას, ვინც ყველაზე სამართლიანად და თანასწორობის უდიდეს დამცველად მიგაჩნია, განგება, რომელმაც ყველაფერი უწყის, სხვაგვარად აფასებს. როგორც ჩვენთან დაახლოებულმა ლუკანოსმა[91] თქვა – გამარჯვებულმა მიზეზმა ღმერთებს აამა, დამარცხებულმა – კატონს.[92]ამიტომ, თუ გეჩვენება, რომ რაღაც შენი მოლოდინის საპირისპიროდ ხდება, სინამდვილეში სწორად მიმდინარეობს, ხოლო მცდარი და აღრეული შენს წარმოდგენაშია. დავუშვათ, არის ვინმე ისეთი ზნეკეთილი, რომ მას თანაბრად აფასებს როგორც ღვთაებრივი, ისე – ადამიანური განსჯა, მაგრამ ხასიათის სიმტკიცით არ გამოირჩევა და თუ რაიმე გასაჭირი თავს დაატყდება, შეწყვეტს ზრუნვას უმანკოებაზე, რომლის მეშვეობითაც ბედკეთილობას ვეღარ ინარჩუნებს. ამგვარად გონივრული განმგებლობა დაიცავს მას, ვინც შესაძლოა უბედურებამ უარეს ადამიანად აქციოს, ან მას, ვისაც სიძნელეთა გადატანა არ შეუძლია. არის ისეთიც, რომელიც ყოველგვარ სიქველეში განსრულებული, წმინდაა და ღმერთთან მიახლოებული. განგება მიიჩნევს, რომ არასწორი იქნება, ასეთ ადამიანს რაიმე განსაცდელი შეემთხვეს, ისე, რომ სნეულებებსაც არ რთავს მისი შეშფოთების ნებას. როგორც აღნიშნა მავანმა, ჩემზე უფრო აღმატებულმა: «Ἀνδρὸς δὴ ἱερου δέμας α’ιθέρες ο’ικοδόμησαν»[93]ამიტომაც, სახელმწიფოს მართვის სადავეები ხშირად გადაეცემა კეთილ ადამიანებს, რათა მომძლავრებული უზნეობა შეაკავონ. ზოგ

ადამიანს განგება ნარევ ხვედრს არგუნებს, მათი სულიერი თვისებების მიხედვით, ზოგს ამწარებს, რათა ხანგრძლივმა ბედნიერებამ არ გაანებივროს. ზოგისთვის მკაცრ სასჯელს უშვებს, რათა მათი სულიერი სიქველე წრთობისა და გამოცდილების მეშვეობით განმტკიცდეს. ზოგიერთ ადამიანს ზომაზე მეტად ეშინია იმის, რისი გადატანაც შეუძლია, სხვები კი არად აგდებენ იმას, რისი დათმენის ძალაც არ შესწევთ. მათ ტანჯვის გზით სძენს

გამოცდილებას. არაერთმა ადამიანმა ამქვეყნიური დიადი სახელი სიკვდილის ფასად მოიხვეჭა, ზოგმა კი სასჯელთა წინაშე გაუტეხელობით აჩვენა იმის მაგალითი, რომ ბოროტება სიქველეს ვერ ძლევს. უდაოა, რომ ყოველი ამგვარი ხვედრი სწორად, მოწესრიგებულად და იმის სასიკეთოდაა, ვისაც ერგება. ამავე მიზეზით ხდება ისიც, რომ უღირსი ადამიანები ზოგჯერ იმას იღებენ, რაც ამწუხრებთ, ზოგჯერ – იმას, რაც სურთ. მათი მწუხარება არავის აოცებს, რადგან ყველას მიაჩნია, რომ ამას თავიანთი ბოროტების გამო იმკიან. ხოლო მათი სასჯელი ემსახურება იმასაც, რომ სხვებმა ზურგი აქციონ ბოროტებას და იმასაც, რომ გამოსწორდნენ ისინი, ვინც ეს ჩაიდინეს. მათი სიხარული კი, კეთილ ადამიანებს იმის საბუთად წარმოუდგებათ, თუ რა შეხედულება უნდა ჰქონდეთ იმგვარ ბედნიერებაზე, რომელსაც ხშირად უზნეოთა სამსახურში ხედავენ. არის კიდევ ერთი რამ, რაც, ჩემი აზრით, ასევე მოწესრიგებულია: თუ ვინმე ბუნებით ისეთი უხეში და სულსწრაფია, რომ არქონას შეუძლია მას ბოროტებისკენ უბიძგოს, მის ამ სნეულებას განგება დაგროვებული ფულის საშუალებით კურნავს. როცა მავანი ხედავს თუ როგორაა მისი სინდისი სამარცხვინო ქმედებებით დამძიმებული. ამგვარად, იგი იცვლის ზნეს და სანამ უფრთხის ბედნიერების დაკარგვას, უზნეობას თავს ანებებს. თავის ბედზე ჩაფიქრებულს შესაძლოა შეეშინდეს, რომ იმის დაკარგვა, რაც მას სიამოვნებას ანიჭებს, მწუხარებას მოუტანს. სხვებს ბედნიერების ბოროტად გამოყენებამ დამანგრეველი ხვედრი არგუნა. ზოგს სხვათა დასჯის უფლება მიენიჭა იმ მიზნით, რომ კეთილი ადამიანები განემტკიცებინა და ბოროტები დაესაჯა. როგორც არავითარი კავშირი არაა უზნეოთა და პატიოსანთა შორის, ისე ვერც უზნეონი თანხმდებიან საკუთარ თავთან. ან როგორ იქნებიან, როცა თითოეულს დანაშაულთაგან დაგლეჯილი სინდისის გამო საკუთარ თავთან უთანხმოება აქვს და ხშირად აკეთებს იმას, რის გაკეთებასაც შემდეგ ნანობს.

აქედან გამომდინარე, უმაღლეს განგებას ხშირად წარმოუჩენია სასწაულებრივი ნიშანი იმისა, თუ როგორ გაუკეთილშობილებიათ ბოროტებს სხვა ბოროტი ადამიანები. ვინაიდან სანამ უკეთურთაგან დაითმენენ უსამართლობას, დამნაშავეთა სიძულვილით ანთებულები უბრუნდებიან სიქველეს და ცდილობენ იყვნენ განსხვავებულები მათგან, ვინც სძულთ. მხოლოდ და მხოლოდ ღვთაებრივი ძალაა ის, რისთვისაც ცუდიც შეიძლება კარგი იყოს, როცა მას შესაფერისად იყენებს და მისგან კარგ შედეგს იღებს. ვინაიდან ღვთაებრივი წესრიგი ყველაფერს ისე ანაწილებს, რომ თუნდაც მიატოვოს რაიმემ ამ წესრიგში მისთვის კუთვნილი ადგილი, იგი მაინც უბრუნდება წესრიგს, თუმცა განსხვავებულს, რათა განგების საუფლოში ყოფნის ნება შემთხვევითობას არ მიეცეს. ‘αργαλέον δέ με ταυτα θεὸν ‘ως πάντ’ ‘αγορευσαι[94]ადამიანისთვის არცაა შესაძლებელი, რომ ღვთაებრივი შემოქმედების ყოველგვარი მოწყობილობა თავისი გონების შესაძლებლობით მოიცვას ან სიტყვებით გადმოსცეს. საკმარისია მხოლოდ იმის გაგება, რომ ღმერთი, მთელი სამყაროს შემოქმედი, ყოველივეს განკარგავს და სიკეთისკენ წარმართავს. და ვიდრე იგი ესწრაფვის თავის მსგავსებაში შეინარჩუნოს ყოველივე, რაც შექმნა, ბოროტებას ბედისწერის გარდაულახავი ჯაჭვით აძევებს თავისი სამეფოს საზღვრებიდან. ამიტომ ყურადღებით თუ დააკვირდები

ყოველივეს მომწესრიგებელ განგებას, მაშინ ბოროტებასაც არად ჩააგდებ, მაგრამ ვხედავ, რომ ამ საკითხის სიმძიმით დათრგუნული და მსჯელობის ხანგრძლივობით დაქანცული მოელი სიმღერის სიტკბოებას. მაშ, შესვი შენი სასმისი, რათა მისი მეშვეობით განახლებულმა წინსვლა განაგრძო.

IV. 6 (v).თუ გსურს ნათელი გონებით ჩასწვდე
კანონებს დიდი მეხთამტყორცნელის[95],
ახედე ზეცის უმაღლეს წერტილს.
იქ ვარსკვლავები მტკიცე კავშირით
ოდინდელ წესრიგს ინარჩუნებენ.
მზეს კი აჩქარებს ცეცხლის ბორბალი,
მაგრამ ცივ მთვარეს არ ეღობება.
შვიდი ვარსკვლავი ყველაზე მაღლა
ამ სამყაროში მისდევს თავის გზას.
თავად არ ნებავს სხივნი ჩაძიროს
დასავლეთის ზღვის ტალღებში[96], თუმცა
ჭვრეტს სხვა ვარსკვლავებს, როს ეშვებიან.
დროის ერთსა და იმავე ცვლისას
ვესპერი გვამცნობს ბინდის დადგომას,
მაგრამ აბრუნებს დღეს ლუციფერი.
და სიყვარული აახლებს მხოლოდ
მარად წრებრუნვას. განხეთქილება
ვარსკვლავეთიდან განდევნილია.
სამართლიანი ზღვარით წარმართავს
ეს ჰარმონია კერძო ნაწილებს.
თანმიმდევრობით გადაინაცვლებს
სიცხე ყინვასთან და სველთან მშრალი.
სიმაღლისაკენ მიილტვის ცეცხლი,
სიმძიმე მიწას ძირს ეზიდება.
გაზაფხულისას ამავ მიზეზით
სითბოს ყვავილთა სურნელი მოაქვს.
ზაფხულში ღვივის კერესის ძღვენი,
შემოდგომა კი გვატკბობს ხეხილით
და წვიმა ალტობს მიწას ზამთარში.
რაც კი სულდგმულობს ამქვეყნად, ყოველს
ჟამთაცვლა ბადებს და ასაზრდოებს.
საბოლოოდ კი თუ რამ შობილა,

ყოველიერი თან მიაქვს სიკვდილს.
შემოქმედი კი ამ დროს მაღლიდან
სამყაროს მართავს მტკიცე სადავით.
იგი არს მეფე და მბრძანებელი,
სათავე, წყარო, თავად კანონი,
სამართლიანად განმსჯელი, ბრძენი.
გზააბნეულად რაც კი მოძრაობს
იგი აკავებს და განამტკიცებს.
თუკი სწორ გზაზე არ დააყენებს,
რაც კი მორჩილებს ამ მტკიცე წესრიგს,
საწყის მოსწყდება და დაემხობა.
აქ სიყვარული არის საერთო,

სიკეთის ზღვარში რომ აქცევს ყოველს,
რაც კი სხვაგვარად ვერ იარსებებს,
თუ კვლავ სიკეთეს არ დაუბრუნდა
მისი საწყისი და მიზეზები.

IV. 7.»ახლა ხომ ხედავ, რა გამომდინარეობს ყოველივე იქიდან, რაზეც ვისაუბრეთ?» «მაინც რა?» – შევეკითხე. «ის, რომ ყოველნაირი ფორტუნა მართლაც კეთილია». «მაგრამ ეს როგორაა შესაძლებელი?» «ყურადღებით დააკვირდი, – მითხრა მან, – ვინაიდან ყოველგვარი ფორტუნა, გინდა საამო, გინდ უამური, მოქმედებს ან კეთილ ადამიანთა დაჯილდოებისა და გამოწრთობის, ან ბოროტთა დასჯისა და გამოსწორების მიზნით. მაშ, ყოველი ხვედრი სიკეთეა, ვინაიდან დადგინდა, რომ იგი ან სამართლიანია, ან – სასარგებლო». «მეტად მართებული მსჯელობაა, – ვუთხარი, – და თუ დავფიქრდები განგებაზე, რომლის შესახებაც ცოტა ხნის წინ განმანათლე ან ბედისწერაზე, აზრი მტკიცე საფუძველზე იქნება დამყარებული. მაგრამ, თუ თანახმა ხარ, მოდი ამასაც მივუჩინოთ ადგილი იმ საკითხთა შორის, რომლებსაც ცოტა ხნის წინ შეუცნობლად განიხილავდი». «რატომ?» – შემეკითხა. «იმიტომ, რომ ადამიანები საუბრისას ამბობენ ხოლმე და საკმაოდ ხშირადაც, რომ მავანს ცუდი ბედი აქვს». მან კი მითხრა: «ხომ არ გსურს, ცოტა ხნით ბრბოს განსჯას მივუახლოვდეთ, რათა თითქოსდა ადამიანურ ჩვეულებათაგან მეტისმეტად დაშორებულნი არ გამოვჩნდეთ?» «როგორც გენებოს». მიგაჩნია სიკეთედ ის, რაც სასარგებლოა?» «ასეა,» – დავუდასტურე. «ხოლო ის, რაც გამოწრთობასა თუ გაკეთილშობილებას ემსახურება, ხომ სასარგებლოა?» «გეთანხმები,» – მივუგე. «მაშასადამე სიკეთეცაა?» «სხვაგვარად როგორ იქნება?» «მაგრამ ასეთია მათ შემთხვევაში, ვინც ან სიქველეში განმტკიცებული უმართავს ბრძოლას უამურ ფორტუნას, ან ზურგს აქცევს მანკიერებას და სიქველის გზას დაადგება». «არ ძალმიძს ამის უარყოფა,» – მივუგე. «ახლა, რაც შეეხება საამურ ფორტუნას, რომელიც ჯილდოდ ერგება კეთილ ადამიანებს, ნუთუ ხალხი ფიქრობს, რომ იგი ცუდია?» «არავითარ შემთხვევაში,» – ვუპასუხე, – «არამედ ფიქრობს, რომ იგი საუკეთესოა და ეს მართლაც ასეა. იმ მეორესაც, რომელიც თუმცა უამურია, მაგრამ ბოროტ ადამიანებს სამართლიანი

სასჯელით ლაგმავს, სიკეთედ მიიჩნევს ხალხი?» «არავითარ შემთხვევაში!» – მივუგე, – «ფიქრობენ, რომ იგი ყველაზე საშინელი რამაა მათ შორის, რისი წარმოდგენაც კი შეიძლება». «მაშ, ფრთხილად იყავი, მართლაც გაურკვეველი რამ არ დავასკვნათ, თუკი ბრბოს აზრებს გავედევნებით». «მაინც რა?» «იქიდან, რაზეც შევთანხმდით, სულ ცოტა, გამოდის, რომ მათთვის, ვინც ან ფლობს სიქველეს, ან მიიწევს მისკენ, ან იღებს, ყოველგვარი ფორტუნა, როგორიც არ უნდა იყოს იგი, კარგია, ხოლო მათთვის, ვინც უზნეობაშია ჩარჩენილი, ფორტუნას ყოველგვარი ფორმა ავია». «ეს მართლაც ასეა,» – მივუგე, – «მაგრამ ამის აღიარებას ვერავინ ბედავს». «ამიტომაც არ შეჰფერის ბრძენკაცს მძიმედ გადაიტანოს ფორტუნასთან შერკინება, რამდენჯერაც არ უნდა ჩაებას მასში, ისევე, როგორც მედგარ ვაჟკაცს არ ეკადრება შეშფოთება, რამდენჯერაც არ უნდა მოესმას საბრძოლო ყიჟინა. თავად ეს სირთულენი ორივესათვის ხელსაყრელი შესაძლებლობაა. ვაჟკაცისთვის – სახელის განსადიდებლად, ბრძენკაცისთვის - სიბრძნის გასამყარებლად. აქედან გამომდინარე, სიქველეს ასე იმიტომ ეწოდება, რომ საკუთარ ძალაზე დაყრდნობილს მას წინააღმდეგობანი ვერ ჯაბნის. ვინაიდან არც თქვენ, ვინც სიქველის გზაზე დადექით, აქ არ მოსულხარ იმისათვის, რომ განცხრომამ ჩაგითრიოთ და სიამოვნებამ გამოგფიტოთ. თქვენ მამაცურად უნდა ჩაებათ გონებრივ ბრძოლაში ყოველგვარი ფორტუნას წინააღმდეგ, რათა უამურმა ფორტუნამ არ გადაგთელოთ, ან საამურმა არ დაგაძაბუნოთ. მტკიცე ძალით დაიკავეთ შუალედი! რაც ან ზევით დარჩება, ან

დაბლა დაეშვება, ვერც ბედნიერებას დაიმსახურებს და ჯაფის წილ ჯილდოსაც ვერ მიიღებს. თქვენს ხელშია, ფორტუნას როგორ ფორმას ისურვებთ თქვენთვის, ვინაიდან ყოველგვარი ფორტუნა, რომელიც უამური მოჩანს, თუ არ აწრთობს ან აკეთილშობილებს – სჯის.

IV. 7 (v). ომი დაიწყო ატრევსის ძემ[97], ათ წელს იბრძოდა,
შურისძიება დაატეხა ფრიგიის ქალაქს,
ძმის დანგრეული ქორწინება არ აპატია.[98]
მან სისხლის ფასად მოიპოვა, რასაც ნატრობდა,
ქარს რომ აფრები აეშალა ხომალდებისთვის,
იმ უბედურმა დაივიწყა მამაშვილობა
და ვით ქურუმმა, ქალიშვილი მოაკვლევინა.[99]
ითაკელმა კი დაიტირა თანამგზავრები,
რომლებიც შთანთქა დაუნდობლად უძღებ მუცელში
ფართო მღვიმეში გაწოლილმა პოლიფემუსმა.
მაგრამ სევდით ზღო ნაადრევი მხიარულება;
დაბრმავებული ცალი თვალიც ცრემლით აევსო.
გმირად აქცია ჰერკულესი მძიმე კირთებამ;
მან ქედმაღალი კენტავრები დაიმორჩილა,[100]
შემდეგ ველურ ლომს უშფოთველად გააძრო ტყავი,
ფრთოსანი მხეცნი საიმედო ისრით განგმირა,
ოქროს ვაშლებით დაიმშვენა ხელი, როდესაც

იგი ვაშლების მოდარაჯე დრაკონს მოსტაცა
და კერბერუსიც გაიყოლა სამმაგი ჯაჭვით,
უწყალო მეფე დაამარცხა, მის ველურ ცხენებს,
ეტლში შებმულებს, დაუტოვა იგი საკვებად.
განგმირა ჰიდრა, მისი შხამი ამოწვა ცეცხლით,
რქა მოამტვრია აქელოუსს, მდინარის ღმერთს,
ის სირცხვილნაჭამი დაუბრუნდა თავის ნაპირებს.
მძლე ანთეოსი დაანარცხა ლიბიის ქვიშას,
არ შეარჩინა კაკუსს ჯავრი ევანდროსისა,
ველური ტახის დუჟის კვალი დაეტყო მხრებზე,
რომლითაც შემდგომ ზეცის თაღი უნდა ეზიდა.
უკანასკნელი კირთებაც ხომ ეს იყო მისთვის;
უდრეკი ქედი ცის თაღისთვის ბურჯად ექცია
და ამის შემდეგ დაიმკვიდრა ადგილი ზეცად.
ამ დიდებული მაგალითის კვალზე იარეთ,
მამაცნო, გასწით, უმოქმედოდ ზურგს ნუ შეაქცევთ!
თუკი შეიძლებთ, მიწას გასცდეთ, მასზე ამაღლდეთ,
მისწვდებით ვარსკვლავთ...

IV

IV. 1.ეს სიტყვები ფილოსოფიამ ღირსეული იერით, დინჯი გამომეტყველებით, მშვიდად და აუღელვებლად წაიმღერა. და როცა დააპირა ეთქვა ის, რაც აქამდე სათქმელად ჰქონდა

მომზადებული, შევაწყვეტინე, რადგანაც ჯერ არ დამვიწყებოდა ჩემში ჩასახლებული სევდა და მივმართე: «ო, ჭეშმარიტი სინათლის გზამკვლევო, ნათელი იყო ის, რასაც შენი სიტყვა გადმოსცემდა ღვთაებრივობის ჭვრეტითა და ურყევი მტკიცებულებებით. მე კი, უსამართლობით ტანჯულს, მივიწყებული მქონდა იგი. ამიტომ არ გითქვამს ჩემთვის ის, რაც მანამ არ ვიცოდი. ჩემი სევდის უმთავრესი მიზეზი სწორედ ისაა, რომ მიუხედავად ყოველთა კეთილად განმგებლის სუფევისა, მაინც ძალუძს ბოროტებას არსებობა და ამ არსებობის დაუსჯელად გაგრძელება. დაუფიქრდი, ეს ნამდვილად იმსახურებს გაოცებას, მაგრამ მასთან რაღაც უფრო მნიშვნელოვანია გადაჯაჭვული; როცა ზეობს და ყვავის უზნეობა, სიქველე არა თუ ჯილდოს კარგავს, არამედ ბოროტმოქმედთა ფეხქვეშ ითელება და დამნაშავეთა მაგიერ იღებს სასჯელს. და ეს ხდება ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე ღმერთის საუფლოში, რომელსაც მხოლოდ სიკეთე სურს». მან კი განაგრძო: «ეს იქნებოდა უსაზღვრო სისულელე, საშინელი და წარმოუდგენელი რამ, თუ იმის მსგავსად, შენ რომ გგონია, ოჯახის უფროსის კარგად მოწყობილ სახლში უფასური ჭურჭელი მოვლილი იყოს, ძვირფასს კი მტვერი ედებოდეს. ასე არ ხდება. თუ მართებულია ის დასკვნები, რომლებიც ცოტა ხნის წინ გამოვიტანეთ, თავად შემოქმედის მეოხებით, რომლის საუფლოს შესახებაც ახლა ვსაუბრობთ, კეთილნი მუდამ ძლევამოსილნი არიან, ბოროტნი კი – დაკნინებულნი და ძალაგამოცლილნი. მანკიერება არასოდეს რჩება დაუსჯელი, ხოლო სიქველე – დაუჯილდოებელი. კეთილ ადამიანებს მუდამ ბედნიერება ერგებათ, ბოროტებს – უბედურება, (და ამის მსგავსი შეიძლება კიდევ მრავალი რამ ითქვას), რაც ჩივილს შეგაწყვეტინებს, განგამტკიცებს და გაგაძლიერებს. ვინაიდან ნანახი გაქვს ნეტარების ჭეშმარიტი ფორმა, რომელიც ცოტა ხნის წინ წარმოგიდგინე და იცი, თუ სადაა იგი, სწრაფად გავიაროთ ყოველივე, რისი წინსწრებაც აუცილებლად მიმაჩნია და გიჩვენებ გზას, რომელიც შინ მიგიყვანს. შენს გონებას ფრთებს შევასხამ, რომელთა შემწეობითაც შეძლებ ამაღლებას, რათა მღელვარება უკუაგდო და ჩემი წინამძღოლობით, ჩემ მიერ ნაჩვენები გზით და ჩემი ეტლით შინ უვნებელი დაბრუნდე.

IV. 1 (v).მსუბუქი ფრთები მაქვს მე მონიჭებული,
რომ ცათა სიმაღლეს მივწვდე.
როცა მათ შეისხამს ცინცხალი გონება,
მიწას გადმოხედავს ზიზღით.
უსაზღვრო ჰაერის სივრცეს რომ გასცდება,
უკან მოიტოვებს ღრუბლებს.
გადაკვეთს ცეცხლოვან ზენიტსაც, რომელიც
მოძრავი ეთერით ღვივის.[81]
სანამ ვარსკვლავების სახლებს[82] არ მიაღწევს,
გაჰყვება ფებუსის სავალს,
ან გზას გაუყვება ცივ, ბებერ სატურნთან
მეომრის მნათობის[83] დარად,
ან გაედევნება წრებრუნვას ვარსკვლავთა,
ციმციმით რომ რთავენ ღამეს.
როცა გულს იჯერებს და მოიქანცება,
კაბადონს დატოვებს ცისას;
სწრაფმავალ ეთერის მიღმა აღმოჩნდება
სინათლის მეუფის მსგავსად.
იქ, სადაც უპყრია სკიპტრა მეფეთმეფეს,

სამყაროს სადავეს მართავს
ის, თავად უძრავი, სწრაფ ეტლებს განაგებს
დიადი მსაჯული ქვეყნის.
გზა მივიწყებული, რომელსაც დაეძებ,
თუკი დაგაბრუნებს უკან:
«ეს ჩემი სახლია, სადაც დავიბადე,
სვლას აქ დავასრულებ,» – იტყვი.
თუ მაინც ისურვებ მოხედო შენ უკან
დარჩენილ მიწიერ წყვდიადს,
მაშინ იმ ტირანებს იხილავ განდევნილს,
ხალხს რომ აძრწუნებდნენ მარად.

IV. 2.მაშინ შევძახე: «საოცარია! რამოდენა რამეს მპირდები! ეჭვიც არ მეპარება, რომ შეასრულებ, ოღონდ ნუ დააყოვნებ, რადგან ასე შემაგულიანე. «პირველ რიგში», – თქვა მან – «უნდა გესმოდეს, რომ ძალმოსილება ყოველთვის კეთილ ადამიანებს აქვთ, ხოლო ბოროტნი ყოველმხრივ უძლურნი არიან. აქედან ერთი მეორეს ამტკიცებს, ვინაიდან სიკეთე და ბოროტება საპირისპირონი არიან და თუ სიკეთის ძალმოსილება ეჭვგარეშეა, მაშინ ბოროტების უძლურებაც თვალსაჩინოა. ხოლო თუ ცხადია ბოროტების სისუსტე, მაშინ სიკეთის ძლიერებაც აშკარაა. მაგრამ იმისთვის, რომ ჩემმა აზრმა მეტი ნდობა მოიპოვოს, ორივე მხარეს წარმოვაჩენ და დებულებას აქეთაც და იქითაც გავამყარებ.

დადგენილია, რომ ადამიანის ყოველგვარი ქმედების შედეგიანობა ორ რამეზეა დამოკიდებული: ესაა ნება და შესაძლებლობა. მათგან თუ არ იქნება რომელიმე, შესასრულებელიც აღარაფერი დარჩება. თუ არ იქნება ნება, ვერავინ წამოიწყებს რაიმეს, რადგან ეს არ ენდომება. ხოლო თუ არაა შესაძლებლობა, მაშინ ნება ამაოა. ამიტომაც თუ ნახავ მავანს, ვისაც სურს მიიღოს ის, რისი მიღწევაც არ ძალუძს, ეჭვიც არ შეგეპარება, რომ იგი სასურველის მიღების შესაძლებლობასაა მოკლებული». «ეს ცხადია», – დავუდასტურე, – და ვერასგზით უარვყოფთ ამას». «და თუ იხილავდი, რომ მავანი აღასრულებს იმას, რაც სურს, განა მის შესაძლებლობაში დაეჭვდებოდი?» «არა», – ვუპასუხე. «ვისაც რა შეუძლია, იმაშია იგი ძლიერი, ხოლო რაც არ ძალუძს, ის უძლურებად უნდა ჩაეთვალოს». «გეთანხმები». «მაშინ თუ გახსოვს, რაც წინა მსჯელობებიდან დავასკვენით, კერძოდ, მიუხედავად განსხვავებული მიზნებისა, ადამიანთა ნების ყოველგვარი ძალისხმევა ნეტარებისკენ რომ მიისწრაფის?» «მახსოვს», – მივუგე, – ესეც იქნა დასაბუთებული». «ახლა ხომ გახსენდება, რომ ნეტარება თავად სიკეთეა და ამგვარად ყველას სიკეთე სწადია, როცა ნეტარებას ესწრაფის?» «ამის შეხსენება არ მჭირდება, ვინაიდან მეხსიერებაში მყარად ვინახავ». «მაშ ყველა ადამიანი, გინდა კეთილი, გინდა ბოროტი, თანაბრად, ერთნაირი ძალისხმევით ცდილობს სიკეთეს მიაღწიოს?» «ასე გამოდის», – ვუპასუხე. «მაგრამ უეჭველია ის, რომ სიკეთის მიღწევისას ადამიანი თავადაც კეთილი ხდება». «დიახ, ასეა». «მაშინ იღებენ თუ არა კეთილი ადამიანები იმას, რაც სურთ?» «ასე ჩანს», «და თუ ბოროტი ადამიანები მიიღებენ სიკეთეს, რომელსაც ესწრაფიან, ბოროტებად ვეღარ დარჩებიან». «ასეა». «და როცა ორივენი სიკეთეს ესწრაფიან და ერთნი აღწევენ მას, მეორენი კი ვერა, განა დასაეჭვებელია კეთილთა ძალმოსილება და ბოროტთა უძლურება?» «ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, მას არც საგანთა ბუნების გაეგება რამე და არც იმის, რაც მსჯელობიდან გამომდინარეობს».

«და, კვლავაც», – განაგრძო მან, – «თუ არის ორი ისეთი ადამიანი, რომლებშიც შთანერგილია ერთი და იგივე ბუნებრივი ქმედება და ერთი მათგანი მის აღსასრულებლად ბუნებრივ საშუალებას მიმართავს, მეორეს კი არ შეუძლია ეს ბუნებრივი ვალდებულება იკისროს, არამედ სხვა, ბუნებრივისგან განსხვავებული ხერხებით კი არ აღასრულებს, არამედ მხოლოდ შემსრულებელს ბაძავს, რომელ მათგანს მიიჩნევდი უფრო ძალმოსილად?» «მგონი ვხვდები, ჩემგან რის თქმასაც ელი, თუმცა მირჩევნია, შენგან ეს უფრო დაწვრილებით მოვისმინო». «ხომ არ უარყოფ, – მკითხა მან, – რომ სიარული ადამიანისთვის ბუნებრივი ქმედებაა?» «სრულიადაც არა,» – ვუპასუხე. «ეჭვი არც იმაში გეპარება, რომ ამ ქმედების აღსრულება ფეხების ბუნებრივი დანიშნულებაა?» «არც ეს მეეჭვება», – დავუდასტურე. «მაშ, თუ ერთ ვინმეს შეუძლია ფეხით გადაადგილება, ხოლო სხვა, ვინც ფეხების ამ ბუნებრივ დანიშნულებას მოკლებულია, ცდილობს ხელებზე დაყრდნობილმა გაიაროს, რომელი მათგანი შეიძლება სამართლიანად იყოს მიჩნეული უფრო ძალმოსილად?» «სხვა რამ მკითხე – მივუგე, – ვინაიდან არავინ დაობს, რომ უფრო ძლიერი ისაა, ვისაც ბუნებრივი დანიშნულებით მოქმედება შეუძლია, ვიდრე ის, ვინც ამას ვერ ახერხებს. რაც შეეხება უმაღლეს სიკეთეს, რომელიც თანაბრად ესახებათ მიზნად როგორც კეთილ, ისე ბოროტ ადამიანებს, კეთილნი მას სიქველის ბუნებრივი საშუალებით ესწრაფვიან, ხოლო ბოროტნი ცდილობენ სხვადასხვაგვარი ვნების გზით მიაღწიონ იმავეს, რაც არაა სიკეთის მიღების ბუნებრივი საშუალება. სხვაგვარად ხომ არ ფიქრობ?» «რა თქმა უნდა, არა, – ვუპასუხე, – რადგან ნათელია ის, რაც აღნიშნულიდან მომდინარეობს. რაც ჩვენ დავუშვით, იქიდან გამომდინარეობს, რომ კეთილნი უცილობლად ძლევამოსილნი, ხოლო ბოროტნი უსუსურნი არიან».

«სწორად მიიწევ წინ, – მითხრა მან – და ეს, რამდენადაც ექიმებს დაიმედება ჩვევიათ, იმაზე მიანიშნებს, რომ შენი ბუნება უკვე მომძლავრებულია, დაავადებას რომ წინ აღუდგეს. და ვინაიდან ვხედავ, რომ შემეცნებისთვის უკვე სავსებით ხარ მზად, მრავალ მტკიცებულებას წარმოგიდგენ. შეხედე, რა დიდია სიძაბუნე მანკიერ კაცთა, რომლებსაც არ ძალუძთ მიაღწიონ იმას, რისკენაც ბუნებრივ მისწრაფებას მიჰყავს, ან თითქმის მიერეკება კიდეც. და რა იქნებოდა, რომ არ ჰქონდეთ ბუნების შემწეობა – ეს დიდი და თითქმის დაუძლეველი გზამკვლევი? განსაჯე, რა დიდ უმწეობაში არიან ჩაცვენილი ბოროტმოქმედნი. ისინი არც თუ უმნიშვნელო და ფუქსავატური ჯილდოს მოპოვებას ცდილობენ, მაგრამ ვერ იღებენ, არსებულ საგანთა უმაღლეს მწვერვალთან მარცხდებიან და ვერ აღწევენ იმ შედეგს, რის გამოც დღედაღამ არიან დამაშვრალნი. ამ საქმეში კი კეთილ კაცთა ძლიერება მჟღავნდება. ვინაიდან როგორც მას, ვინც ფეხით სიარულისას შეძლებდა იმ ადგილამდე მიღწევას, რომლის იქითაც არავითარი სავალი გზა აღარ არის, უძლიერეს მოსიარულედ მიიჩნევდი, ასევე აუცილებელია ყველაზე ძლევამოსილად აღიარო ის, ვინც მისწვდება ყოველივე სასურველის ზღვარს, რომლის მიღმაც აღარაფერია. ამის საპირისპიროდ ჭეშმარიტია ისიც, რომ ბოროტი ადამიანები სრულიად ძალაგამოცლილნი არიან. მართლაც, რატომ თმობენ სიქველეს და მისდევენ მანკიერებას? იქნებ სიკეთის არცოდნის გამო? მაშინ რა შეიძლება იყოს უმეცრებასა და სიბრმავეზე უფრო დიდი სისუსტე? ან იქნებ იციან, რასაც უნდა ესწრაფოდნენ, მაგრამ ვნებები გზას აცდენენ? აქაც უძლურნი არიან, საკუთარი თავშეუკავებლობის წყალობით, ვინაიდან არ შეუძლიათ ვნებებთან გამკლავება. ანდა შეგნებულად, ნებაყოფლობით ტოვებენ სიკეთეს და მანკიერებას ეძლევიან? მაგრამ, ამ შემთხვევაში არა მარტო ძალმოსილებას თმობენ, არამედ არსებობასაც, ვინაიდან ვინც ყოველივე არსებულის სამანს ზურგს აქცევს, ის ამავდროულად არსებობასაც წყვეტს.

შეიძლება ვინმეს მეტად უცნაურად მოეჩვენოს, რასაც ახლა ვიტყვი, რომ ბოროტნი, რომლებიც ადამიანთა უმრავლესობას წარმოადგენენ, არ არსებობენ. მაგრამ ეს მართლაც ასეა. მართალია, არ უარვყოფ, რომ ვინც ბოროტია, ისინი ბოროტნი არიან, მაგრამ უარვყოფ მათ არსებობას, ამ სიტყვის სრული და პირდაპირი მნიშვნელობით. როგორც მკვდარ ადამიანს უწოდებ გვამს და არ შეგიძლია იგი უბრალოდ ადამიანად მოიხსენიო, აგრეთვე, თუმცა ვეთანხმები, რომ მანკიერი ადამიანები ბოროტები არიან, მაგრამ არ შემიძლია მათი უცილობლად არსებობა ვაღიარო. ვინაიდან არსებობს ის, რაც კუთვნილ ადგილს იკავებს და თავის ბუნებას ინარჩუნებს. ხოლო რაც ამას განუდგება, წყვეტს არსებობასაც, რადგან ეს მათ ბუნებაშია. მაგრამ შენ მეტყვი, რომ ბოროტ ადამიანებს აქვთ ბოროტების ჩადენის შესაძლებლობა, ამას არც მე უარვყოფ, მაგრამ ეს შესაძლებლობა მომდინარეობს არა მათი სიძლიერისგან, არამედ სისუსტისგან. მათ მართლაც ხელეწიფებათ ბოროტება, მაგრამ ამის შესაძლებლობა ნაკლებად ექნებოდათ, მათზე სიკეთის ზემოქმედება რომ ხერხდებოდეს. ამგვარი შესაძლებლობა უფრო თვალნათლივ აჩვენებს, რომ სინამდვილეში არაფერი ხელეწიფებათ. თუკი ბოროტება, როგორც ცოტა ხნის წინ შევჯერდით, არაფერია, მაშინ უზნეოთაც, მხოლოდ ბოროტების ჩადენა რომ ეხერხებათ, ცხადია, არაფერი შეუძლიათ». «ეს ნათელია». «ხოლო იმისთვის, რათა გაიგო რამდენად მცირეა მათი შესაძლებლობა, გაიხსენე, რაც ცოტა ხნის წინ განვმარტეთ, კერძოდ ის, რომ უმაღლეს სიკეთეზე ძალმოსილი არაფერია». «ასეა,» – მივუგე. «მაგრამ ადამიანებს შეუძლიათ ბოროტების ჩადენა». «ნეტავ არ შეეძლოთ!» «ვინაიდან მას, ვინც მხოლოდ სიკეთეს ჩადის, ყველაფერი შეუძლია, მაშინ, ცხადია, რომ ბოროტების ჩამდენს ნაკლები შესაძლებლობა აქვს. ამას ისიც ემატება, რომ ყოველგვარი ძალა სასურველთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ, ყოველივე სასურველი კი დაკავშირებულია სიკეთესთან, როგორც საკუთარი ბუნების ერთგვარ მწვერვალთან. ხოლო ბოროტების ჩადენის შესაძლებლობას კი წარმოუდგენელია სიკეთესთან რაიმე აკავშირებდეს. მაშასადამე, იგი არც სასურველია. და რადგანაც ყოველგვარი ძალა სასურველია, გამოდის, რომ იგი ძალა არაა. ამ ყოველივედან გამომდინარე, აშკარაა, რომ კეთილნი ძალმოსილნი, ხოლო ბოროტნი უძლური არიან. სამართლიანია პლატონის მოსაზრებაც[84], რომ მხოლოდ ბრძენკაცებს შეუძლიათ აღასრულონ ის, რაც სურთ, უზნეონი კი აკეთებენ იმას, რაც მოსწონთ, მაგრამ ვერ აღწევენ მას, რაც ნამდვილად სურთ. რაც სიამოვნებთ იმას აკეთებენ, ვინაიდან ფიქრობენ, რომ იმის მეშვეობით, რაც მოსწონთ, მიიღებენ იმ სიკეთეს, რომელიც სურთ, მაგრამ ვერ იღებენ, რადგან უზნეობა ნეტარებამდე ვერ აღწევს.

IV. 2 (v).ხედავ მეფეებს, მაღალ ტახტზე დაბრძანებულებს,
ბასრი მახვილი იცავს მორთულთ ბრწყინვალე ძოწით,
იმუქრებიან, გულზე ტვირთად სიშმაგე აწევთ.
თუ მათ დიდების ფუჭ საფარველს ჩამოხსნის ვინმე,
ნახავს, რომ სული შებოჭილი აქვთ მარწუხებით,
ვნებათა ღელვა შხამად უღვრის სიხარბეს გულში,
გონს რისხვა უტევს და მოგორავს ზვირთებად შფოთვა.
სევდა აბრკოლებთ, ხანაც ტანჯავთ ცრუ იმედები.
ერთი რამე აქვთ მათ საერთო – ნატვრის ახდენა
მოვალეობით დამძიმებულთ არ უწერიათ.

IV. 3. ხომ ხედავ, მანკიერება სიბინძურეში როგორ გორავს, მაშინ, როცა პატიოსნება აფრქვევს სინათლეს? ცხადია, რომ არასოდეს ასცდება სიკეთეს ჯილდო და ბოროტებას სასჯელი. კანონზომიერია: რაც ხდება, ხდება იმისთვის, რომ მიიღოს შედეგი ისევე, როგორც მოედანზე

მორბენალი იღებს ჯილდოდ გვირგვინს, რომლისთვისაც იწყებს რბოლას. ნეტარება, როგორც ცხადვყავით, თავადაა სიკეთე, რომლის გამოც ხდება ყოველივე. თვით ეს სიკეთე შეიცავს ჯილდოს ადამიანთა ქმედებისთვის. ამიტომ მისი სათნოთაგან განცალკევება შეუძლებელია. სამართლიანად ვერც მას ვუწოდებთ კეთილს, ვინც სიკეთისგან დაიცლება. ამიტომ პატიოსანი ზნენი თავიანთ ჯილდოს არასდროს კარგავენ. როგორც არ უნდა ბობოქრობდნენ ბოროტნი, ბრძენკაცთა გვირგვინი არც დაემხობა, არც დაჭკნება. ვერც სხვათა უზნეობა მიისაკუთრებს პატიოსან კაცთა კუთვნილ დიდებას. დიდება, რომლითაც ტკბებიან, რომ იყოს გარეშე ძალის დამსახურება, მაშინ მის წართმევას თავად მომნიჭებელი ან სხვა ვინმე შეძლებს. და რადგან ადამიანებს საკუთარი პატიოსნება ანიჭებს ჯილდოს, პატიოსნების დაკარგვასთან ერთად მასაც დაკარგავენ. და, ბოლოს, თუ ყოველგვარ ჯილდოს იმიტომ მიელტვიან, რომ სიკეთედ მიაჩნიათ, მაშინ ვინ იტყვის, რომ ის, ვინც სიკეთესთან წილნაყარია, ჯილდოს გარეშეა დარჩენილი? მერე როგორი ჯილდოსი? ყველაზე აღმატებულისა და მშვენიერის. გაიხსენე ის დასკვნები, რომლებსაც ცოტა ხნის წინ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით და ასე განსაჯე: თუ ნეტარებაა თავად სიკეთე, მაშინ ყველა კეთილი ადამიანი ნეტარია იმიტომ, რომ კეთილია. ხოლო ვინც ნეტარნი არიან, ღმერთებს ემსგავსებიან. მაშ, ასეთია კეთილთა ხვედრი. მას ვერავითარი დრო ვერ წარხოცავს, ვერავითარი ძალა ვერ დააკნინებს, ვერავითარი მანკიერება ვერ დაჩრდილავს, რომ ღვთაებრივი გახდნენ. და როცა ეს ასეა, შეუძლებელია, ბრძენკაცი დაეჭვდეს იმაში, რომ ბოროტება დაუსჯელი არ რჩება. რადგან სიკეთე და ბოროტება ისევეა ერთმანეთთან დაშორებული და დაპირისპირებული, როგორც ჯილდო და სასჯელი. და როცა ვხედავთ, რომ ჯილდო სიკეთის ხვედრია, ამის საპასუხოდ, მეორე მხრივ, სასჯელი აუცილებლად ბოროტებას უნდა ერგოს. როგორც თავად პატიოსნებაა ჯილდო პატიოსანთათვის, ისე უმსგავსოებაა სასჯელი მანკიერთათვის, ხოლო ვინც სასჯელს იწვნევს, ეჭვი არ ეპარება, რომ ბოროტებას დაითმენს, თუ ისურვებენ, საკუთარი თავი განსაჯონ, შეუძლიათ კი სასჯელის გარეშე დაინახონ, რომ ყველა ბოროტებას შორის უსაშინლესმა – ზნედაცემულობამ – ისინი არა მხოლოდ დააშავა, არამედ სასტიკად განგმირა?

მაშ, დაინახე სიკეთე სხვა მხრიდან, თუ როგორ ისჯებიან უღირსნი. ცოტა ხნის წინ ისწავლე, რომ არსებობს მხოლოდ ერთი და ეს ერთი თავად სიკეთეა. აქედან გამომდინარე, ყოველივე, რაც კი არსებობს, სიკეთეა. ამგვარად, თუ რამე გადაუხვევს სიკეთიდან, ის არსებობასაც შეწყვეტს, ამიტომაცაა, რომ ბოროტნი უკვე აღარ არიან ისინი, ვინც ადრე იყვნენ. მხოლოდ ადამიანის ფორმა, რაც მათ შემორჩათ, მეტყველებს იმაზე, რომ ოდესღაც ადამიანები იყვნენ. იმის გამო, რომ ბოროტებისკენ გადაიხარნენ, ადამიანური ბუნება დაკარგეს. თუ მხოლოდ პატიოსნებას ძალუძს ვინმე ადამიანზე მაღლა აიყვანოს, მაშინ მანკიერება აუცილებლად ადამიანური მდგომარეობიდან დააქვეითებს და ადამიანთა კუთვნილ ადგილზე დაბლა მოისვრის. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ადამიანად მიიჩნიო ის, ვინც მანკიერებამ შეცვალა. როცა ვინმე მოძალადე მძარცველს სხვისი ქონების წადილი არ ასვენებს, იტყვი, რომ იგი მგლის მსგავსია; თუ საჩხუბრად ილესავს ენას ვინმე ანჩხლი და მოუსვენარი – ძაღლს შეადარებ; თუ სამალავიდან ფარულად თავდასხმა უყვარს – მელას ჰგავს; გრგვინავს დაუოკებელი რისხვით – სულის სიღრმეში ლომს მალავს; ძრწის და გარბის მაშინ, როცა საშიში არაფერია – ირემს ემსგავსება; თუ ზარმაცი და უჭკუო თანდათან ჩლუნგდება, ცხოვრობს, როგორც ვირი; ინტერესს ხშირად იცვლის – ფრინველისგან არაფრით გამოირჩევა; ამქვეყნიურ უწმინდურ ვნებებშია ჩაძირული – ბინძურ ღორს ემსგავსება. ასეა, როცა ვინმე სიკეთეს დათმობს, პირუტყვად იქცევა, არ ძალუძს ღვთაებრივ მდგომარეობას მიეახლოს.

IV. 3 (v).ნერიტოსელი ბელადის[85]
მოხეტიალე ხომალდებს
ევრუსი რიყავს კუნძულზე,
სადაც ბინადრობს ქალღმერთი
ტურფა, მზის თესლის ნაყოფი[86]
და მოჯადოებულ სასმისს
ის ახალ სტუმრებს უმზადებს.
ჯადოქრობაში გაწაფულ
მარჯვენით სახეებს უცვლის.
ერთს თუ გარდაქმნის ტახად,
მეორეს – აფრიკულ ლომად,
ბრჭყალებიც რომ აქვს და ეშვიც.
მესამე იღებს მგლის იერს,
როცა სურს ტირილი – ყმუის.
იქ საცხოვრებელს გარს უვლის
უვნები ინდური ვეფხვი.
არკადიული ფრთოსანი,[87]
მასპინძლისაგან მოგვრილი
მრავალი განსაცდელისგან
მხოლოდ მათ წინამძღოლს იხსნის.
რადგან დანარჩენ ზღვაოსნებს
შეესვათ სამსალა უკვე.
კერესის ძღვენი გაცვალეს
ღორების საკვებ რკოზე.
არღარა დარჩათ უცვლელი,
დაკარგეს ხმაც და სხეულიც,
შემორჩათ მხოლოდ გონება,
რომ კუთვნილ ხვედრზე იდარდონ.
სუსტია ყველა ბალახი,
ჯადოსნის ხელნიც, რომლებიც
თუმცა გარდაქმნიან სხეულის
ნაწილებს, მაგრამ გულს – ვერა.
თვით ადამიანში სუფევს
მისი შინაგანი ძალა.
უფრო ძლიერია სამსალა,
რომელიც ადამიანებს
თავს აკარგვინებს, სხეულის
დაუზიანებლად გონებას
აყენებს ჭრილობას მძიმეს.

IV. 4.მაშინ მივუგე: «ვაღიარებ, არ იქნება უმართებულო იმის აღნიშვნა, რომ თუმცა შენარჩუნებული აქვთ ადამიანის შესახედაობა, მაგრამ მანკიერნი სულის თვისებებით ცხოველებად არიან ქცეული. არ ვისურვებდი, მათთვის ნებადართული ყოფილიყო ის, რომ თავიანთი გამძვინვარებული და ავისმზრახველი გონება კეთილთა საზიანოდ მიემართათ». «არც არის ნებადართული, – მითხრა, – ამას შესაფერის დროს გიჩვენებ, მაგრამ თუ იმის ნება,

რასაც შენ მათ მიაწერ, ჩამოერთმეოდათ, მაშინ ბოროტმოქმედთა სასჯელიც, უმეტესწილად, შემსუბუქდებოდა. შესაძლოა, ვინმეს მართლაც დაუჯერებლად მოეჩვენოს, მაგრამ ბოროტნი უცილოდ ყველაზე უბედურნი მაშინ არიან, როცა საწადელს აღწევენ, ვიდრე მაშინ, როცა არ ძალუძთ სურვილთა ასრულება. თუ ბოროტების წადილი უბედურებაა, მაშინ უფრო დიდი უბედურება მისი ჩადენის შესაძლებლობაა, რადგან ამის გარეშე ბოროტთა უბედური ნება უშედეგოა. ამგვარად, სამმაგი უბედურებით იტანჯება ის, ვისაც ბოროტება სურს, ხელეწიფება და კიდევაც ჩადის, ვინაიდან თითოეულს თავისი უბედურება ახლავს». «გეთანხმები,» – დავუდასტურე, – მაგრამ ძლიერ მსურს, ბოროტების ჩადენის შესაძლებლობა დათმონ, რათა უბედურება სასწრაფოდ აირიდონ». «აირიდებენ, უფრო სწრაფადაც, ვიდრე შენ გინდა ან ვიდრე თავად წარმოუდგენიათ. არც არის ამგვარი ხანმოკლე ცხოვრების ფარგლებში შესაძლებელი ისეთი რამ, რისი მოლოდინიც ხანგრძლივი იქნება უკვდავი სულისთვის. ბოროტმოქმედებათა დიდ მიზნებსა და გამორჩეულ ხრიკებს ხშირად უეცარი და მოულოდნელი დასასრული სპობს და ამით მანკიერთა უბედურებას ზღვარი ედება, ვინაიდან, თუ სულმდაბლობა ადამიანს აუბედურებს, მაშინ უცილობლად უფრო უბედურია ის, ვინც უფრო ხანგრძლივად სულმდაბლობს. ყველაზე უბედურად კი მაშინ მივიჩნევდი, თუ, საბოლოოდ, მათ ბოროტმოქმედებას სიკვდილიც ვერ დაუწესებდა სამანს. თუ ჩვენი დასკვნა მართებულია, ზნედაცემულთა უბედურება, თუკი ჩარჩოში არ მოექცევა, მარადიული იქნება». ამაზე მივუგე: «უცნაური და ძნელად გასაზიარებელია შენი დასკვნა, მაგრამ ვფიქრობ, შორს არაა იმისგან, რაზეც ადრე შევთანხმდით.»

«სწორად აზროვნებ, – მითხრა მან, – მაგრამ ვინც ყოყმანობს, დასკვნას დაეთანხმოს, ან მისი სიმცდარე უნდა დაასაბუთოს, ან აჩვენოს, რომ წინამდებარე დებულებებიდან ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს. წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი საფუძველი არ ექნება, რომ დასკვნას აუხირდეს. არანაკლებ უცნაურად გამოჩნდება ის, რასაც ვიტყვი, მაგრამ ის წინამდებარე დებულებებიდან გამომდინარეობს», «მაინც რა?» – შევეკითხე. «ის, რომ უზნეონი უფრო ბედნიერი მაშინ არიან, როცა ისჯებიან, ვიდრე მაშინ, როცა არავითარ დამსახურებულ სასჯელს არ იღებენ. არ მოვყვები იმის მტკიცებას, რაც შეიძლება აზრად მოუვიდეს ვინმეს, კერძოდ ის, რომ წამხდარ ზნეს საზღაური ან დასჯის შიში გამოასწორებს, რაც მაგალითი იქნება სხვათათვის, რომ სამარცხვინო საქციელს მოერიდონ. არამედ მივიჩნევ, რომ უზნეონი, რომლებიც დაუსჯელნი დარჩნენ, სხვა მიზეზით არიან უბედური, სასჯელის გამაკეთილშობილებელი ზემოქმედებისა და სხვათათვის კარგ მაგალითად ქცევის გაუთვალისწინებლადაც».

«და რა არის ეს სხვა მიზეზი?» მან კითხვა შემომიბრუნა: «შევთანხმდით თუ არა იმაზე, რომ კეთილი ადამიანები ბედნიერნი, ბოროტნი კი უბედურნი არიან? «ასეა,» – დავუდასტურე. «მაშინ, თუ ვინმეს უბედურებას სიკეთე წაემატება, განა ეს ვიღაც უფრო ბედნიერი არ იქნება იმაზე, ვისი უბედურებაც სუფთა სახითაა, რაიმე სიკეთის შერევის გარეშე?» «ჩანს ასეა». «თუკი ის უბედური ადამიანი, ვინც ყოველგვარ სიკეთეს მოკლებულია, სხვა სიავესაც დაურთავს იმას, რის გამოც უბედურია, განა მისი მდგომარეობა უარესი არაა მისაზე, ვისი ბედუკუღმართობაც სიკეთის თანაზიარობითაა შემსუბუქებული?» «რატომაც არა,» – დავუდასტურე. «მაშ, როცა ისჯებიან უზნეონი, სიკეთის წილს ეზიარებიან, ვინაიდან სასჯელი სამართლის მიხედვით სიკეთეა, ხოლო, როცა სასჯელს გაურბიან, მათში ფეხს იკიდებს რაღაც უარესი ბოროტება, ვინაიდან თავად დაუსჯელობა, როგორც უკვე აღიარე, არის ბოროტება უსამართლობის მიზეზით». «ამას ვერ უარვყოფ». «მაშ, მეტად უბედურნი არიან უზნეონი, როცა მათ დაუსჯელობას უსამართლოდ უწყალობებენ, ვიდრე მაშინ,

როდესაც სამართლიანად ისჯებიან. ცხადია, მათი დაუსჯელობა უსამართლოა, დასჯა – სამართლიანი». «ამას ვინ უარყოფს?» «ვერც იმას უარყოფს ვინმე, რომ სიკეთეა ყოველივე ის, რაც სამართლიანია, ხოლო ამის საპირისპიროდ, რაც უსამართლოა – ბოროტებაა». ვუპასუხე, რომ ეს ნათელია. შემდეგ განვაგრძე: «ეს აზრი გამომდინარეობს იქიდან, რაც ცოტა ხნის წინ დავასკვენით, მაგრამ მსურს შეგეკითხო: შენი აზრით, რჩება თუ არა სულისთვის რაიმე სასჯელი სხეულის მოკვდინების შემდგომ?» «მძიმე სასჯელს იწვნევენ. ზოგი მათგანი, ვფიქრობ, სასჯელს ექვემდებარება, ზოგი გულმოწყალე განწმენდას. მაგრამ ახლა ამის განხილვას მიზნად არ ვისახავ. მსჯელობა ისე წარვმართეთ, რომ შენთვის ცხადი გამხდარიყო, ბოროტ ადამიანთა ძალა, რასაც მათთვის შეუფერებლად მიიჩნევ, სინამდვილეში რომ არაფერს წარმოადგენს და გვერდს რომ ვერ უვლიან სასჯელს დანაშაულისთვის ისინი, ვისი დაუსჯელობაც დაიჩივლე. უნდა გესმოდეს, რომ მათი თვითნებობა, რომლის მალევე დასრულება ისურვე, ხანგრძლივი სულაც არაა და რაც უფრო მეტ ხანს გასტანს, მით მეტად აუბედურებს ადამიანს, ხოლო თუ მარადიულად გაგრძელდება, ეს ყველაზე დიდი უბედურება იქნება. ამის შედეგად, თუ უზნეონი სასჯელს უსამართლოდ აირიდებენ, უფრო დაიტანჯებიან, ვიდრე სამართლიანი საზღაურის მიღებისას. აქედან გამომდინარე, უფრო მძიმედ ისჯებიან იმ დროს, როცა თავს დაუსჯელად მიიჩნევენ».

მაშინ ვუთხარი: «როცა შენს მსჯელობას ვისმენ, ვფიქრობ, რომ არაფერია მასზე უფრო ჭეშმარიტად ნათქვამი. მაგრამ ადამიანურ განსჯას რომ დავუბრუნდე, ვინ იქნება ისეთი, ვისაც ეს არა თუ დაუჯერებლად, არამედ გაუგონრადაც არ მოეჩვენება?» «ასეა, – მიპასუხა, – ბნელს შეჩვეულ თვალებს არ ძალუძთ ჭეშმარიტების კაშკაშა სინათლეს უსწორდნენ, მსგავსად ფრინველებისა, რომელთა მზერა ნათელია ღამით, ხოლო დღისით მრუმედმხედველნი არიან. ვინც თვალყურს ადევნებს საკუთარ ვნებებს და არა საგანთა კანონზომიერებას, ის დანაშაულის ჩადენის თავისუფლებასა და დაუსჯელობას ბედნიერებად მიიჩნევს.

მაშ, დააკვირდი, რას აცხადებს მარადიული კანონი: თუ სულს უკეთესი ზრახვების მიხედვით მოაწესრიგებ, ჯილდოს მისაღებად მსაჯული აღარ დაგჭირდება. თუ უარესისკენ გადაწონი, ნურც მაშინ ელი გარედან სასჯელს, ვინაიდან თავად იგდებ თავს უარეს დღეში. თუ რიგრიგობით გახედავ ჯერ ჭუჭყიან მიწას, შემდეგ კი ზეცას და ყველა გარეგან ფაქტორს უგულებელყოფ, მხედველობა მოგაჩვენებს, რომ ხან ტალახში ხარ, ხან – ვარსკვლავებთან. მაგრამ ხალხს ეს არ ესმის. მაშ, რა ვქნათ, ხომ არ დავემსგავსებით იმათ, ვინც, როგორც ცხადვყავით, ცხოველთა მსგავსნი არიან? როცა ვინმე თვალისჩინს კარგავს და ავიწყდება, რომ ოდესღაც ის ჰქონდა, ფიქრობს, რომ ადამიანურ სისრულემდე არაფერი აკლია. ნუთუ ჩვენ, თვალხილულებმა, საგნებზე ისევე უნდა ვიაზროვნოთ, როგორც ეს ბრმა აზროვნებს? თუმცა მტკიცე არგუმენტებითაა გამყარებული, მაგრამ ხალხი მაინც არ იწყნარებს მოსაზრებას, რომ ვინც ჩადის უსამართლობას, უბედურია იმაზე მეტად, ვინც ამ უსამართლობას დაითმენს». «ვისურვებდი ამ არგუმენტების მოსმენას». «უარყოფ იმას, რომ ყველა დამნაშავე სასჯელის ღირსია?» «არა,» – ვუპასუხე «ხოლო ვინც დამნაშავეა, მრავალი მიზეზის გამო უბედურია.» «ასეა,» – დავუდასტურე. «უდავოა, რომ ვინც სასჯელს იმსახურებს, უბედურია?» «ასე გამოდის». «შენ რომ ახლა მოსამართლედ იჯდე, ვის დასჯას იფიქრებდი, იმის, ვინც უსამართლობა ჩაიდინა, თუ იმის, ვინც გადაიტანა?» «უყოყმანოდ ვაზღვევინებდი ბოროტების ჩამდენს დაზარალებულის წინაშე» «მაშინ უსამართლობის მოქმედი უფრო შესაბრალისი გამოჩნდებოდა, ვიდრე მისი მსხვერპლი» «ასეა,» – მივუგე «ამ და სხვა მიზეზთაგან, რომლებიც ამავე საფუძველს ეყრდნობა, მჟღავნდება, რომ უკეთურებას, თავისი

ბუნებიდან გამომდინარე, ადამიანისთვის უბედურება მოაქვს, ხოლო ჩადენილი უსამართლობა აუბედურებს არა მსხვერპლს, არამედ დამნაშავეს.

მაგრამ სასამართლოს ორატორები ამის საწინააღმდეგოდ იქცევიან, ცდილობენ მოსამართლეებს სიბრალული აღუძრან მათ მიმართ, ვინაც მძიმე და სასტიკი ბოროტმოქმედება იწვნია. უფრო სამართლიანი იქნებოდა, ამ დანაშაულის ჩამდენთა მიმართ აღძროდათ სიბრალული. ბრალმდებლებმა ისინი განაჩენამდე უნდა მიიყვანონ არა რისხვით, არამედ მოწყალებით, როგორც ავადმყოფი ექიმთან, რათა მათი დანაშაული, როგორც დაავადება, სასჯელით განიკურნოს. ამგვარი შეთანხმებით, დამცველთა საქმიანობა ან სრულად უნდა გაჩერდეს, ან თუ ადამიანთათვის სარგებლობის მოტანა სურთ, ბრალმდებლის საქმიანობაში გადავიდეს. თავად უკეთურებს საშუალება რომ ჰქონდეთ, რაიმე ჭუჭრუტანიდან თვალი მოჰკრან ჭეშმარიტებას, რომელსაც ზურგი აქციეს, ნახავდნენ, როგორ ჩამოშორდებოდათ ბოროტმოქმედების ჭუჭყი სასჯელის დათმენით. ტანჯვას, სიკეთესთან მიახლებით რომ აუნაზღაურდებოდათ, სასჯელადაც აღარ ჩათვლიდნენ. დამცველის მომსახურეობაზეც უარს იტყოდნენ და თავს სრულად გადასცემდნენ ბრალმდებლებსა და მოსამართლეებს. ამიტომაცაა, რომ ბრძენკაცთა შორის სიძულვილის ადგილი არ არის. განა ვის სძულს კეთილი, თუ არა სულელს? ბოროტთა სიძულვილი კი საფუძველსაა მოკლებული. როგორც სხეულს აქვს თავისი დაავადებები, ისე მანკიერება სულის სნეულებაა. და თუ ფიზიკურად ავადმყოფ ადამიანს, მივიჩნევთ სიბრალულის და არა სიძულვილის ღირსად, ისინი, ვის სულსაც ყველაზე საშინელი სნეულება – უკეთურება სტანჯავს, მით უფრო იმსახურებენ სიბრალულს და არავითარ შემთხვევაში – დევნას.

IV. 4 (v).ადამიანებს მღელვარება რად სურთ, რომ აღძრან,
თავისი ხელით ბედისწერა გამოიწვიონ?
სიკვდილს დაეძებ? იგი მოვა თავისი ნებით,
მის ფრთოსან რაშებს დაყოვნება წესად არა აქვთ.
ის, ვისაც გველი, ტახი, დათვი, ლომი და ვეფხვი
საკბილოდ ეძებს, თავისნაირს ხმლით ემტერება.
განსხვავებული ადათ-წესი რადგან აქვთ ხალხებს, –
გააჩაღებენ უსამართლო და სასტიკ ომებს,
ეშურებიან, ერთმანეთი შუბით განგმირონ.
არ აქვს საბაბი სისასტიკეს, რომ გაამართლო.
დამსახურების საზღაური თუ გსურს მიიღო,
გიყვარდეს სათნო და ბოროტი გებრალებოდეს.

IV. 5.მაშინ მივუგე: «ვხედავ, რომ ბედნიერება თუ უბედურება თავად პატიოსან ან უპატიოსნო კაცთა ღვაწლში მდგომარეობს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მასში, რასაც ხალხი ბედნიერებად მიიჩნევს, რაღაც კარგიცაა და ცუდიც. მართლაც არც ერთი ჭკუათმყოფელი არ ისურვებს განდევნას, უსახსრობასა და სახელის გატეხას ისე, როგორც პატივსა და დიდებას, ძლევამოსილებას და ზეობას საკუთარ ქალაქში. უფრო ნათლად და მკაფიოდ იკვეთება სიბრძნის ვალი, როცა მმართველთა ნეტარება როგორმე მათზე დაქვემდებარებულ ხალხებზეც ვრცელდება. განსაკუთრებით მაშინ, თუ ციხე, სიკვდილი და სხვა კანონიერი სასჯელით აღძრული სატანჯველი ერგებათ უფრო მეტად დამნაშავე მოქალაქეებს, რომელთა გამოც ისინი მოიგონეს. ძლიერ მაოცებს, თუ რატომ ხდება პირიქით და ბოროტთათვის კუთვნილი სასჯელი რატომ ატყდება თავს კეთილ ადამიანებს, ხოლო ღირსეულთა ჯილდოს

უღირსნი ითვისებენ. მსურს შენგან გავიგო, რა არის ასეთი უსამართლო აღრევის მიზეზი. ნაკლებად გავოცდებოდი, თუ დავიჯერებდი, რომ უნებლიე შემთხვევითობას მოჰყავს მოძრაობაში ყოველივე, მაგრამ ის ფაქტი, რომ ყველაფერს ღმერთი განაგებს, ჩემს გაკვირვებას კიდევ უფრო აძლიერებს. ის, ვინც კეთილ ადამიანებს – შვება, ბოროტებს კი სატანჯველი უნდა მიაგოს, ამის საწინააღმდეგოდ ხშირად მკაცრად სჯის კეთილშობილთ, ბოროტებს კი მათთვის სასურველს ანიჭებს. თუ ეს შემთხვევითობა არ არის, მაშ სხვა რა შეიძლება იყოს?» «გასაკვირი არაა, თუ ვინმეს, ვინც არ იცნობს გონისმიერ წესრიგს, შემთხვევითობის და აღრევის სჯერა, თუმცა რომც ვერ სწვდებოდე ამგვარი წესრიგის მიზეზს, მაინც ნუ დაეჭვდები იმაში, რომ ყველაფერი სწორად მიმდინარეობს, ვინაიდან სამყაროს კეთილი მმართველი განაგებს».

IV. 5 (v).მას, ვინაც არ იცის ის, რომ არქტურუსი
მოძრაობს ზესკნელის უმაღლეს წერტილზე,
უკვირს, თუ ვით ძალუძს სწრაფად ამობრწყინდეს
ბოოტესს, შვიდ ვარსკვლავს ნელა რომ მიჰყვება
და გვიან რომ ძირავს სხივკონებს ტალღებში,[88]
აცბუნებს შორეულ ეთერის კანონი.
მთვარის დაბნელების ჟამი რომ მოაწევს
და მნათობს უკუნი აქცევს მარწუხებში,
გამოანათებენ ცაზე ვარსკვლავები,
მათ მთვარის სხივები ვეღარ გადაფარავს.
ეს მრავალ უმეცარ ტომს ძლიერ აძრწუნებს,
სცემენ განუწყვეტლად სპილენძის დაფდაფებს.[89]
კორუსის ქროლვა კი არავის აოცებს,
ტალღებს რომ ანარცხებს ზღვის ნაპირს ხმაურით,
არ უკვირთ, ფებუსის მცხუნვარე სხივები
გაყინულ თოვლის შვავს ლანქერად რომ აქცევს.
მიწიერ მიზეზებს ადვილად სწვდებიან,
ზეცის შეუცნობი მიზეზნი აშფოთებთ.
რაც კი რამ ამქვეყნად ხდება იშვიათად
და მოულოდნელად, ხალხსაც ის აოცებს.
მაგრამ თუ გაქრება ნისლი უმეცრების,
მაშინ სასწაულად არრა გამოჩნდება.

IV. 6. «სწორედ ასეა, – მივუგე, – მაგრამ, ვინაიდან შენი ამოცანა უხილავ საგანთა მიზეზების ახსნა და ბურუსით დაფარული აზრების სააშკარაოზე გამოტანაა, ამიტომ გთხოვ, მათში მეც გამარკვიო და რადგანაც ეს სასწაული მეტად მაღელვებს, დაწვრილებით ამიხსნა იგი.» მაშინ მან ოდნავ გაიღიმა და თქვა: «შენი თხოვნა მომიწოდებს არსებულ საგანთა შორის ყველაზე აღმატებულზე სასაუბროდ და იგი თითქმის ამოუწურავია. ვინაიდან ასეთი ბუნება აქვს: როცა ერთ ეჭვს მოსპობ, სხვა მრავალი აღმოცენდება ჰიდრას თავების[90] მსგავსად და მათ რიცხვს საზღვარი არ ექნება, თუ გონების უცხოველესი ცეცხლით არ დაწვავ. მის გასააზრებლად საჭიროა განგების სისადავის, ბედისწერის უწყვეტი ჯაჭვის, უნებლიე შემთხვევითობის, ღვთიური ცოდნისა და წინასწარგანზრახულობის, არჩევანის თავისუფლების საკითხები გამოვარკვიოთ. თავად განსაჯე, რაოდენ მძიმეა ეს საკითხები. მაგრამ, რადგან მათი ცოდნა შენი მკურნალობის ნაწილია, თუმცა კი დროში შეზღუდულნი ვართ, მაინც შევეცდები

როგორმე გესაუბრო მათზე. როგორადაც არ უნდა გაამებდეს სიმღერათა სიტკბოება, გიჯობს სიამოვნება გვერდზე გადადო, სანამ აზრებს რიგრიგობით თავს არ მოვუყრი.» «როგორც გენებოს,» – მივუგე.

მაშინ მან საუბარს თითქოს ახალი სათავე მოუნახა და მსჯელობა ასე დაიწყო: «ყოველივე არსებულის დასაბამს, მთელი ცვალებადი ბუნების განვითარებას და ნებისმიერ რაიმეს, რაც მოძრაობს, თავიანთ მიზეზებს, წესრიგსა და ფორმას ღვთაებრივი გონი უწილადებს. იგი იმყოფება თავისი სისადავის ციტადელში და ყოველგვარ ქმედებას მრავალნაირ ზღვარს უწესებს. როცა ამ ზღვარს თავად ღვთაებრივ გონში განვიხილავთ, მას განგება ეწოდება, მაგრამ როცა უკავშირდება იმ საგნებს, რომლებსაც აღძრავს და ანაწილებს, ეს უკვე ბედისწერაა, როგორც მას წინაპრები უწოდებდნენ. განგება და ბედისწერა სხვადასხვა რამ რომაა, ამას ადვილად მიხვდებით, თუ თითოეულის შესაძლებლობას გონების თვალით შევხედავთ. განგება – ესაა თავად ღვთაებრივი გონი, რომელიც ყოველივეს სათავეში უდგას და ანაწილებს, ხოლო ბედისწერა ცვალებად საგანთათვის ნიშანდობლივი წესრიგია, რომლის მეშვეობითაც განგება მათ თავიანთი რიგის მიხედვით კრავს. განგება თანაბრად მოიცავს ყოველივეს, როგორი განსხვავებულიც არ უნდა იყოს ან როგორი უსასრულოც. ხოლო როცა თავის დროსა და ადგილში ნაწილდება და შესაბამის ფორმას იღებს, იგი უკვე ბედისწერას მოჰყავს მოწესრიგებულ მოძრაობაში. ასე, რომ დროითი წესრიგის ეს განტოტება, გაერთიანებული ღვთაებრივ გონში, არის განგება. ხოლო იმავე გაერთიანებას, რომელიც დროში იშლება და ნაწილდება, ბედისწერა ეწოდება.

თუმცა ესენი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მაინც ერთი მეორეზე არიან დამოკიდებული. ბედისწერისეული წესრიგი განგების სისადაავიდან იღებს სათავეს. მსგავსად ოსტატისა, რომელიც ჯერ გონებაში ჭვრეტს იმ საგნის ფორმას, რომლის შექმნასაც აპირებს, შემდეგ შეუდგება თავისი საქმის აღსრულებას და ის, რაც ერთბაშად იხილა მარტივი სახით, დროით წესრიგში თანდათან გადმოაქვს, ღმერთიც მას, რაც განსახორციელებელია, კერძო და უცვლელი სახით განგების მეშვეობით აწესრიგებს, ხოლო იმავეს, რაც განგებამ მოაწესრიგა, მოქცეულს დროსა და მრავალგვარ ფორმაში, ბედისწერის მეშვეობით ამოქმედებს. და მნიშვნელობა არა აქვს, ბედისწერას ამოძრავებს ღვთაებრივი სულები, რომლებიც განგებას ემსახურებიან, თუ სამყაროს სული; ბედისწერის ჯაჭვს კრავს მთელი ბუნება, ცაზე მოძრავი ვარსკვლავები, ანგელოზთა ძალა თუ დემონთა ნაირგვარი ხრიკები; რომელიმე მათგანი, თუ ყველა ერთად, ერთი რამ ნამდვილად ცხადია: განგება – ესაა მარტივი და უცვლელი ფორმა ყოველივე იმისა, რაც განსახორციელებლადაა გამიზნული, ხოლო ბედისწერა – ცვალებადი კავშირი და დროითი წესრიგი იმ საგნებისა, რომლებიც ღვთაებრივმა სისადავემ განხორციელებისთვის გამიზნა.

ამგვარად, ყოველივე, რაც ბედისწერას მორჩილებს, მორჩილებს განგებასაც, რომელსაც ექვემდებარება თავად ბედისწერაც. თუმცა ზოგიერთი რამ, რაც განგებას ემორჩილება, ბედისწერის ჯაჭვზე მაღლა დგას. ესენი სწორედ ის არსნი არიან, რომლებიც უზენაეს ღვთაებრიობასთან მტკიცედ მიერთებულნი ცვალებადი ბედისწერის წესრიგს ემიჯნებიან. ისევე, როგორც სფეროები, რომლებიც ერთსა და იმავე წერტილის გარშემო მოძრაობენ და რომელი მათგანიც უფრო სიღრმეშია, ის მეტადაა დაახლოებული ცენტრის მარტივ მოძრაობასთან და დანარჩენი გარეთ მდებარე სფეროებისთვის თავად იქცევა ცენტრად, რომლის გარშემოც ისინი მოძრაობენ. ყველაზე განაპირა უფრო დიდ წრეზე ბრუნავს და რამდენადაც დაშორდება დაუნაწევრებელი შუაწერტილიდან, იმდენად დიდ სივრცეს

მოივლის. და თუ რომელიმე შეუერთდება და შეერწყმება ცენტრს, მის სისადავეში მოექცევა და აღარც დაიშლება და დაიფანტება. ამის მსგავსად, რაც მეტადაა რაიმე პირველსაწყისი გონიდან დაშორებული, მით მეტადაა ბედისწერაზე მიჯაჭვული და რაც უფრო ახლოსაა ყოველივე არსებულის მწვერვალთან, მით უფრო თავისუფალია ბედისწერისგან, ხოლო რაც მყარად მიუერთდება უმაღლეს გონს, თავადაც უძრავი გახდება და ბედისწერით გამოწვეულ აუცილებლობასაც გადალახავს. მაშასადამე, რასაც განსჯა წარმოადგენს ცოდნისთვის, წარმოქმნილი არსებულისთვის, დრო – მარადისობისთვის, წრე – შუაწერტილისთვის, იმასვე წარმოადგენს ბედისწერის მოძრავი ჯაჭვი განგების მარტივი უძრაობისთვის. ბედისწერის ეს ჯაჭვი ამოძრავებს ზეცასა და ვარსკვლავებს, ნაწილაკებს თავიანთი წესრიგის მიხედვით კრავს და ურთიერთშენაცვლების გზით გარდაქმნის. ის განაახლებს ყოველივეს რაც იბადება და კვდება, მათივე მსგავსი თესლისა და შთამომავლობის განვითარებით. იგი ადამიანთა ქმედებებსა და ბედს დაურღვეველი კავშირი იჭერს და რადგანაც იგი უძრავი განგებიდან იღებს სათავეს, თავადაც აუცილებლად უცვლელი უნდა იქნეს. ამგვარად, სამყარო ყველაზე კარგად მაშინ იმართება, როცა ღვთაებრივ გონში არსებული სისადავე წარმოშობს მიზეზთა გარდაუვალ წესრიგს. ეს წესრიგი თავისი უცვალებლობით აკავებს ცვალებად საგნებს, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, ალალბედზე გაიფანტებოდნენ.

ამიტომაცაა, რომ თქვენ, ვისაც არ შეგიძლიათ ამ წესრიგის გაგება, ყოველივე არეულად და მოუწესრიგებლად გეჩვენებათ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველივეს თავისი ზღვარი აწესრიგებს და სიკეთისკენ წარმართავს. არაფერია ისეთი, რაც ბოროტების მიზეზით ხდება, თუნდაც თავად უზნეოთა მიერ. ისინი, როგორც უკვე საკმაოდ სრულად ვაჩვენეთ, სიკეთის მაძიებლები არიან, მაგრამ უმართებულო შეცდომის წყალობით გზას ასცდნენ. უმაღლესი სიკეთის მწვერვალიდან მომდინარე წესრიგი ხომ თავისი საწყისიდან არავის გადაახვევინებს. მაგრამ მკითხავ: იმაზე უფრო უსამართლო აღრევა რა შეიძლება იყოს, როცა კეთილი ადამიანები ხან ტანჯვას იმკიან, ხან – შვებას და ბოროტი ადამიანებიც, ასევე, ხან იმას იღებენ, რაც სურთ, ხან იმას, რაც ეჯავრებათ? მაგრამ განა ადამიანების განსჯა ისეთი შეუცდომელია, რომ ვისაც პატიოსნად ან უზნეოდ მიიჩნევენ, ისინი მართლაც ასეთები არიან? ადამიანთა აზრი ხომ აქაც ურთიერთსაპირისპიროა და სასჯელის ღირსად მიიჩნევს ზოგი იმას, ვინც, სხვების აზრით, ჯილდოს იმსახურებს.

მოდი, შევთანხმდეთ, რომ ვიღაცას შესწევს ძალა კეთილი და ბოროტი ერთმანეთისგან განასხვაოს. მაგრამ შეძლებს კი იგი ჩასწვდეს სულის შინაგან ჰარმონიას, როგორც ამას სხეულის შემთხვევაში ამბობენ ხოლმე?. ეს შემთხვევა არ განსხვავდება იმისგან, როცა უმეცარს სასწაულად ეჩვენება, თუ რატომ სჭირდება სხეულის სიჯანსაღისთვის ერთს – ტკბილი, მეორეს კი მწარე, ანდა ის, თუ რატომაა ზოგი ავადმყოფისთვის სასარგებლო მსუბუქი სამკურნალო საშუალება, ზოგისთვის კი ძლიერმოქმედი. მაგრამ იმ მკურნალს, რომელიც სიჯანსაღისა და სნეულების ზნესა და ხასიათს იცნობს, ეს სრულიადაც არ აკვირვებს. ხოლო რა შეიძლება იყოს სულისთვის სხვა სიჯანსაღე, თუ არა პატიოსნება და სხვა სნეულება, თუ არა მანკიერება? და ვინ არის კეთილთა შემწე და ბოროტთა მდევნელი, თუ არა ღმერთი – გონებათა გამრიგე და მკურნალი? როცა ის განგების მაღალი ციტადელიდან იმზირება, უწყის, რაც მიესადაგება თითოეულს და სწორედ იმით უზრუნველყოფს, რაც უწყის, რომ მათ მიესადაგება. სწორედ აქედანაა ბედისწერისეული წესრიგის ეს აღსანიშნავი სასწაული, რომელსაც ახდენს მცოდნე უფალი და რომელიც უცოდინარს თავგზას უბნევს.

თვალი რომ შევავლოთ ღვთაებრიობის სიდიადეს იმ მცირედი შესაძლებლობით, რომელიც ადამიანის გონებას გააჩნია, გამოჩნდება, რომ მას, ვინც ყველაზე სამართლიანად და თანასწორობის უდიდეს დამცველად მიგაჩნია, განგება, რომელმაც ყველაფერი უწყის, სხვაგვარად აფასებს. როგორც ჩვენთან დაახლოებულმა ლუკანოსმა[91] თქვა – გამარჯვებულმა მიზეზმა ღმერთებს აამა, დამარცხებულმა – კატონს.[92] ამიტომ, თუ გეჩვენება, რომ რაღაც შენი მოლოდინის საპირისპიროდ ხდება, სინამდვილეში სწორად მიმდინარეობს, ხოლო მცდარი და აღრეული შენს წარმოდგენაშია. დავუშვათ, არის ვინმე ისეთი ზნეკეთილი, რომ მას თანაბრად აფასებს როგორც ღვთაებრივი, ისე – ადამიანური განსჯა, მაგრამ ხასიათის სიმტკიცით არ გამოირჩევა და თუ რაიმე გასაჭირი თავს დაატყდება, შეწყვეტს ზრუნვას უმანკოებაზე, რომლის მეშვეობითაც ბედკეთილობას ვეღარ ინარჩუნებს. ამგვარად გონივრული განმგებლობა დაიცავს მას, ვინც შესაძლოა უბედურებამ უარეს ადამიანად აქციოს, ან მას, ვისაც სიძნელეთა გადატანა არ შეუძლია. არის ისეთიც, რომელიც ყოველგვარ სიქველეში განსრულებული, წმინდაა და ღმერთთან მიახლოებული. განგება მიიჩნევს, რომ არასწორი იქნება, ასეთ ადამიანს რაიმე განსაცდელი შეემთხვეს, ისე, რომ სნეულებებსაც არ რთავს მისი შეშფოთების ნებას. როგორც აღნიშნა მავანმა, ჩემზე უფრო აღმატებულმა: «’Ανδρὸς δη ‘ιερου δέμας α’ιθέρες ο’ικοδόμησαν»[93] ამიტომაც, სახელმწიფოს მართვის სადავეები ხშირად გადაეცემა კეთილ ადამიანებს, რათა მომძლავრებული უზნეობა შეაკავონ. ზოგ ადამიანს განგება ნარევ ხვედრს არგუნებს, მათი სულიერი თვისებების მიხედვით, ზოგს ამწარებს, რათა ხანგრძლივმა ბედნიერებამ არ გაანებივროს. ზოგისთვის მკაცრ სასჯელს უშვებს, რათა მათი სულიერი სიქველე წრთობისა და გამოცდილების მეშვეობით განმტკიცდეს. ზოგიერთ ადამიანს ზომაზე მეტად ეშინია იმის, რისი გადატანაც შეუძლია, სხვები კი არად აგდებენ იმას, რისი დათმენის ძალაც არ შესწევთ. მათ ტანჯვის გზით სძენს გამოცდილებას. არაერთმა ადამიანმა ამქვეყნიური დიადი სახელი სიკვდილის ფასად მოიხვეჭა, ზოგმა კი სასჯელთა წინაშე გაუტეხელობით აჩვენა იმის მაგალითი, რომ ბოროტება სიქველეს ვერ ძლევს. უდაოა, რომ ყოველი ამგვარი ხვედრი სწორად, მოწესრიგებულად და იმის სასიკეთოდაა, ვისაც ერგება. ამავე მიზეზით ხდება ისიც, რომ უღირსი ადამიანები ზოგჯერ იმას იღებენ, რაც ამწუხრებთ, ზოგჯერ – იმას, რაც სურთ. მათი მწუხარება არავის აოცებს, რადგან ყველას მიაჩნია, რომ ამას თავიანთი ბოროტების გამო იმკიან. ხოლო მათი სასჯელი ემსახურება იმასაც, რომ სხვებმა ზურგი აქციონ ბოროტებას და იმასაც, რომ გამოსწორდნენ ისინი, ვინც ეს ჩაიდინეს. მათი სიხარული კი, კეთილ ადამიანებს იმის საბუთად წარმოუდგებათ, თუ რა შეხედულება უნდა ჰქონდეთ იმგვარ ბედნიერებაზე, რომელსაც ხშირად უზნეოთა სამსახურში ხედავენ. არის კიდევ ერთი რამ, რაც, ჩემი აზრით, ასევე მოწესრიგებულია: თუ ვინმე ბუნებით ისეთი უხეში და სულსწრაფია, რომ არქონას შეუძლია მას ბოროტებისკენ უბიძგოს, მის ამ სნეულებას განგება დაგროვებული ფულის საშუალებით კურნავს. როცა მავანი ხედავს თუ როგორაა მისი სინდისი სამარცხვინო ქმედებებით დამძიმებული. ამგვარად, იგი იცვლის ზნეს და სანამ უფრთხის ბედნიერების დაკარგვას, უზნეობას თავს ანებებს. თავის ბედზე ჩაფიქრებულს შესაძლოა შეეშინდეს, რომ იმის დაკარგვა, რაც მას სიამოვნებას ანიჭებს, მწუხარებას მოუტანს. სხვებს ბედნიერების ბოროტად გამოყენებამ დამანგრეველი ხვედრი არგუნა. ზოგს სხვათა დასჯის უფლება მიენიჭა იმ მიზნით, რომ კეთილი ადამიანები განემტკიცებინა და ბოროტები დაესაჯა. როგორც არავითარი კავშირი არაა უზნეოთა და პატიოსანთა შორის, ისე ვერც უზნეონი თანხმდებიან საკუთარ თავთან. ან როგორ იქნებიან, როცა თითოეულს დანაშაულთაგან დაგლეჯილი სინდისის გამო საკუთარ თავთან უთანხმოება აქვს და ხშირად აკეთებს იმას, რის გაკეთებასაც შემდეგ ნანობს.

აქედან გამომდინარე, უმაღლეს განგებას ხშირად წარმოუჩენია სასწაულებრივი ნიშანი იმისა, თუ როგორ გაუკეთილშობილებიათ ბოროტებს სხვა ბოროტი ადამიანები. ვინაიდან სანამ უკეთურთაგან დაითმენენ უსამართლობას, დამნაშავეთა სიძულვილით ანთებულები უბრუნდებიან სიქველეს და ცდილობენ იყვნენ განსხვავებულები მათგან, ვინც სძულთ. მხოლოდ და მხოლოდ ღვთაებრივი ძალაა ის, რისთვისაც ცუდიც შეიძლება კარგი იყოს, როცა მას შესაფერისად იყენებს და მისგან კარგ შედეგს იღებს. ვინაიდან ღვთაებრივი წესრიგი ყველაფერს ისე ანაწილებს, რომ თუნდაც მიატოვოს რაიმემ ამ წესრიგში მისთვის კუთვნილი ადგილი, იგი მაინც უბრუნდება წესრიგს, თუმცა განსხვავებულს, რათა განგების საუფლოში ყოფნის ნება შემთხვევითობას არ მიეცეს. ‘αργαλέον δέ με ταυτα θεὸν ‘ως πάντ’ ‘αγορευσαι[94] ადამიანისთვის არცაა შესაძლებელი, რომ ღვთაებრივი შემოქმედების ყოველგვარი მოწყობილობა თავისი გონების შესაძლებლობით მოიცვას ან სიტყვებით გადმოსცეს. საკმარისია მხოლოდ იმის გაგება, რომ ღმერთი, მთელი სამყაროს შემოქმედი, ყოველივეს განკარგავს და სიკეთისკენ წარმართავს. და ვიდრე იგი ესწრაფვის თავის მსგავსებაში შეინარჩუნოს ყოველივე, რაც შექმნა, ბოროტებას ბედისწერის გარდაულახავი ჯაჭვით აძევებს თავისი სამეფოს საზღვრებიდან. ამიტომ ყურადღებით თუ დააკვირდები ყოველივეს მომწესრიგებელ განგებას, მაშინ ბოროტებასაც არად ჩააგდებ, მაგრამ ვხედავ, რომ ამ საკითხის სიმძიმით დათრგუნული და მსჯელობის ხანგრძლივობით დაქანცული მოელი სიმღერის სიტკბოებას. მაშ, შესვი შენი სასმისი, რათა მისი მეშვეობით განახლებულმა წინსვლა განაგრძო.

IV. 6 (v).თუ გსურს ნათელი გონებით ჩასწვდე
კანონებს დიდი მეხთამტყორცნელის[95],
ახედე ზეცის უმაღლეს წერტილს.
იქ ვარსკვლავები მტკიცე კავშირით
ოდინდელ წესრიგს ინარჩუნებენ.
მზეს კი აჩქარებს ცეცხლის ბორბალი,
მაგრამ ცივ მთვარეს არ ეღობება.
შვიდი ვარსკვლავი ყველაზე მაღლა
ამ სამყაროში მისდევს თავის გზას.
თავად არ ნებავს სხივნი ჩაბიროს
დასავლეთის ზღვის ტალღებში[96], თუმცა
ჭვრეტს სხვა ვარსკვლავებს, როს ეშვებიან.
დროის ერთსა და იმავე ცვლისას
ვესპერი გვამცნობს ბინდის დადგომას,
მაგრამ აბრუნებს დღეს ლუციფერი.
და სიყვარული აახლებს მხოლოდ
მარად წრებრუნვას. განხეთქილება
ვარსკვლავეთიდან განდევნილია.
სამართლიანი ზღვარით წარმართავს
ეს ჰარმონია კერძო ნაწილებს.
თანმიმდევრობით გადაინაცვლებს
სიცხე ყინვასთან და სველთან მშრალი.
სიმაღლისაკენ მიილტვის ცეცხლი,
სიმძიმე მიწას ძირს ეზიდება.
გაზაფხულისას ამავ მიზეზით

სითბოს ყვავილთა სურნელი მოაქვს.
ზაფხულში ღვივის კერესის ძღვენი,
შემოდგომა კი გვატკბობს ხეხილით
და წვიმა ალტობს მიწას ზამთარში.
რაც კი სულდგმულობს ამქვეყნად, ყოველს
ჟამთაცვლა ბადებს და ასაზრდოებს.
საბოლოოდ კი თუ რამ შობილა,
ყოველიერი თან მიაქვს სიკვდილს.
შემოქმედი კი ამ დროს მაღლიდან
სამყაროს მართავს მტკიცე სადავით.
იგი არს მეფე და მბრძანებელი,
სათავე, წყარო, თავად კანონი,
სამართლიანად განმსჯელი, ბრძენი.
გზააბნეულად რაც კი მოძრაობს
იგი აკავებს და განამტკიცებს.
თუკი სწორ გზაზე არ დააყენებს,
რაც კი მორჩილებს ამ მტკიცე წესრიგს,
საწყის მოსწყდება და დაემხობა.
აქ სიყვარული არის საერთო,
სიკეთის ზღვარში რომ აქცევს ყოველს,
რაც კი სხვაგვარად ვერ იარსებებს,
თუ კვლავ სიკეთეს არ დაუბრუნდა
მისი საწყისი და მიზეზები.

IV. 7.»ახლა ხომ ხედავ, რა გამომდინარეობს ყოველივე იქიდან, რაზეც ვისაუბრეთ?» «მაინც რა?» – შევეკითხე. «ის, რომ ყოველნაირი ფორტუნა მართლაც კეთილია». «მაგრამ ეს როგორაა შესაძლებელი?» «ყურადღებით დააკვირდი, – მითხრა მან, – ვინაიდან ყოველგვარი ფორტუნა, გინდა საამო, გინდ უამური, მოქმედებს ან კეთილ ადამიანთა დაჯილდოებისა და გამოწრთობის, ან ბოროტთა დასჯისა და გამოსწორების მიზნით. მაშ, ყოველი ხვედრი სიკეთეა, ვინაიდან დადგინდა, რომ იგი ან სამართლიანია, ან – სასარგებლო». «მეტად მართებული მსჯელობაა, – ვუთხარი, – და თუ დავფიქრდები განგებაზე, რომლის შესახებაც ცოტა ხნის წინ განმანათლე ან ბედისწერაზე, აზრი მტკიცე საფუძველზე იქნება დამყარებული. მაგრამ, თუ თანახმა ხარ, მოდი ამასაც მივუჩინოთ ადგილი იმ საკითხთა შორის, რომლებსაც ცოტა ხნის წინ შეუცნობლად განიხილავდი». «რატომ?» – შემეკითხა. «იმიტომ, რომ ადამიანები საუბრისას ამბობენ ხოლმე და საკმაოდ ხშირადაც, რომ მავანს ცუდი ბედი აქვს». მან კი მითხრა: «ხომ არ გსურს, ცოტა ხნით ბრბოს განსჯას მივუახლოვდეთ, რათა თითქოსდა ადამიანურ ჩვეულებათაგან მეტისმეტად დაშორებულნი არ გამოვჩნდეთ?» «როგორც გენებოს». მიგაჩნია სიკეთედ ის, რაც სასარგებლოა?» «ასეა,» – დავუდასტურე. «ხოლო ის, რაც გამოწრთობასა თუ გაკეთილშობილებას ემსახურება, ხომ სასარგებლოა?» «გეთანხმები,» – მივუგე. «მაშასადამე სიკეთეცაა?» «სხვაგვარად როგორ იქნება?» «მაგრამ ასეთია მათ შემთხვევაში, ვინც ან სიქველეში განმტკიცებული უმართავს ბრძოლას უამურ ფორტუნას, ან ზურგს აქცევს მანკიერებას და სიქველის გზას დაადგება». «არ ძალმიძს ამის უარყოფა,» – მივუგე. «ახლა, რაც შეეხება საამურ ფორტუნას, რომელიც ჯილდოდ ერგება კეთილ ადამიანებს, ნუთუ ხალხი ფიქრობს, რომ იგი ცუდია?» «არავითარ შემთხვევაში,» – ვუპასუხე, – «არამედ ფიქრობს, რომ იგი საუკეთესოა და ეს მართლაც ასეა. იმ მეორესაც,

რომელიც თუმცა უამურია, მაგრამ ბოროტ ადამიანებს სამართლიანი სასჯელით ლაგმავს, სიკეთედ მიიჩნევს ხალხი?» «არავითარ შემთხვევაში!» – მივუგე, – «ფიქრობენ, რომ იგი ყველაზე საშინელი რამაა მათ შორის, რისი წარმოდგენაც კი შეიძლება». «მაშ, ფრთხილად იყავი, მართლაც გაურკვეველი რამ არ დავასკვნათ, თუკი ბრბოს აზრებს გავედევნებით». «მაინც რა?» «იქიდან, რაზეც შევთანხმდით, სულ ცოტა, გამოდის, რომ მათთვის, ვინც ან ფლობს სიქველეს, ან მიიწევს მისკენ, ან იღებს, ყოველგვარი ფორტუნა, როგორიც არ უნდა იყოს იგი, კარგია, ხოლო მათთვის, ვინც უზნეობაშია ჩარჩენილი, ფორტუნას ყოველგვარი ფორმა ავია». «ეს მართლაც ასეა,» – მივუგე, – «მაგრამ ამის აღიარებას ვერავინ ბედავს». «ამიტომაც არ შეჰფერის ბრძენკაცს მძიმედ გადაიტანოს ფორტუნასთან შერკინება, რამდენჯერაც არ უნდა ჩაებას მასში, ისევე, როგორც მედგარ ვაჟკაცს არ ეკადრება შეშფოთება, რამდენჯერაც არ უნდა მოესმას საბრძოლო ყიჟინა. თავად ეს სირთულენი ორივესათვის ხელსაყრელი შესაძლებლობაა. ვაჟკაცისთვის – სახელის განსადიდებლად, ბრძენკაცისთვის - სიბრძნის გასამყარებლად. აქედან გამომდინარე, სიქველეს ასე იმიტომ ეწოდება, რომ საკუთარ ძალაზე დაყრდნობილს მას წინააღმდეგობანი ვერ ჯაბნის. ვინაიდან არც თქვენ, ვინც სიქველის გზაზე დადექით, აქ არ მოსულხარ იმისათვის, რომ განცხრომამ ჩაგითრიოთ და სიამოვნებამ გამოგფიტოთ. თქვენ მამაცურად უნდა ჩაებათ გონებრივ ბრძოლაში ყოველგვარი ფორტუნას წინააღმდეგ, რათა უამურმა ფორტუნამ არ გადაგთელოთ, ან საამურმა არ დაგაძაბუნოთ. მტკიცე ძალით დაიკავეთ შუალედი! რაც ან ზევით დარჩება, ან დაბლა დაეშვება, ვერც ბედნიერებას დაიმსახურებს და ჯაფის წილ ჯილდოსაც ვერ მიიღებს. თქვენს ხელშია, ფორტუნას როგორ ფორმას ისურვებთ თქვენთვის, ვინაიდან ყოველგვარი ფორტუნა, რომელიც უამური მოჩანს, თუ არ აწრთობს ან აკეთილშობილებს – სჯის.

IV. 7 (v). ომი დაიწყო ატრევსის ძემ[97], ათ წელს იბრძოდა,
შურისძიება დაატეხა ფრიგიის ქალაქს,
ძმის დანგრეული ქორწინება არ აპატია.[98]
მან სისხლის ფასად მოიპოვა, რასაც ნატრობდა,
ქარს რომ აფრები აეშალა ხომალდებისთვის,
იმ უბედურმა დაივიწყა მამაშვილობა
და ვით ქურუმმა, ქალიშვილი მოაკვლევინა.[99]
ითაკელმა კი დაიტირა თანამგზავრები,
რომლებიც შთანთქა დაუნდობლად უძღებ მუცელში
ფართო მღვიმეში გაწოლილმა პოლიფემუსმა.
მაგრამ სევდით ზღო ნაადრევი მხიარულება;
დაბრმავებული ცალი თვალიც ცრემლით აევსო.
გმირად აქცია ჰერკულესი მძიმე კირთებამ;
მან ქედმაღალი კენტავრები დაიმორჩილა,[100]
შემდეგ ველურ ლომს უშფოთველად გააძრო ტყავი,
ფრთოსანი მხეცნი საიმედო ისრით განგმირა,
ოქროს ვაშლებით დაიმშვენა ხელი, როდესაც
იგი ვაშლების მოდარაჯე დრაკონს მოსტაცა
და კერბერუსიც გაიყოლა სამმაგი ჯაჭვით,
უწყალო მეფე დაამარცხა, მის ველურ ცხენებს,
ეტლში შებმულებს, დაუტოვა იგი საკვებად.
განგმირა ჰიდრა, მისი შხამი ამოწვა ცეცხლით,
რქა მოამტვრია აქელოუსს, მდინარის ღმერთს,

ის სირცხვილნაჭამი დაუბრუნდა თავის ნაპირებს.
მძლე ანთეოსი დაანარცხა ლიბიის ქვიშას,
არ შეარჩინა კაკუსს ჯავრი ევანდროსისა,
ველური ტახის დუჟის კვალი დაეტყო მხრებზე,
რომლითაც შემდგომ ზეცის თაღი უნდა ეზიდა.
უკანასკნელი კირთებაც ხომ ეს იყო მისთვის;
უდრეკი ქედი ცის თაღისთვის ბურჯად ექცია
და ამის შემდეგ დაიმკვიდრა ადგილი ზეცად.
ამ დიდებული მაგალითის კვალზე იარეთ,
მამაცნო, გასწით, უმოქმედოდ ზურგს ნუ შეაქცევთ!
თუკი შეიძლებთ, მიწას გასცდეთ, მასზე ამაღლდეთ,
მისწვდებით ვარსკვლავთ...

V

V.1. ეს თქვა და საუბარს მიმართულება უცვალა სხვა საკითხის ასახსნელად და გამოსარკვევად. მაშინ ვუთხარი: «მართებულია შენი გამხნევება და შენს ავტორიტეტსაც შეეფარება, მაგრამ იმას, რაც ახლახან თქვი განგებაზე, ჩემი გამოცდილებით ვხვდები, რომ სხვა მრავალი საკითხიც ებმის. მსურს შეგეკითხო: როგორ ფიქრობ. არსებობს თუ არა, საერთოდ, შემთხვევითობა და რა არის იგი?» მაშინ მან მიპასუხა: «ვჩქარობ, დანაპირები ვალდებულებისგან გავთავისუფლდე და გაგიხსნა გზა, რომლითაც შინ დაბრუნდები. ეს საკითხები ცოდნისთვის მეტად სასარგებლოა, მაგრამ ჩვენი არჩეული გზიდან მცირედ უხვევს და ვშიშობ, გზააბნეულმა და დაქანცულმა, სწორი გზით სვლა რომ ვეღარ განაგრძო». «ამის ნუ გეშინია» – ვუთხარი, – «სიმშვიდეს ვპოვებ მასში, რისი ცოდნაც მეტად სასიამოვნოა ჩემთვის. ამასთანავე, როცა შენი მსჯელობა ყოველმხრივ შეუვალია, მაშინ მის შედეგებში არაფერია დასაეჭვებელი».

მან მიპასუხა: «ნება შენია!» და საუბარი ასე დაიწყო: «მართლაც, თუკი ვინმე შემთხვევითობად განსაზღვრავს უნებლიე მოძრაობიდან აღძრულ და არა რაიმე მიზეზთა კავშირით წარმოქმნილ მოვლენას, მაშინ ვამტკიცებ, რომ შემთხვევითობა სრულიადაც არ არსებობს და მიიჩნევ, რომ იმ საგნის არსებობის გარეშე, რასაც ეს სახელწოდება გამოხატავს, მხოლოდ ლიტონი სიტყვაა. განა რა ადგილი შეიძლება დარჩეს რაიმე შემთხვევითს, როცა ღმერთი ყოველივეს წესრიგის ჩარჩოებში აქცევს. სწორი აზრია, რომ არაფრისგან არაფერი წარმოიშობა. ძველთაგან ამაზე არავინ დაობდა, თუმცა ამას ისინი უკავშირებდნენ არა პირველშემოქმედს, არამედ მასზე დაქვემდებარებულ მატერიალურ საგნებს და ყოველგვარ მსჯელობას ბუნების შესახებ თითქოსდა ამ საფუძველზე აგებდნენ. მაშასადამე, თუ რაიმეს მიზეზები არ წარმოშობს, მაშინ ეს რაიმე არაფრისგან უნდა იყოს. მაგრამ ვინაიდან შეუძლებელია ასეთი რამ მოხდეს, მაშინ ვერც შემთხვევა იარსებებს იმ გაგებით, როგორაც ცოტა ხნის წინ განვმარტეთ».

«მაშ, განა არ არსებობს რაიმე, რასაც სამართლიანად შეიძლება ეწოდოს შემთხვევითი ან გაუთვალისწინებელი? იქნებ არის სახელწოდება, რომელიც, მართალია, ხალხისთვის დაფარულია, მაგრამ ზუსტად შეესატყვისება?» მან მიპასუხა: «ჩემმა არისტოტელემ,

«ფიზიკაში» ის მოკლედ და ჭეშმარიტებასთან მიახლოებული საშუალებით განმარტა.[101]» «როგორ?» – ვკითხე. «როცა რაიმე ხდება, გარკვეული მიზნით და მთელი რიგი მიზეზების გამო მიიღება სხვა რამ, რაც არ იყო ჩაფიქრებული, აი, ეს არის შემთხვევითობა. მაგალითად, როცა ადამიანი მიწას თხრის მისი დამუშავების მიზნით და ოქროს მარაგს წააწყდება, სჯერა, რომ ამგვარი რამ შემთხვევით ხდება. სინამდვილეში კი ასე არ არის. ის არაფრისგან კი არაა, არამედ მას საკუთარი მიზეზები აქვს, რომელთა მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი თანხვედრა შემთხვევითობად აღიქმება. მიწათმოქმედს რომ არ დაეხნა და ოქრო მეპატრონეს იმ ადგილზე არ დაემარხა, მაშინ ის აღმოჩენილი არ იქნებოდა. ესაა მოულოდნელი გამართლების მიზეზი, რომელიც მომდინარეობს არა შემსრულებლის განზრახვიდან, არამედ ერთად თავმოყრილი და თანხვედრილი მიზეზებიდან. ვინაიდან არც ის, ვინც ოქრო დამალა და არც ის, ვინც მიწა გათხარა, არ ვარაუდობდა იმას, რომ ოქრო მოიძებნებოდა, არამედ, როგორც აღვნიშნე, ერთმანეთს დაემთხვა ის, რომ ერთმა ოქრო დამარხა, მეორემ კი ამოთხარა. მაშ, შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომ

შემთხვევითობა – ესაა თანხვედრილ მიზეზთა გაუთვალისწინებელი შედეგი იმ მოვლენებში, რომლებიც სხვა მიზანს მიემართებოდა. მიზეზთა თანხვედრასა და დამთხვევას კი წესრიგი ახორციელებს, იგი აღიძვრის გარდაუვალი კავშირით, მოემართება განგების სათავიდან და ყველაფერს შესაფერის დროსა და სივრცეში ანაწილებს.

V.1 (v). იქ, სადაც მდევნელს სპარსეთის[102] კლდიდან
გულში არჭობენ ისარს მებრძოლნი,
ტიგროს-ევფრატი[103] იღებს სათავეს.
დაშორდებიან ერთურთს მალევე.
თუ ისურვებენ ისევ ერთობას,
რაც ცალკე მოაქვთ – ერთად შეკრებენ –
მოგლეჯილ ხეებს, ანდა ხომალდებს,
რომელთაც ტალღა აურდაურევს.
დაღმართისა და მორევის წესი
მოხეტიალე წყლებს აწესრიგებს.
ის, რაც გვგონია შემთხვევითობა,
აღვირს იტანს და კანონს მორჩილებს.

V.2. «ვუკვირდები, – მივუგე – და გეთანხმები, რომ სწორედ ისეა, როგორც აღნიშნე. მაგრამ ასე მჭიდროდ შეკავშირებულ მიზეზთა ჯაჭვში არსებობს განა ჩვენთვის რაიმე ნების თავისუფლება, თუ თავად ადამიანის სულის მოძრაობაც ბედისწერის ბორკილითაა შეკრული?» «არსებობს, – მიპასუხა, – არცაა ისეთი მოაზროვნე ქმნილება, რომელიც ნების თავისუფლების გარეშეა დარჩენილი. რასაც კი ბუნების მიერ გონებით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს მონიჭებული, გააჩნია განსჯის უნარი, რომლითაც განარჩევს ერთს მეორისაგან. იგი დამოუკიდებლად განასხვავებს სასურველს მოსარიდებლისაგან. თითოეული იმას ესწრაფვის, რაც სასურველად მიაჩნია და გაურბის იმას, რაც, მისი აზრით, მოსარიდებელია. ამგვარად, ვისაც გონება აქვს, იმას თავისუფლებაც გააჩნია, რომ ისურვოს რამე ან არ ისურვოს. მაგრამ, ვფიქრობ, ეს თავისუფლება ყოველში თანაბრად როდია. ზეციური და ღვთაებრივი არსნი აღჭურვილნი არიან უტყუარი განსჯით, შეულახავი ნებითა და სურვილთა ასრულების შეუზღუდავი შესაძლებლობით, ხოლო ადამიანთა სულები, უცილობლად მაშინ არიან უფრო მეტად თავისუფალნი, როცა თავს ღვთაებრივი გონის

ჭვრეტით იცავენ. ნაკლებად თავისუფალნი – როცა სხეულში ჩაიკარგებიან, და კიდევ უფრო ნაკლებად – როცა მიწიერი ელემენტებით არიან შებოჭილნი. მონობის უკიდურესი სახე კი ისაა, რომ მანკიერებას მიცემულნი, საკუთარ გონებას ვეღარ ფლობენ. რადგან, როცა უმაღლესი ჭეშმარიტებიდან მზერას ბნელ და მდაბალ საგნებზე გადაიტანენ, მალევე დაბინდავთ უმეცრების ბურუსი და ააფორიაქებთ დამღუპველი ვნებები, რომელთა მინდობა და მორჩილება ხელს უწყობს მონობას, თავად რომ დაიტეხეს თავზე და კუთვნილ თავისუფლებას ტყვეობაში

კარგავენ. მაგრამ ის, ვინც მარადისობიდან განგების თვალთახედვით უჭვრეტს და აკვირდება ყოველივეს, მათ იმას არგუნებს, რაც წინასწარ განუსაზღვრა – თითოეულს დამსახურების მიხედვით.

V.2 (v). Πάντ’ ‘εφορας και πάντ’ ‘επακούεις[104]
კაშკაშა ფებუსს თავად ჰომეროსმა,
ენადათაფლულმა, უმღერა ასე;
თუმც მზეს არ ძალუძს, რომ მიწის წიაღის
სიღრმენი განჭვრიტოს და ზღვათა ფსკერსაც
მოჰფინოს ნათელი უღონო სხივით.
ისე, ვით სამყაროს შემოქმედს ძალუძს,
ვინაც ყოველივეს მაღლიდან უცქერს
და ვერ დააბრკოლებს მას მიწის ფენა,
წინ ვერ აღუდგება ვერც ბნელი ღამე,
ის მზერას შეავლებს გონების თვალით,
რაც იყო, რაც არის, იქნება რაც კი,
ყველაფერს რომ ხედავს მხოლოდ ის ერთი
მზედ იწოდებოდეს, ღირსია, მართლაც.

V.3. მაშინ მივუგე: «კვლავაც ვაწყდები უფრო დიდ სირთულესა და ორაზროვნებას.» «მაინც რას?» – მკითხა მან, – «თუმცა უკვე ვხვდები, რაც უნდა გაშფოთებდეს.» «მეტად წინააღმდეგობრივად და შეუთავსებლად მეჩვენება ღმრთისმიერ წინასწარცოდნასთან ერთად რაიმე სახის ნების თავისუფლების თანაარსებობა. ვინაიდან, თუ ღმერთი განჭვრეტს ყოველივეს და შეუძლებელია რაიმე შეცდომა დაუშვას, მაშინ აუცილებლად აღსრულდება ის, რის აღსრულებასაც განგებით წინასწარ ხედავს. და ვინაიდან იგი მარადისობიდან განჭვრეტს არა მხოლოდ ადამიანთა ქმედებას, არამედ სურვილებსა და ზრახვებს, მაშინ ვერავითარი ნების თავისუფლება ვერ იარსებებს. ვეღარც სურვილები იარსებებს, ვეღარც ქმედება, თუ იგი წინასწარ არ იგრძნო უშეცდომო ღვთაებრივმა განგებამ. თუკი რაიმე გადავა იმას, რაც იყო განჭვრეტილი, მაშინ მომავლის წინასწარცოდნა შეუვალი ვეღარ იქნება. მაგრამ ეს აზრი მეტად მცდარია, ვინაიდან მკრეხელობად მიმაჩნია ღვთის შესახებ ამგვარი რამ ირწმუნო.

თუმცა ვერც იმ მოსაზრებას გავიზიარებ, რომლის მიხედვითაც სჯერათ, რომ შესაძლებელია ამ საკვანძო საკითხის ასე გადაჭრა: ამტკიცებენ, რომ, რაც მოსახდენია მოხდება არა იმიტომ, რომ განგებამ განსაზღვრა მომავალში მოსახდენად, არამედ პირიქით: თუ რაიმე მოხდება მომავალში, შეუძლებელია ის ღვთაებრივ განგებას დაემალოს. ამგვარად, აუცილებლობა საწინააღმდეგო მხარეს გადადის; გამოდის, რომ აუცილებელი არაა ასრულდეს ის, რაც იქნა განჭვრეტილი, არამედ აუცილებელია განჭვრეტილი იქნას ის,

რაც უნდა ასრულდეს. თითქოსდა სადაო უნდა იყოს, რომელი რომლის მიზეზია: წინასწარცოდნა მომავლის აუცილებლობისა, თუ მომავლის აუცილებლობა – განგებისა. არც იმის დამტკიცებას ვცდილობ ახლა, რომ, რა სახისაც არ უნდა იყოს მიზეზთა რიგი, აუცილებლად უნდა ასრულდეს განჭვრეტილი მაშინაც, თუ წინასწარცოდნა მომავალში მოსახდენ მოვლენებს აუცილებლობას არ სძენს.

მაგალითად: თუ ვინმე ზის, აზრი, რომელიც გადმოგვცემს, რომ ის ზის, ჭეშმარიტია. და კვლავაც, მეორე მხრივ, თუ მართებულია ის აზრი, რომ ვინმე ზის, მაშინ აუცილებელია ის იჯდეს. აუცილებლობა ორივე მათგანშია. ერთში – იმის, რომ ვიღაც უნდა იჯდეს, მეორეში კი იმის, რომ აზრი უნდა იყოს ჭეშმარიტი. მაგრამ იმიტომ კი არ ზის ვიღაც, რომ ამ ფაქტის შემცველი აზრია ჭეშმარიტი, არამედ აზრია ჭეშმარიტი იმიტომ, რომ წინ უძღვის ფაქტი – ვიღაც ზის. ამგვარად, მართალია, ჭეშმარიტების მიზეზი მეორე ნაწილიდან მოდის, მაგრამ ორივე მათგანში არის უბრალო აუცილებლობა.

მსგავსი რამ შეიძლება ითქვას განგებასა და მომავალში მოსახდენ მოვლენათა შესახებაც: მოვლენა იმიტომ განიჭვრიტება, რომ მომავალში უნდა აღსრულდეს და არა პირიქით – რადგან განჭვრეტილია – უნდა აღსრულდეს, სულ ერთია, რაც უნდა აღსრულდეს, იმას განჭვრეტს ღმერთი, თუ რასაც განჭვრეტს ის უნდა ასრულდეს, ცალკე აღებული თითოეული პირობაც საკმარისია იმისთვის, რომ ნების თავისუფლება მოისპოს. და, მაინც, რა უაზრობაა მტკიცება იმისა, რომ წარმავალი მოვლენები არის მარადიული წინასწარცოდნის მიზეზი. განა ის ვარაუდი, თითქოს ღმერთი იმიტომ ხედავს მომავალ მოვლენებს, რომ ისინი აღსრულდება, სხვა რაა, თუ არა იმის დაშვება, რომ რაც უკვე მოხდა, უმაღლესი განგების მიზეზიც ის გამხდარა? ამასთანავე, თუ ვიცი, რომ რაღაც არის, აუცილებელია, რომ ის რაღაც იყოს. ასევე, როცა ვიცი, რომ რაღაც იქნება, აუცილებელია, რომ ის მართლაც იქნეს. აქედან გამომდინარე, გარდაუვალია განჭვრეტილ მოვლენათა აღსრულება და, ბოლოს, თუ ვინმე აღიქვამს საგანს სხვაგვარად, ვიდრე ის სინამდვილეშია, ეს არის არა მხოლოდ არცოდნა, არამედ მცდარი აზრი, ჭეშმარიტი ცოდნისგან მეტად დაშორებული. თუ რაიმე უნდა მოხდეს ისე, რომ მისი მოხდენა უსათუო აუცილებლობას არ შეიცავს, როგორ შეიძლება განიჭვრიტოს მისი აღსრულება? როგორც თავად ჭეშმარიტი ცოდნაა სიყალბესთან შეუთავსებელი, ასევე ის, რაც მისგან მომდინარეობს, შეუძლებელია იყოს სხვაგვარად და არა ისე, როგორც გამომდინარეობს. ვინაიდან იმის მიზეზი, თუ რატომაა ჭეშმარიტი ცოდნა სიცრუეს მოკლებული, ისაა, რომ ყველაფერი ზუსტად ისეთია, როგორადაც იგი ცოდნის მიერაა აღქმული.

მაინც როგორ განჭვრეტს ღმერთი უცნობ მომავალს? თუ ფიქრობს, რომ გარდაუვალია იმის მოხდენა, რაც შესაძლოა არც მოხდეს, ცდება. ამის არა მარტო გაფიქრებაა დანაშაული, არამედ ხმამაღლა წარმოთქმა უფრო მეტი დანაშაულია. მაგრამ თუ მოსახდენ მოვლენებს ისეთად ხედავს, როგორიც სინამდვილეშია, ისე, რომ იცის, რაღაც თანაბრად შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს, ეს რაღა წინასწარცოდნაა, თუკი დანამდვილებით და უტყუარად ვერაფერს განსაზღვრავს? ან რაღა განასხვავებს მას ტირესიასის[105] იმ

სასაცილო წინასწარმეტყველებისგან – რასაც ვიტყვი ან ახდება ან არაო? და რით იქნება ღვთაებრივი განგება ადამიანურ განსჯაზე უკეთესი, თუკი ის, რისი მოხდენაც ადამიანებისთვის გაურკვეველია, მისთვისაც გაურკვეველი იქნება? თუკი მისთვის, ყოველივეს ჭეშმარიტი დასაბამისთვის, შეუძლებელია რაიმე იყოს ბუნდოვანი, მაშინ უეჭველად ახდება ის, რისი ახდენაც მომავალში მტკიცედ განჭვრიტა.

ამის გამო ვერ დარჩება ვერავითარი თავისუფლება ადამიანის ჩანაფიქრისა თუ ქმედებისათვის, რომელსაც ყოველივეს უშეცდომოდ მჭვრეტელი ღვთაებრივი გონი კრავს და ერთი შედეგისკენ წარმართავს. ამ აზრის ერთხელ დაშვებაც კი იმას ნიშნავს, რომ ვაღიაროთ – ადამიანის ქმედებები აშკარა მარცხისთვისაა განწირული. ვინაიდან აზრს კარგავს კეთილთათვის ჯილდოს, ხოლო ბოროტთათვის სასჯელის დაწესება, რადგან ის არ იქნება თავისუფალი ან ნებელობითი სულის მოძრაობის დამსახურება და ყველასთვის უსამართლო გამოჩნდება ის, რასაც ახლა ყველაზე სამართლიანად მივიჩნევთ. კერძოდ: უღირსთა დასჯასა და ღირსეულთა დაჯილდოებას, ვინაიდან ისინი სიკეთესა თუ ბოროტებასთან მიიყვანა არა საკუთარმა ნებამ, არამედ მომავლის მტკიცე გარდაუვალობამ. აღარც მანკიერება იქნება, მაშასადამე, აღარც სიქველე, არამედ უფრო დამსახურებათა რაღაც უწესრიგო და განურჩეველი ნარევი. ვერაფერს მოიფიქრებ იმაზე უფრო დანაშაულებრივს, ვიდრე, ვინაიდან საგანთა ყოველგვარი წესრიგი განგებიდან იღებს სათავეს და ადამიანის ზრახვებისათვის აღარაფერია ხელმისაწვდომი, ამიტომ ჩვენი მანკიერებანიც ყოველგვარი სიკეთის შემოქმედისგან მოდის. მაშ, არავითარი აზრი არ აქვს რაიმეს იმედს და არც ლოცვას. რას გახდება ან იმედი ან ლოცვა მაშინ, როცა ყველაფერი, რაც შეიძლება ვისურვოთ, დაუხსნელი ჯაჭვითაა შებოჭილი?

ასე დაიკარგება ღვთისა და ადამიანთა ურთიერთობის ერთადერთი გზა – ლოცვისა და იმედისა (თუ, რა თქმა უნდა, სათანადო მორჩილებით ფასდაუდებელ ღვთაებრივ მოწყალებას არ დავიმსახურებთ). გზა, რომლის მეშვეობითაც ადამიანებს ღმერთთან საუბარი შეუძლიათ და იმ მიუღწეველ ნათელთან ლოცვით მიახლება უფრო ადრე, ვიდრე იგი ებოძებათ. მაგრამ თუ დავუშვებთ იმას, რომ არის მომავლის აუცილებლობა და ვირწმუნებთ, რომ არავითარი ძალა არ გაგვაჩნია, როგორღა შევძლებთ საგანთა უმაღლეს საწყისთან მისვლას და დაკავშირებას? აქედან აუცილებლად მოხდება ის, რაც ცოტა ხნის წინ სიმღერად წარმოთქვი, რომ დაშლილი და დაქუცმაცებული კაცთა მოდგმა მოსწყდება თავის სათავეს.

V.3.(v). საგანთა კავშირს განხეთქილების
რა მიზეზი სპობს? რა ძალა ღვთისა
აპირისპირებს ამ ორ სიმართლეს?
ცალკე მტკიცეა თითოეული,
არ სურთ ერთმანეთს დაუკავშირდნენ.
იქნებ არც არის მათ შორის ქიშპი
და ინახავენ მყარად ერთობას?
თუმცა სხეულით ძლეულ გონებას

არ შეუძლია მქრქალი სინათლით
ჩასწვდეს საგანთა ფაქიზ კავშირებს.
რად წვავს სურვილი: ჭეშმარიტების
ფარულ ნიშანთა არსი ეძიოს?
იქნება იცის, რასაც ესწრაფვის?
რაღად ეძიებს, რაც უკვე იცის?
თუ კი არ იცის, ბრმად რად დაეძებს,
ვინ რად ისურვოს გაურკვეველი?
რაც უცნობია, იმას ვინ მისდევს?
როგორ იპოვის? ან როგორ შეძლებს,

რომ ამოიცნოს, თუკი იპოვის?
ან გონს უმაღლესს თუკი იხილავს
შეიცნობს ერთად მთელსაც, ნაწილსაც?
ხორციელების ბურუსით მოცულს
არ დაუკარგავს ბოლომდე თავი.
ნაწილებს კარგავს, მთელს ინარჩუნებს,
ვინაც ესწრაფვის სიმართლეს,
იგი მდგომარეობას არცერთს არ ირჩევს –
არც მცოდნე არის, არც უმეცარი,
ყოველს იხსენებს, რაც კი გონში აქვს,
მიღმური ხილვით აანალიზებს
და შეუძლია ხსოვნად დაფარულს
შემატოს ის, რაც დავიწყებია.

V.4. და მაშინ მან თქვა: «ეს ჩივილი განგების თაობაზე ოდინდელია. მის შესახებ მარკუს ტულიუსიც გაცხარებით მსჯელობდა, როდესაც დივინაციის სახეობებს აყალიბებდა.[106]ეს საკითხი იყო შენი ღრმა და ხანგრძლივი კვლევის საგანიც. მაგრამ ვერც ერთმა თქვენგანმა ვერ ახსნა იგი საკმარისად მკაფიოდ და დაბეჯითებით. ამ ბუნდოვანების მიზეზი კი ისაა, რომ ადამიანურ განსჯათა სვლას არ ძალუძს მიუახლოვდეს ღვთაებრივი ცოდნის სისადავეს. თუ რაიმე გზით მოხერხდებოდა მისი გააზრება, მაშინ გაურკვეველი სრულიად აღარაფერი დარჩებოდა. ასე, რომ შევეცდები ნათელვყო და გამოვარკვიო ეს ერთი რამ, როცა ჯერ ავწონ-დავწონი იმ საკითხებს, რომლებითაც ასე ძლიერ გაფორიაქებენ. მიპასუხე: რატომ მიიჩნევ ნაკლებ წარმატებულად მათ მეთოდს, რომლებიც აღნიშნულ პრობლემას ამგვარად წყვეტენ: ვინაიდან ფიქრობენ, რომ წინასწარცოდნა არაა მოსახდენ მოვლენათა აუცილებლობის მიზეზი, ამიტომ მიაჩნიათ, რომ ნების თავისუფლებას არავითარი წინასწარცოდნა არ დააბრკოლებს. მაშ, საიდანღა გამოგყავს მომავალში მოსახდენ მოვლენათა აუცილებლობის არგუმენტი, თუ არა იქიდან, რომ შეუძლებელია არ აღსრულდეს ის, რისი აღსრულებაც წინასწარაა განჭვრეტილი? თუ წინასწარცოდნა

არავითარ აუცილებლობას არ სძენს მომავალში მოსახდენ მოვლენებს, რასაც ცოტა ხნის წინ თავადაც იზიარებდი, მაშინ რატომაა, რომ იმ საქმეებმაც, რომელთა აღსრულება ნებაზეა დამოკიდებული, განსაზღვრული შედეგი უნდა გამოიღონ?

მოდი, დასაბუთების გულისთვის, ყურადღება რომ მიაქციო, თუ რა გამომდინარეობს აქედან, დავუშვათ, რომ არავითარი წინასწარცოდნა არ არსებობს. მაშინ, ის მოვლენები, რომელთა აღსრულებაც ნებაზეა დამოკიდებული, ხომ აღარ იქნებიან მიჯაჭვულნი აუცილებლობას?» «სრულიადაც არა» «მოდი, კვლავაც დავუშვათ, რომ წინასწარცოდნა არსებობს, მაგრამ მოვლენებს არავითარ აუცილებლობას არ სძენს. ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც დარჩება იგივე სრული და ხელუხლებელი თავისუფლება.

ალბათ იტყვი, რომ წინასწარცოდნა თუმცა თავად არ წარმოადგენს მომავალ მოვლენათა აღსრულების აუცილებლობას, მაგრამ მათი აუცილებლად აღსრულების ნიშანი მაინცაა. ამგვარად, რომც არ არსებობდეს წინასწარცოდნა, მომავალ მოვლენათა აღსრულება მაინც აუცილებლობით იქნებოდა განპირობებული. ვინაიდან ყოველგვარი ნიშანი კი არ ქმნის, არამედ მხოლოდ მიუთითებს, თუ რას წარმოადგენს საგანი. პირველ რიგში, საჭიროა იმის ჩვენება, რომ ყველაფერი ხდება აუცილებლობიდან გამომდინარე, რათა ნათელი იყოს,

წინასწარცოდნა ამ აუცილებლობის ნიშანი რომაა. გარდა ამისა, თუკი ეს ასე არაა და არ არსებობს არავითარი აუცილებლობა, მაშინ ვერც წინასწარცოდნა იქნება იმის ნიშანი, რაც არარსებულია. მაგრამ, ეჭვგარეშეა, რომ შეუვალი განსჯით გამყარებული მტკიცებულება უნდა მიიღებოდეს არა მინიშნებებისა თუ გარედან მოხმობილი არგუმენტებისგან, არამედ სათანადო და უცილობელი მიზეზებისგან.

მაგრამ, როგორ შეიძლება ისე მოხდეს, რომ არ ასრულდეს ის, რისი აღსრულებაც მომავალში წინასწარაა განჭვრეტილი? ეს იმის მსგავსი იქნებოდა, რომ დაგვეჯერებინა, თითქოს არ ასრულდება ის, რისი ასრულებაც განგების მიერ წინასწარაა განჭვრეტილი და არც ის გვეფიქრა, რომ თუმცა ისინი სრულდება, მაგრამ ბუნებით არავითარ აუცილებლობას არ ატარებს იმისათვის, რომ აღსრულდეს. ამას კი აქედან ადვილად დაასკვნი: მრავალი ქმედება, ვიდრე ჩვენ თვალწინ ვითარდება, შეგვიძლია ვიხილოთ მსგავსად მეეტლეებისა, რომლებიც ხედავენ ოთხთვალას მართვისა თუ მობრუნებისთვის გამიზნულ ქმედებებს, და კიდევ მრავალი მაგალითი არსებობს ამის მსგავსი. განა რაიმე აუცილებლობა აიძულებს რომელიმე ამ ქმედებას, რომ ასე აღსრულდეს?» «სრულიადაც არა, ვინაიდან ყველაფერი რომ იძულებით ხდებოდეს, მაშინ ხელოვნებაც უშედეგო და ამაო იქნებოდა.» «მაშასადამე, თუკი ქმედება მისი აღსრულების დროს აუცილებლობას მოკლებულია, მაშინ აღნიშნული ქმედება აღსრულების დრომდეც მოკლებული იქნება ამგვარ აუცილებლობას. არ მეგულება ისეთი ვინმე, რომელიც იტყოდა, რომ რაც ახლა ხდება, გამიზნული იყო მოსახდენად მანამდე, სანამ მოხდებოდა. ამგვარად, ამ წინასწარ განჭვრეტილ მოვლენებსაც აქვთ აღსრულების თავისუფლება. ვინაიდან როგორც ამჟამინდელ მოვლენათა ცოდნა არ სძენს არავითარ აუცილებლობას მათ აღსრულებას, ასევე, არც მომავლის მოვლენათა აღსრულებაში შეიტანს წინასწარცოდნა რაიმე აუცილებლობას. მაგრამ, იტყვი, რომ სადავო სწორედ ესაა. შესაძლებელია თუ არა იმ მოვლენათა წინასწარცოდნა, რომელთა აღსრულებაც აუცილებლობით არაა ნაკარნახევი. ეს ორი რამ

შეუთავსებლად მოჩანს და ფიქრობ, თუ რაიმე განჭვრეტილია, აქედან გამომდინარე, მასში აუცილებლობაცაა, ხოლო თუ მოკლებულია აუცილებლობას, მაშინ განჭვრეტილი ვერ იქნება. ცოდნისათვისაც ყოველივე მიუწვდომელი დარჩება, გარდა იმისა, რაც გარკვეულია. მაგრამ თუ ის მოვლენები, რომელთა აღსრულებაც გაურკვეველია, განიჭვრიტებოდა როგორც გარკვეული, მაშინ ეს აზრი ბუნდოვანი აზრი იქნებოდა და არა ჭეშმარიტი ცოდნა. ვინაიდან საგნებს აღიქვამ იმისგან განსხვავებულად, რაც სინამდვილეშია და გჯერა, რომ ცოდნის მთლიანობაც მათ განსხვავებულად აღიქვამს. ამ შეცდომის მიზეზი კი ისაა, რომ თითოეული მიიჩნევს, თითქოს ყველაფერი, რაც მან იცის, იცის იმ საგნის ბუნების და შესაძლებლობის წყალობით, რომელსაც შეიცნობს. მაგრამ საქმე სულ სხვაგვარადაა: ადამიანი ყოველივეს შეიმეცნებს თავისი და არა შესამეცნებელი საგნის შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ამ მოკლე მაგალითით ეს ნათელი გახდება: ერთსა და იმავე საგნის სიმრგვალეს მზერა სხვაგვარად აღიქვამს, შეხება – სხვანაირად. პირველი რჩება მოშორებით და მთელ საგანს ერთდროულად ხედავს თავისი შორიდან ნატყორცნი სხივით, მეორე კი, რომელიც შერწყმული და გაერთიანებულია სფეროსთან, გარს უვლის მას და ნაწილ-ნაწილ იჭერს მის სიმრგვალეს. აგრეთვე თავად ადამიანიც გრძნობით, წარმოსახვით, გონებით, ცოდნით განსხვავებულად აღიქვამს ყოველივეს. მაგალითად, გრძნობა აღიქვამს მატერიით განსხეულებულ ფორმას, წარმოსახვა – მატერიით განუსხეულებელ გამოსახულებას, ხოლო გონება გასცდება რა სამანს ფორმისა, ზოგადი განსჯით განსაზღვრავს იმ იდეას, რომელიც კერძო საგანში იმალება. თუმცა არსებობს უფრო გამჭვრეტი აღქმა ღვთიური ცოდნისა. იგი,

ზოგადობის სფეროზე აღმატებული თავისი ნათელი გონების თვალით მარტივ ფორმას უმზერს. აქ ყურადღება განსაკუთრებით ამას უნდა მივაქციოთ: შემეცნების ყველაზე აღმატებული ძალა უმდაბლესსაც სწვდება მაშინ, როცა უმდაბლესი უმაღლესამდე ვერ აღწევს. არც გრძნობას შეუძლია მატერიის მიღმა აღიქვას რაიმე, არც წარმოსახვას ხელეწიფება ზოგად სახეობათა წვდომა, ხოლო გონება მარტივ ფორმას ვერ იჭერს. მაგრამ ღვთიური ცოდნა, რომელიც ზემოდან იმზირება, შეიმეცნებს ფორმას და განარჩევს ყოველივეს, რაც ამ ფორმაზეა დამოკიდებული და ამგვარად შეიცნობს საკუთრივ ფორმას, რაც სხვათათვის უცხოა. მისთვის ხელმისაწვდომია გონებისეული ზოგადიც, წარმოსახვისეული ფორმაც და ისიც, რაც მატერიალურია გრძნობისთვის, მაგრამ შეიმეცნებს არა ისე, როგორც გონება, წარმოსახვა ან გრძნობა, არამედ გონების ერთი მზერით აღიქვამს ყველა საგნის ფორმას, ასე ვთქვათ, ყველაფერს განჭვრეტს. ვინაიდან გონება, რომელიც ზოგადს განიხილავს, ისე სწვდება გრძნობადსა და წარმოსახვითს, რომ არც წარმოსახვას ეყრდნობა, არც – გრძნობას. იგი თავისი ზოგადი თვალთახედვიდან ამას ასე განმარტავს: ადამიანი არის ორფეხა მოაზროვნე ცხოველი. და ეს ზოგადი იდეაა, თუმცა ყველამ იცის, რომ ადამიანი არის ისიც, რაც ხელმისაწვდომია გრძნობისა და წარმოსახვისთვის, მაგრამ გონება მას განიხილავს არა წარმოსახვისა და გრძნობის საშუალებით, არამედ მისთვის დამახასიათებელი ძალით. ასევე, წარმოსახვაც, რომლის ხედვაც თუმცა გრძნობიდან იღებს სათავეს და ფორმასაც გრძნობიდან აყალიბებს, ყოველგვარ გრძნობით საგანს უჭვრეტს არა გრძნობისმიერი, არამედ წარმოსახვისმიერი შემეცნების საშუალებით. ხედავ, რომ შემეცნებისას ყველა თავის ძალას უფრო ეყრდნობა, ვიდრე იმის ბუნებას, რასაც შეიცნობს. ესეც მართალია: თუ ყოველგვარი განსჯა განმსჯელის მოქმედების შედეგია, მაშინ აუცილებლად გამომდინარეობს, რომ თითოეული ასრულებს თავის საქმეს არა სხვისი, არამედ საკუთარი ძალის მეშვეობით.

V.4 (v). ერთ დროს პორტიკის[107] მესვეურთ,
ხანშიშესულთა დარად
მრუმედმხედველებს, სჯეროდათ,
თითქოს კაცთა გონებაში
წარმოსახვა და შეგრძნება
მიღმამყოფ სხეულთა არსის
უცხო ანაბეჭდი იყო
ისე, ვით სუფთა ფურცელზე
სტილუსით ნაწერი ასო.
მაგრამ თუ თავისი ძალით
გონება ვერაფერს აღძრავს,
თუ დევს უმოქმედოდ, მხოლოდ
ირეკლავს გარეგან საგნებს,
მსგავსად რომ ჩნდება სარკეზე
გამოსახულება ყალბი,
მაშ, საიდან მოსდგამს მოკვდავს,
ყოველთა მჭვრეტელი ცოდნა?
ან კერძო საგნებს რით არჩევს,
ან შემეცნებულს რით ყოფს?
რით კრებს კვლავ ერთად, რაც გაყო:
ან ორ გზას რომ დაადგება,
ხან მდაბალ საგნებთან ეშვება,

ხანაც მწვერვალამდე ადის,
შემდეგ თავს რომ უბრუნდება,
ჭეშმარიტს მცდარისგან არჩევს?
ეს არის ქმედითი მიზეზი,
უფრო ძალმოსილი მასზე,
რაც ნიშნებს აღბეჭდავს მხოლოდ
მატერიალური საგნის.
თუმცა წინ უსწრებს სხეულის
ემოციური ქმედება,
გონების ძალებს რომ აღძრავს.
როცა სინათლე მისწვდება
თვალებს, ყურებს კი ხმაური,
გონების ძალა იღვიძებს
და მათ მსგავს სახეებს აღძრავს,
მის წიაღში რომ სუფევს.

ის უკავშირებს ერთმანეთს
გარედან მოსულ ხატებებს
და თავის შინაგან ფორმებს.

V.5. თუ მატერიალური საგნების შეგრძნებისას, გარეგანი მახასიათებლები ზემოქმედებას რომც ახდენდნენ გრძნობის ორგანოებზე და აქტიური გონების ცხოველმყოფელ ძალას წინ რომც უსწრებდეს სხეულებრივი განცდა, რომელიც თავისი მოქმედებით იწვევს გონების აქტიურობას და სულის სიღრმეში მიძინებულ ფორმებს აღძრავს, ვიმეორებ: თუ მატერიალური საგნების შეგრძნებისას გონება არ არის დაღდასმული განცდით, არამედ თავისი შესაძლებლობით აანალიზებს განცდას – სხეულის თვისებას, მაშინ შემეცნებისას რამდენად უფრო გაუხსნიან გზას საკუთარი გონების მოძრაობას და არ გაედევნებიან გარეგან საგნებს ისინი, ვინც თავისუფალნი არიან ყოველგვარი მატერიალური ზეგავლენისგან? ამგვარად, შემეცნების მრავალფეროვანი სახეებიც შესაბამისად, იმდენია, რამდენი ნაირგვარი და განსხვავებული არსებაცაა ქვეყნად. საკუთრივ მხოლოდ შეგრძნება, შემეცნების ყოველგვარი სხვა სახის გარეშე, აქვთ უმოძრაო ცოცხალ არსებებს, ისეთებს, როგორებიც არიან ზღვის მოლუსკები და სხვა ქმნილებები, რომლებიც კლდეზე მიმაგრებულნი არსებობენ. წარმოსახვა კი აქვთ მოძრავ ცხოველებს, რომლებსაც, როგორც ჩანს, იმის შესაძლებლობა გააჩნიათ, რომ ისურვონ რაიმე ან თავიდან აირიდონ. ხოლო გონებას მხოლოდ ადამიანთა მოდგმა ფლობს ისევე, როგორც ცოდნას მხოლოდ ღმერთი. გამოდის, რომ სხვებზე აღმატებული შემეცნების ის სახეა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ მასთან, არამედ შემეცნების სხვა სახეებთან დაკავშირებულ საგნებს.

დავუშვათ, რომ შეგრძნებამ და წარმოსახვამ გონების წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს, თითქოს არ არსებობდეს ის ზოგადი, რის შემეცნებასაც გონება იჩემებს, რადგან რაც გრძნობადი ან წარმოსახვითია, იგი არ შეიძლება ზოგადი იყოს. ამ შემთხვევაში, ან გონების განსჯაა მართებული და მაშინ არაფერი გრძნობადი არ არსებობს, ან თუ გონებამ უწყის, რომ მრავალი რამ გრძნობადი და წარმოსახვითია, მაშინ მისი შემეცნების მეთოდია ფუჭი, ვინაიდან ზოგადად მიაჩნია ის, რაც კერძოა და გრძნობადი. ამის საწინააღმდეგოდ გონება უპასუხებდა, რომ ზოგადის ჭვრეტისას იგი ხედავს იმასაც, რაც გრძნობადი ან წარმოსახვითია, ხოლო მათ

ზოგადის შემეცნებამდე მიწვდომა არ ძალუძთ, რადგანაც მათი ცოდნა სხეულებრივ ფორმებს ვერ სცილდება, ხოლო როცა საქმე საგანთა ცოდნას ეხება, უმჯობესია უფრო მტკიცე და ჭეშმარიტებასთან მიახლოებულ აზრს ვერწმუნოთ. განა ასეთ კამათში ჩვენ, ვისაც შეგვწევს როგორც აზროვნების, ისე წარმოსახვისა და შეგრძნების უნარი, გონების არგუმენტს უფრო არ მოვიწონებდით? ანალოგიურად, ადამიანის გონებასაც მიაჩნია, რომ ღვთაებრივი ცოდნა მომავალს ისევე ხედავს, როგორც თავად გონება. ხომ განსჯით ასე: თუ არსებობს მოვლენები, რომელთა აღსრულებაც არ არის უეჭველი და აუცილებელი, მაშინ შეუძლებელია დანამდვილებით იმის ცოდნა, მოხდება თუ არა ეს მოვლენები. ასე, რომ არავითარი წინასწარცოდნა არ არსებობს ამგვარი მოვლენებისთვის, ვინაიდან თუ მათი წინასწარცოდნის არსებობას დავიჯერებთ, მაშინ აუცილებლობის გარეშე მოსახდენი აღარაფერი დარჩება. ჩვენ რომ შეგვეძლოს ღვთაებრივი გონის თანაზიარება, ისევე, როგორც საკუთარ გონებას ვფლობთ,

მივხვდებოდით, რომ როგორც გრძნობა და წარმოსახვა უნდა ემორჩილებოდეს გონებას, ისე ადამიანის გონებაც ღვთაებრივ გონს უნდა ექვემდებარებოდეს. ასე, რომ, მოდი, ავმაღლდეთ უზენაესი ცოდნის მწვერვალამდე, თუკი შევძლებთ. აქ გონება იხილავდა იმას, რის ხილვასაც საკუთარ თავში ვერ ახერხებს, ანუ იმას, თუ როგორ ჭვრეტს წინასწარცოდნა ცხადად და გარკვევით იმ მოვლენებსაც, რომელთა აღსრულება არაა უეჭველი და ეს ვარაუდი კი არა არის, არამედ უმაღლესი ცოდნის სისადავეა, რომელსაც ვერავითარი ბორკილი ვერ ზღუდავს.

V.5 (v). რა მრავალგვარი არსებანი ვლიან მიწაზე!
ძლიერი მკერდით ქვიშას აპობს ზოგი მათგანი
და ორმოებს თხრის საამისოდ მოქნილი ტანით.
არის ისეთიც, ქარებს რომ კვეთს მსუბუქი ფრთებით
მაღლა, სივრცეში რომ ლივლივებს ნარნარი ფრენით.
ზოგს ურჩევნია ნაფეხური დაატყოს მიწას,
გადაიაროს მწვანე მდელო, ანდა ტყეები.
მათ, ვისაც ხედავ განსხვავებულს მრავალგვარ ფორმით –
დაჩლუნგებულებს პირისახე ძირს დაუხრიათ.
ადამიანებს ძალუძთ მხოლოდ ასწიონ თავი,
წელგამართული დაჰყურებდნენ მსუბუქად მიწას.
სანიმუშოა, თუ არ მოდრეკს ბიწიერება,
ვინაც მიილტვის ზეცისაკენ თავაწეული.
სულსაც ზეცისკენ ეზიდება, რათა გონებამ,
დამძიმებულმა, ისევ მიწას არ მიაჯაჭვოს.

V.6. მაშ, ვინაიდან, როგორც ცოტა ხნის წინ ვაჩვენეთ, ყოველივე, რაც შეცნობილია, არა საკუთარი, არამედ შემმეცნებლის ბუნებიდან გამომდინარეა გაგებული, ახლა დავაკვირდეთ, რამდენადაც ეს ნებადართულია, რა მდგომარეობა უკავია ღვთაებრივ არსს, რათა შევძლოთ იმის გაგება, მაინც როგორ ცოდნას ფლობს იგი. ღმერთი რომ მარადიულია, ეს არის ყველა მოაზროვნე არსების საერთო აზრი. მაშ, მოდი განვიხილოთ, რა არის მარადისობა. ეს ჩვენთვის თანაბრად მოჰფენს ნათელს ღვთაებრივ ბუნებასაც და ცოდნასაც. მაშასადამე, მარადისობა – ესაა დაუსრულებელი სიცოცხლის ერთდროულად მთლიანი და სრულყოფილი ფლობა. ამას კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის წარმავალ საგნებთან მისი შედარება. მართლაც, რაც დროის ფარგლებში არსებობს, წარსულიდან მომავლისკენ აწმყოთი მიემართება და არაფერია დროში მოქცეული ისეთი, მთელი თავისი სიცოცხლის განფენილობას თანაბრად რომ მოიცავდეს.

ხვალინდელი დღე ჯერ კიდევ არ არის მისთვის ხელჩასაჭიდი, გუშინდელი კი უკვე დაკარგულია, ხოლო დღევანდელი დღით ცხოვრება სწრაფმავალ წამზე დიდხანს არ გრძელდება. ის რაც დროს ექვემდებარება, თუნდაც არც დასაბამს იღებდეს ოდესმე, არც სრულდებოდეს, როგორც ეს არისტოტელემ[108] მოიაზრა სამყაროს

შესახებ, და მისი არსებობა გადაჭიმული იყოს დროის უსასრულობაში, მაინც ისეთი ჯერ ვერ არის, რომ სამართლიანად ეწოდოს მარადიული. ვინაიდან ვერც უსასრულო ცხოვრების ერთდროულად მთელ განფენილობას მოიცავს და იჭერს, ვერც მომავალს ფლობს ჯერჯერობით, და უკვე ვეღარც წარსულს. მარადიულად მხოლოდ ის შეიძლება სამართლიანად იქნეს მიჩნეული, რაც წვდება და იპყრობს უსასრულო სიცოცხლის მთელ სისავსეს, რაც არც მომავლიდან მოელის რაიმეს და არც წარსულის დინებას ატანს. იგი საკუთარ თავსაც უნდა ფლობდეს აწმყოში და კიდევაც იმყოფებოდეს მასში მარად და დროის მდინარებაში უსასრულო აწმყოს ინარჩუნებდეს.

აქედან გამომდინარე, მავანნი, ვისაც პლატონისგან თითქოს მოესმინოთ, რომ ხილულ სამყაროს არც დასაწყისი აქვს დროში და არც დასასრული, არასწორად განსჯიან, თითქოს შემოქმედის მიერ ასეთად შექმნილი სამყარო მის თანასწორად მარადიულია. ვინაიდან სხვაა უსასრულო სიცოცხლე, როგორც ამას პლატონი მიაწერს სამყაროს, და სულ სხვაა უსასრულო სიცოცხლის ყოვლისმომცველობა აწმყოში, რაც ცხადია, რომ მხოლოდ ღვთაებრივ გონს ხელეწიფება. ხოლო ღმერთი შექმნილ საგნებზე ხნიერი დროის ოდენობით კი არ უნდა ჩანდეს, არამედ უფრო საკუთარი მარტივი ბუნების თავისებურებით. დროებითი საგნების უსასრულო მოძრაობა ბაძავს იმ უმოძრაო სიცოცხლის აწმყოს მდგომარეობას და თუმცა არ ძალუძს მას მიემსგავსოს და გაუთანაბრდეს, უძრაობიდან გადადის მოძრაობაში და აწმყოს სისადავიდან წარსულისა და მომავლის უსასრულო ოდენობაში გადაიზრდება. და რადგან არ შეუძლია თანაბრად ფლობდეს თავისი სიცოცხლის მთელ სავსებას, არასოდეს წყვეტს რაიმე სახით არსებობას, სწორედ ამიტომ ჩანს, თითქოს ედრება იმას, რისი გამოხატვა და შევსება არ შეუძლია. ამისთვის იგი ეჯაჭვება აწმყოს რაღაც სწრაფმავალ წამს, და რადგან ეს აწმყოც ატარებს თავის თავში იმ ხანიერი აწმყოს გარეულ ხატებას, მათ, რასაც იგი შეეხება, წარმოაჩენს იმად, რასაც ისინი ბაძავენ. და ვინაიდან არ შეუძლია უმოძრაოდ გაჩერდეს, დროის უსასრულო გზას მიყვება და ამ ხერხით სვლას აგრძელებს იმ სიცოცხლისკენ, რომლის სისავსესაც ვერ მოიცავს, თუკი გაჩერდება. ამგვარად, თუკი გვსურს საგნებს შესაფერისი სახელი ვუწოდოთ, პლატონის კვალდაკვალ უნდა ვთქვათ, რომ ღმერთი მარადიულია, ხოლო სამყარო – მუდმივი. ვინაიდან ყოველგვარი განსჯა მასზე დაქვემდებარებულ საგნებს სწვდება საკუთარი ბუნების მიხედვით, ხოლო ღმერთს მუდამ აწმყო და მარადიული მდგომარეობა უჭირავს, მაშინ მისი ცოდნაც, ყოველგვარ დროით მსვლელობაზე აღმატებული, რომელიც თავისი აწმყოს სისადავეში რჩება და მოიცავს წარსულისა და მომავლის უსასრულო განფენილობას, თავისი ცოდნის სისადავით ყოველივეს ისე აღიქვამს, თითქოს აწმყოში ხდებოდეს. მგვარად, თუ გსურს შეიცნო წინასწარხედვა, რომლის მეშვეობითაც ყოველივე წესრიგდება, უფრო მართებული იქნება იგი მივიჩნიოთ არა მომავლის წინასწარცოდნად, არამედ აწმყოს ცოდნად, რომელიც არასდროს მთავრდება. აქედან გამომდინარე, მას უმჯობესია ეწოდოს არა წინასწარხედვა, არამედ წინასწარჭვრეტა, ვინაიდან იგი, მდაბალ საგანთაგან მოშორებული, თითქოს საგანთა უმაღლესი მწვერვალიდან განჭვრეტს ყოველივეს. მაშ, რატომ ითხოვ, რომ ყოველივე რაც ღვთაებრივი მზერის შუქითაა გასხიოსნებული, აუცილებლობით ხდებოდეს, მაშინ, როცა ადამიანიც ვერ შესძენს აუცილებლობას იმას, რასაც ხედავს? განა იმას, რასაც აწმყოში უმზერ, აუცილებლობას სძენს შენი მზერა?» «სრულიადაც

არა.» «მაგრამ თუ შეუფერებელი არ იქნება ადამიანისა და ღმერთის აწმყოს შედარება, მაშინ, როგორც შენ ხედავ საგნებს შენს დროებით აწმყოში, ასევე, ისიც ყოველივეს თავის

მარადიულ აწმყოში ხედავს. ამიტომაც ეს ღვთაებრივი წინასწარცოდნა საგანთა ბუნებასა და თვისებებს არ ცვლის და თავის აწმყოში მათ ისეთებად ხედავს, როგორებიც ოდესმე დროში მოქცეულ მომავალში იქნებიან. იგი საგანთა განსჯის გზებს ერთმანეთში არ ურევს და თავისი გონის ერთი მზერით განარჩევს, თუ რა მოხდება აუცილებლობით და რა – აუცილებლობის გარეშე. ისევე, როგორც თქვენ ხედავთ ერთდროულად მიწაზე მოსიარულე ადამიანსა და ცაზე ამომავალ მზეს. თუმცა ეს ორი რამ ერთდროულადაა შემჩნეული, მაგრამ განასხვავებთ მათ და განსჯით, რომ პირველი ნებაყოფლობითია, მეორე კი აუცილებლობით ნაკარნახევი. ასევე, ყოვლისმჭვრეტელი ღვთაებრივი მზერა საგანთა ბუნებას ერთმანეთში არ ურევს, თუმცა კი, რაც მისთვის აწმყოა, დროის მდგომარეობის გათვალისწინებით – მომავალია. ამგვარად, ეს მოსაზრება კი არ არის, არამედ ჭეშმარიტებით გამყარებული ცოდნაა, ვინაიდან უწყის, რომ რაღაც მოხდება და რომ ეს რაღაც აუცილებლობასაა მოკლებული, არც ამის უმეცარია.»

«თუ იტყვი ასე, რომ შეუძლებელია არ მოხდეს ის, რასაც ღმერთი ჭვრეტს, როგორც მოსახდენს, ხოლო რაც შეუძლებელია რომ არ მოხდეს, ის აუცილებლობიდან გამომდინარე აღსრულდება, მე კი ამ სახელწოდებას – «აუცილებლობას» მიმაჯაჭვავ, მაშინ ვაღიარებ, რომ ეს ყველაზე სამართლიანი ჭეშმარიტებაა, თუმცა კი მასთან მიახლოებას ღვთაებრიობის მჭვრეტელის გარდა ვერავინ შეძლებს. გიპასუხებ, რომ ერთი და იგივე მომავალი, როცა ის ღვთიურ ცოდნას უკავშირდება, აუცილებლობას წარმოადგენს, ხოლო როცა იგი საკუთარ ბუნებაში განიხილება, მაშინ თავისუფალი და დამოუკიდებელია. არსებობს, მართლაც, ორგვარი აუცილებლობა. ერთი უბრალო, როგორც ის, რომ ყველა ადამიანი აუცილებლად მოკვდავია, ხოლო მეორე – პირობითი. მაგალითად, როცა იცი, რომ ვიღაც დადის, აუცილებელია ის დადიოდეს.

თუ ვინმემ რაღაც იცის, შეუძლებელია იგი იყოს სხვაგვარად და არა ისე, როგორც იცის. მაგრამ ეს პირობითი აუცილებლობა თავის თავში უბრალო აუცილებლობას არ ატარებს, ვინაიდან ამგვარ აუცილებლობას განაპირობებს არა საკუთარი ბუნება, არამედ გარკვეული გარემოებების დართვა. მართლაც, არავითარი აუცილებლობა არ აიძულებს იაროს მას, ვინც თავისი ნებით დადის, თუნდაც აუცილებელი იყოს, რომ დადიოდეს იმ დროს, როცა დადის. ამგვარადვე, თუ განგება ხედავს აწმყოს, მაშინ მისი არსებობა აუცილებელია, თუნდაც ბუნებით არავითარი აუცილებლობა არ გააჩნდეს.

მაგრამ იმ მოვლენებს, რომლებიც ნების თავისუფლებიდან გამომდინარე ხდება, ღმერთი ისე უყურებს, როგორც აწმყოს. მაშასადამე, ღვთაებრივ ჭვრეტასთან დაკავშირებული ეს მოვლენები ღვთაებრივი ცოდნის პოზიციიდან იძენენ აუცილებლობას. მაგრამ თუ დამოუკიდებლად მოიაზრებიან, მაშინ მოკლებული არ არიან თავიანთი ბუნების აბსოლუტურ თავისუფლებას. ამიტომ უეჭველად მოხდება ის, რისი მოხდენაც ღმერთმა წინასწარ განჭვრიტა. მაგრამ ზოგი რამ თავისუფალი ნებიდან გამომდინარეობს და როგორადაც არ უნდა ასრულდეს, განხორციელებისას მაინც არ კარგავს თავის ბუნებას, რომლის მიხედვითაც სანამ აღსრულდებოდეს, შეუძლია არ ასრულდეს კიდეც. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აუცილებლობას არ შეიცავს, თუკი აუცილებლობის მსგავსად ღვთაებრივი ცოდნის მიზეზით ყველა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს? ეს სწორედ ისაა, რაც ცოტა ხნის წინ ნიმუშად შემოგთავაზე:

ამოდის მზე და მიდის კაცი. როცა ეს ორი რამ ხდება, შეუძლებელია, იმ დროს არ ხდებოდეს, მაგრამ პირველი მათგანისთვის ეს მანამდეც იყო აუცილებელი, სანამ მოხდებოდა, ხოლო მეორესთვის – არა. ამგვარად ის, რაც ღმერთს თავის აწმყოში აქვს წარმოდგენილი, უეჭველად ასრულდება, მაგრამ ზოგი რამ საგანთა აუცილებლობიდან გამომდინარე მოხდება, ზოგი კი იმის შესაძლებლობიდან, ვინც აღასრულებს. ამიტომ არც თუ უსამართლოდ გვითქვამს, რომ თუ მას ღვთაებრივ ცოდნას დავუკავშირებთ – აუცილებელია, ხოლო თუ დამოუკიდებლად მოვიაზრებთ – აუცილებლობის ჯაჭვისგან თავისუფალი. ისევე, როგორც ყოველივე იმას, რაც ხსნილია გრძნობათათვის, თუ გონებას დაუკავშირებ, ზოგადია, ხოლო თუ თავისთავად განიხილავ – კერძო. ალბათ მეტყვი: «თუ იმის ძალა შემწევს, რომ შევცვალო ის, რაც დაგეგმილია, მაშინ განგებასაც ხომ ავირიდებდი, რადგან, ალბათ, იმასაც შევცვლიდი, რაც მას წინასწარ ექნებოდა განჭვრეტილი.» ამაზე გიპასუხებ, რომ, მართალია, შენი გეგმის შეცვლა შეგიძლია, მაგრამ, ვინაიდან განგების ჭეშმარიტება თავის აწმყოში ხედავს იმასაც, შენ რომ ეს შეგიძლია და იმასაც, განახორციელებ თუ შეცვლი, ამიტომ ღვთაებრივ განგებას გვერდს ვერ აუვლი, ისევე, როგორც ვერ გაექცევი შენკენ მიმართულ მზერას, როგორადაც არ უნდა უცვალო ქმედებებს გეზი თავისუფალი ნებით. «მაშ, რა გამოდის,» – იკითხავ შენ – «ღვთიური ცოდნა ჩემი განკარგულებისამებრ იცვლება და როცა ხან ერთი რამ მინდა, ხან – მეორე, ცვლილება ღვთიურ ცოდნაზეც აისახება?» არა. რადგან ღვთაებრივი ხედვა უსწრებს ყოველგვარ მომავალს, უკან აბრუნებს და თავისი ცოდნის აწმყო მდგომარეობაში აღადგენს მას. არც თავის ცოდნაში შეტანილი ცვლილებებით უნაცვლებს ერთმანეთს, როგორც შენ ფიქრობ, ამ აწმყოსა და სხვაგვარ აწმყოს, არამედ თვალის ერთი შევლებით წინ უსწრებს და კიდევაც მოიცავს შენ მიერ გამოწვეულ ყოველგვარ ცვლილებას. ყოველივეს წვდომისა და დანახვის ეს აწმყო მდგომარეობა არა მომავლის მოვლენათა შედეგიდან, არამედ მისი სისადავიდან იღებს დასაბამს. აქედან გამომდინარე, ისიც გაირკვა, რაც ცოტა ხნის წინ აღნიშნე, რომ შეუფერებელია იმის თქმა, თითქოს ღვთის კუთვნილი ცოდნის მიზეზს ჩვენი მომავალი წარმოშობს. ვინაიდან ცოდნის ეს ძალა, რომელიც თავისი აწმყო წარმოდგენით ყველაფერს მოიცავს, თავად ადგენს საგანთა საზომს და არაფრითაა დავალებული მათგან, რაც მასზე უმნიშვნელოა. ამგვარად მოკვდავთათვის ხელშეუხებელი რჩება ნების თავისუფლება. არც კანონები აწესებენ ჯილდოს და სასჯელს უსამართლოდ, ვინაიდან ნება ყოველგვარი აუცილებლობისგანაა თავისუფალი. აგრეთვე რჩება ღმერთიც, როგორც ყოვლისმცოდნე და ყოველივეს ზემოდან მჭვრეტელი და მისი ხედვის მარადი აწმყო ჩვენი ქმედებების მომავალ თვისებებს თანხვდება და იგი კეთილ ადამიანებს ჯილდოს, ხოლო ბოროტებს – სასჯელს არგუნებს. არც ღვთის იმედია ამაო, არც ლოცვები, რომლებიც, სწორად მიმართულნი, უშედეგო არასდროს არიან. მაშ, ზურგი აქციეთ მანკიერებას, იზრუნეთ სიქველეზე, სული აღამაღლეთ ჭეშმარიტ იმედებთან. მიწიდან ლოცვა ზეცას მიაწვდინეთ. თქვენ სათნოების დიდი ვალდებულება გაქვთ დაკისრებული, თუკი თავს არ მოიტყუებთ, ვინაიდან ყოვლისმზირალი მსაჯულის თვალწინ არსებობთ.»

V

V.1. ეს თქვა და საუბარს მიმართულება უცვალა სხვა საკითხის ასახსნელად და გამოსარკვევად. მაშინ ვუთხარი: «მართებულია შენი გამხნევება და შენს ავტორიტეტსაც შეეფარება, მაგრამ იმას, რაც ახლახან თქვი განგებაზე, ჩემი გამოცდილებით ვხვდები, რომ

სხვა მრავალი საკითხიც ებმის. მსურს შეგეკითხო: როგორ ფიქრობ. არსებობს თუ არა, საერთოდ, შემთხვევითობა და რა არის იგი?» მაშინ მან მიპასუხა: «ვჩქარობ, დანაპირები ვალდებულებისგან გავთავისუფლდე და გაგიხსნა გზა, რომლითაც შინ დაბრუნდები. ეს საკითხები ცოდნისთვის მეტად სასარგებლოა, მაგრამ ჩვენი არჩეული გზიდან მცირედ უხვევს და ვშიშობ, გზააბნეულმა და დაქანცულმა, სწორი გზით სვლა რომ ვეღარ განაგრძო». «ამის ნუ გეშინია» – ვუთხარი, – «სიმშვიდეს ვპოვებ მასში, რისი ცოდნაც მეტად სასიამოვნოა ჩემთვის. ამასთანავე, როცა შენი მსჯელობა ყოველმხრივ შეუვალია, მაშინ მის შედეგებში არაფერია დასაეჭვებელი».

მან მიპასუხა: «ნება შენია!» და საუბარი ასე დაიწყო: «მართლაც, თუკი ვინმე შემთხვევითობად განსაზღვრავს უნებლიე მოძრაობიდან აღძრულ და არა რაიმე მიზეზთა კავშირით წარმოქმნილ მოვლენას, მაშინ ვამტკიცებ, რომ შემთხვევითობა სრულიადაც არ არსებობს და მიიჩნევ, რომ იმ საგნის არსებობის გარეშე, რასაც ეს სახელწოდება გამოხატავს, მხოლოდ ლიტონი სიტყვაა. განა რა ადგილი შეიძლება დარჩეს რაიმე შემთხვევითს, როცა ღმერთი ყოველივეს წესრიგის ჩარჩოებში აქცევს. სწორი აზრია, რომ არაფრისგან არაფერი წარმოიშობა. ძველთაგან ამაზე არავინ დაობდა, თუმცა ამას ისინი უკავშირებდნენ არა პირველშემოქმედს, არამედ მასზე დაქვემდებარებულ მატერიალურ საგნებს და ყოველგვარ მსჯელობას ბუნების შესახებ თითქოსდა ამ საფუძველზე აგებდნენ. მაშასადამე, თუ რაიმეს მიზეზები არ წარმოშობს, მაშინ ეს რაიმე არაფრისგან უნდა იყოს. მაგრამ ვინაიდან შეუძლებელია ასეთი რამ მოხდეს, მაშინ ვერც შემთხვევა იარსებებს იმ გაგებით, როგორაც ცოტა ხნის წინ განვმარტეთ».

«მაშ, განა არ არსებობს რაიმე, რასაც სამართლიანად შეიძლება ეწოდოს შემთხვევითი ან გაუთვალისწინებელი? იქნებ არის სახელწოდება, რომელიც, მართალია, ხალხისთვის დაფარულია, მაგრამ ზუსტად შეესატყვისება?» მან მიპასუხა: «ჩემმა არისტოტელემ, «ფიზიკაში» ის მოკლედ და ჭეშმარიტებასთან მიახლოებული საშუალებით განმარტა.[101]» «როგორ?» – ვკითხე. «როცა რაიმე ხდება, გარკვეული მიზნით და მთელი რიგი მიზეზების გამო მიიღება სხვა რამ, რაც არ იყო ჩაფიქრებული, აი, ეს არის შემთხვევითობა. მაგალითად, როცა ადამიანი მიწას თხრის მისი დამუშავების მიზნით და ოქროს მარაგს წააწყდება, სჯერა, რომ ამგვარი რამ შემთხვევით ხდება. სინამდვილეში კი ასე არ არის. ის არაფრისგან კი არაა, არამედ მას საკუთარი მიზეზები აქვს, რომელთა მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი თანხვედრა შემთხვევითობად აღიქმება. მიწათმოქმედს რომ არ დაეხნა და ოქრო მეპატრონეს იმ ადგილზე არ დაემარხა, მაშინ ის აღმოჩენილი არ იქნებოდა. ესაა მოულოდნელი გამართლების მიზეზი, რომელიც მომდინარეობს არა შემსრულებლის განზრახვიდან, არამედ ერთად თავმოყრილი და თანხვედრილი მიზეზებიდან. ვინაიდან არც ის, ვინც ოქრო დამალა და არც ის, ვინც მიწა გათხარა, არ ვარაუდობდა იმას, რომ ოქრო მოიძებნებოდა, არამედ, როგორც აღვნიშნე, ერთმანეთს დაემთხვა ის, რომ ერთმა ოქრო დამარხა, მეორემ კი ამოთხარა. მაშ, შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომ შემთხვევითობა – ესაა თანხვედრილ მიზეზთა გაუთვალისწინებელი შედეგი იმ მოვლენებში, რომლებიც სხვა მიზანს მიემართებოდა. მიზეზთა თანხვედრასა და დამთხვევას კი წესრიგი ახორციელებს, იგი აღიძვრის გარდაუვალი კავშირით, მოემართება განგების სათავიდან და ყველაფერს შესაფერის დროსა და სივრცეში ანაწილებს.

V.1 (v). იქ, სადაც მდევნელს სპარსეთის[102] კლდიდან
გულში არჭობენ ისარს მებრძოლნი,

ტიგროს-ევფრატი[103] იღებს სათავეს.
დაშორდებიან ერთურთს მალევე.
თუ ისურვებენ ისევ ერთობას,
რაც ცალკე მოაქვთ – ერთად შეკრებენ –
მოგლეჯილ ხეებს, ანდა ხომალდებს,
რომელთაც ტალღა აურდაურევს.
დაღმართისა და მორევის წესი
მოხეტიალე წყლებს აწესრიგებს.
ის, რაც გვგონია შემთხვევითობა,
აღვირს იტანს და კანონს მორჩილებს.

V.2. «ვუკვირდები, – მივუგე – და გეთანხმები, რომ სწორედ ისეა, როგორც აღნიშნე. მაგრამ ასე მჭიდროდ შეკავშირებულ მიზეზთა ჯაჭვში არსებობს განა ჩვენთვის რაიმე ნების თავისუფლება, თუ თავად ადამიანის სულის მოძრაობაც ბედისწერის ბორკილითაა შეკრული?» «არსებობს, – მიპასუხა, – არცაა ისეთი მოაზროვნე ქმნილება, რომელიც ნების თავისუფლების გარეშეა დარჩენილი. რასაც კი ბუნების მიერ გონებით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს მონიჭებული, გააჩნია განსჯის უნარი, რომლითაც განარჩევს ერთს მეორისაგან. იგი დამოუკიდებლად განასხვავებს სასურველს მოსარიდებლისაგან. თითოეული იმას ესწრაფვის, რაც სასურველად მიაჩნია და გაურბის იმას, რაც, მისი აზრით, მოსარიდებელია. ამგვარად, ვისაც გონება აქვს, იმას თავისუფლებაც გააჩნია, რომ ისურვოს რამე ან არ ისურვოს. მაგრამ, ვფიქრობ, ეს თავისუფლება ყოველში თანაბრად როდია. ზეციური და ღვთაებრივი არსნი აღჭურვილნი არიან უტყუარი განსჯით, შეულახავი ნებითა და სურვილთა ასრულების შეუზღუდავი შესაძლებლობით, ხოლო ადამიანთა სულები, უცილობლად მაშინ არიან უფრო მეტად თავისუფალნი, როცა თავს ღვთაებრივი გონის ჭვრეტით იცავენ. ნაკლებად თავისუფალნი – როცა სხეულში ჩაიკარგებიან, და კიდევ უფრო ნაკლებად – როცა მიწიერი ელემენტებით არიან შებოჭილნი. მონობის უკიდურესი სახე კი ისაა, რომ მანკიერებას მიცემულნი, საკუთარ გონებას ვეღარ ფლობენ. რადგან, როცა უმაღლესი ჭეშმარიტებიდან მზერას ბნელ და მდაბალ საგნებზე გადაიტანენ, მალევე დაბინდავთ უმეცრების ბურუსი და ააფორიაქებთ დამღუპველი ვნებები, რომელთა მინდობა და მორჩილება ხელს უწყობს მონობას, თავად რომ დაიტეხეს თავზე და კუთვნილ თავისუფლებას ტყვეობაში კარგავენ. მაგრამ ის, ვინც მარადისობიდან განგების თვალთახედვით უჭვრეტს და აკვირდება ყოველივეს, მათ იმას არგუნებს, რაც წინასწარ განუსაზღვრა – თითოეულს დამსახურების მიხედვით.

V.2 (v). Πάντ’ ‘εφορας και πάντ’ ‘επακούεις[104]
კაშკაშა ფებუსს თავად ჰომეროსმა,
ენადათაფლულმა, უმღერა ასე;
თუმც მზეს არ ძალუძს, რომ მიწის წიაღის
სიღრმენი განჭვრიტოს და ზღვათა ფსკერსაც
მოჰფინოს ნათელი უღონო სხივით.
ისე, ვით სამყაროს შემოქმედს ძალუძს,
ვინაც ყოველივეს მაღლიდან უცქერს
და ვერ დააბრკოლებს მას მიწის ფენა,
წინ ვერ აღუდგება ვერც ბნელი ღამე,
ის მზერას შეავლებს გონების თვალით,

რაც იყო, რაც არის, იქნება რაც კი,
ყველაფერს რომ ხედავს მხოლოდ ის ერთი
მზედ იწოდებოდეს, ღირსია, მართლაც.

V.3. მაშინ მივუგე: «კვლავაც ვაწყდები უფრო დიდ სირთულესა და ორაზროვნებას.» «მაინც რას?» – მკითხა მან, – «თუმცა უკვე ვხვდები, რაც უნდა გაშფოთებდეს.» «მეტად წინააღმდეგობრივად და შეუთავსებლად მეჩვენება ღმრთისმიერ წინასწარცოდნასთან ერთად რაიმე სახის ნების თავისუფლების თანაარსებობა. ვინაიდან, თუ ღმერთი განჭვრეტს ყოველივეს და შეუძლებელია რაიმე შეცდომა დაუშვას, მაშინ აუცილებლად აღსრულდება ის, რის აღსრულებასაც განგებით წინასწარ ხედავს. და ვინაიდან იგი მარადისობიდან განჭვრეტს არა მხოლოდ ადამიანთა ქმედებას, არამედ სურვილებსა და ზრახვებს, მაშინ ვერავითარი ნების თავისუფლება ვერ იარსებებს. ვეღარც სურვილები იარსებებს, ვეღარც ქმედება, თუ იგი წინასწარ არ იგრძნო უშეცდომო ღვთაებრივმა განგებამ. თუკი რაიმე გადავა იმას, რაც იყო განჭვრეტილი, მაშინ მომავლის წინასწარცოდნა შეუვალი ვეღარ იქნება. მაგრამ ეს აზრი მეტად მცდარია, ვინაიდან მკრეხელობად მიმაჩნია ღვთის შესახებ ამგვარი რამ ირწმუნო.

თუმცა ვერც იმ მოსაზრებას გავიზიარებ, რომლის მიხედვითაც სჯერათ, რომ შესაძლებელია ამ საკვანძო საკითხის ასე გადაჭრა: ამტკიცებენ, რომ, რაც მოსახდენია მოხდება არა იმიტომ, რომ განგებამ განსაზღვრა მომავალში მოსახდენად, არამედ პირიქით: თუ რაიმე მოხდება მომავალში, შეუძლებელია ის ღვთაებრივ განგებას დაემალოს. ამგვარად, აუცილებლობა საწინააღმდეგო მხარეს გადადის; გამოდის, რომ აუცილებელი არაა ასრულდეს ის, რაც იქნა განჭვრეტილი, არამედ აუცილებელია განჭვრეტილი იქნას ის, რაც უნდა ასრულდეს. თითქოსდა სადაო უნდა იყოს, რომელი რომლის მიზეზია: წინასწარცოდნა მომავლის აუცილებლობისა, თუ მომავლის აუცილებლობა – განგებისა. არც იმის დამტკიცებას ვცდილობ ახლა, რომ, რა სახისაც არ უნდა იყოს მიზეზთა რიგი, აუცილებლად უნდა ასრულდეს განჭვრეტილი მაშინაც, თუ წინასწარცოდნა მომავალში მოსახდენ მოვლენებს აუცილებლობას არ სძენს.

მაგალითად: თუ ვინმე ზის, აზრი, რომელიც გადმოგვცემს, რომ ის ზის, ჭეშმარიტია. და კვლავაც, მეორე მხრივ, თუ მართებულია ის აზრი, რომ ვინმე ზის, მაშინ აუცილებელია ის იჯდეს. აუცილებლობა ორივე მათგანშია. ერთში – იმის, რომ ვიღაც უნდა იჯდეს, მეორეში კი იმის, რომ აზრი უნდა იყოს ჭეშმარიტი. მაგრამ იმიტომ კი არ ზის ვიღაც, რომ ამ ფაქტის შემცველი აზრია ჭეშმარიტი, არამედ აზრია ჭეშმარიტი იმიტომ, რომ წინ უძღვის ფაქტი – ვიღაც ზის. ამგვარად, მართალია, ჭეშმარიტების მიზეზი მეორე ნაწილიდან მოდის, მაგრამ ორივე მათგანში არის უბრალო აუცილებლობა.

მსგავსი რამ შეიძლება ითქვას განგებასა და მომავალში მოსახდენ მოვლენათა შესახებაც: მოვლენა იმიტომ განიჭვრიტება, რომ მომავალში უნდა აღსრულდეს და არა პირიქით – რადგან განჭვრეტილია – უნდა აღსრულდეს, სულ ერთია, რაც უნდა აღსრულდეს, იმას განჭვრეტს ღმერთი, თუ რასაც განჭვრეტს ის უნდა ასრულდეს, ცალკე აღებული თითოეული პირობაც საკმარისია იმისთვის, რომ ნების თავისუფლება მოისპოს. და, მაინც, რა უაზრობაა მტკიცება იმისა, რომ წარმავალი მოვლენები არის მარადიული წინასწარცოდნის მიზეზი. განა ის ვარაუდი, თითქოს ღმერთი იმიტომ ხედავს მომავალ მოვლენებს, რომ ისინი აღსრულდება, სხვა რაა, თუ არა იმის დაშვება, რომ რაც უკვე მოხდა, უმაღლესი განგების მიზეზიც ის გამხდარა? ამასთანავე, თუ ვიცი, რომ რაღაც არის, აუცილებელია, რომ ის რაღაც იყოს. ასევე, როცა ვიცი, რომ რაღაც იქნება, აუცილებელია, რომ ის მართლაც იქნეს. აქედან გამომდინარე,

გარდაუვალია განჭვრეტილ მოვლენათა აღსრულება და, ბოლოს, თუ ვინმე აღიქვამს საგანს სხვაგვარად, ვიდრე ის სინამდვილეშია, ეს არის არა მხოლოდ არცოდნა, არამედ მცდარი აზრი, ჭეშმარიტი ცოდნისგან მეტად დაშორებული. თუ რაიმე უნდა მოხდეს ისე, რომ მისი მოხდენა უსათუო აუცილებლობას არ შეიცავს, როგორ შეიძლება განიჭვრიტოს მისი აღსრულება? როგორც თავად ჭეშმარიტი ცოდნაა სიყალბესთან შეუთავსებელი, ასევე ის, რაც მისგან მომდინარეობს, შეუძლებელია იყოს სხვაგვარად და არა ისე, როგორც გამომდინარეობს. ვინაიდან იმის მიზეზი, თუ რატომაა ჭეშმარიტი ცოდნა სიცრუეს მოკლებული, ისაა, რომ ყველაფერი ზუსტად ისეთია, როგორადაც იგი ცოდნის მიერაა აღქმული.

მაინც როგორ განჭვრეტს ღმერთი უცნობ მომავალს? თუ ფიქრობს, რომ გარდაუვალია იმის მოხდენა, რაც შესაძლოა არც მოხდეს, ცდება. ამის არა მარტო გაფიქრებაა დანაშაული, არამედ ხმამაღლა წარმოთქმა უფრო მეტი დანაშაულია. მაგრამ თუ მოსახდენ მოვლენებს ისეთად ხედავს, როგორიც სინამდვილეშია, ისე, რომ იცის, რაღაც თანაბრად შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს, ეს რაღა წინასწარცოდნაა, თუკი დანამდვილებით და უტყუარად ვერაფერს განსაზღვრავს? ან რაღა განასხვავებს მას ტირესიასის[105] იმ სასაცილო წინასწარმეტყველებისგან – რასაც ვიტყვი ან ახდება ან არაო? და რით იქნება ღვთაებრივი განგება ადამიანურ განსჯაზე უკეთესი, თუკი ის, რისი მოხდენაც ადამიანებისთვის გაურკვეველია, მისთვისაც გაურკვეველი იქნება? თუკი მისთვის, ყოველივეს ჭეშმარიტი დასაბამისთვის, შეუძლებელია რაიმე იყოს ბუნდოვანი, მაშინ უეჭველად ახდება ის, რისი ახდენაც მომავალში მტკიცედ განჭვრიტა.

ამის გამო ვერ დარჩება ვერავითარი თავისუფლება ადამიანის ჩანაფიქრისა თუ ქმედებისათვის, რომელსაც ყოველივეს უშეცდომოდ მჭვრეტელი ღვთაებრივი გონი კრავს და ერთი შედეგისკენ წარმართავს. ამ აზრის ერთხელ დაშვებაც კი იმას ნიშნავს, რომ ვაღიაროთ – ადამიანის ქმედებები აშკარა მარცხისთვისაა განწირული. ვინაიდან აზრს კარგავს კეთილთათვის ჯილდოს, ხოლო ბოროტთათვის სასჯელის დაწესება, რადგან ის არ იქნება თავისუფალი ან ნებელობითი სულის მოძრაობის დამსახურება და ყველასთვის უსამართლო გამოჩნდება ის, რასაც ახლა ყველაზე სამართლიანად მივიჩნევთ. კერძოდ: უღირსთა დასჯასა და ღირსეულთა დაჯილდოებას, ვინაიდან ისინი სიკეთესა თუ ბოროტებასთან მიიყვანა არა საკუთარმა ნებამ, არამედ მომავლის მტკიცე გარდაუვალობამ. აღარც მანკიერება იქნება, მაშასადამე, აღარც სიქველე, არამედ უფრო დამსახურებათა რაღაც უწესრიგო და განურჩეველი ნარევი. ვერაფერს მოიფიქრებ იმაზე უფრო დანაშაულებრივს, ვიდრე, ვინაიდან საგანთა ყოველგვარი წესრიგი განგებიდან იღებს სათავეს და ადამიანის ზრახვებისათვის აღარაფერია ხელმისაწვდომი, ამიტომ ჩვენი მანკიერებანიც ყოველგვარი სიკეთის შემოქმედისგან მოდის. მაშ, არავითარი აზრი არ აქვს რაიმეს იმედს და არც ლოცვას. რას გახდება ან იმედი ან ლოცვა მაშინ, როცა ყველაფერი, რაც შეიძლება ვისურვოთ, დაუხსნელი ჯაჭვითაა შებოჭილი?

ასე დაიკარგება ღვთისა და ადამიანთა ურთიერთობის ერთადერთი გზა – ლოცვისა და იმედისა (თუ, რა თქმა უნდა, სათანადო მორჩილებით ფასდაუდებელ ღვთაებრივ მოწყალებას არ დავიმსახურებთ). გზა, რომლის მეშვეობითაც ადამიანებს ღმერთთან საუბარი შეუძლიათ და იმ მიუღწეველ ნათელთან ლოცვით მიახლება უფრო ადრე, ვიდრე იგი ებოძებათ. მაგრამ თუ დავუშვებთ იმას, რომ არის მომავლის აუცილებლობა და ვირწმუნებთ, რომ არავითარი ძალა არ გაგვაჩნია, როგორღა შევძლებთ საგანთა უმაღლეს საწყისთან მისვლას და

დაკავშირებას? აქედან აუცილებლად მოხდება ის, რაც ცოტა ხნის წინ სიმღერად წარმოთქვი, რომ დაშლილი და დაქუცმაცებული კაცთა მოდგმა მოსწყდება თავის სათავეს.

V.3.(v). საგანთა კავშირს განხეთქილების
რა მიზეზი სპობს? რა ძალა ღვთისა
აპირისპირებს ამ ორ სიმართლეს?
ცალკე მტკიცეა თითოეული,
არ სურთ ერთმანეთს დაუკავშირდნენ.
იქნებ არც არის მათ შორის ქიშპი
და ინახავენ მყარად ერთობას?
თუმცა სხეულით ძლეულ გონებას
არ შეუძლია მქრქალი სინათლით
ჩასწვდეს საგანთა ფაქიზ კავშირებს.
რად წვავს სურვილი: ჭეშმარიტების
ფარულ ნიშანთა არსი ეძიოს?
იქნება იცის, რასაც ესწრაფვის?
რაღად ეძიებს, რაც უკვე იცის?
თუ კი არ იცის, ბრმად რად დაეძებს,
ვინ რად ისურვოს გაურკვეველი?
რაც უცნობია, იმას ვინ მისდევს?
როგორ იპოვის? ან როგორ შეძლებს,
რომ ამოიცნოს, თუკი იპოვის?
ან გონს უმაღლესს თუკი იხილავს
შეიცნობს ერთად მთელსაც, ნაწილსაც?
ხორციელების ბურუსით მოცულს
არ დაუკარგავს ბოლომდე თავი.
ნაწილებს კარგავს, მთელს ინარჩუნებს,
ვინაც ესწრაფვის სიმართლეს,
იგი მდგომარეობას არცერთს არ ირჩევს –
არც მცოდნე არის, არც უმეცარი,
ყოველს იხსენებს, რაც კი გონში აქვს,
მიღმური ხილვით აანალიზებს
და შეუძლია ხსოვნად დაფარულს
შემატოს ის, რაც დავიწყებია.

V.4. და მაშინ მან თქვა: «ეს ჩივილი განგების თაობაზე ოდინდელია. მის შესახებ მარკუს ტულიუსიც გაცხარებით მსჯელობდა, როდესაც დივინაციის სახეობებს აყალიბებდა.[106] ეს საკითხი იყო შენი ღრმა და ხანგრძლივი კვლევის საგანიც. მაგრამ ვერც ერთმა თქვენგანმა ვერ ახსნა იგი საკმარისად მკაფიოდ და დაბეჯითებით. ამ ბუნდოვანების მიზეზი კი ისაა, რომ ადამიანურ განსჯათა სვლას არ ძალუძს მიუახლოვდეს ღვთაებრივი ცოდნის სისადავეს. თუ რაიმე გზით მოხერხდებოდა მისი გააზრება, მაშინ გაურკვეველი სრულიად აღარაფერი დარჩებოდა. ასე, რომ შევეცდები ნათელვყო და გამოვარკვიო ეს ერთი რამ, როცა ჯერ ავწონ-დავწონი იმ საკითხებს, რომლებითაც ასე ძლიერ გაფორიაქებენ. მიპასუხე: რატომ მიიჩნევ ნაკლებ წარმატებულად მათ მეთოდს, რომლებიც აღნიშნულ პრობლემას ამგვარად წყვეტენ: ვინაიდან ფიქრობენ, რომ წინასწარცოდნა არაა მოსახდენ მოვლენათა აუცილებლობის

მიზეზი, ამიტომ მიაჩნიათ, რომ ნების თავისუფლებას არავითარი წინასწარცოდნა არ დააბრკოლებს. მაშ, საიდანღა გამოგყავს მომავალში მოსახდენ მოვლენათა აუცილებლობის არგუმენტი, თუ არა იქიდან, რომ შეუძლებელია არ აღსრულდეს ის, რისი აღსრულებაც წინასწარაა განჭვრეტილი? თუ წინასწარცოდნა არავითარ აუცილებლობას არ სძენს მომავალში მოსახდენ მოვლენებს, რასაც ცოტა ხნის წინ თავადაც იზიარებდი, მაშინ რატომაა, რომ იმ საქმეებმაც, რომელთა აღსრულება ნებაზეა დამოკიდებული, განსაზღვრული შედეგი უნდა გამოიღონ?

მოდი, დასაბუთების გულისთვის, ყურადღება რომ მიაქციო, თუ რა გამომდინარეობს აქედან, დავუშვათ, რომ არავითარი წინასწარცოდნა არ არსებობს. მაშინ, ის მოვლენები, რომელთა აღსრულებაც ნებაზეა დამოკიდებული, ხომ აღარ იქნებიან მიჯაჭვულნი აუცილებლობას?» «სრულიადაც არა» «მოდი, კვლავაც დავუშვათ, რომ წინასწარცოდნა არსებობს, მაგრამ მოვლენებს არავითარ აუცილებლობას არ სძენს. ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც დარჩება იგივე სრული და ხელუხლებელი თავისუფლება.

ალბათ იტყვი, რომ წინასწარცოდნა თუმცა თავად არ წარმოადგენს მომავალ მოვლენათა აღსრულების აუცილებლობას, მაგრამ მათი აუცილებლად აღსრულების ნიშანი მაინცაა. ამგვარად, რომც არ არსებობდეს წინასწარცოდნა, მომავალ მოვლენათა აღსრულება მაინც აუცილებლობით იქნებოდა განპირობებული. ვინაიდან ყოველგვარი ნიშანი კი არ ქმნის, არამედ მხოლოდ მიუთითებს, თუ რას წარმოადგენს საგანი. პირველ რიგში, საჭიროა იმის ჩვენება, რომ ყველაფერი ხდება აუცილებლობიდან გამომდინარე, რათა ნათელი იყოს, წინასწარცოდნა ამ აუცილებლობის ნიშანი რომაა. გარდა ამისა, თუკი ეს ასე არაა და არ არსებობს არავითარი აუცილებლობა, მაშინ ვერც წინასწარცოდნა იქნება იმის ნიშანი, რაც არარსებულია. მაგრამ, ეჭვგარეშეა, რომ შეუვალი განსჯით გამყარებული მტკიცებულება უნდა მიიღებოდეს არა მინიშნებებისა თუ გარედან მოხმობილი არგუმენტებისგან, არამედ სათანადო და უცილობელი მიზეზებისგან.

მაგრამ, როგორ შეიძლება ისე მოხდეს, რომ არ ასრულდეს ის, რისი აღსრულებაც მომავალში წინასწარაა განჭვრეტილი? ეს იმის მსგავსი იქნებოდა, რომ დაგვეჯერებინა, თითქოს არ ასრულდება ის, რისი ასრულებაც განგების მიერ წინასწარაა განჭვრეტილი და არც ის გვეფიქრა, რომ თუმცა ისინი სრულდება, მაგრამ ბუნებით არავითარ აუცილებლობას არ ატარებს იმისათვის, რომ აღსრულდეს. ამას კი აქედან ადვილად დაასკვნი: მრავალი ქმედება, ვიდრე ჩვენ თვალწინ ვითარდება, შეგვიძლია ვიხილოთ მსგავსად მეეტლეებისა, რომლებიც ხედავენ ოთხთვალას მართვისა თუ მობრუნებისთვის გამიზნულ ქმედებებს, და კიდევ მრავალი მაგალითი არსებობს ამის მსგავსი. განა რაიმე აუცილებლობა აიძულებს რომელიმე ამ ქმედებას, რომ ასე აღსრულდეს?» «სრულიადაც არა, ვინაიდან ყველაფერი რომ იძულებით ხდებოდეს, მაშინ ხელოვნებაც უშედეგო და ამაო იქნებოდა.» «მაშასადამე, თუკი ქმედება მისი აღსრულების დროს აუცილებლობას მოკლებულია, მაშინ აღნიშნული ქმედება აღსრულების დრომდეც მოკლებული იქნება ამგვარ აუცილებლობას. არ მეგულება ისეთი ვინმე, რომელიც იტყოდა, რომ რაც ახლა ხდება, გამიზნული იყო მოსახდენად მანამდე, სანამ მოხდებოდა. ამგვარად, ამ წინასწარ განჭვრეტილ მოვლენებსაც აქვთ აღსრულების თავისუფლება. ვინაიდან როგორც ამჟამინდელ მოვლენათა ცოდნა არ სძენს არავითარ აუცილებლობას მათ აღსრულებას, ასევე, არც მომავლის მოვლენათა აღსრულებაში შეიტანს წინასწარცოდნა რაიმე აუცილებლობას. მაგრამ, იტყვი, რომ სადავო სწორედ ესაა. შესაძლებელია თუ არა იმ მოვლენათა წინასწარცოდნა, რომელთა აღსრულებაც აუცილებლობით არაა ნაკარნახევი. ეს

ორი რამ შეუთავსებლად მოჩანს და ფიქრობ, თუ რაიმე განჭვრეტილია, აქედან გამომდინარე, მასში აუცილებლობაცაა, ხოლო თუ მოკლებულია აუცილებლობას, მაშინ განჭვრეტილი ვერ იქნება. ცოდნისათვისაც ყოველივე მიუწვდომელი დარჩება, გარდა იმისა, რაც გარკვეულია. მაგრამ თუ ის მოვლენები, რომელთა აღსრულებაც გაურკვეველია, განიჭვრიტებოდა როგორც გარკვეული, მაშინ ეს აზრი ბუნდოვანი აზრი იქნებოდა და არა ჭეშმარიტი ცოდნა. ვინაიდან საგნებს აღიქვამ იმისგან განსხვავებულად, რაც სინამდვილეშია და გჯერა, რომ ცოდნის მთლიანობაც მათ განსხვავებულად აღიქვამს. ამ შეცდომის მიზეზი კი ისაა, რომ თითოეული მიიჩნევს, თითქოს ყველაფერი, რაც მან იცის, იცის იმ საგნის ბუნების და შესაძლებლობის წყალობით, რომელსაც შეიცნობს. მაგრამ საქმე სულ სხვაგვარადაა: ადამიანი ყოველივეს შეიმეცნებს თავისი და არა შესამეცნებელი საგნის შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ამ მოკლე მაგალითით ეს ნათელი გახდება: ერთსა და იმავე საგნის სიმრგვალეს მზერა სხვაგვარად აღიქვამს, შეხება – სხვანაირად. პირველი რჩება მოშორებით და მთელ საგანს ერთდროულად ხედავს თავისი შორიდან ნატყორცნი სხივით, მეორე კი, რომელიც შერწყმული და გაერთიანებულია სფეროსთან, გარს უვლის მას და ნაწილ-ნაწილ იჭერს მის სიმრგვალეს. აგრეთვე თავად ადამიანიც გრძნობით, წარმოსახვით, გონებით, ცოდნით განსხვავებულად აღიქვამს ყოველივეს. მაგალითად, გრძნობა აღიქვამს მატერიით განსხეულებულ ფორმას, წარმოსახვა – მატერიით განუსხეულებელ გამოსახულებას, ხოლო გონება გასცდება რა სამანს ფორმისა, ზოგადი განსჯით განსაზღვრავს იმ იდეას, რომელიც კერძო საგანში იმალება. თუმცა არსებობს უფრო გამჭვრეტი აღქმა ღვთიური ცოდნისა. იგი, ზოგადობის სფეროზე აღმატებული თავისი ნათელი გონების თვალით მარტივ ფორმას უმზერს. აქ ყურადღება განსაკუთრებით ამას უნდა მივაქციოთ: შემეცნების ყველაზე აღმატებული ძალა უმდაბლესსაც სწვდება მაშინ, როცა უმდაბლესი უმაღლესამდე ვერ აღწევს. არც გრძნობას შეუძლია მატერიის მიღმა აღიქვას რაიმე, არც წარმოსახვას ხელეწიფება ზოგად სახეობათა წვდომა, ხოლო გონება მარტივ ფორმას ვერ იჭერს. მაგრამ ღვთიური ცოდნა, რომელიც ზემოდან იმზირება, შეიმეცნებს ფორმას და განარჩევს ყოველივეს, რაც ამ ფორმაზეა დამოკიდებული და ამგვარად შეიცნობს საკუთრივ ფორმას, რაც სხვათათვის უცხოა. მისთვის ხელმისაწვდომია გონებისეული ზოგადიც, წარმოსახვისეული ფორმაც და ისიც, რაც მატერიალურია გრძნობისთვის, მაგრამ შეიმეცნებს არა ისე, როგორც გონება, წარმოსახვა ან გრძნობა, არამედ გონების ერთი მზერით აღიქვამს ყველა საგნის ფორმას, ასე ვთქვათ, ყველაფერს განჭვრეტს. ვინაიდან გონება, რომელიც ზოგადს განიხილავს, ისე სწვდება გრძნობადსა და წარმოსახვითს, რომ არც წარმოსახვას ეყრდნობა, არც – გრძნობას. იგი თავისი ზოგადი თვალთახედვიდან ამას ასე განმარტავს: ადამიანი არის ორფეხა მოაზროვნე ცხოველი. და ეს ზოგადი იდეაა, თუმცა ყველამ იცის, რომ ადამიანი არის ისიც, რაც ხელმისაწვდომია გრძნობისა და წარმოსახვისთვის, მაგრამ გონება მას განიხილავს არა წარმოსახვისა და გრძნობის საშუალებით, არამედ მისთვის დამახასიათებელი ძალით. ასევე, წარმოსახვაც, რომლის ხედვაც თუმცა გრძნობიდან იღებს სათავეს და ფორმასაც გრძნობიდან აყალიბებს, ყოველგვარ გრძნობით საგანს უჭვრეტს არა გრძნობისმიერი, არამედ წარმოსახვისმიერი შემეცნების საშუალებით. ხედავ, რომ შემეცნებისას ყველა თავის ძალას უფრო ეყრდნობა, ვიდრე იმის ბუნებას, რასაც შეიცნობს. ესეც მართალია: თუ ყოველგვარი განსჯა განმსჯელის მოქმედების შედეგია, მაშინ აუცილებლად გამომდინარეობს, რომ თითოეული ასრულებს თავის საქმეს არა სხვისი, არამედ საკუთარი ძალის მეშვეობით.

V.4 (v). ერთ დროს პორტიკის[107] მესვეურთ,
ხანშიშესულთა დარად
მრუმედმხედველებს, სჯეროდათ,

თითქოს კაცთა გონებაში
წარმოსახვა და შეგრძნება
მიღმამყოფ სხეულთა არსის
უცხო ანაბეჭდი იყო
ისე, ვით სუფთა ფურცელზე
სტილუსით ნაწერი ასო.
მაგრამ თუ თავისი ძალით
გონება ვერაფერს აღძრავს,
თუ დევს უმოქმედოდ, მხოლოდ
ირეკლავს გარეგან საგნებს,
მსგავსად რომ ჩნდება სარკეზე
გამოსახულება ყალბი,
მაშ, საიდან მოსდგამს მოკვდავს,
ყოველთა მჭვრეტელი ცოდნა?
ან კერძო საგნებს რით არჩევს,
ან შემეცნებულს რით ყოფს?
რით კრებს კვლავ ერთად, რაც გაყო:
ან ორ გზას რომ დაადგება,
ხან მდაბალ საგნებთან ეშვება,
ხანაც მწვერვალამდე ადის,
შემდეგ თავს რომ უბრუნდება,
ჭეშმარიტს მცდარისგან არჩევს?
ეს არის ქმედითი მიზეზი,
უფრო ძალმოსილი მასზე,
რაც ნიშნებს აღბეჭდავს მხოლოდ
მატერიალური საგნის.
თუმცა წინ უსწრებს სხეულის
ემოციური ქმედება,
გონების ძალებს რომ აღძრავს.
როცა სინათლე მისწვდება
თვალებს, ყურებს კი ხმაური,
გონების ძალა იღვიძებს
და მათ მსგავს სახეებს აღძრავს,
მის წიაღში რომ სუფევს.
ის უკავშირებს ერთმანეთს
გარედან მოსულ ხატებებს
და თავის შინაგან ფორმებს.

V.5. თუ მატერიალური საგნების შეგრძნებისას, გარეგანი მახასიათებლები ზემოქმედებას რომც ახდენდნენ გრძნობის ორგანოებზე და აქტიური გონების ცხოველმყოფელ ძალას წინ რომც უსწრებდეს სხეულებრივი განცდა, რომელიც თავისი მოქმედებით იწვევს გონების აქტიურობას და სულის სიღრმეში მიძინებულ ფორმებს აღძრავს, ვიმეორებ: თუ მატერიალური საგნების შეგრძნებისას გონება არ არის დაღდასმული განცდით, არამედ თავისი შესაძლებლობით აანალიზებს განცდას – სხეულის თვისებას, მაშინ შემეცნებისას რამდენად უფრო გაუხსნიან გზას საკუთარი გონების მოძრაობას და არ გაედევნებიან გარეგან

საგნებს ისინი, ვინც თავისუფალნი არიან ყოველგვარი მატერიალური ზეგავლენისგან? ამგვარად, შემეცნების მრავალფეროვანი სახეებიც შესაბამისად, იმდენია, რამდენი ნაირგვარი და განსხვავებული არსებაცაა ქვეყნად. საკუთრივ მხოლოდ შეგრძნება, შემეცნების ყოველგვარი სხვა სახის გარეშე, აქვთ უმოძრაო ცოცხალ არსებებს, ისეთებს, როგორებიც არიან ზღვის მოლუსკები და სხვა ქმნილებები, რომლებიც კლდეზე მიმაგრებულნი არსებობენ. წარმოსახვა კი აქვთ მოძრავ ცხოველებს, რომლებსაც, როგორც ჩანს, იმის შესაძლებლობა გააჩნიათ, რომ ისურვონ რაიმე ან თავიდან აირიდონ. ხოლო გონებას მხოლოდ ადამიანთა მოდგმა ფლობს ისევე, როგორც ცოდნას მხოლოდ ღმერთი. გამოდის, რომ სხვებზე აღმატებული შემეცნების ის სახეა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ მასთან, არამედ შემეცნების სხვა სახეებთან დაკავშირებულ საგნებს.

დავუშვათ, რომ შეგრძნებამ და წარმოსახვამ გონების წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს, თითქოს არ არსებობდეს ის ზოგადი, რის შემეცნებასაც გონება იჩემებს, რადგან რაც გრძნობადი ან წარმოსახვითია, იგი არ შეიძლება ზოგადი იყოს. ამ შემთხვევაში, ან გონების განსჯაა მართებული და მაშინ არაფერი გრძნობადი არ არსებობს, ან თუ გონებამ უწყის, რომ მრავალი რამ გრძნობადი და წარმოსახვითია, მაშინ მისი შემეცნების მეთოდია ფუჭი, ვინაიდან ზოგადად მიაჩნია ის, რაც კერძოა და გრძნობადი. ამის საწინააღმდეგოდ გონება უპასუხებდა, რომ ზოგადის ჭვრეტისას იგი ხედავს იმასაც, რაც გრძნობადი ან წარმოსახვითია, ხოლო მათ ზოგადის შემეცნებამდე მიწვდომა არ ძალუძთ, რადგანაც მათი ცოდნა სხეულებრივ ფორმებს ვერ სცილდება, ხოლო როცა საქმე საგანთა ცოდნას ეხება, უმჯობესია უფრო მტკიცე და ჭეშმარიტებასთან მიახლოებულ აზრს ვერწმუნოთ. განა ასეთ კამათში ჩვენ, ვისაც შეგვწევს როგორც აზროვნების, ისე წარმოსახვისა და შეგრძნების უნარი, გონების არგუმენტს უფრო არ მოვიწონებდით? ანალოგიურად, ადამიანის გონებასაც მიაჩნია, რომ ღვთაებრივი ცოდნა მომავალს ისევე ხედავს, როგორც თავად გონება. ხომ განსჯით ასე: თუ არსებობს მოვლენები, რომელთა აღსრულებაც არ არის უეჭველი და აუცილებელი, მაშინ შეუძლებელია დანამდვილებით იმის ცოდნა, მოხდება თუ არა ეს მოვლენები. ასე, რომ არავითარი წინასწარცოდნა არ არსებობს ამგვარი მოვლენებისთვის, ვინაიდან თუ მათი წინასწარცოდნის არსებობას დავიჯერებთ, მაშინ აუცილებლობის გარეშე მოსახდენი აღარაფერი დარჩება. ჩვენ რომ შეგვეძლოს ღვთაებრივი გონის თანაზიარება, ისევე, როგორც საკუთარ გონებას ვფლობთ, მივხვდებოდით, რომ როგორც გრძნობა და წარმოსახვა უნდა ემორჩილებოდეს გონებას, ისე ადამიანის გონებაც ღვთაებრივ გონს უნდა ექვემდებარებოდეს. ასე, რომ, მოდი, ავმაღლდეთ უზენაესი ცოდნის მწვერვალამდე, თუკი შევძლებთ. აქ გონება იხილავდა იმას, რის ხილვასაც საკუთარ თავში ვერ ახერხებს, ანუ იმას, თუ როგორ ჭვრეტს წინასწარცოდნა ცხადად და გარკვევით იმ მოვლენებსაც, რომელთა აღსრულება არაა უეჭველი და ეს ვარაუდი კი არა არის, არამედ უმაღლესი ცოდნის სისადავეა, რომელსაც ვერავითარი ბორკილი ვერ ზღუდავს.

V.5 (v). რა მრავალგვარი არსებანი ვლიან მიწაზე!
ძლიერი მკერდით ქვიშას აპობს ზოგი მათგანი
და ორმოებს თხრის საამისოდ მოქნილი ტანით.
არის ისეთიც, ქარებს რომ კვეთს მსუბუქი ფრთებით
მაღლა, სივრცეში რომ ლივლივებს ნარნარი ფრენით.
ზოგს ურჩევნია ნაფეხური დაატყოს მიწას,
გადაიაროს მწვანე მდელო, ანდა ტყეები.
მათ, ვისაც ხედავ განსხვავებულს მრავალგვარ ფორმით –
დაჩლუნგებულებს პირისახე ძირს დაუხრიათ.

ადამიანებს ძალუძთ მხოლოდ ასწიონ თავი,
წელგამართული დაჰყურებდნენ მსუბუქად მიწას.
სანიმუშოა, თუ არ მოდრეკს ბიწიერება,
ვინაც მიილტვის ზეცისაკენ თავაწეული.
სულსაც ზეცისკენ ეზიდება, რათა გონებამ,
დამძიმებულმა, ისევ მიწას არ მიაჯაჭვოს.

V.6. მაშ, ვინაიდან, როგორც ცოტა ხნის წინ ვაჩვენეთ, ყოველივე, რაც შეცნობილია, არა საკუთარი, არამედ შემმეცნებლის ბუნებიდან გამომდინარეა გაგებული, ახლა დავაკვირდეთ, რამდენადაც ეს ნებადართულია, რა მდგომარეობა უკავია ღვთაებრივ არსს, რათა შევძლოთ იმის გაგება, მაინც როგორ ცოდნას ფლობს იგი. ღმერთი რომ მარადიულია, ეს არის ყველა მოაზროვნე არსების საერთო აზრი. მაშ, მოდი განვიხილოთ, რა არის მარადისობა. ეს ჩვენთვის თანაბრად მოჰფენს ნათელს ღვთაებრივ ბუნებასაც და ცოდნასაც. მაშასადამე, მარადისობა – ესაა დაუსრულებელი სიცოცხლის ერთდროულად მთლიანი და სრულყოფილი ფლობა. ამას კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის წარმავალ საგნებთან მისი შედარება. მართლაც, რაც დროის ფარგლებში არსებობს, წარსულიდან მომავლისკენ აწმყოთი მიემართება და არაფერია დროში მოქცეული ისეთი, მთელი თავისი სიცოცხლის განფენილობას თანაბრად რომ მოიცავდეს. ხვალინდელი დღე ჯერ კიდევ არ არის მისთვის ხელჩასაჭიდი, გუშინდელი კი უკვე დაკარგულია, ხოლო დღევანდელი დღით ცხოვრება სწრაფმავალ წამზე დიდხანს არ გრძელდება. ის რაც დროს ექვემდებარება, თუნდაც არც დასაბამს იღებდეს ოდესმე, არც სრულდებოდეს, როგორც ეს არისტოტელემ[108] მოიაზრა სამყაროს შესახებ, და მისი არსებობა გადაჭიმული იყოს დროის უსასრულობაში, მაინც ისეთი ჯერ ვერ არის, რომ სამართლიანად ეწოდოს მარადიული. ვინაიდან ვერც უსასრულო ცხოვრების ერთდროულად მთელ განფენილობას მოიცავს და იჭერს, ვერც მომავალს ფლობს ჯერჯერობით, და უკვე ვეღარც წარსულს. მარადიულად მხოლოდ ის შეიძლება სამართლიანად იქნეს მიჩნეული, რაც წვდება და იპყრობს უსასრულო სიცოცხლის მთელ სისავსეს, რაც არც მომავლიდან მოელის რაიმეს და არც წარსულის დინებას ატანს. იგი საკუთარ თავსაც უნდა ფლობდეს აწმყოში და კიდევაც იმყოფებოდეს მასში მარად და დროის მდინარებაში უსასრულო აწმყოს ინარჩუნებდეს.

აქედან გამომდინარე, მავანნი, ვისაც პლატონისგან თითქოს მოესმინოთ, რომ ხილულ სამყაროს არც დასაწყისი აქვს დროში და არც დასასრული, არასწორად განსჯიან, თითქოს შემოქმედის მიერ ასეთად შექმნილი სამყარო მის თანასწორად მარადიულია. ვინაიდან სხვაა უსასრულო სიცოცხლე, როგორც ამას პლატონი მიაწერს სამყაროს, და სულ სხვაა უსასრულო სიცოცხლის ყოვლისმომცველობა აწმყოში, რაც ცხადია, რომ მხოლოდ ღვთაებრივ გონს ხელეწიფება. ხოლო ღმერთი შექმნილ საგნებზე ხნიერი დროის ოდენობით კი არ უნდა ჩანდეს, არამედ უფრო საკუთარი მარტივი ბუნების თავისებურებით. დროებითი საგნების უსასრულო მოძრაობა ბაძავს იმ უმოძრაო სიცოცხლის აწმყოს მდგომარეობას და თუმცა არ ძალუძს მას მიემსგავსოს და გაუთანაბრდეს, უძრაობიდან გადადის მოძრაობაში და აწმყოს სისადავიდან წარსულისა და მომავლის უსასრულო ოდენობაში გადაიზრდება. და რადგან არ შეუძლია თანაბრად ფლობდეს თავისი სიცოცხლის მთელ სავსებას, არასოდეს წყვეტს რაიმე სახით არსებობას, სწორედ ამიტომ ჩანს, თითქოს ედრება იმას, რისი გამოხატვა და შევსება არ შეუძლია. ამისთვის იგი ეჯაჭვება აწმყოს რაღაც სწრაფმავალ წამს, და რადგან ეს აწმყოც ატარებს თავის თავში იმ ხანიერი აწმყოს გარეულ ხატებას, მათ, რასაც იგი შეეხება, წარმოაჩენს იმად, რასაც ისინი ბაძავენ. და ვინაიდან არ შეუძლია უმოძრაოდ გაჩერდეს, დროის უსასრულო გზას მიყვება და ამ ხერხით სვლას აგრძელებს იმ სიცოცხლისკენ, რომლის

სისავსესაც ვერ მოიცავს, თუკი გაჩერდება. ამგვარად, თუკი გვსურს საგნებს შესაფერისი სახელი ვუწოდოთ, პლატონის კვალდაკვალ უნდა ვთქვათ, რომ ღმერთი მარადიულია, ხოლო სამყარო – მუდმივი. ვინაიდან ყოველგვარი განსჯა მასზე დაქვემდებარებულ საგნებს სწვდება საკუთარი ბუნების მიხედვით, ხოლო ღმერთს მუდამ აწმყო და მარადიული მდგომარეობა უჭირავს, მაშინ მისი ცოდნაც, ყოველგვარ დროით მსვლელობაზე აღმატებული, რომელიც თავისი აწმყოს სისადავეში რჩება და მოიცავს წარსულისა და მომავლის უსასრულო განფენილობას, თავისი ცოდნის სისადავით ყოველივეს ისე აღიქვამს, თითქოს აწმყოში ხდებოდეს. მგვარად, თუ გსურს შეიცნო წინასწარხედვა, რომლის მეშვეობითაც ყოველივე წესრიგდება, უფრო მართებული იქნება იგი მივიჩნიოთ არა მომავლის წინასწარცოდნად, არამედ აწმყოს ცოდნად, რომელიც არასდროს მთავრდება. აქედან გამომდინარე, მას უმჯობესია ეწოდოს არა წინასწარხედვა, არამედ წინასწარჭვრეტა, ვინაიდან იგი, მდაბალ საგანთაგან მოშორებული, თითქოს საგანთა უმაღლესი მწვერვალიდან განჭვრეტს ყოველივეს. მაშ, რატომ ითხოვ, რომ ყოველივე რაც ღვთაებრივი მზერის შუქითაა გასხიოსნებული, აუცილებლობით ხდებოდეს, მაშინ, როცა ადამიანიც ვერ შესძენს აუცილებლობას იმას, რასაც ხედავს? განა იმას, რასაც აწმყოში უმზერ, აუცილებლობას სძენს შენი მზერა?» «სრულიადაც არა.» «მაგრამ თუ შეუფერებელი არ იქნება ადამიანისა და ღმერთის აწმყოს შედარება, მაშინ, როგორც შენ ხედავ საგნებს შენს დროებით აწმყოში, ასევე, ისიც ყოველივეს თავის მარადიულ აწმყოში ხედავს. ამიტომაც ეს ღვთაებრივი წინასწარცოდნა საგანთა ბუნებასა და თვისებებს არ ცვლის და თავის აწმყოში მათ ისეთებად ხედავს, როგორებიც ოდესმე დროში მოქცეულ მომავალში იქნებიან. იგი საგანთა განსჯის გზებს ერთმანეთში არ ურევს და თავისი გონის ერთი მზერით განარჩევს, თუ რა მოხდება აუცილებლობით და რა – აუცილებლობის გარეშე. ისევე, როგორც თქვენ ხედავთ ერთდროულად მიწაზე მოსიარულე ადამიანსა და ცაზე ამომავალ მზეს. თუმცა ეს ორი რამ ერთდროულადაა შემჩნეული, მაგრამ განასხვავებთ მათ და განსჯით, რომ პირველი ნებაყოფლობითია, მეორე კი აუცილებლობით ნაკარნახევი. ასევე, ყოვლისმჭვრეტელი ღვთაებრივი მზერა საგანთა ბუნებას ერთმანეთში არ ურევს, თუმცა კი, რაც მისთვის აწმყოა, დროის მდგომარეობის გათვალისწინებით – მომავალია. ამგვარად, ეს მოსაზრება კი არ არის, არამედ ჭეშმარიტებით გამყარებული ცოდნაა, ვინაიდან უწყის, რომ რაღაც მოხდება და რომ ეს რაღაც აუცილებლობასაა მოკლებული, არც ამის უმეცარია.»

«თუ იტყვი ასე, რომ შეუძლებელია არ მოხდეს ის, რასაც ღმერთი ჭვრეტს, როგორც მოსახდენს, ხოლო რაც შეუძლებელია რომ არ მოხდეს, ის აუცილებლობიდან გამომდინარე აღსრულდება, მე კი ამ სახელწოდებას – «აუცილებლობას» მიმაჯაჭვავ, მაშინ ვაღიარებ, რომ ეს ყველაზე სამართლიანი ჭეშმარიტებაა, თუმცა კი მასთან მიახლოებას ღვთაებრიობის მჭვრეტელის გარდა ვერავინ შეძლებს. გიპასუხებ, რომ ერთი და იგივე მომავალი, როცა ის ღვთიურ ცოდნას უკავშირდება, აუცილებლობას წარმოადგენს, ხოლო როცა იგი საკუთარ ბუნებაში განიხილება, მაშინ თავისუფალი და დამოუკიდებელია. არსებობს, მართლაც, ორგვარი აუცილებლობა. ერთი უბრალო, როგორც ის, რომ ყველა ადამიანი აუცილებლად მოკვდავია, ხოლო მეორე – პირობითი. მაგალითად, როცა იცი, რომ ვიღაც დადის, აუცილებელია ის დადიოდეს.

თუ ვინმემ რაღაც იცის, შეუძლებელია იგი იყოს სხვაგვარად და არა ისე, როგორც იცის. მაგრამ ეს პირობითი აუცილებლობა თავის თავში უბრალო აუცილებლობას არ ატარებს, ვინაიდან ამგვარ აუცილებლობას განაპირობებს არა საკუთარი ბუნება, არამედ გარკვეული გარემოებების დართვა. მართლაც, არავითარი აუცილებლობა არ აიძულებს იაროს მას, ვინც თავისი ნებით დადის, თუნდაც აუცილებელი იყოს, რომ დადიოდეს იმ დროს, როცა დადის.

ამგვარადვე, თუ განგება ხედავს აწმყოს, მაშინ მისი არსებობა აუცილებელია, თუნდაც ბუნებით არავითარი აუცილებლობა არ გააჩნდეს.

მაგრამ იმ მოვლენებს, რომლებიც ნების თავისუფლებიდან გამომდინარე ხდება, ღმერთი ისე უყურებს, როგორც აწმყოს. მაშასადამე, ღვთაებრივ ჭვრეტასთან დაკავშირებული ეს მოვლენები ღვთაებრივი ცოდნის პოზიციიდან იძენენ აუცილებლობას. მაგრამ თუ დამოუკიდებლად მოიაზრებიან, მაშინ მოკლებული არ არიან თავიანთი ბუნების აბსოლუტურ თავისუფლებას. ამიტომ უეჭველად მოხდება ის, რისი მოხდენაც ღმერთმა წინასწარ განჭვრიტა. მაგრამ ზოგი რამ თავისუფალი ნებიდან გამომდინარეობს და როგორადაც არ უნდა ასრულდეს, განხორციელებისას მაინც არ კარგავს თავის ბუნებას, რომლის მიხედვითაც სანამ აღსრულდებოდეს, შეუძლია არ ასრულდეს კიდეც. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აუცილებლობას არ შეიცავს, თუკი აუცილებლობის მსგავსად ღვთაებრივი ცოდნის მიზეზით ყველა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს? ეს სწორედ ისაა, რაც ცოტა ხნის წინ ნიმუშად შემოგთავაზე: ამოდის მზე და მიდის კაცი. როცა ეს ორი რამ ხდება, შეუძლებელია, იმ დროს არ ხდებოდეს, მაგრამ პირველი მათგანისთვის ეს მანამდეც იყო აუცილებელი, სანამ მოხდებოდა, ხოლო მეორესთვის – არა. ამგვარად ის, რაც ღმერთს თავის აწმყოში აქვს წარმოდგენილი, უეჭველად ასრულდება, მაგრამ ზოგი რამ საგანთა აუცილებლობიდან გამომდინარე მოხდება, ზოგი კი იმის შესაძლებლობიდან, ვინც აღასრულებს. ამიტომ არც თუ უსამართლოდ გვითქვამს, რომ თუ მას ღვთაებრივ ცოდნას დავუკავშირებთ – აუცილებელია, ხოლო თუ დამოუკიდებლად მოვიაზრებთ – აუცილებლობის ჯაჭვისგან თავისუფალი. ისევე, როგორც ყოველივე იმას, რაც ხსნილია გრძნობათათვის, თუ გონებას დაუკავშირებ, ზოგადია, ხოლო თუ თავისთავად განიხილავ – კერძო. ალბათ მეტყვი: «თუ იმის ძალა შემწევს, რომ შევცვალო ის, რაც დაგეგმილია, მაშინ განგებასაც ხომ ავირიდებდი, რადგან, ალბათ, იმასაც შევცვლიდი, რაც მას წინასწარ ექნებოდა განჭვრეტილი.» ამაზე გიპასუხებ, რომ, მართალია, შენი გეგმის შეცვლა შეგიძლია, მაგრამ, ვინაიდან განგების ჭეშმარიტება თავის აწმყოში ხედავს იმასაც, შენ რომ ეს შეგიძლია და იმასაც, განახორციელებ თუ შეცვლი, ამიტომ ღვთაებრივ განგებას გვერდს ვერ აუვლი, ისევე, როგორც ვერ გაექცევი შენკენ მიმართულ მზერას, როგორადაც არ უნდა უცვალო ქმედებებს გეზი თავისუფალი ნებით. «მაშ, რა გამოდის,» – იკითხავ შენ – «ღვთიური ცოდნა ჩემი განკარგულებისამებრ იცვლება და როცა ხან ერთი რამ მინდა, ხან – მეორე, ცვლილება ღვთიურ ცოდნაზეც აისახება?» არა. რადგან ღვთაებრივი ხედვა უსწრებს ყოველგვარ მომავალს, უკან აბრუნებს და თავისი ცოდნის აწმყო მდგომარეობაში აღადგენს მას. არც თავის ცოდნაში შეტანილი ცვლილებებით უნაცვლებს ერთმანეთს, როგორც შენ ფიქრობ, ამ აწმყოსა და სხვაგვარ აწმყოს, არამედ თვალის ერთი შევლებით წინ უსწრებს და კიდევაც მოიცავს შენ მიერ გამოწვეულ ყოველგვარ ცვლილებას. ყოველივეს წვდომისა და დანახვის ეს აწმყო მდგომარეობა არა მომავლის მოვლენათა შედეგიდან, არამედ მისი სისადავიდან იღებს დასაბამს. აქედან გამომდინარე, ისიც გაირკვა, რაც ცოტა ხნის წინ აღნიშნე, რომ შეუფერებელია იმის თქმა, თითქოს ღვთის კუთვნილი ცოდნის მიზეზს ჩვენი მომავალი წარმოშობს. ვინაიდან ცოდნის ეს ძალა, რომელიც თავისი აწმყო წარმოდგენით ყველაფერს მოიცავს, თავად ადგენს საგანთა საზომს და არაფრითაა დავალებული მათგან, რაც მასზე უმნიშვნელოა. ამგვარად მოკვდავთათვის ხელშეუხებელი რჩება ნების თავისუფლება. არც კანონები აწესებენ ჯილდოს და სასჯელს უსამართლოდ, ვინაიდან ნება ყოველგვარი აუცილებლობისგანაა თავისუფალი. აგრეთვე რჩება ღმერთიც, როგორც ყოვლისმცოდნე და ყოველივეს ზემოდან მჭვრეტელი და მისი ხედვის მარადი აწმყო ჩვენი ქმედებების მომავალ თვისებებს თანხვდება და იგი კეთილ ადამიანებს ჯილდოს, ხოლო ბოროტებს – სასჯელს

არგუნებს. არც ღვთის იმედია ამაო, არც ლოცვები, რომლებიც, სწორად მიმართულნი, უშედეგო არასდროს არიან. მაშ, ზურგი აქციეთ მანკიერებას, იზრუნეთ სიქველეზე, სული აღამაღლეთ ჭეშმარიტ იმედებთან. მიწიდან ლოცვა ზეცას მიაწვდინეთ. თქვენ სათნოების დიდი ვალდებულება გაქვთ დაკისრებული, თუკი თავს არ მოიტყუებთ, ვინაიდან ყოვლისმზირალი მსაჯულის თვალწინ არსებობთ.»

სქოლიო

[1] იგულისხმება სამგლოვიარო რიტუალისთვის განკუთვნილი ცვილის ნიღბები.

[2] π და θ – ძველბერძნული სიტყვების საწყისი ასოებია და გამოხატავს ფილოსოფიის ორ ნაირსახეობას – პრაქტიკულსა და თეორიულს.

[3] ელეელები – ძვ.წ. VI-V საუკუნეში ძველი ბერძნული ფილოსოფიური სკოლა, რომელიც ჩამოყალიბდა ქალაქ ელეაში (სამხრ. იტალია), ახასიათებდა იდეალისტური ტენდენციები.

[4] აკადემიელები – მოაზროვნეები, რომლებიც ძვ.წ. IV საუკუნეში პლატონის მიერ აკადემოსის ჭალაში დაარსებული ფილოსოფიური სკოლის მიმდევრები იყვნენ.

[5] ჰესპეროსი – მწუხრის ვარსკვლავი.

[6] კორუსი – ჩრდილო-დასავლეთის ქარი.

[7] ბორეასი – ჩრდილოეთის ქარი; მითის მიხედვით, მისი მუდმივი სამყოფელი იყო თრაკია.

[8] ფებუსი – იგულისხმება მზე. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ფებუსი აპოლონის ზედწოდებაა. ამ ღვთაებას მრავალი ფუნქცია გააჩნია, ერთ- ერთი მნიშვნელოვანი მათ შორის არის ის, რომ იგი მზეს განასახიერებს.

[9] სტოიციზმი და ეპიკურეიზმი – ფილოსოფიური მოძღვრებები, რომლებიც აღმოცენდა ელინიზმის ხანაში, სოკრატეს მოღვაწეობიდან ერთი საუკუნის შემდეგ.

[10] ანაქსაგორასი – (ძვ.წ. 500-428 წ.წ.) ბერძენი ფილოსოფოსი. ბრალი დასდეს უღმერთობაში და სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ თავს გაქცევით უშველა.

[11] ძენონი – ელეელი ფილოსოფოსის, ძენონის წამებისას გამოჩენილი მისი სიმტკიცე ფართოდ იყო ცნობილი, მაგრამ სხვადასხვა ვერსიიდან გამომდინარე, განსხვავებულია მისი დამსჯელის ვინაობა.

[12] კანიუსი – სტოიკოსი ფილოსოფოსი, რომელიც ახ.წ. I საუკუნეში მოღვაწეობდა. სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა იმპერატორმა კალიგულამ, მან კი სასჯელი მამაცურად აიტანა.

[13]

სენეკა – (უმცროსი) რომაული სტოიციზმის გამორჩეული წარმომადგენელი, რომის იმპერატორის – ნერონის აღმზრდელი, რომლის ბრძანებითაც იძულებული გახდა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა.

[14] სორანუსი – რომაელი სტოიკოსი, ფილოსოფოსი. სენეკას მსგავსად, ისიც ნერონის ცრუ ბრალდებებს ემსხვერპლა.

[15] «ვირი ლირასთან» ძველი ბერძნული გამოთქმაა და ეხება იმ ადამიანს, ვისი გონებაც დახშულია ამაღლებულ თემებზე სასაუბროდ.

[16] «ილაპარაკე, გონებაში ნუ დამალავ.» ჰომეროსი, «ილიადა» I.363.

[17] რადიუსი – მათემატიკური ინსტრუმენტი.

[18] იხ. პლატონი. «სახელმწიფო» VI, 485

[19] სტილუსი – რომაელთა საწერი კალამი, რომელსაც ერთი მხარე წამახული ჰქონდა ცვილწასმულ დაფაზე საწერად, მეორე – ბლაგვი, ნაწერის წასაშლელად.

[20] გაიუს კეისარი, გერმანიკუსის ძე – კალიგულა, რომის იმპერატორი (37 -41 წწ.).

[21] ეპიკურეს ციტატა, რომელიც შემონახულია ქრისტიანი მწერლის, ლაქტანციუსის ნაწარმოებში «ღვთის რისხვის შესახებ» 13; 21.

[22] ვერონა – სენატის სხდომა, რომლის დროსაც ბოეთიუსს ბრალი წაუყენეს, მიმდინარეობდა ქალაქ ვერონაში და არა ოსტგოთთა სახელმწიფოს დედაქალაქ რავენაში.

[23] ბოეთიუსი თავის სასამართლო პროცესს არ დასწრებია.

[24] მიემსგავსე ღმერთს – პლატონურ-პითაგორული აზრი იმის შესახებ, რომ ფილოსოფიური ცოდნის გაღრმავება ადამიანს ღმერთის მსგავსს ხდის.

[25] ლუკიფერი – ცისკრის ვარსკვლავი.

[26] ზეფიროსი – დასავლეთის ქარი.

[27] სირიუსი – ვარსკვლავი ძაღლის თანავარსკვლავედში. ამოდის 18 ივლისიდან 25-26-ის ჩათვლით.

[28] არქტურუსი – ვარსკვლავი მენახირის თანავარსკვლავედში.

[29] მზე კირჩხიბის თანავარსკვლავედში იმყოფება 22 ივნისიდან 23 ივლისამდე, ეს პერიოდი კი ხვნა-თესვისთვის უნაყოფოა.

[30] კერესი – რომაელთა ნაყოფიერების ქალღმერთი.

[31] მიიჩნეოდა, რომ რკო უძველეს ხალხთა საკვები იყო, სანამ მიწათმოქმედებას ისწავლიდნენ.

[32] ბახუსი – ღვინისა და მევენახეობის ღმერთის, დიონისეს, მისტიკური სახელი.

[33] ავსტერი – სამხრეთის ქარი.

[34] ბორბალი ფორტუნას ერთ-ერთი ატრიბუტი და მისი ცვალებადობის სიმბოლოა.

[35] ევრიპუსი – ვიწრო სრუტე, რომელიც კუნძულ ევბეას ბეოტიისგან გამოჰყოფს და სწრაფი დინებით გამოირჩევა.

[36] კროისოსი - ლიდიის უკანასკნელი მეფე (ძვ. წ 560- 547). იგი დაამარცხა კიროსმა, სპარსეთის მეფემ და მისი კოცონზე დაწვა ბრძანა, თუმცა კოცონი მოულოდნელმა წვიმამ ჩააქრო. იხ. ჰეროდოტოსი «ისტორია» I, 75–83, 85–93.

[37] ემილიუს პაულუსმა , (კონსულმა ძვ. წ 170 წ.) დაამარცხა მაკედონიის უკანასკნელი მეფე პერსევსი. როდესაც რომში ტრიუმფის აღსანიშნავად დაბრუნდა, ტრიუმფამდე რამდენიმე დღით ადრე მისი ორი ვაჟიშვილი გარდაიცვალა. მისი ბედი, ტრადიციულად ფორტუნას ცვალებადობის ნიმუშად მოჰყავდათ.

[38] ორი ჭურჭელი, ერთი სავსე ბოროტებით, მეორე – სიკეთით. ჰომეროსი, «ილიადა» XXIV, 527.

[39] სიუხვის რქა – მითიური თხის, ამალთეას რქა, ბარაქისა და სიმდიდრის სიმბოლო.

[40] კურია – სენატის შენობა.

[41] ევრუსი – სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი.

[42] იგულისხმება ოქროს საუკუნე, რომელიც რომაელთა და სხვა მრავალ ხალხთა წარმოდგენით, კაცობრიობის ყველაზე ადრეული და ბედნიერი ხანა იყო.

[43] მიაჩნდათ, რომ რკო ადამიანის საკვები იყო, სანამ ის მიწათმოქმედებას მიჰყოფდა ხელს.

[44] თაფლისაგან დამზადებული სასმელი (mulsum) რომში დელიკატესად ითვლებოდა.

[45] სირიის ქალაქ ტირაში მზადდებოდა საღებავი, რომლითაც რომაელი არისტოკრატია სამოსს იღებავდა.

[46] ეტნა – ვულკანი აღმოსავლეთ სიცილიაში.

[47] ძვ.წ 451 წელს კონსულებმა, ხალხის მოთხოვნით, ძალაუფლება მოიხსნეს. მათ მაგივრად დეკემვირები აირჩიეს. მაგრამ ძვ.წ. 305 წელს კონსულთა მმართველობა კვლავ აღდგა. ხოლო უფრო ადრე, ძვ.წ 509 წელს, რომში მეფობის ინსტიტუტი გაუქმდა.

[48] ეს «თავისუფალი ადამიანი» იყო დემოკრიტეს მიმდევარი ფილოსოფოსი – ანაქსარქუსი, ხოლო ტირანი ნიკოკრეონი.

[49] ბუსირისი – ეგვიპტის მეფე, პოსეიდონის ძე, რომელიც ქვეყნის მოუსავლიანობისგან გადასარჩენად მსხვერპლად უცხოტომელებს სწირავდა. იგი თავის ვაჟთან ერთად მოკლა ჰერაკლემ.

[50] მარკუს ატილიუს რეგულუსი – რომაელი კონსული პირველი პუნიკური ომის დროს (ძვ.წ 246-241 წწ.), იგი დამარცხდა და ტყვედ ჩაუვარდა კართაგენელებს.

[51] იგულისხმება დიდი ხანძარი რომში 64 წელს. გავრცელებული ჭორების მიხედვით, ხანძრის გაჩენა ბრალდება რომის იმპერატორს, ნერონს, რომლის სახელსაც ავტორი

შეგნებულად ლექსის ბოლოს ახსენებს. ნერონის კისერზეა ძმის (6. 3), დედის (6. 4) და მეუღლის მკვლელობა. გადმოცემის მიხედვით, როცა დედის ცხედრისთვის თვალი შეუვლია, გულცივად დაუწყია მსჯელობა მისი მშვენების ნაკლსა თუ ღირსებაზე (6. 7).

[52] ნოტუსი – სამხრეთის ქარი.

[53] პტოლემაიოსი – ძვ.წ II საუკუნეში მოღვაწე ბერძენი ასტრონომი. მისი აზრით, დედამიწა სამყაროს ცენტრი იყო.

[54] ფაბრიციუსი –ეპირუსის მეფის, პირუსის, წინააღმდეგ გამართული ომის გმირი. განთქმული იყო სათნო და მკაცრი ცხოვრების წესით.

[55] ბოეთიუსი არ აკონკრეტებს, რომელ ბრუტუსს (მეფობის გადამგდებს თუ კეისრის მკვლელს) ან რომელ კატონს (კონსულს 199 წელს და შემდგომად ცენზორს, თუ კეისრის თანამედროვე ოპონენტს) გულისხმობს, ვინაიდან თითოეული მათგანის სახელი საყოველთაოდ იყო ცნობილი.

[56] იხ.: კატულუსი, ელეგიები, 52.2: sella in curuli struma Nonius sedet.

[57] დეკორატუსი – კვესტორი თეოდორიქოსის სასახლეში.

[58] იგულისხმება მახვილი, რომელიც ტირანმა, დიონისიოს სირაკუსელმა, (ძვ. წ. 405-367) ტახტს ზემოთ დაკიდა, როცა თავის მეგობარს, მისი ხვედრით აღტაცებულ დამოკლოსს, დროებით ადგილი გაუცვალა. ამით მიახვედრა თუ როგორი მუდმივი საფრთხე იმალებოდა მეფის ერთი შეხედვით სანეტარო ყოფაში. ამის შემდგომ «დამოკლეს მახვილი» გამოთქმად დამკვიდრდა.

[59] პაპინიანუსი – ცნობილი რომაელი იურისტი, რომელიც იმპერატორ ანტონიუს კარაკალას ბრძანებით 212 წელს სიკვდილით დასაჯეს.

[60] თიულე – კუნძული, რომელიც ძველთა წარმოდგენით შორეულ ჩრდილოეთში მდებარეობდა, სადაც, მათი აზრით დედამიწა მთავრდებოდა.

[61] ევრიპიდე, ანდრომაქე, 319-320.

[62] ევრიპიდე, ანდრომაქე V, 42

[63] ლინკევსი – ერთ-ერთი არგონავტი, რომელიც გასაოცარი, ზებუნებრივი მხედველობით იყო განთქმული.

[64] ალკიბიადესი – (დაახლ. ძვ.წ 450-403) სოკრატეს თანამედროვე ათენელი პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი. განთქმული იყო თავისი სილამაზით.

[65] ლექსის არსი აღებულია პლატონის «ტიმეოსიდან» (25-42), აგრეთვე «ტიმეოსის» ნეოპლატონური კომენტარებიდან.

[66] ბუნება – natura – შედგება სამი ელემენტისგან: mens, anima, mate-ria. აქედან anima არის შუა ელემენტი, რომელიც განაწილებულია ყოველივე არსებულში, კრავს და ამოძრავებს ყოველივეს.

[67] Anima გაყოფილია ორ ნაწილად, რომელთა მოძრაობა ტყუპი წრის ფორმას იღებს. საბოლოოდ თითოეული უბრუნდება თავის საწყისს. Anima გარს უვლის ყოფიერების ცენტრში დავანებულ გონს – mens-ს და ზეცას თავისი მსგავსი წრებრუნვით წარმართავს.

[68] ტაგუსი – მდინარე ესპანეთში.

[69] ჰერმუსი – მდინარე მცირე აზიაში.

[70] ინდუსი – მდინარე ინდოეთში.

[71] პლატონის მიხედვით, ყოველგვარი ცოდნა – გახსენებაა (anamnesis).

[72] ყოველი მხრიდან კარგად მომრგვალებული, როგორც სფეროს სხეული.

[73] მინიშნება ეხება პლატონის «ტიმეოსს» 29B

[74] იგულისხმება ორფევსი – მითიური ბერძენი მგოსანი, რომლის მომაჯადოებელ სიმღერასაც გააჩნდა ბუნებაზე მაგიური ზემოქმედების ძალა (იხ. ტაეპები 7-13). მითის მიხედვით, ორფევსმა დაკარგა საყვარელი მეუღლე – ევრიდიკე და მის დასაბრუნებლად მიცვალებულთა საუფლოს ეწვია.

[75] ორფევსის დედა იყო ეპიკური პოეზიის მუზა კალიოპე.

[76] ტენარუმი – ერთ-ერთი ლეგენდარული შესასვლელი ჰადესში.

[77] იგულისხმება კერბეროსი, სამთავიანი ძაღლი, რომელიც ჰადესის სამეფოს შესასვლელს იცავდა.

[78] იქსიონი – თესალიელი ლაპითების მეფე სამარადისოდ იყო დასჯილი იუნოს შეურაცხყოფის გამო – ბორბალს მიჯაჭვული შეუჩერებლად ბრუნავდა.

[79] ტანტალოსი – იუპიტერის ძე ღვთაებრივი საიდუმლოს გაცხადებისთვის მარადიული წყურვილისა და შიმშილისთვის იყო განწირული.

[80] ტიტიუსი – გიგანტი, გეას ძე ლატონას შეურაცხყოფისთვის ჩაკეტილი იყო ტარტაროსში, სადაც სვავები ღვიძლს უკორტნიდნენ.

[81] ეთერის მოძრაობა (ატმოსფეროს ზემოთ) მიჩნეული იყო ისეთი ციური სხეულების წყაროდ, როგორებიცაა კომეტა, მეტეორი, ირმის ნახტომი.

[82] იგულისხმება ზოდიაქოს ნიშნები.

[83] სავარაუდოდ, ნაგულისხმევია პლანეტა მარსი.

[84] პლატონი, «გორგიასი» 466 DE.

[85] ნერიტოსელი ბელადი – ოდისევსი. ნერიტოსი ეწოდებოდა როგორც მთას ითაკაზე (ოდისევსის სამშობლოში), ისე მცირე კუნძულს მის მახლობლად.

[86] იგულისხმება კირკე, – ჰელიოსის, მზის ღმერთის ასული, რომელიც განთქმული იყო გრძნეულებით.

[87] ჰერმესი (მერკური), რომლის სამშობლოდაც არკადია მიიჩნეოდა.

[88] ადამიანებს ეჩვენებოდათ, თითქოს ბოოტესი ნელა მოძრაობდა. ღამე თორმეტი საათის განმავლობაში ხილული ცის უფრო მცირე ნაწილს ფარავდა, ვიდრე სხვა ვარსკვლავები, რომლებიც პოლარული ვარსკვლავისგან მეტად იყვნენ დაშორებული.

[89] ძველ ხალხებში არსებობდა ცრუ რწმენა, თითქოს დაფდაფების ცემით მთვარის დაბნელებისგან გამოხსნა იყო შესაძლებელი.

[90] ჰიდრა – მრავალთავიანი მითიური წყლის გველი, რომელსაც ყოველთვის, როცა რომელიმე თავს

აჭრიდნენ, მის ადგილას ახალი ეზრდებოდა. როდესაც ეს შენიშნა ჰერკულესმა, მოჭრილი თავის ადგილი ცეცხლით ამოუწვა და ახალი თავების ზრდა ამგვარად შეაჩერა, ხოლო, როცა უკანასკნელი თავიც მოჰკვეთა, საბოლოოდ დაამარცხა ურჩხული.

[91] ლუკიანოსი – რომაელი პოეტი, «ფარსალიის «ავტორი. იგი იყო ცნობილი სტოიკოსის– კორნუტუსის მოსწავლე. ამიტომაცაა ტექსტში ამგვარად მოხსენიებული.

[92] ლუკანოსი «ფარსალია» 1. 128

[93] კარგი ადამიანის სხეული ეთერის ძალებმა ააგეს» ციტატის წყარო უცნობია. სავარაუდოდ, ესაა ჰერმეტიკული ტრადიციის გვიანდელი ფილოსოფიურ-თეოსოფიური ტექსტი.

[94] «ჩემთვის საძნელოა ეს ყოველივე ღმერთის დარად განვაცხადო» ჰომეროსი, ილიადა, 12: 176

[95] მეხთამტყორცნელი – იუპიტერი, რომაელთა უზენაესი ღვთაება, ჭექა-ქუხილის ღმერთი.

[96] ზომიერ სარტყელში მყოფი დამკვირვებლის თვალში დიდი დათვის თანავარსკვლავედი არასდროს ეშვება ჰორიზონტზე დაბლა.

[97] ატრიდი, ატრევსის ძე – აგამემნონი, ბერძენთა ლაშქრის წინამძღოლი ტროას ომში.

[98] მისი ძმა არის მენელაოსი, რომლის მეუღლე ელენე გახდა ტროას ომის მიზეზი.

[99] ლეგენდის თანახმად, იმისთვის რომ ეამებინა ქალღმერთ არტემისისთვის და ხელსაყრელ ქარს დაებერა, რათა ავლისში ჩარჩენილ ტროასაკენ მიმავალ ლაშქარს შეძლებოდა ზღვაზე გზა განეგრძო, აგამემნონმა ქალღმერთს მსხვერპლად საკუთარი ქალიშვილი შესწირა.

[100] 13-31 ტაეპები გადმოგვცემენ ჰერაკლეს თორმეტ გმირობას. ბოეთიუსი აღნიშნულ გმირობათა ამგვარ ვარიანტს გვაწვდის: 1). კენტავრთა მოთვინიერება (მე-14 ტაეპი), 2). ნემეას ლომის დამარცხება (მე-15 ტაეპი), 3). სტიმფალიური ფრინველები (16), 4). ჰესპერიდების ოქროს ვაშლების მოტაცება (17-18), 5). ქვესკნელის მცველი ძაღლის კერბერუსის შეპყრობა (19), 6) მეფე დიომედესის დამარცხება (20-21), ლერნეს ჰიდრას დამარცხება (22), 8). მდინარის ღმერთის აქელოუსის ძლევა (23-24), 9). ანტეოსის დამარცხება (5), 10). ნახევრად ადამიანის – კაკუსის მოკვლა, ვინც ევადროსის ქალაქს ავიწროვებდა (26). 11). ერიმანთოსის ტახის შეპყრობა (27), 12). ცის თაღის მხრებით ტარება (28).

[101] არისტოტელე; «ფიზიკა» II 4-5

[102] ორიგინალში იკითხება აქემენიის კლდე. აქემენესი იყო სპარსეთის მეფის, კიროსის ბაბუა. ზედსართავი «აქემენიური» გამოიყენება ზოგადად სპარსულის აღსანიშნავად.

[103] არსებობდა მცდარი წარმოდგენა, თითქოს ტიგროსი და ევფრატი ერთი სათავიდან მოედინება (ამის შესახებ იცოდნენ ჰეროდოტოსმაც, სტრაბონმაც და პლინიუსმაც).

[104] «ყველაფერს ხედავს და ყველაფერი ესმის» – ჰომეროსი, «ილიადა» III, 377.

[105] ტირესიასი – ბრმა წინასწარმეტყველი. (იხ. ჰორაციუსი, «სატირები», II, 5).

[106] იგულისხმება ციცერონის ტრაქტატი «დივინაციის შესახებ», I, 1.

[107] Stoa Poikile – «ჭრელი პორტიკი» ათენში,რომელსაც სალექციო დარბაზად იყენებდა ძენონი, სტოიკოსთა ფილოსოფიური სკოლის დამფუძნებელი.

[108] შესაძლოა ბოეთიუსი გულისხმობდეს ფსევდოარისტოტელესეულ თხზულებას «სამყაროს შესახებ», რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეებში. მის მსგავსი მოსაზრება არისტოტელეს გამოტქმული აქვს «ფიზიკაში» XIV, 4, 1091 a.

[1] იგულისხმება სამგლოვიარო რიტუალისთვის განკუთვნილი ცვილის ნიღბები.

[2] π და θ – ძველბერძნული სიტყვების საწყისი ასოებია და გამოხატავს ფილოსოფიის ორ ნაირსახეობას – პრაქტიკულსა და თეორიულს.

[3] ელეელები – ძვ.წ. VI-V საუკუნეში ძველი ბერძნული ფილოსოფიური სკოლა, რომელიც ჩამოყალიბდა ქალაქ ელეაში (სამხრ. იტალია), ახასიათებდა იდეალისტური ტენდენციები.

[4] აკადემიელები – მოაზროვნეები, რომლებიც ძვ.წ. IV საუკუნეში პლატონის მიერ აკადემოსის ჭალაში დაარსებული ფილოსოფიური სკოლის მიმდევრები იყვნენ.

[5] ჰესპეროსი – მწუხრის ვარსკვლავი.

[6] კორუსი – ჩრდილო-დასავლეთის ქარი.

[7] ბორეასი – ჩრდილოეთის ქარი; მითის მიხედვით, მისი მუდმივი სამყოფელი იყო თრაკია.

[8] ფებუსი – იგულისხმება მზე. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ფებუსი აპოლონის ზედწოდებაა. ამ ღვთაებას მრავალი ფუნქცია გააჩნია, ერთ- ერთი მნიშვნელოვანი მათ შორის არის ის, რომ იგი მზეს განასახიერებს.

[9] სტოიციზმი და ეპიკურეიზმი – ფილოსოფიური მოძღვრებები, რომლებიც აღმოცენდა ელინიზმის ხანაში, სოკრატეს მოღვაწეობიდან ერთი საუკუნის შემდეგ.

[10] ანაქსაგორასი – (ძვ.წ. 500-428 წ.წ.) ბერძენი ფილოსოფოსი. ბრალი დასდეს უღმერთობაში და სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ თავს გაქცევით უშველა.

[11] ძენონი – ელეელი ფილოსოფოსის, ძენონის წამებისას გამოჩენილი მისი სიმტკიცე ფართოდ იყო ცნობილი, მაგრამ სხვადასხვა ვერსიიდან გამომდინარე, განსხვავებულია მისი დამსჯელის ვინაობა.

[12] კანიუსი – სტოიკოსი ფილოსოფოსი, რომელიც ახ.წ. I საუკუნეში მოღვაწეობდა. სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა იმპერატორმა კალიგულამ, მან კი სასჯელი მამაცურად აიტანა.

[13] სენეკა – (უმცროსი) რომაული სტოიციზმის გამორჩეული წარმომადგენელი, რომის იმპერატორის – ნერონის აღმზრდელი, რომლის ბრძანებითაც იძულებული გახდა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა.

[14] სორანუსი – რომაელი სტოიკოსი, ფილოსოფოსი. სენეკას მსგავსად, ისიც ნერონის ცრუ ბრალდებებს ემსხვერპლა.

[15] «ვირი ლირასთან» ძველი ბერძნული გამოთქმაა და ეხება იმ ადამიანს, ვისი გონებაც დახშულია ამაღლებულ თემებზე სასაუბროდ.

[16] «ილაპარაკე, გონებაში ნუ დამალავ.» ჰომეროსი, «ილიადა» I.363.

[17] რადიუსი – მათემატიკური ინსტრუმენტი.

[18] იხ. პლატონი. «სახელმწიფო» VI, 485

[19] სტილუსი – რომაელთა საწერი კალამი, რომელსაც ერთი მხარე წამახული ჰქონდა ცვილწასმულ დაფაზე საწერად, მეორე – ბლაგვი, ნაწერის წასაშლელად.

[20] გაიუს კეისარი, გერმანიკუსის ძე – კალიგულა, რომის იმპერატორი (37 -41 წწ.).

[21] ეპიკურეს ციტატა, რომელიც შემონახულია ქრისტიანი მწერლის, ლაქტანციუსის ნაწარმოებში «ღვთის რისხვის შესახებ» 13; 21.

[22] ვერონა – სენატის სხდომა, რომლის დროსაც ბოეთიუსს ბრალი წაუყენეს, მიმდინარეობდა ქალაქ ვერონაში და არა ოსტგოთთა სახელმწიფოს დედაქალაქ რავენაში.

[23] ბოეთიუსი თავის სასამართლო პროცესს არ დასწრებია.

[24] მიემსგავსე ღმერთს – პლატონურ-პითაგორული აზრი იმის შესახებ, რომ ფილოსოფიური ცოდნის გაღრმავება ადამიანს ღმერთის მსგავსს ხდის.

[25] ლუკიფერი – ცისკრის ვარსკვლავი.

[26] ზეფიროსი – დასავლეთის ქარი.

[27] სირიუსი – ვარსკვლავი ძაღლის თანავარსკვლავედში. ამოდის 18 ივლისიდან 25-26-ის ჩათვლით.

[28] არქტურუსი – ვარსკვლავი მენახირის თანავარსკვლავედში.

[29] მზე კირჩხიბის თანავარსკვლავედში იმყოფება 22 ივნისიდან 23 ივლისამდე, ეს პერიოდი კი ხვნა-თესვისთვის უნაყოფოა.

[30] კერესი – რომაელთა ნაყოფიერების ქალღმერთი.

[31] მიიჩნეოდა, რომ რკო უძველეს ხალხთა საკვები იყო, სანამ მიწათმოქმედებას ისწავლიდნენ.

[32] ბახუსი – ღვინისა და მევენახეობის ღმერთის, დიონისეს, მისტიკური სახელი.

[33] ავსტერი – სამხრეთის ქარი.

[34] ბორბალი ფორტუნას ერთ-ერთი ატრიბუტი და მისი ცვალებადობის სიმბოლოა.

[35] ევრიპუსი – ვიწრო სრუტე, რომელიც კუნძულ ევბეას ბეოტიისგან გამოჰყოფს და სწრაფი დინებით გამოირჩევა.

[36] კროისოსი - ლიდიის უკანასკნელი მეფე (ძვ. წ 560- 547). იგი დაამარცხა კიროსმა, სპარსეთის მეფემ და მისი კოცონზე დაწვა ბრძანა, თუმცა კოცონი მოულოდნელმა წვიმამ ჩააქრო. იხ. ჰეროდოტოსი «ისტორია» I, 75–83, 85–93.

[37] ემილიუს პაულუსმა , (კონსულმა ძვ. წ 170 წ.) დაამარცხა მაკედონიის უკანასკნელი მეფე პერსევსი. როდესაც რომში ტრიუმფის აღსანიშნავად დაბრუნდა, ტრიუმფამდე რამდენიმე დღით ადრე მისი ორი ვაჟიშვილი გარდაიცვალა. მისი ბედი, ტრადიციულად ფორტუნას ცვალებადობის ნიმუშად მოჰყავდათ.

[38] ორი ჭურჭელი, ერთი სავსე ბოროტებით, მეორე – სიკეთით. ჰომეროსი, «ილიადა» XXIV, 527.

[39] სიუხვის რქა – მითიური თხის, ამალთეას რქა, ბარაქისა და სიმდიდრის სიმბოლო.

[40] კურია – სენატის შენობა.

[41] ევრუსი – სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი.

[42] იგულისხმება ოქროს საუკუნე, რომელიც რომაელთა და სხვა მრავალ ხალხთა წარმოდგენით, კაცობრიობის ყველაზე ადრეული და ბედნიერი ხანა იყო.

[43] მიაჩნდათ, რომ რკო ადამიანის საკვები იყო, სანამ ის მიწათმოქმედებას მიჰყოფდა ხელს.

[44] თაფლისაგან დამზადებული სასმელი (mulsum) რომში დელიკატესად ითვლებოდა.

[45] სირიის ქალაქ ტირაში მზადდებოდა საღებავი, რომლითაც რომაელი არისტოკრატია სამოსს იღებავდა.

[46] ეტნა – ვულკანი აღმოსავლეთ სიცილიაში.

[47] ძვ.წ 451 წელს კონსულებმა, ხალხის მოთხოვნით, ძალაუფლება მოიხსნეს. მათ მაგივრად დეკემვირები აირჩიეს. მაგრამ ძვ.წ. 305 წელს კონსულთა მმართველობა კვლავ აღდგა. ხოლო უფრო ადრე, ძვ.წ 509 წელს, რომში მეფობის ინსტიტუტი გაუქმდა.

[48] ეს «თავისუფალი ადამიანი» იყო დემოკრიტეს მიმდევარი ფილოსოფოსი – ანაქსარქუსი, ხოლო ტირანი ნიკოკრეონი.

[49] ბუსირისი – ეგვიპტის მეფე, პოსეიდონის ძე, რომელიც ქვეყნის მოუსავლიანობისგან გადასარჩენად მსხვერპლად უცხოტომელებს სწირავდა. იგი თავის ვაჟთან ერთად მოკლა ჰერაკლემ.

[50] მარკუს ატილიუს რეგულუსი – რომაელი კონსული პირველი პუნიკური ომის დროს (ძვ.წ 246-241 წწ.), იგი დამარცხდა და ტყვედ ჩაუვარდა კართაგენელებს.

[51] იგულისხმება დიდი ხანძარი რომში 64 წელს. გავრცელებული ჭორების მიხედვით, ხანძრის გაჩენა ბრალდება რომის იმპერატორს, ნერონს, რომლის სახელსაც ავტორი შეგნებულად ლექსის ბოლოს ახსენებს. ნერონის კისერზეა ძმის (6. 3), დედის (6. 4) და მეუღლის მკვლელობა. გადმოცემის მიხედვით, როცა დედის ცხედრისთვის თვალი შეუვლია, გულცივად დაუწყია მსჯელობა მისი მშვენების ნაკლსა თუ ღირსებაზე (6. 7).

[52] ნოტუსი – სამხრეთის ქარი.

[53] პტოლემაიოსი – ძვ.წ II საუკუნეში მოღვაწე ბერძენი ასტრონომი. მისი აზრით, დედამიწა სამყაროს ცენტრი იყო.

[54] ფაბრიციუსი –ეპირუსის მეფის, პირუსის, წინააღმდეგ გამართული ომის გმირი. განთქმული იყო სათნო და მკაცრი ცხოვრების წესით.

[55] ბოეთიუსი არ აკონკრეტებს, რომელ ბრუტუსს (მეფობის გადამგდებს თუ კეისრის მკვლელს) ან რომელ კატონს (კონსულს 199 წელს და შემდგომად ცენზორს, თუ კეისრის თანამედროვე ოპონენტს) გულისხმობს, ვინაიდან თითოეული მათგანის სახელი საყოველთაოდ იყო ცნობილი.

[56] იხ.: კატულუსი, ელეგიები, 52.2: sella in curuli struma Nonius sedet.

[57] დეკორატუსი – კვესტორი თეოდორიქოსის სასახლეში.

[58] იგულისხმება მახვილი, რომელიც ტირანმა, დიონისიოს სირაკუსელმა, (ძვ. წ. 405-367) ტახტს ზემოთ დაკიდა, როცა თავის მეგობარს, მისი ხვედრით აღტაცებულ დამოკლოსს, დროებით ადგილი გაუცვალა. ამით მიახვედრა თუ როგორი მუდმივი საფრთხე იმალებოდა მეფის ერთი შეხედვით სანეტარო ყოფაში. ამის შემდგომ «დამოკლეს მახვილი» გამოთქმად დამკვიდრდა.

[59] პაპინიანუსი – ცნობილი რომაელი იურისტი, რომელიც იმპერატორ ანტონიუს კარაკალას ბრძანებით 212 წელს სიკვდილით დასაჯეს.

[60] თილე – კუნძული, რომელიც ძველთა წარმოდგენით შორეულ ჩრდილოეთში მდებარეობდა, სადაც, მათი აზრით დედამიწა მთავრდებოდა.

[61] ევრიპიდე, ანდრომაქე, 319-320.

[62] ევრიპიდე, ანდრომაქე V, 42

[63] ლინკევსი – ერთ-ერთი არგონავტი, რომელიც გასაოცარი, ზებუნებრივი მხედველობით იყო განთქმული.

[64] ალკიბიადესი – (დაახლ. ძვ.წ 450-403) სოკრატეს თანამედროვე ათენელი პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი. განთქმული იყო თავისი სილამაზით.

[65] ლექსის არსი აღებულია პლატონის «ტიმეოსიდან» (25-42), აგრეთვე «ტიმეოსის» ნეოპლატონური კომენტარებიდან.

[66] ბუნება – natura – შედგება სამი ელემენტისგან: mens, anima, mate-ria. აქედან anima არის შუა ელემენტი, რომელიც განაწილებულია ყოველივე არსებულში, კრავს და ამოძრავებს ყოველივეს.

[67] Anima გაყოფილია ორ ნაწილად, რომელთა მოძრაობა ტყუპი წრის ფორმას იღებს. საბოლოოდ თითოეული უბრუნდება თავის საწყისს. Anima გარს უვლის ყოფიერების ცენტრში დავანებულ გონს – mens-ს და ზეცას თავისი მსგავსი წრებრუნვით წარმართავს.

[68] ტაგუსი – მდინარე ესპანეთში.

[69] ჰერმუსი – მდინარე მცირე აზიაში.

[70] ინდუსი – მდინარე ინდოეთში.

[71] პლატონის მიხედვით, ყოველგვარი ცოდნა – გახსენებაა (anamnesis).

[72] ყოველი მხრიდან კარგად მომრგვალებული, როგორც სფეროს სხეული.

[73] მინიშნება ეხება პლატონის «ტიმეოსს» 29B

[74] იგულისხმება ორფევსი – მითიური ბერძენი მგოსანი, რომლის მომაჯადოებელ სიმღერასაც გააჩნდა ბუნებაზე მაგიური ზემოქმედების ძალა (იხ. ტაეპები 7-13). მითის მიხედვით, ორფევსმა დაკარგა საყვარელი მეუღლე – ევრიდიკე და მის დასაბრუნებლად მიცვალებულთა საუფლოს ეწვია.

[75] ორფევსის დედა იყო ეპიკური პოეზიის მუზა კალიოპე.

[76] ტენარუმი – ერთ-ერთი ლეგენდარული შესასვლელი ჰადესში.

[77] იგულისხმება კერბეროსი, სამთავიანი ძაღლი, რომელიც ჰადესის სამეფოს შესასვლელს იცავდა.

[78] იქსიონი – თესალიელი ლაპითების მეფე სამარადისოდ იყო დასჯილი იუნოს შეურაცხყოფის გამო – ბორბალს მიჯაჭვული შეუჩერებლად ბრუნავდა.

[79] ტანტალოსი – იუპიტერის ძე ღვთაებრივი საიდუმლოს გაცხადებისთვის მარადიული წყურვილისა და შიმშილისთვის იყო განწირული.

[80] ტიტიუსი – გიგანტი, გეას ძე ლატონას შეურაცხყოფისთვის ჩაკეტილი იყო ტარტაროსში, სადაც სვავები ღვიძლს უკორტნიდნენ.

[81] ეთერის მოძრაობა (ატმოსფეროს ზემოთ) მიჩნეული იყო ისეთი ციური სხეულების წყაროდ, როგორებიცაა კომეტა, მეტეორი, ირმის ნახტომი.

[82] იგულისხმება ზოდიაქოს ნიშნები.

[83] სავარაუდოდ, ნაგულისხმევია პლანეტა მარსი.

[84] პლატონი, «გორგიასი» 466 DE.

[85] ნერიტოსელი ბელადი – ოდისევსი. ნერიტოსი ეწოდებოდა როგორც მთას ითაკაზე (ოდისევსის სამშობლოში), ისე მცირე კუნძულს მის მახლობლად.

[86] იგულისხმება კირკე, – ჰელიოსის, მზის ღმერთის ასული, რომელიც განთქმული იყო გრძნეულებით.

[87] ჰერმესი (მერკური), რომლის სამშობლოდაც არკადია მიიჩნეოდა.

[88] ადამიანებს ეჩვენებოდათ, თითქოს ბოოტესი ნელა მოძრაობდა. ღამე თორმეტი საათის განმავლობაში ხილული ცის უფრო მცირე ნაწილს ფარავდა, ვიდრე სხვა ვარსკვლავები, რომლებიც პოლარული ვარსკვლავისგან მეტად იყვნენ დაშორებული.

[89] ძველ ხალხებში არსებობდა ცრუ რწმენა, თითქოს დაფდაფების ცემით მთვარის დაბნელებისგან გამოხსნა იყო შესაძლებელი.

[90] ჰიდრა – მრავალთავიანი მითიური წყლის გველი, რომელსაც ყოველთვის, როცა რომელიმე თავს აჭრიდნენ, მის ადგილას ახალი ეზრდებოდა. როდესაც ეს შენიშნა ჰერკულესმა, მოჭრილი თავის ადგილი ცეცხლით ამოუწვა და ახალი თავების ზრდა ამგვარად შეაჩერა, ხოლო, როცა უკანასკნელი თავიც მოჰკვეთა, საბოლოოდ დაამარცხა ურჩხული.

[91] ლუკიანოსი – რომაელი პოეტი, «ფარსალიის «ავტორი. იგი იყო ცნობილი სტოიკოსის–კორნუტუსის მოსწავლე. ამიტომაცაა ტექსტში ამგვარად მოხსენიებული.

[92] ლუკანოსი «ფარსალია» 1. 128

[93] კარგი ადამიანის სხეული ეთერის ძალებმა ააგეს» ციტატის წყარო უცნობია. სავარაუდოდ, ესაა ჰერმეტიკული ტრადიციის გვიანდელი ფილოსოფიურ-თეოსოფიური ტექსტი.

[94] «ჩემთვის საძნელოა ეს ყოველივე ღმერთის დარად განვაცხადო» ჰომეროსი, ილიადა, 12: 176

[95] მეხთამტყორცნელი – იუპიტერი, რომაელთა უზენაესი ღვთაება, ჭექა-ქუხილის ღმერთი.

[96] ზომიერ სარტყელში მყოფი დამკვირვებლის თვალში დიდი დათვის თანავარსკვლავედი არასდროს ეშვება ჰორიზონტზე დაბლა.

[97] ატრიდი, ატრევსის ძე – აგამემნონი, ბერძენთა ლაშქრის წინამძღოლი ტროას ომში.

[98] მისი ძმა არის მენელაოსი, რომლის მეუღლე ელენე გახდა ტროას ომის მიზეზი.

[99] ლეგენდის თანახმად, იმისთვის რომ ეამებინა ქალღმერთ არტემისისთვის და ხელსაყრელ ქარს დაებერა, რათა ავლისში ჩარჩენილ ტროასაკენ მიმავალ ლაშქარს შეძლებოდა ზღვაზე გზა განეგრძო, აგამემნონმა ქალღმერთს მსხვერპლად საკუთარი ქალიშვილი შესწირა.

[100] 13-31 ტაეპები გადმოგვცემენ ჰერაკლეს თორმეტ გმირობას. ბოეთიუსი აღნიშნულ გმირობათა ამგვარ ვარიანტს გვაწვდის: 1). კენტავრთა მოთვინიერება (მე-14 ტაეპი), 2). ნემეას

ლომის დამარცხება (მე-15 ტაეპი), 3). სტიმფალიური ფრინველები (16), 4). ჰესპერიდების ოქროს ვაშლების მოტაცება (17-18), 5). ქვესკნელის მცველი ძაღლის კერბერუსის შეპყრობა (19), 6) მეფე დიომედესის დამარცხება (20-21), ლერნეს ჰიდრას დამარცხება (22), 8). მდინარის ღმერთის აქელოუსის ძლევა (23-24), 9). ანტეოსის დამარცხება (5), 10). ნახევრად ადამიანის – კაკუსის მოკვლა, ვინც ევადროსის ქალაქს ავიწროვებდა (26). 11). ერიმანთოსის ტახის შეპყრობა (27), 12). ცის თაღის მხრებით ტარება (28).

[101] არისტოტელე; «ფიზიკა» II 4-5

[102] ორიგინალში იკითხება აქემენიის კლდე. აქემენესი იყო სპარსეთის მეფის, კიროსის ბაბუა. ზედსართავი «აქემენიური» გამოიყენება ზოგადად სპარსულის აღსანიშნავად.

[103] არსებობდა მცდარი წარმოდგენა, თითქოს ტიგროსი და ევფრატი ერთი სათავიდან მოედინება (ამის შესახებ იცოდნენ ჰეროდოტოსმაც, სტრაბონმაც და პლინიუსმაც).

[104] «ყველაფერს ხედავს და ყველაფერი ესმის» – ჰომეროსი, «ილიადა» III, 377.

[105] ტირესიასი – ბრმა წინასწარმეტყველი. (იხ. ჰორაციუსი, «სატირები», II, 5).

[106] იგულისხმება ციცერონის ტრაქტატი «დივინაციის შესახებ», I, 1.

[107] Stoa Poikile – «ჭრელი პორტიკი» ათენში,რომელსაც სალექციო დარბაზად იყენებდა ძენონი, სტოიკოსთა ფილოსოფიური სკოლის დამფუძნებელი.

[108] შესაძლოა ბოეთიუსი გულისხმობდეს ფსევდოარისტოტელესეულ თხზულებას «სამყაროს შესახებ», რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეებში. მის მსგავსი მოსაზრება არისტოტელეს გამოტქმული აქვს «ფიზიკაში» XIV, 4, 1091 a.